საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო… თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

ყოველკვი… 7 – 13 ივლისი №27(706) * ფასი 1,50 ლარი



გვ. 70

როგორ ცდილობენ ერთმანეთის დახმარებას ლიკა ევგენიძე და მისი მეუღლე და როგორია მათი ამერიკული ცხოვრება

რა მსგავსება აღმოაჩინა ნინა სუზლატმა საკუთარ თავსა და რვა თვის კოკერ-სპანიელს შორის და რატომ არის ის ცხოველებზე დამოკიდებული

გვ. 19

გვ. 79

რა რეაქცია ჰქონდა ახალგათხოვილ სალომე ბაკურაძეს იბიცაზე შიშველი ხალხის დანახვისას და შეიზღუდა თუ არა მისი თავისუფლება თაფლობის თვის შემდეგ

გვ. 18

რისი მონატრება და სერიოზული „ლომკა“ აქვს სალომე ჭაჭუას და რა რისკზე წაიყვანა ის დამ



რატომ ელოდებოდნენ მთელი ერთი თვე სასწრაფოს მანქანები სცენაზე ასულ მეგი გოგიტიძეს და ვის გამო დატოვა მან უკრაინული „ვოისის“ ნახევარფინალი

გვ. 16



გვ. 23

ვინ არის „არმანი ჯინსის“ ნომერ პირველი მაღაზიის მენეჯერი გიორგი ქადარია, რომელსაც წლების წინ ქულიომ „რეპის მეფე“ უწოდა

ISSN 1987-569X



როგორ დაშოკა მოსკოვში მარია მათურელის ფოტოებმა ყველა და როგორ გახდა ძალიან მცირე დროში მისი ქართული ბრენდი – MATURELLI პოპულარული

გვ. 22



გვ. 47

სხეულის რომელი მიძინებული ნაწილი აუმოქრავდა გიორგი ჯაჯანიძეს და როგორ მოხვდა მისი ტვინი ამერიკელი მედიკოსების ხელში



როგორ უნდა მოხიბლონ მამაკაცებმა ქრონიკულად შეყვარებული ნანა მესხი და როდის მიდის ის ვა-ბანკზე და სერიოზულ რისკზე

გვ. 14



გვ. 74

ბავშვობის რა ოცნება აისრულა თემურ ქამხაძემ და რა სიურპრიზი მოუწყო მას ცხოვრებამ

# გილოცავთ პეტრეპავლობას!

# „საქართველოს ბანკმა“ დამწყები ბიზნესის საინვესტიციო პროგრამა VEGA წარადგინა

*„საქართველოს ბანკი“ მუდმივად სთავაზობს საზოგადოებას საინტერესო და მნიშვნელოვან პროექტებს როგორც საგანმანათლებლო, ასევე ბიზნესის კუთხით. ქვეყნის წამყვანი ბანკი განსაკუთრებით ზრუნავს, ხელი შეუწყოს დამწყებ ბიზნესს, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს კიდეც ეკონომიკის განვითარებას და პროფესიონალური კადრების ზრდას ქვეყანაში. „საქართველოს ბანკმა“ დამწყები ბიზნესის საინვესტიციო პროგრამის – VEGA Startup Lab-ის (VEGA) დაწყების შესახებ განაცხადა, რომლის მიზანია, საკუთარი ბიზნესის დაწყების მსურველები უზრუნველყოს საჭირო განათლებისა და კაპიტალის მიღებით. პროგრამის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე VEGA მჭიდროდ თანამშრომლობს „საქართველოს ბანკთან“ და „საქართველოს ბანკის უნივერსიტეტთან“. VEGA-ს დახმარებით ბიზნესის დაწყება სამი ეტაპისგან შედგება. პირველი სამი თვის განმავლობაში გამარჯვებული იდეების ავტორები გადიან ინტენსიურ საგანმანათლებლო კურსებს, რომლებიც საგანგებოდაა მორგებული დამწყები ბიზნესის მართვის საჭიროებებზე და უზრუნველყოფილი იქნებიან „საქართველოს ბანკის უნივერსიტეტის“ ბაზაზე. საგანმანათლებლო ეტაპის შემდეგ დაიწყება იდეის დახვეწის პერიოდი და კომერციულად გამართლებული ბიზნესგეგმის მომზადება. მოსამზადებელი პერიოდის ბოლოს მონაწილეები წარმოადგენენ დეტალურ ბიზნესგეგმას საგანგებოდ შეკრებილი კომისიის წინაშე და შეირჩევა პროგრამები, რომლებიც VEGA-სგან საწყის კაპიტალს მიიღებენ. პროექტის ავტორები, რომლებიც საწყის კაპიტალს მიიღებენ, იმუშავებენ VEGA-ს ოფისში, სადაც შესაძლებლობა ექნებათ, დაუკავშირდნენ პროგრამის სხვა მონაწილეებს საკუთარი იდეების შემდგომი განვითარების მიზნით და მოემზადებიან შემდეგი ეტაპისთვის – დამატებითი კაპიტალის მოძიება ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორებისგან, რაშიც მათ ისევ VEGA დაეხმარებათ. ჯამში, სამივე ეტაპი 15 თვემდე გაგრძელდება.*

**ირაკლი გილაური** ***(„საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორი):*** ჩვენ გადავწყვიტეთ, დავეხმაროთ დამწყებ ბიზნესს, ხელი შევუწყოთ ყველა იმ ადამიანს, ვისაც კარგი იდეა აქვს, მაგრამ, არ გააჩნია კაპიტალი; ასევე, არ იცის, როგორ მოიზიდოს ინვესტორები. დამწყები ბიზნესმენები უამრავი პრობლემის წინაშე დგებიან, რასაც ხშირად არასწორი ნაბიჯები და შეცდომები მოსდევს. სწორედ ამის გამო შევქმენით საინვესტიციო პროგრამა VEGA Startup Lab. თითოეულ მათგანს საშუალება ექნება, „საქართველოს ბანკის უნივერსიტეტში“ დაესწროს მარკეტინგის, ბიზნესის ადმინისტრირების, ეკონომიკისა და მათთვის საჭირო სხვა მიმართულებების ლექციებს. დამწყებ ბიზნესმენებს გამოვუყოფთ ოფისს. რაც მთავარია, როგორც სწავლა, ასევე საოფისე ფართი, მათთვის სრულიად უფასო იქნება. ამ ეტაპზე ჩვენ საშუალება გვაქვს, პროექტში 50 დამწყები ბიზნესმენი ჩავრთოთ. საუკეთესო ბიზნესიდეების განსახორციელებლად გამოყოფილი გვაქვს 200 ათასი ლარი, რომელსაც მათ კაპიტალში ჩავდებთ.




**ვასილ რევიშვილი** ***(VEGA-ს პროგრამის ხელმძღვანელი):*** დასაწყისისთვის მინდა აღვნიშნო, რომ პროექტს სახელი VEGA შემთხვევით არ შევურჩიეთ. მოგეხსენებათ, ვეგა დედამიწასთან ახლოს მდებარე ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავია, ჩვენც გვინდა, რომ ქართულ რეალობაში შექმნათ ბიზნესვარსკვლავები; გვინდა, დავანგრიოთ შექმნილი მითი, რომ, თუ არ გაქვს დიდი კაპიტალი, საქართველოში ბიზნესის დაწყება შეუძლებელია. ჩვენ მიერ შემუშავებული პროგრამა VEGA Startup Lab პირობითად შედგება ორი ეტაპისგან: პირველი – სწავლა, რომელიც დაახლოებით სამ თვეს მოიცავს. ამ პერიოდში თავიანთ ბიზნესგეგმას უფრო დახვეწენ და მოიყვანენ იმ ფორმაში, რომელიც მისაღები იქნება პოტენციური ინვესტორებისთვის; მეორე ეტაპია, როდესაც დამწყებ ბიზნესმენებს ვეხმარებით ინვესტორის მოძიებაში. VEGA-ში მოსახვედრად იდეის ავტორმა უნდა ატვირთოს საკუთარი იდეა ვებ-გვერდზე: WWW.vegalab.ge, ნებისმიერი ფორმით. ყველაზე საინტერესო იდეების ავტორები მოწვეულნი იქნებიან მათი ჩანაფიქრის წარსადგენად კომისიის წინაშე, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას აპლიკანტის VEGA-ში მონაწილეობაზე. VEGA უზრუნველყოფს ყველა იდეის კონფიდენციალურობას. ეს პროექტი ნამდვილად წარმატებული იქნება, რადგან ჩვენი პარტნიორია „საქართველოს ბანკი“ – ნოვატორი, საიმედო და წამყვანი ბანკი ჩვენს ქვეყანაში.

**სოფი ლორია**

# ს ა რ ჩ ე ვ ი


რა რეგულაციები აქვთ მიწის ყიდვა-გაყიდვის შესახებ ევროკავშირის ქვეყნებში და რა მოთხოვნებს უყენებენ ისინი მათ ქვეყანაში მიწის ყიდვის მსურველ უცხოელს ......... 6



რატომ არიან ტრეფიკინგის მსხვერპლნი, ძირითადად, ქალები და რატომ გაჩნდა აჭარაში მოთხოვნა მუსლიმანი გოგონების სექსუალურ მომსახურებაზე ......................................... 8

რა ოდენობის საბანკო და ზეპირი სესხები აქვს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ნათია მიქელაძეს და ყოფნის თუ არა მისი ჩინოვნიკური ხელფასი მათ მომსახურებას ................ 9

რომელ კანდიდატს მისცემენ აფხაზეთის სომხები 24 აგვისტოს აფხაზეთის „საპრეზიდენტო არჩევნებში“ ხმას და ვინ აჯობებს – რაულ ხაჯიმბას მფარველი რუსეთის უშიშროების სამსახური თუ მერაბ ქიშმარიას მფარველი რუსი სამხედროები ............................................ 10



რა ექსპერიმენტებზე მუშაობს მალხაზ გველუკაშვილი ოკულტურ ლაბორატორიაში და რას ვერ უმტკიცებს ის მიხეილ სააკაშვილის მამას................12

პოულობს თუ არა ქალი ნუგეშს იმ სიურპრიზებში, რომელსაც ცხოვრება სიყვარულში იმედგაცრუების შემდეგ სთავაზობს ................................ 20

როგორ ეძებს 73 წლის მამაკაცი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაკარგული მამის კვალს ნოვოროსიისკში ............ 21

როდის ვარდება ადამიანი ორმაგ



ცოდვაში და როგორ მოჰყავს მას მაცდური აზრები ქმედებაში ............... 24

მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავების მიერ გამოხატული ერთგულების მაგალითები ............................................ 26

რას საქმიანობდნენ რუსი „ოლიგარქები” 25 წლის ასაკში .......... 27

მაჰმუდ აბასი – პალესტინელი ლიდერი და პრეზიდენტი ..................................... 27

ვისი მძღოლი იყო გივი ბერიკაშვილი მარჯანიშვილის თეატრში და ვინ დატოვა მან „კალგოტკის“ გარეშე .... 30

ვისთვის არის საშიში ოქროს სამკაულები და როდის უნდა ვატაროთ თილისმის ძალის მქონე ლითონის სამშვენისები ............................................ 32

სტალინის ღვარძლიანი „მარტიშკა“ და თბილისელ მაკაკასთან ერთად ლოგინში მონებივრე ეჟოვის კომპრომატები ............................................ 35

შეკითხვა ასტროლოგს ......................... 36

ვისთვის აქვს ფულს იდეური დატვირთვა და რომელი ზოდიაქოს ნიშნები გამორჩევიან მისი ყაირათიანი ხარჯვით ............................................... 36

როგორ ასაღებდა თავს სტალინის შვილად ცნობილი ქართველი თაღლითი და რა ბედი ეწია მას ............................ 48

რატომ მოკლა ინვალიდმა მამაკაცმა ყასაბი მეგობარი ......................................... 49

ადვოკატი გირჩევთ ........................................ 50

ფლორის სამყაროში ...................................... 50



ვეტერინარის რჩევები........................51

როგორ მივაწოდოთ ჩამქრალ ავტომობილს ნაპერწკალი.................51

ქურდული ცხოვრება.....................64

აქცია ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის – „თბილისი 2015-ის“ მხარდასაჭერად ბათუმში ...................... 71



როგორ გარდაიცვალა საქართველოს მეფეთა-მეფე, იმპერატორი გიორგი მეოთხე (ლაშა) ................. 72

როგორ გვიცავს ვერცხლი ცუდი ბაქტერიებისგან და რატომ ვიკიდებთ ოქროს ჯვარს „ბოლმის“ წერტილში........... 73



# ყურადღება!

## „აკადემია ლიბერთი-პროფი“

9, 10 და 11 კლასდამთავრებულებს გაძლევთ უნიკალურ შანსს ისწავლოთ და ერთდროულად მიიღოთ:

სკოლის ატესტატი+პრესტიჟული სპეციალობის დიპლომი

სპეციალობები:

1. ფარმაცია; **2. კრიმინალისტიკა და გამოძიების მეთოდები;** 3. ბუღალტერია; 4. ვებ-სპეციალისტი; 5. კბილის ტექნიკოსი.

*სექტემბრიდან ემატება მე-6 და მე-7 სპეციალობები:*

6. საბაჟო წარმომადგენელი; 7. კომპიუტერული ინჟინერია (დაშლა, აწყობა, დიაგნოსტირება და დაზიანებების აღმოფხვრა)

*შეიძლება ექსტერნის ფორმით კლასიდან კლასში გადასვლა და ატესტატის მიღება.*

მისამართი: ზაზიაშვილის ქუჩა №1 „ქარვასლასთან“ („ნახალოვკაში“)

ტელ.: 2 95 20 16; მობ.: 591 40 50 60 ვებ-გვერდი: www.libertyprof.ge



## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თებუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
ვებ-გვერდის მოდერატორი: საბა კარანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52;
599 10-15-20
239-23-52

სარეკლამო სამსახური:
593 38-75-61;
239-23-53

დამფუძნებელი:
შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“

ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა:
tbiliselebi2001@gmail.com

# მაქმანების ღირსება

## საბაჟოში მაინც სულ სხვაა!

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ჩვენს მეზობელ ჩრდილოეთში მაინცდამაინც დიდი პურიტანიზმით არ გამოირჩევიან (არც არასდროს გამოირჩეოდნენ), თუმცა, შესაძლოა, იმიტომ რომ საბაჟო კავშირი მაინც სულ სხვაა, ანუ თვისებრივად სულ სხვა ტიპის კავშირებზეა ორიენტირებული, პირველი ივლისიდან რფ-სა და სრულიად საბაჟო კავშირის ქვეყნებში (სომხეთ-ყაზახეთ-ბელორუსიაში),



ამოქმედდა აკრძალვა, რის მიხედვითაც სინთეტიკური მასალისგან შექმნილი ქვედა საცვლების დამზადება და გაყიდვა შეუძლებელია (მხოლოდ ბუნებრივი მატერიისგან დამზადებულ პროდუქციას თუ აკადრებენ საბაჟო კავშირელის, არ ვიტყვი, რას – ვაი რომ, აღზრდა არ მაძლევს საშუალებას –

თუმცა, სამართლიანობის გამო უნდა ითქვას, რომ ექსპერტთა ცალკეულმა ნაწილმა ამ აკრძალვის მიმართ გაილაშქრა. თვით „დუმური“ ფრაქციის „სპრავედლივაია როსიას“ წევრმა მიხეილ სერდიუკმა მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მეტად პათეტიკურად მიმართა: „გვაქვს კი ჩვენ უფლება, მივუთითოთ ჩვენს ქალებს, რა სახის საცვალი ჩაიცვან და ამით მათ არჩევნის უფლება არ დავუტოვოთ?“

თავის მხრივ, რფ-ს მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო ხელმძღვანელობს პრინციპით, რომ ერის ჯანმრთელობაზე ზრუნვა უპირველესია და მერე რა, რომ აკრძალვის შემდეგ ბაზრიდან გაქრება ქალის საცვლების 90 პროცენტი და, როგორც ჩანს, ამ პროგრესულად მოაზროვნე ბ-ნი სერდიუკის შეგონება: „არჩევანზე გავლენის მოსახდენად ინფორმირებულობაა საჭირო და არა აკრძალვები“, დარჩება ხმად მღაღადებლისა „დუმასა“ და სრულიად საბაჟო კავშირსა შინა.

ჩვენ არ ვიცით, რატომ აითვალწუნეს ჩვენს ჩრდილოეთით ქალის აჟურული საცვლები (ვითომ ესეც ფაშისტური სამოსი ჰგონიათ?!), სხვათა შორის, საშინელებათა ფილმების აკრძალვაც აქვთ გუმანში, მაგრამ ის კი აშკარად იგრძნობა, რომ ეს მხოლოდ „ცვეტოჩკებია“! არც ისაა გამორიცხული, წინ, კომუნიზმისკენაც გაუტიონ – ძალიან კონკრეტული ტიპის საცვლებში!

# „დამწვარი ვარ მზისაგან“

## ანუ ეფიცხებიან და სხვაგვარად არ ძალუძთ

ის, რომ ლეღვის ნახარში ჩვენებური სუსტი სქესის წარმომადგენელთა აქილევის ქუსლი იყო, ამაზე წინა წლების ზაფხულებიც მოწმობდა: არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, ლეღვის ნახარშწასმულები მაინც ეფიცხებოდნენ, მთლად იმაიკის თუ არა, მშობლიური მზის სხივებს. ჰოდა, რაკი ეფიცხებოდნენ ასე და არა სხვაგვარად, იწვებოდნენ კიდეც, თუმცა საკითხს კრეატიულადაც უდგებოდნენ: ლეღვის ნახარშს ყინავდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ ისვამდნენ სხეულზე (ოღონდ შედეგი იგივე დგებოდა – მძიმე ხარისხის დამწვრობა).

როგორც აღმოჩნდა, შეგონებამ თავისი შედეგი გამოიღო, მაგრამ დამწვრობის ცენტრში მზის სხივებით დამწვარი პაციენტების რაოდენობამ მაინც იმატა. მაინც, რადგან აწ ლეღვის ნახარში „ჯონსონის“ ზეთითა და იოდის ნაზავით ჩაუნაცვლებიათ –

კერძოდ, ბოლო ერთი კვირის განმავლობაში დამწვრობის ცენტრისთვის 30-მდე ახალგაზრდას მიუკითხავს. თითოეულ მათგანს კი გარუჯვამდე სწორედ ზემოხსენებული ნაზავი წაუსვამს (ერთი ისაა გასახარი, რომ ჯერჯერობით კლინიკებისთვის ლეღვის ნახარშით დამწვრებს არ მიუმართავთ, თუმცა ახლა დამწვრებს შორის უკვე ვაჟებიც გვხვდებიან!).

ექიმები გარუჯვის მოყვარულ ორივე სქესის ახალგაზრდებს აფრთხილებენ, რომ მხოლოდ მზისგან დამცავი კრემები გამოიყენონ. მეტიც,



მოერიდონ მზის სხივებს დილის 11-დან 4 საათამდე (მაგრამ, არ მგონია, ეს შეგონება მაინცდამაინც შეისმინონ გარუჯვას დახარბებულმა ჩვენმა თანამემამულეებმა, შესაძლოა, არც უმისობა იყოს: „რა ვუყოთ, რომ შავი ვარ, დამწვარი ვარ მზისაგან, მეც ხომ ადამიანი ვარ, გაჩენილი ღვთისაგან“).

ხოლო, თუ გარუჯვის მეთოდიკებისადმი ერთობ კრეატიულ მიდგომებს გავიხსენებთ და ზედ იმასაც, რომ გასარუჯებზე არანაირი ახსნა-განმარტება არ ჭრის, იქნებ მივცეთ დამწვრობის მიღების საშუალება, რაკიღა ეს მათი არჩევანია?! –

# ყოფილების გასაჭირი

## „ერთ ბედ ქვეშა ვართ, ლაზაავ, მე და შენ“

გასული კვირა მძიმე არა მხოლოდ ქ. თბილისის უფლებაშეჩერებული, ოღონდ შემდეგ უფლებააღდგენილი მერისთვის, არამედ საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტისთვისაც გამოდგა.



თუმცა კარგა ხანია, ძიება მიმდინარეობს, ბ-ნი სარკოზის მიერ არჩევნების წაგების მომენტიდან, ის სულ ახლახან დააკავეს ჯერჯერობით მხოლოდ დაკითხვის მიზნით, მანამდე კი პრეზიდენტყოფილის ადვოკატი დაკითხეს: ეჭვი აქვთ, რომ ფრანგული სასამართლოს წარმომადგენლებისგან ლამობდა დახურული ინფორმაციის მიღებას საკუთარი კლიენტის დასახმარებლად. გამოიძება კი, ჩვენ რომ მოფერებით, „სარკოდ“ ვუხმობდით, 2007 წლის არჩევნებში ფულისადმი უკანონო მოპყრობას ედავება.

თავად ნიკოლა სარკოზი, მართალია, სევდიანია და არც უცენზურო ლექსიკას იყენებს ოპონენტთა მისამართით (დაკავებული ჩვენებური ერთ დროს პატიოსანი გვამების მსგავსად), მაგრამ მიუთითებს, რომ მის მიმართ პოლიტიკური ანგარიშსწორება მიმდინარეობს და ოპონენტები მის ჩამოშორებას ცდილობენ პოლიტიკური ასპარეზიდან. თუმცა ევროკავშირელი ბობოლები მაინც დუმან (შეშფოთება რაა, იმასაც კი არ გამოხატავენ! – ).



იმის მიუხედავად, რომ ბ-ნი სარკოზი ჯერჯერობით ერთადერთი ექსპრეზიდენტია საფრანგეთში, რომელიც პოლიციელებს დაუკითხავთ, თუ გავიხსენებთ, რომ ჩვენ მერყოფილსაც ბრალი უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას გამო წარედგინა და ისიც დარწმუნებულია, რომ პოლიტიკური ანგარიშსწორების მსხვერპლია, ფაქტობრივად, ევროკავშირში ვართ! –

# მონატრება?!

## „და თუ ეს სიყვარულია“

მართალია, ამაზე კარგა ხანია, საუბრობენ, თუმცა მხოლოდ ახლა გაირკვა, რომ 1 აგვისტოდან რფ საქართველოსთან დამაკავშირებელი ახალი ავტომაგისტრალის მშენებლობას იწყებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთ-საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობა არ არის (სავსებით ლოგიკურადაც), ფაქტია, რომ ახალ გზას ჩვენი მონატრების გამო არ აშენებენ (რომ საზღვრის მეორე მხრიდან ჩვენი ცქერით გული იჯერონ).

როგორც დაღესტნის ტელევიზია აცხადებს, ავარო-კახეთის დამაკავშირებელი მაგისტრალი დაღესტანზე გაივლის და მთლიანად ასფალტ-ბეტონის საფარით მოპირკეთდება. სამუშაოები საკმაოდ ძვირი დაჯდება, რადგან, თუმცა გზის სიგრძე მხოლოდ 83 კილომეტრია, მან 3 მთა უნდა გაიაროს და 5 გვირაბი დასჭირდება. შედეგად კი, თურმე, ეს უმოკლესი გზა იქნება საქართველომდეც და შავ ზღვაზე გასასვლელად (ვითომ, შავ ზღვაში ჩახრჩობას აპირებენ და ამისთვის მხოლოდ აფხაზეთის სანაპირო არ ჰყოფნით?!).

ჩვენ არ ვიცით, რა აქვთ გუმანში ჩრდილოეთში (თუმცა რთული მისახვედრი არ არის, რომ კარგი არაფერი), მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ არც ის ვიცით, რა პრევენციულ ღონისძიებებს ატარებს ჩვენი მხარე – ან კი რა პრევენცია უნდა გაატარო, თუკი იქ, ჩრდილოეთში, ტანკების შემოგრიალება უკვე გადაწყვიტეს?!

# ლოგიკა რუსულად

## ვინ მოწმენდს ოფლს

**რფ-ის „დუმა“ ისე მუხლჩაუხრელად შრომობს,** რომ, ვფიქრობ, **მალე „დუმელთათვის“ ოფლის მომწმენდთა სოლიდური რაოდენობის მოხალისეთა ჯგუფის შერჩევაც მოუწევთ**. ასე, მაგალითად, **გასულ კვირას პირველი მოსმენით მიიღეს კანონპროექტი,** რის მიხედვითაც, **სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება პირს, ვინც გაბედავს და საჯაროდ გააკეთებს სეპარატისტულ განცხადებებს.**




კანონპროექტის ავტორი ფედერაციის საბჭოს წევრი ვინმე ანდრეი კლიშასია (ეს იდეა თავში მაისში მოუმწიფდა, მას შემდეგ, რაც უკრაინას ყირიმი ასწაპნეს!). **სასჯელი კი სეპარატიზმის გამღვივებლებისთვის შემდეგნაირი მოუმზადებიათ: ჯარიმა 100 000-დან 300 000 რუბლამდე;** ან იძულებითი სამუშაო 3 წლამდე; ან **დაკავება 4-დან 6 თვემდე**, ასევე, **თავისუფლების აღკვეთა 4 წლამდე ვადით** (აქამდე ეს ვადა 3 წლამდე იყო განსაზღვრული).

იგივე ქმედება, ანუ **სეპარატიზმისკენ მოწოდება, მედია-საშუალებების, მათ შორის, ინტერნეტის გამოყენებით**, ითვალისწინებს **იძულებით სამუშაოებს 480 საათამდე, ამავდროულად, გასამართლებულ პირებს ეკრძალებათ გარკვეული თანამდებობების დაკავება და გარკვეული ტიპის საქმიანობა 3 წლამდე** ან მათ ემუქრებათ **თავისუფლების აღკვეთა, ვადით 5 წლამდე**, იმავდროულად, გარკვეული საქმიანობის აკრძალვის თანხლებით.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ **„დუმა“ ამ კანონს მიიღებს და რფ რკინის ხელით შეეცდება განსხვავებული აზრის ჩახშობას**. ყველაზე **საინტერესო ამ რუსულ ლოგიკაში ის არის, რომ თავად** არათუ თანაუგრძნობს, **სხვა სახელმწიფოების ტერიტორიაზე სეპარატიზმის გაღვივების, საერთოდაც, თანამონაწილეა!** მაგრამ, როგორც ჩანს, ბისმარკის შეგონებას მიჰყვა – **ორთა აღიარებისა და მესამე ტერიტორიის საერთოდაც მითვისების შემდეგ** – და სხვების შეცდომებზე ისწავლა, რომ **სეპარატიზმი ძირშივეა მოსასპობი**, ოღონდ, ბუნებრივია, **ეს ხელს ვერ უშლის, ამის პარალელურად,** საქართველოში **მეგრულ-სვანური სეპარატიზმის გასაღვივებლად არანაკლებ მუხლჩაუხრელად მუშაობაში**.

# „ნადირობა“

თუმცა ფაქტი **2006-ში მოხდა, როდესაც ჩვენი თანამემამულეები ნახირივით გამოაძევეს რუსეთიდან** და ეთნიკურ ქართველებზე ნადირობა იყო გამოცხადებული (სხვათა შორის, ჩრდილო კავკასიელებზე ახლაც ზუსტად ასე ნადირობენ),




**სტრასბურგის სასამართლოს კი 2007-ში მიმართეს**, ამ უკანასკნელმა, როგორც იქნა, **საშველი დააყენა** და **7 წლის შემდეგ დაადგინა, რომ რფ-მ საქართველოს დაზარალებულ მოქალაქეებს კომპენსაცია უნდა გადაუხადოს**. მაგრამ **კომპენსაციის ოდენობა** 12 თვის განმავლობაში, თანაც, **მოლაპარაკებების გზით უნდა განისაზღვროს**.

**საქმე დიდმა პალატამ განიხილა**. 2011 წლის 31 იანვრიდან 4 თებერვლამდე დიდი პალატის 17 მოსამართლის წინაშე მოწმეები დაკითხეს. **2012 წლის 13 ივნისს გაიმართა ბოლო საჯარო სხდომა და პროცედურა დაიხურა**. თუმცა **გადაწყვეტილება მხოლოდ 2 წლის შემდეგ მიიღეს** (ბუნებრივია, **ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს**).

**რუსულ მხარეს ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია** და, **ნაკლებად სავარაუდოა, კომპენსაციის გადახდას დათანხმდნენ,** ან კი როგორ გაიხდიან, **როდესაც აჟურული საცვლების აკრძალვა შემოსავლების კლებას გამოიწვევს?!**

# საკუთარ სკამზე ნაწვნევი

## არც – ძაღლის კუდი და არც – კირჩხიბი?!

მიუხედავად იმისა, რომ იგი, **ძირითადად, უკრაინის საშინაო საქმეებითაა დაკავებული და რჩევას რჩევაზე არ აკლებს ჩვენს მეგობრებს**, შიგადაშიგ **თავის სამშობლოში მიმდინარე მოვლენებსაც ეხმაურება**. ბუნებრივია, ბ-ნი **სააკაშვილი გულგრილი ვერ დარჩებოდა თანამებრძოლის,** ბ-ნი უგულავას **დაკავებისადმი**. არც დარჩა და, თუმცა **იმთავითვე განაცხადა, რომ „კანონზე ზემოთ არავინ დგას“,** გაგვაფრთხილა: **„პოლიტიკური პროცესის ჩანაცვლება პროკურატურისა და სასამართლოს მანიპულაციებით, ყველგან ძალიან ცუდად მთავრდება.“**



სამწუხაროდ, არ დაუკონკრეტებია, სად მთავრდება ცუდად, რადგან, მაგალითად, **წინა 9 წლის განმავლობაში ეს ამბავი ისე ხავერდოვნად მიმდინარეობდა, გეგონებოდა, პროკურატურითა და სასამართლოთი მანიპულირება სახელმწიფოს არსებობის ერთადერთი ფორმა იყო**. –

თუმცა **დაგვაიმედა, რომ „ეს ყველაფერი გაივლის“** და ვერდიქტიც გამოიტანა: „რა თქმა უნდა, **ცუდად დაუმთავრდებათ იმათ, ვინც ამას აკეთებს“,** ზედაც, ოპტიმიზმით აგვავსო: **„თუ ვინმეს ჰგონია, რომ უგულავას დაკავებით პოლიტიკურ პროცესებს ჩაშლის,** არჩევნებში გარდატეხა მოხდება, ხალხი დაშინდება, სხვანაირად მიიღებს გადაწყვეტილებას ან ჩემზე ან გიგიზე, **ეს არის ძალიან არასწორი აზროვნება**.“

თუ გავიხსენებთ, რომ **პრეზიდენტყოფილმა საკუთარ სკამზე იწვნია, რომ „ხალხის დაშინება არასწორი გადაწყვეტილებაა“** და ამ გზით სკამს, ვაი რომ, ვერ შეინარჩუნებ, აშკარაა, რომ სრულ **ჭეშმარიტებას ლაღადებდა სულხან-საბა: „არ გასწორდების კუდი ძაღლისა და არც კირჩხიბი მართლად ვალს“.**

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**საქართველოში მოქმედი კანონით მტრისა თუ მოყვრისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენა ნებადართულია, კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილების წყალობით. ქართულმა უმაღლესმა საკონსტიტუციო სასამართლომ დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტის სარჩელი დააკმაყოფილა, რომელიც მოითხოვდა, არაკონსტიტუციურად ეცნოთ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის რიგი ნორმები, რომლებიც უცხოელის მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენას ზღუდავდა. შემდეგ ისე მოხდა, რომ 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნებზე არჩეული პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისთვის მიყიდვაზე მორატორიუმი გამოცხადდა 2015 წლამდე. თუმცა ახლახან „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ კიდევ ერთხელ მიმართა სასამართლოს და ახლა უკვე პარლამენტის მიერ გამოცხადებული ეს მორატორიუმი ცნეს უკანონოდ. იმის გათვალისწინებით, რომ 27 ივნისს ხელი მოვაწერეთ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას, არ გვაწყენდა იქ არსებული გამოცდილების გათვალისწინება. როგორ ეპყრობიან სასოფლო-სამეურნეო მიწას ევროპულ ქვეყნებში? ამის შესახებ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი პაატა კოღუაშვილი მოგვიყვება.**

# რა რეგულაციები აქვთ მიწის ყიდვა-გაყიდვის შესახებ ევროკავშირის ქვეყნებში და რა მოთხოვნებს უყენებენ ისინი მათ ქვეყანაში მიწის ყიდვის მსურველ უცხოელს

**– მიწა რატომ იქცა განსაკუთრებული დაცვის საგნად და რატომ აწესებს სხვადასხვა ქვეყანა მის შეძენაზე ბარიერებს უცხოელებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ მას, მართლაც, ვერავინ მოიკიდებს ზურგზე და ვერ წაიღებს?**

– ამჟამად პლანეტაზე მიწის ერთი ნაგლეჯიც კი არ არის თავისუფალი და თუ გადავხედავთ თანამედროვე კონფლიქტების უმრავლესობას, მათი მიზეზი სწორედ ტერიტორიული დავაა. ზოგჯერ ომი მიმდინარეობს სულ რამდენიმე კვადრატული კილომეტრისთვის, მაგალითად, ახლახან ამტყდარი კონფლიქტი ტაილანდსა და კამბოჯას შორის. ვითარებას ართულებს ნიადაგის ეროზიის პროცესი, რაც უკანასკნელ პერიოდში, ანთროპოგენური ექსპანსიის და კლიმატური ცვლილებების ფონზე, კრიტიკულ ფაზაში შევიდა. ქართველი ერისათვის მიწა-წყლის წართმევის მცდელობას იმდენივე ხნის ისტორია აქვს, რამდენიც იმის ცოდნას დანარჩენი მსოფლიოს მიერ, რომ საქართველო „ღვთის მიერ კურთხეული ადგილია“. ანუ, ფართობის გათვალისწინებით, ბუნებისგან ბევრად უფრო უხვად დასაჩუქრებული ადგილია, ვიდრე საშუალოდ დედამიწის დანარჩენი ტერიტორია. ეს მცდელობა ხორციელდება არა მხოლოდ გეოსტრატეგიული ქმედებების დონეზე – დაპყრობა, აყრა და ასე შემდეგ, არამედ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის დონეზეც, რომელმაც უნდა შეასუსტოს ფაქტობრივი და ფსიქოლოგიური ბმა საქართველოს მიწასა და მის კანონიერ პატრონს, ქართველ ერს შორის.

საქართველო, როგორც დედამიწის ნაწილი, ეკუთვნის ქართველ ერს. საქართველოს ყველა მოქალაქე განურჩევლად სქესისა, რასისა, ეროვნებისა, აღმსარებლობისა, კანის ფერისა, დაბადების ადგილისა და ასე შემდეგ უფლებამოსილია, რომ საქართველოს ბუნებრივ შესაძლებლობებს, პირველ ყოვლისა, მიწას განიხილავდეს, როგორც თავისი შთამომავლობის გარანტირებულ საკვებ ბაზას და როგორც თავისი ყოველმხრივი თვითრეალიზაციის სივრცეს თანამედროვე ცივილიზაციური დონისა და შესაძლებლობების შესაბამისად. სახელმწიფო კი ვალდებულია ყველა კანონმდებლობითი და პრაქტიკული კონკრეტული ღონისძიება იხმაროს, რათა საქართველოს მოქალაქეთა შთამომავლობას შეუნახოს აღნიშნული შესაძლებლობები შეუმცირებელი სახით.



**იაფი საკვების ეპოქა დასრულდა. სწორედ ამიტომ მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო განსაკუთრებით ფრთხილად ეკიდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის საკითხს**

**– რატომ ვერ შეძლებს სახელმწიფო ამ ფუნქციის განხორციელებას, თუკი მიწას დაამუშავებენ არა საქართველოს მოქალაქეები?**

– თანამედროვე მსოფლიოში შეზღუდული რესურსების, კერძოდ, საკვების რესურსთა შემცირების პრობლემა სულ უფრო მწვავდება. ეს უპირველესად, ეხება მიწას და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სავარგულებს, რადგან ეს უკანასკნელი სულ უფრო მცირდება და ეს ხდება პლანეტის მოსახლეობის სწრაფი ზრდის ფონზე. ამ მხრივ, საყურადღებოა FAO-ს განცხადება, რომ იაფი საკვების ეპოქა დასრულდა. სწორედ ამიტომ მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო განსაკუთრებით ფრთხილად ეკიდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის საკითხს და ეს სფერო უმკაცრესი რეგულაციით გამოირჩევა. ამავე დროს არც ერთ თანამედროვე ქვეყანაში, მიწაზე საკუთრება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას, არამედ ის რეგულირდება სხვადასხვა ნორმატიული აქტებით. საქართველოში არსებული სიტუაცია განსაკუთრებული სიმწვავით გამოირჩევა. საქართველოს მოსახლეობის გამოკვება დღეს არსებითად დამოკიდებულია იმპორტზე, რაც, მძიმე გეოსტრატეგიული და გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ყოველ წუთს შეიძლება შეწყდეს. უცხო ქვეყნის მოქალაქის საკუთრებაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო მიწის გამოყენება ამ საშიშროების პრევენციისათვის მოითხოვს იურიდიულ ბერკეტებს, რომლებიც საქართველოს სახელმწიფოს დღესდღეობით არა აქვს.

**– ზოგადად, როგორ რეგულირდება ცივილიზებულ სამყაროში მიწის პრობლემა?**

– სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ნებისმიერ სახელმწიფოში სტრატეგიული დანიშნულების ობიექტადაა მიჩნეული და მსოფლიოს უმრავლეს სახელმწიფოში ამ ტიპის მიწის უცხოელებზე, ანუ მოქალაქეობის არმქონე პირებზე გასხვისება ძირითადად შეზღუდულია ან დაშვებულია მხოლოდ გარკვეული და კონკრეტული წინაპირობებით. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ზოგ ქვეყანაში შეზღუდვები არსებობს იურიდიული პირების მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესყიდვაზეც. აქ გვხვდება გარკვეული რეგულირება, წინაპირობები, რომელიც ართულებს ან გარკვეულ მოთხოვნებს აწესებს. ფაქტები და არგუმენტები იძლევა საფუძველს, დავასკვნათ, რომ არ არსებობს ზოგადად მიღებული ბარიერი და საქართველოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება თავისი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად. მიწის კანონმდებლობა უნდა დარეგულირდეს იმდაგვარად, რომ დაცული იყოს საქართველოს ყველაზე ძვირფასი ეროვნული სიმდიდრე, ქართული მიწა და საქართველოს მოქალაქე.

**– კონკრეტულად ევროკავშირის ქვეყნებში, რომლებთანაც ასოცირების შეთანხმებასაც 27 ივნისს მოვაწერეთ ხელი, როგორ რეგულირდება მიწის პრობლემა?**

– ავსტრიაში უცხოელთა მიერ მიწის შეძენა რეგულირდება მიწების ცალკეული კანონებით. მაგალითად, მიწის ერთ-ერთი კანონით, უცხოელი უძრავი ქონების შეძენისათვის საჭიროებს ნებართვას. ნებართვა კი, თავის მხრივ, შეიძლება მიღებული იქნეს თუ „სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური“ ინტერესები არ იქნება შელახული. თუ უცხოელი ავსტრიის ტერიტორიაზე მინიმუმ 10 წელი ლეგალურად, კანონიერად იმყოფება და მისი შენაძენით მნიშვნელოვანი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ან სხვა საჯარო ინტერესი არ ილახება. თუ უცხოელს, და მათ შორის არ მოიაზრებიან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოთა მოქალაქეები, ნაყოფიერი, სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენა სურს, ის ზემოთ მოცემულ ნებართვასთან ერთად საჭიროებს დამატებით ნებართვას, რომელიც გაიცემა სპეციალური კომისიის მიერ. დაახლოებით იგივე რეგულირებაა ავსტრიის მიწების სხვა კანონმდებლობებითაც.

**– საინტერესო იქნება შვეიცარიის მაგალითი, რადგან ეს ქვეყანა ყველაზე მეტად ასოცირდება კეთილდღეობასთან.**

– უცხოელების მიერ შვეიცარიაში მიწის შეძენა დაშვებულია, თუმცა მხოლოდ ნებართვის აღების პირობით. შვეიცარიის ფედერალური კანონი უცხოელთა მიერ მიწის შეძენას ზღუდავს, რათა თავიდან იქნეს აცილებული შვეიცარული მიწის „გაუცხოება“. ამ კანონით შეზღუდვები ძირითადად იმ პირებზე წესდება, რომლებიც უცხოეთში ცხოვრობენ და არა იმ უცხოელებზე, რომლებიც შვეიცარიაში კანონიერად ცხოვრობენ. საინტერესოა, რომ კანონში ცალკეა გამოყოფილი უცხოეთში მცხოვრები ის პირები, რომლებსაც ამა თუ იმ ქვეყანაში „განსაკუთრებით კარგი“ მდგომარეობა აქვთ. იგულისხმებიან ფინანსურად განსაკუთრებით კარგი მდგომარეობის უცხოელები ან რომელიმე ქვეყანაში საარჩევნო ხმათა უმრავლესობის მფლობელი, ან კიდევ რაიმე სხვა განსაკუთრებული სტატუსის მატარებელი ადამიანები. კანონით მათზე ნებართვის გაცემა შესაძლებელია. მაგრამ კანონი ამ ადამიანებს განსაკუთრებულ კატეგორიად განიხილავს.

მაგალითად, გერმანიის კანონმდებლობით, უცხოელებს მიწის საკუთრებაში შეძენასთან დაკავშირებით იგივე შეზღუდვები აქვთ, როგორიც გერმანიის მოქალაქეებს. სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენისთვის აუცილებელია განცხადების

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა ეფექტური და სწრაფი მეთოდით

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, სქოლიოზი – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**

**მზია ვეშაგური** *(57 წლის. ყაზბეგი).*

**დიაგნოზი**: ***ორმხრივი გონართროზი.*** ორივე მუხლის სახსრები მტკიოდა, აქ რომ მოვედი, მარჯვენა მისივდებოდა კიდეც. დიდი ხანია, ტკივილები მაწუხებს, მაგრამ ასეთი გაუსაძლისი არ ყოფილა. ჩვენს რაიონში ექიმმა მიმკურნალა, მაგრამ – არაფერი. მანანა ექიმთან ჩემმა მეზობელმა იმკურნალა შარშან და იმან გამომგზავნა – არსად გადაუხვიო, პირდაპირ მიდიო. ჰოდა, ამიხდა მისი ნათქვამი – ერთ დღეში შვება მივიღე, მეორე დღეს მუხლი დამიცხრა და ხელჯოხი გადავაგდე, ერთ კვირაში კი ყველა ტკივილი მომეხსნა. დაგლოცოთ, მანანა ექიმო, აღმა-დაღმა სალოცავებმა, ლომისის მადლი და ძალა გფარავდეთ!

**დიმიტრი დევდარიანი** *(62 წლის ინჟინერი. თბილისი).*

**დიაგნოზი**: ***წელის მალების პოლიდისკოპათია, ლუმბოიშიალგია.*** ერთი წელია, მოვდივარ, მოვდივარ და ძლივს მოვაღწიე. ხან რა მიზეზი გამომიჩნდა, ხან რა და... გავირთულე ავადმყოფობა. წინასწარ გეტყვით, რომ, ჩემი მდგომარეობიდან გამომდინარე, ნეიროქირურგმა ოპერაციაზეც კი უარი მითხრა – შედეგი არ გექნება და ჯობია, ისევ იმკურნალოო. აქ მოსვლამდე რა აღარ ვცადე: მედიკამენტები, მასაჟები, მალამოები, ფიზიო, დაჭიმვები. ბოლოს ჩინური ნემსებიც გავიკეთე, მაგრამ...

თან, მაღალწნევიანი ვარ, კუჭიც მაწუხებს, წამლებს ძნელად ვიტან... ქალბატონმა მანანამ გულისყურით



მომისმინა, გამსინჯა და... პირველი პროცედურა ჩამიტარა. კლინიკიდან უკვე უკეთესად გამოვედი. ვიფიქრე, მეჩვენება-მეთქი, შთაგონებას დავაბრალე, მაგრამ, ღამითაც ისე ტკბილად მეძინა, ორი თვე რომ არ მძინებია. ტკივილები, რომელიც, სულ ცოტა, 4-5 წელია, მაწუხებს, 8-10 დღეში მომეხსნა. დამრჩა ოდნავ შეზღუდულობა და დაბუჟება ფეხში და, მჯერა, ესეც მალე გაივლის. უღრმესი მადლობა ქალბატონ მანანას და მის ვაჟიშვილს, ბატონ სოსოს გაწეული დახმარებისთვის!

# ბუასილი მარტივად იკურნება

**მტკივნეული კვანძები, სისხლდენა, წვა, ქავილი – თემის დელიკატურობის გამო პაციენტები ხშირად ერიდებიან ექიმთან დროულად მისვლას, დაავადება კი უფრო მძიმდება და საქმე ქირურგიულ ჩარევამდე მიდის. „ალექსიშვილის კლინიკაში“, სადაც ექიმი დედა-შვილი ქალბატონი მანანა და ბატონი სოსო მოღვაწეობენ, ბუასილს მარტივად, არაქირურგიული გზით მკურნალობენ. მათ მეთოდს საოპერაციო შემთხვევების დიდი უმრავლესობა ექვემდებარება.**

**ნონა დვალი** *(38 წლის, პედაგოგი. თბილისი).*

**დიაგნოზი**: ***ჰემოროიდული დაავადება. მესამე ხარისხის, კოლიტი.*** შეკრულობა პირველი მშობიარობის მერე დამრჩა, რამაც ბუასილი ჩამომიყალიბა. მეორეზე უფრო გამირთულდა – დამერთო სისხლდენა, ტკივილი. მუცელში მუდმივად შებერილობას ვგრძნობდი და მჭვალავდა. ძალიან კარგი შედეგი მომცა ამ კლინიკაში მკურნალობამ. პირველივე 10-დღიან კურსზე ალაგდა ჩემი ყველა ჩივილი. გაიხარეთ, მანანა ექიმო, დიდი მადლობა!

**სოფიო ჩუთლაშვილი** *(62 წლის. გურჯაანი).*

**დიაგნოზი**: ***ანალური ნაპრალი (მწვავე).*** აბა, რა გითხრათ, სიკეთე და ჯანმრთელობა არ მოშლოდეს ჩემს მანანა ექიმს, დიდხანს ემუშაოს მის მარჯვენას ჩვენს სასიკეთოდ! ისეთი იმედით ჩამოვედი და უფრო მეტი იმედით მივდივარ. საშინელი ტკივილებით ჩამომიყვანეს ჩვენებმა. ექიმთან რომ შემოვედი, ცხარე ცრემლით ვტიროდი ტკივილისგან. ცუდზე ვფიქრობდი, გასინჯვის მეშინოდა. გულზე მომეშვა, როცა გამსინჯეს და საშიში არაფერი მჭირდა, მაგრამ, ტკივილი არ მასვენებდა მაინც. წავიღე მალამოები, ბალახის ნახარშები და, დამეფიცება, 2 დღეში ტკივილი აღარ მქონდა. ამათ შემოევლოთ ჩემი თავი, აქამდე სად ვიყავი!

***მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 12-დან 16 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.***

**თამუნა ნიჟარაძე**

---

წარდგენა, რომელშიც აღწერილი და დასაბუთებული უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო მიწის განვითარების გეგმა. ასევე, წინაპირობაა, რომ ფიზიკური პირი, რომელიც საკუთრებაში იძენს მიწის ნაკვეთს, უნდა იყოს 18 წლის, მიუხედავად იმისა უცხოელია თუ გერმანიის მოქალაქე. გერმანიაში საკმაოდ ფრთხილი მიდგომაა სასოფლო-სამეურნეო მიწის არასათანადო გამოყენებისადმი ნებისმიერის, მოქალაქის თუ არამოქალაქის, მიერ. ამიტომაც ასეთი ნებართვის მოპოვება სპეციალური კომისიის თანხმობის გარეშე შეუძლებელია.

**– საინტერესო იქნება მიწისადმი მიდგომა დანიაში, რადგან 2012 წელს სწორედ დანიის მოქალაქის სარჩელი დააკმაყოფილა ჩვენმა სასამართლომ, რომელიც ჩიოდა, ჩემს უფლებებს არღვევენ, მიწას არ მომყიდიან საქართველოშიო.**

– დანიის კანონმდებლობით, მიუხედავად მისი გარეგნული ლიბერალური ხასიათისა, ქონების შეძენა საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია. ქონების შეძენა განსაკუთრებით რთულია არარეზიდენტებისათვის. მათ დანიაში არ შეუძლიათ შეიძინონ ქონება გარდა სამი გამონაკლისისა: ერთი, როდესაც ისინი არიან ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოების მოქალაქეები და იურიდიული პირები და მუშაობენ ან საქმიანობენ დანიაში; მეორე – ისინი არიან არაევროკავშირის რომელიმე სახელმწიფოს მოქალაქეები და უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში დარეგისტრირებულნი არიან დანიაში, როგორც მუდმივი რეზიდენტები და მესამე – აქვთ მოპოვებული შესაბამისი ნებართვა დანიის იუსტიციის სამინისტროსგან. მაგალითად, თუ დანიაში ჩასულია სხვა ქვეყნის მოქალაქე ან იურიდიული პირი და მას უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ამ ქვეყანაში მუდმივი ცხოვრების დამადასტურებელი რეგისტრაცია არ აქვს, დანიის იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი ნებართვის გარეშე, ის მიწას ვერ შეიძენს. თუ ვიგულისხმებთ, რომ ასეთ შემთხვევაში იუსტიციის სამინისტრო ნებართვას არ გასცემს, მაშინ საერთოდაც ვერ შეიძენს. დანიის კანონმდებლობა განსაკუთრებით მკაცრია ზაფხულის დასასვენებელი სახლების შეძენასთან დაკავშირებით. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია პოპულარულ და სტრატეგიულად მნიშვნელოვან ზღვის სანაპიროზე, სადაც მოქმედი სპეციალური შემზღუდავი წესები „ანტიგერმანული წესებითაა“ ცნობილი. ალბათ მარტივი გასაგებია, რომ ეს რეგულაციები შემუშავებულია გერმანელების მიერ სანაპირო ზოლში საკუთრების შეძენის შესაზღუდავად.

**– საინტერესოა, როგორი პრაქტიკაა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ბალტიისპირეთში, ევროკავშირის ახალგაზრდა წევრ-სახელმწიფოებში.**

– ლატვიის მიწის პრივატიზების კანონმდებლობის შესაბამისად ევროკავშირის არაწევრ სახელმწიფოს მოქალაქეებს და იურიდიულ პირებს მიწა და ტყე არ შეუძლიათ შეიძინონ! რუმინეთში მიწის შეძენა მოქალაქეობის არმქონე პირებს, უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს მხოლოდ საერთაშორისო ხელშეკრულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, აუცილებლად ნაცვალგების პრინციპით შეუძლიათ. ეს ნიშნავს, რომ რუმინეთშიც უცხოელის მიერ მიწის და მათ შორის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა შესაძლებელია ქვეყნებს შორის შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში და ისიც მხოლოდ იმ პირობის გათვალისწინებით, თუ მეორე ქვეყანაც რუმინეთის მოქალაქეებს ანალოგიურ უფლებას მისცემს. დღევანდელი მდგომარეობით რუმინეთში ევროკავშირის სახელმწიფოთა მოქალაქეები, რომლებსაც თავიანთი საცხოვრებელი ადგილი აქვთ რუმინეთში და იურიდიული პირები, რომლებიც რუმინეთში არიან რეგისტრირებულნი სასოფლო-სამეურნეო მიწის შესაძენად აქვთ იგივე უფლებები, რაც რუმინეთის მოქალაქეებს. იმ „ევროკავშირის უცხოელებს“ კი, რომლებიც რუმინეთში არ ცხოვრობენ, რუმინეთში მიწის შეძენა შეუძლიათ მხოლოდ ნებართვის მიღების შემთხვევაში. ევროკავშირის ქვეყნების გარდა, სხვა უცხოელებისთვის რეგულირება არ შეცვლილა. მათ, ისევე როგორც 2007 წლამდე, რუმინეთის ევროკავშირში გაწევრიანებამდე, არ აქვთ რუმინეთში მიწის ნაკვეთის შეძენის უფლება.

ბულგარეთის შემთხვევა ჩვენთვის საინტერესოა, რადგან ეს ქვეყანა, ბუნებრივი და ინფრასტრუქტურული პირობებით ჩვენი მსგავსია. აქ უცხოელ მოქალაქეებს შეუძლიათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ისინი ბულგარეთში დაარეგისტრირებენ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას. ეს რეგულაცია უცხოელ ფიზიკურ პირებს მიწის პირდაპირ შეძენას უზღუდავს, თუმცა იურიდიული პირის დაფუძნების შემდგომ, ეს საკმაოდ მარტივი ხდება. აღნიშნული რეგულირება ძალიან წააგავს საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე არსებულ ვითარებას. მოქალაქეობის არმქონე პირებს, უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ბულგარეთში მიწის შეძენა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ: თუ ისინი იმ ქვეყნის მოქალაქეები არიან, რომელთანაც ბულგარეთს 2007 წლის 1 იანვრის შემდეგ შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულება აქვს დადებული; თუ ქონებას მიიღებს მემკვიდრეობით; თუ არის ევროკავშირის მოქალაქე, რომელსაც აქვს მუდმივი ადგილსამყოფელი ბულგარეთში; თუ არის ევროკავშირის თვითდასაქმებული ფერმერი და მიწას ბულგარეთში დასასახლებლად და სამუშაოდ ყიდულობს. მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირის ქვეყნებისთვის არსებობს ლიბერალური და „შინაურული“ რეგულირება, ხოლო არაწევრი ქვეყნებისათვის ცალსახად მოქმედებს ზემოთ მოცემული შეზღუდვები და მათ, ფაქტობრივად, არ შეუძლიათ სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენა.

**ნინო ხაჩიძე**

**სულ ახლახან გამოქვეყნდა აშშ–ს სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიში ტრეფიკინგთან ბრძოლის შესახებ. ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ვებ-გვერდზე აღნიშნულია, რომ, ანგარიშის მიხედვით, „საქართველომ მიაღწია პროგრესს, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის, ისე პრევენციისა და მსხვერპლთა დაცვის კუთხით. კერძოდ, გამოძიებების რაოდენობა გაზრდილია 40 პროცენტით, სისხლისსამართლებრივი დევნის რაოდენობა – 4-ჯერ, ხოლო სასამართლო განაჩენების რაოდენობა ხუთჯერ.“ ანგარიშის სხვა დეტალებზე, კერძოდ, ის რომ საქართველო ტრეფიკინგის ტრანზიტული ქვეყანაცაა, წარმომქმნელიც და მიმღებიც, არაფერია ნათქვამი; არც იმაზე, რამდენად ეფექტიანად იყენებს ფონდი სახელმწიფო ბიუჯეტს და რატომ არ არის ტრეფიკინგის პრობლემის მქონე ქვეყანაში მსხვერპლთა თავშესაფრები დატვირთული (სხვათა შორის, თავშესაფრების მონიტორინგის უფლება მხოლოდ ფონდს აქვს: ანუ მფლობელი თავადაა მაკონტროლებელი). ინფორმაციის მისაღებად, ფონდის ვებ-გვერდზე მითითებულ ტელეფონის ნომერზე უშედეგოდ ვრეკავდი ერთი დღის განმავლობაში, რამაც შემიქმნა საკმაოდ მკაფიო შთაბეჭდილება ფონდის მუშაობის ხარისხის შესახებ. რა ტიპის ტრეფიკინგია გავრცელებული საქართველოში და როგორ ვიქეცით ტრეფიკინგის წარმომქმნელ და მიმღებ ქვეყნად? თემას ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოების ხელმძღვანელთან, ნანა ნაზაროვასთან ერთად განვიხილავთ.**

# რატომ არიან ტრეფიკინგის მსხვერპლნი, ძირითადად, ქალები და რატომ გაჩნდა აჭარაში მოთხოვნა მუსლიმანი გოგონების სექსუალურ მომსახურებაზე

**– ჩვენ უკვე მეორე წელია, ვხვდებით აშშ-ს სახდეპარტამენტის ანგარიშში იმ თვალსაზრისით, რომ ვართ ტრეფიკინგის ტრანზიტის, წარმოშობისა და დანიშნულების ქვეყანა. მანამდე ეს პრობლემა არ იყო, თუ რა მოხდა?**

– 2007 წლიდან აშშ-ში მზადდება ანგარიში და ისინი, გინდა თუ არა, ახორციელებენ ტრეფიკინგის მონიტორინგს ნებისმიერ ქვეყანაში. ამასთან, შედარებებსაც აკეთებენ. მაგალითად, ვთქვათ, ჩვენ ვამბობთ, რომ ყველაფერი კარგად გვაქვს, მაგრამ უზბეკეთში გამოვლინდა, რომ ტრეფიკინგის მუხლით აღძრული იყო საქმე და არის 300 მსხვერპლი, რომლებიც გაყვანილი იყვნენ საქართველოში. ზოგადად, ქვეყნები სამ ჯგუფად იყოფა. კერძოდ, თუ სახელმწიფო მუშაობს და შედეგი არის, ქვეყანა ხვდება პირველ ჯგუფში; თუ მუშაობს, მაგრამ შედეგი ჯერჯერობით არ არის ხელშესახები, მაშინ – მეორე ჯგუფში და თუ ქვეყანა არ აღიარებს პრობლემას, არ აქვს შესაბამისი კანონმდებლობა და ძალიან ცუდი მაჩვენებლები გააჩნია, ის ხვდება მესამე ჯგუფში.

**– ჩვენ სულ მეორე ჯგუფში ვართ?**

– ჩვენ ახლა ვართ მეორე ჯგუფში, თუმცა დიდხანს ვიყავით პირველ ჯგუფში, ხოლო მანამდე – ეგრეთ წოდებულ „ვოჩ ლისტში“. საქმე ის არის, რომ 2000-ან წლებში მესამე ჯგუფში ვიყავით, მაგრამ, რადგან შეერთებული შტატები დაინტერესებული იყო საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობით, ბუშმა თავისი ბრძანებით, თუ არ ვცდები, 2004 წელს, საქართველო ამოიღო მესამე ჯგუფიდან და გადაიყვანა „ვოჩ ლისტში“, მხოლოდ ამერიკის პრეზიდენტს აქვს ამის უფლება. ნახევარი წლის განმავლობაში ვიყავით „ვოჩ ლისტში“, გვაკვირდებოდნენ, რას ვაკეთებდით და მიღწეული შედეგების შეფასების შემდეგ გადავედით მეორე ჯგუფში. იცით, რას ნიშნავს მესამე ჯგუფი?! შეერთებულმა შტატებმა უნდა შეაჩეროს ასეთ ქვეყანაში ყველა სამთავრობო პროგრამის დაფინანსება.

**– ოო, ახლა გასაგებია, რატომ ამოგვიღო ბუშმა „ვოჩ ლისტიდან“. მესამე ჯგუფში რატომ მოვხვდით?**

– მაშინ საშინელება ტრიალებდა ჩვენთან, თურქეთის საზღვარი ღია იყო, სადაც საქართველოდან ქალები ჯგუფებად მიჰყავდათ.

**– ანუ ჩვენთან ტრეფიკინგის მსხვერპლი, ძირითადად, ქალია?**

– საქართველოდან და საქართველოშიც ძირითადად ქალები მიჰყავდათ და შემოჰყავდათ. ტრეფიკინგი ეს არის ქალების მიმართ ძალადობის ყველაზე მწვავე ფორმა, ეს, პროსტიტუციაზე, ანუ სექსუალურ ექსპლუატაციაზე უარესია. სხვათა შორის, ის ქალები, რომლებიც ამ სფეროში არიან, ბავშვობაში, როგორც წესი, იყვნენ ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი. მათ აქვთ დაბალი თვითშეფასება, არიან ტრავმირებულები, რის გამოც ფიქრობენ, რომ ყველა სხვა დანარჩენისთვის გამოუსადეგარნი არიან.

**– საქართველოზე ტრეფიკინგის რა გზები გადის?**

– ტრანზიტის ფუნქციას ადრე უფრო ვასრულებდით. როდესაც რუსი, უკრაინელი, შემდეგ – აზერბაიჯანელი და უზბეკი ქალები მიჰყავდათ თურქეთსა და ემირატებში.

**– აქ ჩამოჰყავდათ და აქედან უშვებდნენ?**

– აქ ჩამოჰყავდათ და შემდეგ, როგორც საქართველოს მოქალაქეებს, აქედან აგზავნიდნენ. ეს იყო სააკაშვილის დრომდე. მაშინ ეს პროცესი გააჩერეს. ამიტომაც გადავედით პირველ ჯგუფში, ჩვენც ლობირება გავუკეთეთ ამ ყოველივეს. ანუ, სანამ „ვოჩ ლისტში“ არ ჩაგვსვეს, ჩვენი მთავრობა არაფერს აგვარებდა.



ტრეფიკინგის მესამე ჯგუფში ვიყავით, მაგრამ პრეზიდენტმა ბუშმა საქართველო ამოიღო მესამე ჯგუფიდან და გადაიყვანა „ვოჩ ლისტში“, რადგან მესამე ჯგუფის ქვეყანაში აშშ აჩერებს ყველა სამთავრობო პროგრამის დაფინანსებას

**– როგორ მოვახერხეთ, რომ გავხდით ტრეფიკინის წარმომქმნელი და მიმღები?**

– შემდეგ განვითარდა ტურიზმი, მოეწყო ინფრასტრუქტურა, ტურისტული სეზონი ხომ ისედაც ხანმოკლეა ჩვენთან? სულ რაღაც, 2 თვეს გრძელდება. რა ქნან? როგორ ამოიღონ თანხა? მეორე მხრივ, აჭარა არის საზღვარზე და ბათუმი არის საპორტო ქალაქი. ამ ფაქტორებმა გააჩინა მოთხოვნა მუსლიმანი ქალების სექსუალურ მომსახურებაზე.

**– სულ მაინტერესებდა, რატომ ხვდებოდნენ აქ ქალები უზბეკეთიდან.**

– აი, სწორედ ამიტომ: ორთოდოქსი მუსლიმანისთვის ქრისტიან ქალთან ურთიერთობა ცოდვაა. მათთან პროსტიტუცია დაკანონებულია, ეს მიღებული ფორმაა. ირანში, მაგალითად, საერთოდ არ არის პროსტიტუცია, რატომ, იცით? მეჩეთების გვერდით არის სპეციალური ადგილი, სადაც ქალი, რომელსაც ქმარი არ ჰყავს, თავისუფალი ქალი მიდის და ჯდება. მასთან მიდის თავისუფალი კაცი და ირჩევს ცოლს. მე არ ვიცი, როგორ, იმიტომ რომ ქალები ჩადრებში არიან, მიჰყავს მოლასთან, მოლა მათ აქორწინებს ერთი საათით, ორი დღით, სამი თვით, როგორც გადაწყვეტენ. ეს არის ქორწინება შეთანხმებით.

**– ქალი ფულს არ იღებს?**

– არა, მაგრამ, თუ დაფეხმძიმდება, ბავშვი კაცს რჩება, ასეთ შემთხვევაში, ქალი მშობიარობამდე ცხოვრობს იმ კაცთან, შემდეგ აჩენს ბავშვს და ტოვებს. მათ ასეთი კულტურა აქვთ.

**– ჩემი წინაპრების სულებს მუდმივად მადლობას ვეუბნები, მეც რომ არ ვზივარ ახლა ჩადრით იმ სკამზე.**

– მაგრამ არ იფიქროთ, რომ ჩვენი კულტურა კარგია და მათი – ცუდი.

**– მე არ ვამბობ ამას, უბრალოდ მე ჩემი წესები მირჩევნია.**

– რაღაც პერიოდის შემდეგ უზბეკ გოგონების ჩაენაცვლა აზერბაიჯანელი გოგონები, რადგან ჩვენმა მთავრობამ ზომები მიიღო და უზბეკეთიდან ახალგაზრდა გოგონებს უბრალოდ აღარ უშვებდნენ.

**– უშუალოდ ჩვენთან ტრეფიკინგის რა ფორმაა გავრცელებული?**

– მონობა ოჯახებში. ჩვენს მოქალაქეებს, რომლებიც იტალიასა თუ საფრანგეთში მუშაობენ, ზოგ შემთხვევაში პასპორტი აქვთ წართმეული, რომ არსად წავიდნენ, მაგრამ ეს ძალიან იშვიათად ხდება, ჩვენებს, ძირითადად, აუტანელ პირობებში ამუშავებენ. ხელთათმანებს არ აძლევენ, ცხელ წყალს არ ურთავენ და ცივ წყალში არეცხინებენ. ისეც ხდება, რომ დღეში 15 საათს ამუშავებენ.

**– ჩვენი მოქალაქეების ტრეფიკინგს ეწევიან ევროკავშირის ქვეყნებში, ამ შემთხვევაში რა უნდა ქნას საქართველოს მთავრობამ? არ გაუშვას იქ სამუშაოდ თავისი მოქალაქეები?**

– ამერიკაშიც იგივე ხდება, იმიტომ რომ ეს პრობლემა არსებობს ყველგან და ჩვენ არ ვართ გამონაკლისი. რა თქმა უნდა, ის, როგორც ექცევიან ჩვენს მოქალაქეებს, არის საბერძნეთის მთავრობის პრობლემა, მაგრამ ჩვენ პრევენციის სახით აქ უნდა შევქმნათ სამუშაო ადგილები, რომ ეს ადამიანები არ გაცვივდნენ საქართველოდან და არ იმუშაონ მონურ პირობებში.

**– ვინ ავლენს და რა მეთოდით ტრეფიკინგის მსხვერპლს ჩვენთან?**

– როდესაც ანტიტრეფიკინგულ ფონდს ვეკითხებით, ისინი ამბობენ, ჩვენ ხომ იდენტიფიკაციას არ ვაკეთებთ, ჩვენ ვმუშაობთ უკვე იდენტფიცირებულებთან.

**– და ვინ უნდა გამოავლინოს?**

– სამართალდამცველი ორგანოები უნდა მუშაობდნენ ამ საკითხზე. ერთადერთი ორგანიზაცია, ვინც ამ თემაზე მუშაობს, ჩვენი, მაგრამ ფონდის პარტნიორებს შორის არ ვართ, ვიყავით, მაგრამ ახლა აღარ ვართ. ტრეფიკინგის მსხვერპლის გამოვლენა ჩემთვის არ არის პრობლემა, იმიტომ რომ წლებია, ამ საკითხზე ვმუშაობ და 2-3 კითხვის დასმის შემდეგ ჩემთვის სურათი ნათელია, მაგრამ იყო შემთხვევები, როდესაც ფონდს არ მიუცია მსხვერპლისთვის მსხვერპლის სტატუსი.

**– რა ისტორია იყო?**

– ცნობილი ისტორიაა, თურქ კაცს ჰქონდა ბარი „მარი“ ბათუმში. ამ გოგონას სცემდნენ და აიძულებდნენ, გაეწია სექსუალური მომსახურება, მაგრამ მან მიმართა პოლიციას, რითაც ავტომატურად გახდა მოწმე და აიყვანეს თავშესაფარში. ჩვენ ვთხოვეთ ფონდს,

# რა ოდენობის საბანკო და ზეპირი სესხები აქვს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ნათია მიქელაძეს და ყოფნის თუ არა მისი ჩინოვნიკური ხელფასი მათ მომსახურებას

ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ნათია მიქელაძე 1981 წლის 22 თებერვალსაა დაბადებული რუსთავში. უმაღლესი განათლება თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე მიიღო და სამართალმცოდნეობის მაგისტრია. მიუხედავად არცთუ დიდი ასაკისა, სტაჟიანი ჩინოვნიკია. მისი შრომითი ბიოგრაფია 2004 წელს იწყება იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივი ექსპერტიზის დეპარტამენტის მრჩევლად, თუმცა იმავე წელს სამინისტროს ხელშეკრულებათა ექსპერტიზისა და სახელმწიფო ვალის დეპარტამენტის უფროსიც გახდა და ამ თანამდებობაზე 2007 წლამდე იმუშავა. ასევე, 2004 წლიდან სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან არსებული სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო (2006 წლამდე), 2005-2011 წლებში კი ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს წევრად დაინიშნა; 2007-2008 წლებში – ეროვნული ბანკის იურიდიული დეპარტამენტის უფროსად (სულ რაღაც, 26 წლისა). 2008 წელს საქართველოს ფინანსთა მინისტრს უწევდა მთავარ მრჩევლობას იურიდიულ საკითხებში. 2008-დან 2010 წლამდე ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსად იმუშავა, 2010-2011 წლებში კი ფინანსთა მინისტრის მოადგილეობასაც გამოჰკრა ხელი და საპარლამენტო მდივნობასაც. 2011 წელს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილედ დაინიშნა (ოღონდ მე არ ვიცი, სად ფინანსთა და სად ენერგეტიკის სამინისტრო); 2011 წლიდან 2012 წლამდე ისევ ფინანსთა სამინისტროს დაუბრუნდა – შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსად. 2012 წლის იანვარს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილედ გადაიყვანეს. ჩინოვნიკურ ფორტუნას მისთვის არც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ულალატია და ქ-ნი მიქელაძე კვლავაც ეკონომიკის მინისტრის მოადგილეა.

თავისი პირველი დეკლარაცია 2005 წელს შეავსო, როგორც იუსტიციის სამინისტროს ხელშეკრულებათა ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსმა და ოჯახის წევრებად მიუთითა დედმამა, მერაბ მიქელაძე და მაია ბრეგვაძე და 1986 წელს დაბადებული და – მაკა. დასაქმებულები უფროს ქალიშვილთან ერთად მშობლებიც იყვნენ: მაია ბრეგვაძემ, როგორც პირველი კლასიკური გიმნაზიის პედაგოგმა, 1 113 ლარი აიღო; ხოლო მერაბ მიქელაძემ, როგორც საგადასახადო ინსპექტორმა – 2 101 ლარი, თავად ნათია მიქელაძემ – 2 007 ლარი. ოჯახის უძრავი ქონების მესაკუთრე მერაბ მიქელაძე იყო. კერძოდ, მას ეკუთვნოდა საცხოვრებელი ბინა თბილისში, ვაშლიჯვარში (80 კვ. მ.) და ავტომანქანა „ფორდი“ (1998 წლის).



2006 წლის დეკლარაციიდან ვიგებთ, რომ ქ-ნი მიქელაძე დაოჯახდა და მისი მეუღლეა 1974 წელს დაბადებული გიორგი ჩხიკვაძე. გიორგი ჩხიკვაძის საკუთრება იყო საცხოვრებელი ბინა ყაზბეგის გამზირზე და 1995 წლის ავტომანქანა „ვოლვო“, ხოლო ნათია მიქელაძის – 1994 წლის ავტომანქანა „ბეემვე“. 2005 წლის განმავლობაში ნათია მიქელაძემ, როგორც ხელშეკრულებათა ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსმა, 13 300 ლარი აიღო. დეკლარაციის შევსების დროს, ნაღდ ფულად, ნათია მიქელაძეს 8 356 ლარი ჰქონდა, გიორგი ჩხიკვაძეს – 57 500 აშშ დოლარი. როგორც დეკლარაციაშია აღნიშნული, თანხა მემკვიდრეობით მიღებული საცხოვრებლის გაყიდვის შედეგადაა მიღებული. 2006 წელსვე მათ ეყოლათ შვილი – ანკა.

გამომდინარე იქიდან, რომ მუდმივად სახელმწიფო სამსახურში იყო, ქ-ნი მიქელაძე ყოველ წელს ავსებდა დეკლარაციას. სულ ბოლო მან 2013 წელს შეავსო, როგორც ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ. მისი ოჯახის წევრთა რაოდენობა უცვლელია. რაც შეეხება ქონებას: ნათია მიქელაძის საკუთრებაა საცხოვრებელი ბინა თბილისში, დგებუაძის ქუჩაზე (64 კვ. მ.), გიორგი ჩხიკვაძეს კი ეკუთვნის საცხოვრებელი ბინა თბილისში, ცაგარელის ქუჩაზე (99 კვ. მ.). მასვე ჰყავს სამი ავტომანქანა: 2007 წლის ორი „ნისან ტიდა“ და 2000 წლის „მერსედესი“.

ნათია მიქელაძე 2012 წლიდან უვადოდ საქაერონავიგაციის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედაა არჩეული. რაც შეეხება შემოსავლებს: 2012 წლის განმავლობაში ნათია მიქელაძემ, როგორც ფინანსთა სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსმა, 4 352 ლარი აიღო; როგორც ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ, 68 581 ლარი. გიორგი ჩხიკვაძემ კი, როგორც გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის გორის ცენტრალური საწყობის უფროსმა, 5 000 ლარი.

2007 წელს ნათია მიქელაძემ ეროვნული ბანკისგან 40 000 ლარის ოდენობის სესხი გამოიტანა, რომლის მომსახურებაც 2012-ში 7 200 ლარი დაუჯდა; იპოთეკისა და ნასყიდობის შესახებ ერთიანი ხელშეკრულების მომსახურება – 55 000 აშშ დოლარი; 4 000-ლარიანი „ამექსის“ მომსახურება – 13 776 ლარი; უძრავი ქონების შესაძენად აღებული 44 000 აშშ დოლარის სესხის მომსახურება – 2 628 აშშ დოლარი; ბიძისგან ნასესხები 30 000 აშშ დოლარის მომსახურება – 10 000 აშშ დოლარი; ასევე, აიღო 9 000 აშშ დოლარის ოდენობის სამომხმარებლო სესხიც და სესხი უძრავი ქონების შესაძენად – 45 000 აშშ დოლარი, რომლის მომსახურებაც 31 000 აშშ დოლარი დაუჯდა. იმავდროულად, 58 000 შშ დოლარი მიიღო უძრავი ქონების გასხვისებით. ამასთან, ნათია მიქელაძემ ბინის რემონტში 10 000 ლარი დახარჯა, ხოლო შვილის სწავლის საფასურად – 2 000 ევრო.

**ნინო ხაჩიძე**

---

მოეხდინა იდენტიფიკაცია, რომ მსხვერპლის სტატუსი მიელო. ეს სტატუსი მსხვერპლს აძლევს საშუალებას, მიიღოს სამედიცინო, ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარება და თავშესაფარშიც უნდა აიყვანონ, მაგრამ ფონდმა უარი თქვა. იცით, რამდენია ჩვენთან ტრეფიკინგის მსხვერპლისთვის კომპენსაცია? 1 000 ლარი, მაგრამ საქმე ის არის, რომ, თუ პოლიციამ აღძრა საქმე, მსხვერპლი იქცევა დაზარალებულად, ამ სტატუსს მას პოლიცია ანიჭებს. რითაც ენიჭება უფლება, მოსთხოვოს კომპენსაცია დამნაშავეს. არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა, მსხვერპლს მიეღოს კომპენსაცია. ერთი პრეცედენტი გვქონდა, როდესაც ადამიანს, რომელსაც ზიანი მიადგა, სასამართლომ მიაკუთვნა კომპენსაცია, მაგრამ დამნაშავეს, თურმე, ფული არ ჰქონდა და თანხას ვერ გადაიხდიდა, ამიტომ სახელმწიფომ გადაიხადა 1 000 ლარი. მაგრამ ამ ფულის მიღება რთულია: თუ ტრეფიკინგის მსხვერპლს არ აქვს პასპორტი, როგორ გახსნის ბანკში ანგარიშს? თუ უცხოელია, ძალიან რთული პროცედურაა, პასპორტიც რომ ჰქონდეს. 2013 წელს 4 მსხვერპლისთვის მოვითხოვეთ დახმარება, მაგრამ არაფერი მიგვილია.

**– ძირითადად, როგორია ჩვენებური ტრეფიკინგის მსხვერპლთა ისტორიები?**

– ჩვენ, ძირითადად, ვმუშაობთ უზბეკეთიდან ჩამოყვანილ გოგონებთან. 10 წელზე მეტია, ვთანამშრომლობთ უზბეკეთის საკონსულოსთან, რომელიც ბაქოშია. ტრეფიკინგის მსხვერპლები, იქ ვერ მიდიან, იმიტომ რომ პასპორტი არ აქვთ, თუმცა საკონსულო მათ აძლევს უკან დასაბრუნებელ თანხას, მაგრამ ხშირად მსხვერპლი ამბობს, მე გადავიხდი, ოღონდ ინფორმაცია, რომ მსხვერპლი ვიყავი, არ გავრცელდეს. 2 წელიწადში საქართველოში პასპორტის დაკარგვის 47 შემთხვევა მქონდა, აქედან 11 იყო ტრეფიკინგის მსხვერპლი და მათგან მხოლოდ 5-მა მიმართა პოლიციას. გოგონებს ატყუებენ და საქართველოში ჰპირდებიან სამუშაოს, აქ მოტყუებით ართმევენ პასპორტებს და ეუბნებიან, ჩემი ვალი გაქვს, აქ რომ ჩამოგიყვანე 5 000 დოლარი და უნდა დამიბრუნოო. სცემენ და აიძულებენ სექსუალური მომსახურების გაწევას. ორი უზბეკი გოგონა იყო, ვერაფრით დაითანხმეს, ერთ-ერთმა მოახერხა და ტრეფიკიორს გადაუღო სურათი, გაუგზავნა მობილურით დედამისს და სთხოვა, პოლიციაში მიდიო. დედამისი მივიდა პოლიციაში, ჩვენი კოლეგა უზბეკური ორგანიზაცია დაგვიკავშირდა და დახმარება გვთხოვეს. ჩვენი პოლიცია მივიდა, ამ გოგონების პასპორტები გამოართვა ტრეფიკიორს და ამით დასრულდა საქმე.

**– ვინ არიან ტრეფიკიორები?**

– ისინიც უზბეკები არიან ან უზბეკი ქალები, რომლებსაც თურქი ბოიფრენდები ჰყავთ. ძალიან საინტერესოა ის, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლი შემდეგ თავად ხდება ხოლმე ტრეფიკიორი. ეს ზვავივით გორდება და ამას ტრეფიკინგის მეორე ტალღა ეწოდება.

**– საქართველოს მოქალაქეები რა დოზით არიან ჩართულნი ტრეფიკინგში?**

– იმით, რომ თვალებს ხუჭავს ამ ყველაფერზე. ქართველებს, საქართველოს მოქალაქეებს არავინ ჩამოჰყავთ, ერთი შემთხვევა იყო ასეთი და ის ადამიანი ახლაც ციხეში ზის. მაგრამ არის კიდევ ერთი პრობლემა: საზღვრების გახსნასთან ერთად და არ აქვს მნიშვნელობა ევროპასთანაა გახსნილი საზღვარი თუ აზიასთან, პოსტსაბჭოთა სივრცეში გამოჩნდა შემდეგი ტენდენცია – ჯერ, სექსუალური ექსპლუატაცია იწყება და შემდეგ მცირეწლოვანთა სექსუალური ექსპლუატაცია. ესტონეთში, უკრაინაში, მოლდოვაში გაიზარდა პედოფილიის შემთხვევები.

**– ჩვენთან?**

– ჩვენთან ეს ჯერ არ შეიმჩნევა, მაგრამ გველის. ყური მოვკარი ინფორმაციას, რომ თბილისში არსებობს ადგილები, სადაც პედოფილებს სთავაზობენ არასრულწლოვან, 14-15 წლის, გოგონებს საკმაოდ ძვირად, ოღონდ ვერ დავადასტურებ, მაგრამ დანამდვილებით შემიძლია, ვთქვა, რომ პედოფილიის ტალღა გველის, თუ შესაბამის ზომებს არ გავატარებთ!

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0 9 0 2 2 0 0 2 0 0
SMS – 93094
დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან

ზარი ფასიანია

**როგორც აფხაზური პრესა იუწყება, აფხაზეთში 25 აგვისტოს დანიშნულ დე-ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატურის წამოყენების უფლება 6 პოლიტიკურ სუბიექტს აქვს: „ერთიან აფხაზეთს“ – ლიდერი ექს-ვიცე-პრემიერი დაურ თარბა; „სახალხო ერთობის ფორუმს“ – ლიდერი რაულ ხაჯიმბა; აფხაზეთის ეკონომიკური განვითარების პარტიას – ლიდერი ლევ შამბა; აფხაზეთის სახალხო პარტიას – ლიდერი იაკუბ ლაკობა; რესპუბლიკური პოლიტიკური პარტია „ამცაჰარას“ – ლიდერი გარიკ სამანბა, რომელიც მხარს უჭერს აწ უკვე ყოფილ „პრეზიდენტ“ ალექსანდრ ანქვაბს. ის პარტიები, რომელთა რეგისტრაციის ხანგრძლივობა აფხაზეთის ტერიტორიაზე 5 თვეს არ აღემატება, არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ. თუმცა კანდიდატის წამოყენების უფლება აქვთ საინიციატივო ჯგუფებსაც, რაც მათ 14 ივლისამდე უნდა მოასწრონ. სეპარატისტული კანონით, აფხაზეთის პრეზიდენტი შეიძლება, გახდეს მხოლოდ ეროვნებით აფხაზი, 35 წლიდან 65 წლამდე ასაკის, რომელიც წარმატებით ჩააბარებს ტესტს აფხაზური ენის ცოდნაზე. რამდენიმე კანდიდატის ვინაობა უკვე ცნობილია – ბუნებრივია, რაულ ხაჯიბმა და თავდაცვის აწ უკვე ყოფილი მინისტრი მერაბ ქიშმარია. შესაძლოა, საპრეზიდენტო სკამისთვის იბრძოლონ შსს ყოფილმა მინისტრმა და საარჩევნო კომისიის ყოფილმა თავმჯდომარემაც. აფხაზური არჩევნების თავისებურებების გარკვევას მამუკა არეშიძესთან ერთად შევეცდებით.**

# რომელ კანდიდატს მისცემენ აფხაზეთის სომხები 24 აგვისტოს აფხაზეთის „საპრეზიდენტო არჩევნებში“ ხმას და ვინ აჯობებს – რაულ ხაჯიმბას მფარველი რუსეთის უშიშროების სამსახური თუ მერაბ ქიშმარიას მფარველი რუსი სამხედროები

**– ვის რა შანსები აქვს კანდიდატებს შორის თუ, ერთადერთი რეალური კანდიდატი მაინც რაულ ხაჯიმბაა?**

– ჩემი აზრით, ძირითადი ბრძოლა გაიმართება რაულ ხაჯიმბასა და მერაბ ქიშმარიას, თავდაცვის მინისტრს, შორის. საქმე ის არის, რომ მერაბ ქიშმარიას დიდი გავლენა აქვს აფხაზეთში, ის არის ლეონისა და სხვა ორდენების კავალერი, აღმოსავლეთის ომის სარდალი იყო ჩვენთან ომის დროს და ისედაც საკმაოდ წონიანი ფიგურაა საზოგადოებაში. საინტერესოა, რომ ქიშმარიას გავლენა აქვს ვეტერანების იმ კონტინგენტში, რომელშიც გავლენა აქვს რაულ ხაჯიმბას. როდესაც არჩევნები 2004 წელს ჩატარდა და დაპირისპირება იყო ხაჯიმბასა და ბაღაფშს შორის, ვეტერანები გაიყვნენ ორ ნაწილად. „ამცაჰარა“ მხარს უჭერდა ბაღაფშს, „არუნა“ – ხაჯიმბას. დღეს ორივე ორგანიზაციაში ჰყავს თავისი მომხრეები მერაბ ქიშმარიას, ამდენად, მისი პოზიცია არ არის სუსტი არჩევნების წინ.

**– მოსალოდნელი იყო ქიშმარიას გამოჩენა საარჩევნო ასპარეზზე?**

– ჩემთვის მოსალოდნელი იყო, რადგან ეს არის ადამიანი, რომელიც აგრძელებს ბაღაფშისა და ანქვაბის გზას.

**– მაგრამ ანქვაბი ხომ იმიტომ წავიდა, რომ ამ გზას უთხრა უარი აფხაზმა საზოგადოებამ?**

– ეს თავის მოტყუებაა. აფხაზი საზოგადოებისთვის, რომელიც ქუჩაში გამოვიდა, ორი ფაქტორი იყო მნიშვნელოვანი: ერთი ის, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით, უფრო და უფრო მძიმდება სიტუაცია და მეორე – ანქვაბი ხისტი პიროვნებაა და არ შეეძლო სოციუმის წარმომადგენლებთან დიალოგი. სინამდვილეში ბევრი თემა შეიტანეს ხაჯიმბამ და მისმა მომხრეებმა, იმ კლანმა, რომელიც ანქვაბისა და ბაღაფშის ხელისუფლებაში მოხვედრის შემდეგ ვერ მოხვდა ხელისუფლებაში. აფხაზეთში, როგორც იყო კომუნისტების დროს, ისეა დღესაც – კლანები განაგებენ ვითარებას. კლანები მოდიან ხელისუფლებაში და ამით ცდილობენ, კარგად იცხოვრონ. ძალიან გაგრძელდა ბაღაფშ-ანქვაბისა და მათი კლანების მმართველობა აფხაზეთში, ახლა ახალმა კლანებმა მოინდომეს მოსვლა ხელისუფლებაში, გამოიყენეს საპროტესტო განწყობა და შესაბამისი ლოზუნგები მისცეს ხალხს. მოედანზე მდგარი ადამიანების დიდი ნაწილისთვის მთავარი სოციალური გაჭირვება კი არ იყო, არამედ ის, რომ ხელისუფლებაში მოსულიყო მათი კლანის წარმომადგენელი.



**ის, რაც დღეს ქართველების მიმართ ხდება აფხაზეთში, არის შეფარული ეთნოწმენდა**

**– იმ იმედით, რომ მათი სოციალური მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა.**

– ხალხის დიდი ნაწილი ანქვაბის მმართველობის წინააღმდეგი არ იყო, რადგან ბაღაფშიც და ანქვაბიც აღიქმებოდნენ, როგორც პროაფხაზი ფიგურები. ხაჯიმბა არ აღიქმება ასეთად.

**– სწორედ ეს უნდა მეკითხა: პროაფხაზური ორიენტაცია დათმეს?**

– 2004 წელს ზუსტად იმავე შენობიდან და კაბინეტიდან და ზუსტად იმავე ეგრეთ წოდებული „შავი გასასვლელით” გაიპარა ხაჯიმბა, საიდანაც ახლა გაიპარა ანქვაბი. ასე რომ, ხალხმა მაშინ ხაჯიმბა გამოაგდო იმ კაბინეტიდან. იმის თქმა მინდა, რომ ხაჯიმბამ კარგად შეძლო მასის ორგანიზება, უფრო ზუსტად, მისმა გარემოცვამ. დღეს აფხაზეთში ტრიალებს ფურცელი, 2004 წლის დადგენილება, როდესაც ხაჯიმბა ასრულებდა პრეზიდენტის მოვალეობას არძინბას სიკვდილის შემდეგ, რომელშიც წერია, რომ სასწრაფოდ, 24 საათის განმავლობაში, დაიწყოს გალის რაიონის მოსახლეობისთვის პასპორტების დარიგების პროცესი. რასაკვირველია, ეს იყო მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, მაგრამ ამ დოკუმენტს ხაჯიმბამ მოაწერა ხელი.

**– ახლა სრულიად საპირისპიროს აცხადებს ხაჯიმბა და მოითხოვს გალელი ქართველებისთვის პასპორტების ჩამორთმევას.**

– რასაკვირველია და, რომ მიგექციათ ყურადღება, რა ტიპის ინფორმაცია ვრცელდებოდა ანქვაბის საწინააღმდეგო მიტინგებზე, გაგეცინებოდათ. ხალხის გასაგიჟებლად ავრცელებდნენ ინფორმაციას, რომ თითქოს ანქვაბმა დაურიგა პასპორტები 125 ქართველ მეომარს, რომლებიც აფხაზების წინააღმდეგ სანგრებში იბრძოდნენ. ანქვაბი რომ მართლაც გაგიჟებულიყო და პასპორტები დაერიგებინა, რომელ ქართველ მეომარს ჰქონდა ორი თავი, რომ აფხაზეთში დარჩენილიყო და აფხაზურ პასპორტს დალოდებოდა?! მაგრამ, სამწუხაროდ, ხალხს სჯეროდა ასეთი ლოზუნგების. რეალურად კი იმ დოკუმენტის ერთ-ერთი ხელმომწერი იყო ხაჯიმბა, რომელმაც დაუშვა ქართველებისთვის აფხაზური პასპორტების დარიგება.

**– ახლა რას ამბობს, რატომ მოვაწერე ხელიო?**

– ზოგადად ამბობს, მაიძულეს მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებმაო. რადგან ბაღაფშიც იმ მთავრობაში იყო, ბუნებრივია, ეს ბაღაფშის ინიციატივაც იქნებოდა და აბსოლუტურად სწორი იმისთვის, რომ მოეხდინა ქართველების ინტეგრაცია. მეორე მხრივ, რაც ჩვენ გვჭირს, რომ ინერციით ვმოქმედებთ, ბევრ რამეზე ვერ ვლაპარაკობთ და იძულებულები ვართ, ვიმუშაოთ ძველი კალკებით, ის სჭირთ აფხაზებსაც.

**– სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, მათ უარესად სჭირთ, ვიდრე ჩვენ.**

– ასეა თუ ისე, დღეს ქართველებისთვის პასპორტების ჩამორთმევის თემა აღარ არის აქტუალური. დარწმუნებული ვარ, ხაჯიმბას რომ ჰქონდეს გარანტია, ქართველები მას მისცემენ ხმას, ისევ იმავე დოკუმენტს მოაწერდა ხელს. აქ ხომ ხმებისთვისაა ბრძოლა?!

## დიმიტრი დუნდუას გახსენება



ძალიან მძიმეა შენი გარდაცვალება ჩვენთვის... უშენობის ტკივილი ძნელია და რთული. საშინელებაა შენზე წარსულში საუბარი. ადამიანად ყველა იბადება, მაგრამ პიროვნებები ჩვენ გარშემო არც ისე ბევრნი არიან. სახელს დამსახურება უნდაო, ნათქვამია და... შენ ეს დაიმსახურე... შენი გარდაცვალების შემდეგ დარჩა ნათელი მოგონება იმ სიკეთისა, რაც სიცოცხლეში უხვად დაგითესავს.

ნათელში ამყოფოს უფალმა შენი სული!

**დები და თანაკლასელები**

**– ყოველ შემთხვევაში, მან გააკეთა განცხადება, რომ ვითომ უკანონოდ დარიგებული პასპორტები უნდა ჩამოერთვათ. ეს მიდგომა მოსწონთ აფხაზებს?**

– შესამზადებელი ფსიქოლოგიური სამუშაო ძალიან კარგად ჩატარდა, რომ ქართველები არიან მტრები; საქართველოს, უფრო ზუსტად, დასავლეთის მეხუთე კოლონა; არავინ იცის, როდის გამოიყენებს მათ დასავლეთი აფხაზების წინააღმდეგ და ამიტომ საჭიროა, ისინი მკაცრად გაკონტროლდნენ. ქართველების აფხაზეთიდან გამოყრის საკითხი არ დგას ოფიციალურ დონეზე.

**– ისინი ამბობენ, რომ ქართველებს არ მისცემენ საარჩევნო ხმის უფლებას.**

– ფორმულა ასეთია: თუ მათ უნდათ, რომ ცხოვრობდნენ აფხაზეთში, მაშინ მათ უნდა ჰქონდეთ აფხაზეთის მოქალაქეობა და არ უნდა ჰქონდეთ საქართველოს მოქალაქეობა. ესეც სისულელეა, თუ თბილისს უნდა, გამოიყენოს ეთნიკური ქართველი, ის გინდა აფხაზეთის მოქალაქე ყოფილა და გინდა – ავსტრალიის. თუ პატრიოტია, მაინც გამოაყენებინებს თავს. მაგრამ აქ კიდევ სხვა რამაა ჩადებული: აფხაზეთის კანონით, აფხაზეთის მოქალაქეს შეუძლია, იყოს მხოლოდ აფხაზეთისა და რუსეთის მოქალაქე. სხვა ქვეყნის მოქალაქეს შეუძლია აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრება, მაგრამ არ შეუძლია ქონების ფლობა. ის, რაც ქართველების მიმართ ხდება, არის შეფარული ეთნოწმენდა.

**– მე ვკითხე ამის შესახებ ბესლან კობახიას და მან მიპასუხა, რომ აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებს ექნებათ ქონებრივი უფლებები პასპორტის გარეშეც.**

– მე მესმის, რაც გიპასუხათ ბესლან კობახიამ, მაგრამ კანონით ეს ასე არ არის. არაფრის ქონის უფლება არ აქვს არააფხაზეთის მოქალაქეს. ეს კანონი თავის დროზე შემუშავდა არა ქართველების, არამედ მესამე ქვეყნების, უპირველესად, რუსეთის მოქალაქეების წინააღმდეგ, რომ რუსებს არ ჰქონოდათ საშუალება, შეესყიდათ აფხაზეთის სტრატეგიული სიმდიდრეები, მაგრამ ახლა ამას ქართველების წინააღმდეგ იყენებენ ეფექტიანად. ჯერჯერობით ასეთი მოცემულობაა. ამდენად, აფხაზური პასპორტების გარეშე დარჩენილი ქართველები აფხაზეთის ტერიტორიაზე იქნებიან უუფლებოები: ის, რომ ჯარში არ წაიყვანენ და არჩევნებში არ მიაღებინებენ მონაწილეობას, ამაზე შეგვიძლია, ვთქვათ – მერე რა, მაგრამ საქმე ის არის, რომ აქ სხვა რამ დევს.

**– სომხების ხმები როგორ განაწილდება, ისინი ქართველებზე მრავალრიცხოვანები არიან აფხაზეთში.**

– აფხაზეთის სომხები, როგორც წესი, საითკენაც ძალაუფლებაა, იქით იხრებიან. 2004 წელს, ბაღაფშისა და ხაჯიმბას დაპირისპირების დროს, აფხაზეთის სომხების ხმები გაყოფილი იყო, თუმცა ძირითადი მასა მაინც მთავრობის მხარესაა, მაგრამ წელს უნიკალური ვითარებაა იმ მხრივ, რომ ხაჯიმბაც და ქიშმარიაც, ორივე, მთავრობის წარმომადგენლები არიან და სხვებიც. რაღაც ნაწილი ერთს დაუჭერს მხარს, რაღაც ნაწილი – მეორეს, მაგრამ მესამე და მთავარი ნაწილი იმას დაუჭერს მხარს, ვისაც მოსკოვი ეტყვის.

**– მოსკოვის როლი როგორია, რამდენად ქმედითი და აქტიური ხაჯიმბას პოლიტიკურ გაცოცხლებაში?**

– ეს გეგმა მოსკოვის მიერაა ჩაფიქრებული. ოლონდ მე ვერ დავიწყებ მტკიცებას, ეს გეგმა მოსკოვიდან მოდის თუ სოხუმიდან. შემიძლია, სხვანაირად ვთქვა: თუ სოხუმიდან მოდის, ეს იყო ხაჯიმბას პროექტი, რომელიც შესთავაზა მოსკოვს და მიიღო თანხმობა. ჰგავს, რომ ეს პროექტი დამუხრუჭებული ჰქონდა მოსკოვს, მაგრამ ხაჯიმბამ ფაქტის წინაშე დააყენა. თუმცა აქ არის მეორე საკითხი: ხაჯიმბა არის უშიშროების ოფიცერი, „ეფესბეს“ გენერალი, თავისი ხელით გადასაცა 2003 წელს პუტინმა მას სამხრეები სოჭთან მდებარე აგარაკზე და აღნიშნა, რომ ის იყო მათი პრეზიდენტობის კანდიდატი 2004 წლის არჩევნებში, თუმცა, მოგეხსენებათ, ბაღაფშსაც გამოუჩნდნენ მფარველები მოსკოვში და შედეგად პრეზიდენტად მივიღეთ ბაღაფში.

**– პუტინზე ძლიერი მფარველები გამოუჩნდნენ ბაღაფშს მოსკოვში?**

– ხშირად პუტინი უშვებს, რომ მისი გუნდის წევრები ერთმანეთს ებრძოლონ და უკეთესი ვარიანტი გამოვიდეს. რუსეთი კორუმპირებული ქვეყანაა, მაგრამ აფხაზეთში პროქართველს ხომ არ ირჩევენ, ორივე პრორუსია, ვისაც მეტი მფარველი ჰყავს და მორგებულია სიტუაციას, ის რჩება გამარჯვებული.

**რას ჩვენ გვჭირს, რომ ინერციით ვმოქმედებთ, ბევრ რამეზე ვერ ვლაპარაკობთ და იძულებულები ვართ, ვიმუშაოთ ძველი კალკებით, ის სჭირთ აფხაზებსაც**

**– ქიშმარიას ვინ მფარველობს?**

– ხაჯიმბას თუ უშიშროების სტრუქტურებში აქვს გავლენა, ქიშმარიას სერიოზული გავლენა აქვს რუს სამხედროებში.

**– რუსეთში რომელი შტოა უფრო ძლიერი?**

– ერთი შეხედვით ჩანს, თითქოს უშიშროება წყვეტს ყველაფერს რუსეთში, თუმცა იქ სამხედროებსაც დიდი გავლენა აქვთ და პრეზიდენტის ადმინისტრაციასაც. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს პუტინი, მაგრამ, თუ მათ ინფორმაცია არ მოუმზადეს, გამორიცხულია, ყველაფერში ერკვეოდეს. ამიტომ ელიტები – სამხედრო, უშიშროების თუ სხვა სტრუქტურების, ცდილობენ თავ-თავიანთი კანდიდატების „გაქაჩვას“: ასე ხდება რუსეთის ნებისმიერ რეგიონში და აფხაზეთი ასოცირდება რუსეთის ერთ-ერთ რეგიონთან.

**– ხაჯიმბამ ხმალამოღებულმა გაილაშქრა ასოცირების ხელშეკრულების წინააღმდეგ, უნდა გავამკაცროთ „საზღვარიო“, თითქოს აქედან სულ ევროპულ ღირებულებებს ვესვრით 27 ივნისის შემდეგ.**

– ეს არის განცხადებები, რომელიც შეიძლება ინდივიდუალური იყოს ან მოსკოვის მიერ ნაკარნახები.

**– ჩემი შთაბეჭდილებით, აფხაზ საზოგადოებაში დასავლეთის სიძულვილია, ძველი საბჭოური მოტივებით: კაპიტალიზმი და ევროპელი თუ ორ კაცს დაინახავს, მაშინვე დააქორწინებს.**

– ისინი თვალთმაქცობენ. მე მინახავს, როგორ იქცევიან აფხაზები ევროპულ ქალაქებში ქართველებთან შეხვედრაზე. რას აკეთებენ თავისუფალ დროს: სასტუმროში ვერ შემოიყვან, დადიან, ყველაფერს ათვალიერებენ. ეს ქართველებთან კამათისას არის მათთვის დასავლეთი დამპალი და სუნიანი. მოსკოვი მოსკოვად, მაგრამ დასავლური ცივილიზაცია მათთვის აკრძალული ხილია, რომელიც ყოველთვის სასურველია. ეს ჩვენთან შეიძლება, ვინმე წამოწოლილი იყოს თბილისში, ჰქონდეს საშუალება და არ მიდიოდეს ევროპის რომელიმე ქვეყანაში. მაგალითად, მე ამერიკაში წასვლა არ მინდა იმის გამო, რომ ამდენ საათს უნდა ვიფრინო. აფხაზებისთვის – პირიქით. ასე რომ, საქმე ისე მარტივადაც არ არის, როგორც ჩვენთან დებატებში ამბობენ.

**ნინო ხარიძე**


აქცია სამკურნალო-გამაჯანსაღებელ ცენტრ

**„ანტროპოსში“**

**უ ფ ა ს ო დ**

გულსისხლძარღვთა სისტემის გამოკვლევა კომპიუტერულ-დიაგნოსტიკური სისტემა „ანტროპოსის“ მეშვეობით.

დისპანსერულ მეთვალყურეობაზე აყვანა.

დაკვირვება თქვენს ჯანმრთელობაზე მთელი წლის განმავლობაში.

*გამოკვლევაზე ჩაწერა ხდება წინასწარ*

*ჩვენ ყოველთვის მზად ვართ დაგეხმაროთ!*

ინფორმაციისთვის დარეკეთ:
2 74 61 00: 5 71 74 61 00.
მისამართი: თბილისი, მეტრო „ისანთან“, ნავთლუღის ჩიხი №9.


## იოსებ დუნდუას გახსენება



სიკეთით აღსავსე იყო შენი სიცოცხლე და ამიტომაც უყვარდი ყველას განსაკუთრებულად. გამორჩეულად ყურადღებიანი იყავი. გვერდში ედექი ოჯახს, ნათესავებს, ყველას, ვისი დახმარებაც შეგეძლო. უანგაროდ, თავდადებით ემსახურებოდი საყვარელ საქმეს – არაერთი ღირსეული საქმე გაგიკეთებია ჩუმად და უსიტყვოდ და, ასე ჩუმად და უსიტყვოდაც წახვედი...

ნათელში ამყოფოს უფალმა შენი სული!

**მეუღლე და შვილები**

**მეტაფიზიკოსი მალხაზ გველუკაშვილი ქართულ პოლიტიკურ სპექტრს რთულ და პოლიტიკურად ცხელ შემოდგომას ჰპირდება – პოლიტპატიმარს, რომელიც ხისტი განცხადებების გაკეთებაზე უკან არასდროს იხევს, ბოლო პერიოდში კი, ციხეში უკან დაბრუნებასაც „ითხოვს," იმ მოცემულობაზე, სადაც უწევს ცხოვრება, ბრეხტი ახსენდება, ჩვენი პოლიტიკოსების გარეგნულ ნიშნებზე კი – ფიზიოგნომიკის ცნობილი კანონები, რაც, როგორც წესი, თურმე არასდროს „ცდება".**

# რა ექსპერიმენტებზე მუშაობს მალხაზ გველუკაშვილი ოკულტურ ლაბორატორიაში და რას ვერ უმტკიცებს ის მიხეილ სააკაშვილის მამას

**მალხაზ გველუკაშვილი**: ჩემი დღევანდელი მდგომარეობა, იცით, რას ჰგავს? – „ვაზროვნებ, ესე იგი, ცოცხალი ვარ. შემიძლია ვთქვა, რომ, კი არ ვცხოვრობ, ვარსებობ, ოღონდ, რის ხარჯზე, წარმოდგენა არ მაქვს და ვერ ვხვდები, – ეტყობა, ასე სურს ღმერთს. ბრეხტს თუ დავუჯერებთ, ვინც კარგად არ იცის ორამდე დათვლა, ოთხ კერძს ყლაპავს, აი, ასეთი სიტუაცია დღეს ქვეყანაში, – აბსოლუტურად გაურკვეველი და გაუაზრებელი. როგორ უნდა იცხოვრო იქ, სადაც გარშემო სრული ქაოსია?! არაფერი შემრჩენია იმ წლებიდან, გარდა პოლიტპატიმრის სტატუსისა, რაც, ალბათ, იმიტომ მომცეს, რომ ჯერ კიდევ 2009 წელს ვიყავი აღიარებული პოლიტპატიმრად „ჰუმან ვრაითს ვოჩის" მიერ. ამათაც მაღიარეს. ასე რომ არ ექნათ, ამითაც არაფერი დაშავდებოდა; ყოველ შემთხვევაში, იმას ვერ იტყვიან, რომ ციხიდან გამომიშვეს. მე „უდო" შემეხო და ამიტომ გავთავისუფლდი.

**– ანუ, თქვენც გაიზიარეთ სხვა პოლიტპატიმრების ბედი – ციხიდან გათავისუფლების შემდეგ არ დამდგარა თქვენი საზოგადოებრივი რეაბილიტაციის დრო.**

– მე ვიცი, რომ ჩემი საზოგადოებრივი რეაბილიტაცია არ მომხდარა, არ გასულა საქმე სასამართლოზე, თუ რა მოხდა და როგორ. ის ხალხი, ვინც ჩვენ დაგვიჭირა, ისევ ძველ ადგილებზე არიან. მე არც მაქვს პრეტენზია პროკურატურასთან და სასამართლოსთან – ისინი დავალებებს ასრულებდნენ. მე არანაირი სურვილი არ მაქვს, დაიჭირონ წვრილფეხობა, ისინი აკეთებდნენ ცუდ საქმეებს, მაგრამ, იმათ რატომ არ მოჰკითხავენ, ვინც მათ ამ საქმეების გაკეთებას აიძულებდა? ესენი არც ფიქრობენ იმ მაღალჩინოსნების დაჭერას. ვინმე დაიბარეს? ვინმეს რამე ჰკითხეს მათზე? ამბობენ, რომ მიმდინარეობს საგამოძიებო სამუშაოები. ეს რას ნიშნავს? როდემდე? მერაბიშვილისა და ახალაიას გარდა არავინ იყო დასაჭერი? ისინიც შემსრულებლები იყვნენ, მთავარი დამკვეთები თავისუფლები არიან და აქეთ იმუქრებიან კიდევ. მიხეილ სააკაშვილის დაჭერას რა უნდა, ევროპას რომ „აბრალებენ"? ევროპამ სარკოზი დაიჭირა, ევროპას რად უნდა ქვეყანა, სადაც კანონი არ კანონობს? აგერ, თურქეთში დაიჭირეს 96 წლის კაცი, ყოფილი პრეზიდენტი, რომელიც, რაც გააკეთა 1980 წელს, იმ ამბავზე დაიჭირეს. მან რაც გააკეთა თურქეთისთვის, ეს იყო დემოკრატიისა და ევროპისკენ სვლის გზა. აგერ, სასამართლოში ხუთჯერ შევიდა ჩემი საქმე, რომლითაც აბანოთუბანში ჩემი მიწის დაბრუნებას ვითხოვ და რომელიც მიხეილ სააკაშვილის მამამ გადაიმტკიცა; ორდერით მიწა ჩემი საკუთრებაა. ის დღესაც მიხეილ სააკაშვილის მამაა, მე კი – მალხაზ გველუკაშვილი. უფრო მეტსაც გეტყვით, მე იმ დროს უფრო თავისუფალი ვიყავი, ვიდრე ახლა ვარ.

**– ამას წინათ სოციალურ ქსელში დაწერეთ, ციხეში შებრუნებას ვითხოვო. რატომ?**

– მე ციხეში უფრო თავისუფალი ვიყავი, ვიდრე ახლა, გარეთ ვარ. მაშინ ვიცოდი, რომ პატიმარი ვიყავი და ეს სასჯელი ჩემი მოსახდელი იყო. ვერც ვხედავდი ყველაფერს, რაც გარეთ ხდებოდა – არ მქონდა ყველა გაზეთის წაკითხვის საშუალება, მარტო რადიოს თუ მოვუსმენდით, რადგან, ტელევიზიას ხშირად გვითიშავდნენ. მე პირადად პატიმრისთვის ნორმალურ მდგომარეობაში ვიყავი, ცუდად არავინ მექცეოდა, თუმცა, ირგვლივ რა საშინელებებიც ხდებოდა, კარგად ვიცოდი. ახლა ძირითადად სახლში ვარ „პატიმარი." დროდადრო მეგობართან დავდივარ ლაბორატორიაში – საინტერესო ექსპერიმენტზე ვმუშაობთ, ავაწყეთ ოკულტური ხელსაწყო, ფსიქოტრონული გენერატორი, რომლითაც ბევრი საინტერესო ექსპერიმენტის ჩატარება შეიძლება. მაგრამ, რესურსი უკვე ამოგვეწურა და მუშაობას ველარ განვაგრძობთ. ახლა ჩემი ერთადერთი საქმე წიგნების კითხვაა, მეტი რა უნდა გავაკეთო? მე კი ვიცი, რომ საზოგადოების მოთხოვნა არსებობს, მაგრამ, ყველა მხრიდან დაკეტილი ვარ. მაშინ საზოგადოებას ვეუბნებოდი იმას, რაც რეალური იყო; ვერავინ ვერ იტყვის, რომ რამე ტყუილი ვთქვი ან ვინმეს მხარე დავიჭირე. ერთი საათი არ ვყოფილვარ „ნაციონალური მოძრაობის" მომხრე და არც „ოცნების" მომხრეთა რიგებში ვიყავი. თავიდანვე ვიცოდი, რასაც გააკეთებდა ეს ხალხი, კოჭებში ეტყობოდათ. ჯერ ერთი, ეს იყო ერთი და იგივე ჯგუფი – მათგან, ვინც დღეს ხელისუფლებაშია, ბევრი იყო ეგრეთ წოდებული „ვარდების რევოლუციის" მონაწილე. ალასანია იქ არ იყო? ძიძიგური? რესპუბლიკელები? მე ადამიანების აზროვნებას მარტივად არ ვსაზღვრავ, ჩემთვის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია მათი ფიზიოგნომიკა – გამომეტყველება, მეტყველების კულტურა, მანერები, რაც მაძლევს საშუალებას, ვიფიქრო, სადამდე „მიდის" მათი ტვინი. ის, რომ მათ წიგნები აქვთ წაკითხული, არაფერს ნიშნავს; ბიბლიოთეკაში რომ წიგნები დევს, იმდენი სადაა, მაგრამ, ბიბლიოთეკა ინტელექტუალი საერთოდ არაა. წიგნი თუ არ გაიაზრე და შენი ცხოვრების წესს არ დაეტყო, გინდ წაგიკითხავს ის წიგნი და, გინდ – არა.



ავაწყვეთ ოკულტური ხელსაწყო, ფსიქოტრონული გენერატორი, რომლითაც ბევრი საინტერესო ექსპერიმენტის ჩატარება შეიძლება

**– როგორია ჩვენი პოლიტელიტის ფიზიოგნომიკა?**

– კონკრეტიკისგან თავს შევიკავებ, რადგან, ამ მიმართულებით ადამიანების ხმამაღლა შეფასება მაინცდამაინც არ მგონია სწორი. ფიზიოგნომიკას აქვს ერთი უმთავრესი კანონი – აზრის მიხედვით ყალიბდება გარეგნობა. ნორმალურ ქვეყნებში ამ თეზას იყენებენ სხვადასხვა მეცნიერებაში, მათ შორის – კრიმინალისტიკაში. ადამიანის გარეგნობა გაჩვენებს მისი გონიერების მასშტაბს. მე არ მინდა კონკრეტულ ადამიანებზე საუბარი, მაგრამ, იმას გეტყვით, რომ ჩვენი პოლიტიკოსების დიდი ნაწილი, ფიზიოგნომიკის მიხედვით, ტიპური სოციოპათია, უმრავლესობას აქვს გაფანტული აზროვნება, ვიწრო, შეზღუდული ინტელექტით. თვალებზე შეხედეთ ამ ხალხს: როცა თვალების განლაგება მიმართულია ახლოს, ანუ, ახლოსაა ცხვირის ძგიდესთან, ადამიანს შეზღუდული აზროვნება და ინტელექტი აქვს; თუ თვალები შორს „გარბის" ერთმანეთისგან, მისი აზროვნება გაფანტულია, თვალები ცხვირის ძგიდისგან ერთნაირად უნდა იყოს დაშორებული. ახალ ფიზიოგნომიკაში ფორმები რიცხვებში გადადის და ისე „იზომება" ადამიანის გარეგნობა. თუ იცი ჟესტიკულაციის ენა, მათი მიმიკების მიხედვით ძალიან ადვილია იმის გამოცნობა, როდის გვატყუებენ.

**– თქვენ თავიდანვე მძიმე პროგნოზებს აკეთებდით. ახლა როგორია თქვენი პროგნოზი, როგორი პოლიტიკური შემოდგომა გველის?**

– ძალიან ცხელი. 2014 წელი ანტაგონისტური წელია. რომ თქვეს, არჩევნებზე ხალხი არ მოვიდა, მაგრამ მხარს გვიჭერენო, ეგრე არაა. ეს იყო საზოგადოების ჩუმი და წყნარი პროტესტი. ხალხმა, როგორც იქნა, დაიწყო გააზრება, რომ არჩევანი არ უნდა გააკეთო ცუდსა და უარესს შორის; არჩევანი თუ არ გაქვს, ჯობია, შენი პროტესტი გამოხატო თუნდაც დუმილით, თუმცა ეს დუმილი დიდხანს არ გრძელდება. წელს, შემოდგომაზე, ტემპერატურა მაღლა აიწევს. როგორც გითხარით, წლევანდელი წელი ანტაგონისტური წელია, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებაში დაპირისპირების მუხტი აუცილებლად გაიზრდება. ეს მუხტი იყო პროტესტი არჩევნებზე და, წყობის მიხედვით, პროტესტის გამეორების პერიოდი დაიწყება სექტემბერში. წელს ჩვენი საზოგადოება „ზის" 11-სა და 20-ზე, რაც ნიშნავს, რომ მოხდება ძალის გამოყენება და სამართლის აღდგენა. შარშანდელი წელი იყო ცვლილების, ახალ ეტაპზე გადასვლის მოლოდინი, მაგრამ ახლა განწყობები უკვე სხვანაირია. ჩვენი საზოგადოება საკუთარი თვალით ნახავს, რომ არცთუ სასიამოვნო იქნება დღევანდელ ლიდერთა ხვედრი. ამ ორი ჯგუფიდან, ვინც დღეს არის პოლიტიკურ ორბიტაზე, არ დარჩება არავინ და ეს არც ისე შორეული პერსპექტივაა. როცა პრეზიდენტად ირჩევდნენ კაცს, მოვიდა ის და დამინიშნა პრეზიდენტი, რომელიც გამოდის და მეუბნება: პლასტელინის ვარო, – იქ დამთავრდა ყველაფერი. ციხეში არსებობს ერთი სექტორი, რომელსაც „ქათმების სექტორს" ეძახიან. ყველას ჰგონია, რომ რადგან ქათამია, მაინცდამაინც ერთი მხარე ვერ

გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები"
შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს
ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში
„მაცნე" – 214-39-06;
„პლანეტა" – 251-75-21;
„ელვასერვისი" – 238-80-02;
„ინფოსერვისი" – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია" – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია" – 294-32-32

# როგორ გავხდეთ ეფექტურად

*„ოპერაციები გახდომის მიზნით" – ასე განიმარტება ტერმინი „ბარიატიული ქირურგია." ამ ოპერაციათა ისტორია გასულ საუკუნეში დაიწყო და მედიცინამ პათოლოგიური სიმსუქნის საწინააღმდეგოდ ქირურგიული ჩარევის მთელი სპექტრი შეიმუშავა. თანამედროვე მედიცინაში ყველაზე გავრცელებული ბარიატიული ოპერაცია კუჭის ვერტიკალური რეზექციაა, ანუ – სლივ გასტრექტომია, ამ ოპერაციების გამოცდილება კი კონსტანტინე ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნულ ცენტრს ნამდვილად აქვს. ოპერაციები მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ბრენდის – OLYMPUS-ის 2013 წლის უახლესი მოდელის – VISERA PRO-ს აპარატის საშუალებით კეთდება. ჩვენი სტუმარია ზოგადი ქირურგი* **შოთა ძაგანია**, *რომლის ინტერვიუდანაც ბევრ საინტერესოს შეიტყობთ.*

**– რა არის სლივ გასტრექტომია?**

– ეს არის რესტრიქციული ოპერაცია, რომელიც კუჭის დაპატარავებას გულისხმობს. ოპერაციის შემდეგ კუჭი მილის, ბანანის ფორმას იღებს. ოპერაცია უსისხლოდ, ანუ ლაპარასკოპიული მეთოდით ტარდება. ასეთი ჩარევის შედეგად რეაბილიტაციის პერიოდი ხანმოკლეა, პოსტოპერაციული ტკივილი ნაკლებად აწუხებს პაციენტს და მედიკამენტური მკურნალობაც მცირეა. ნაოპერაციები ადამიანი მეორე დღესვე დგება ფეხზე და რამდენიმე დღეში უბრუნდება ცხოვრების ჩვეულ რიტმს.

**– რა შემთხვევაშია აუცილებელი და როდის არაა რეკომენდებული გახდომის მიზნით სლივ გასტრექტომიის ოპერაციის გაკეთება?**

– ბარიატიული ოპერაცია ტარდება ერთმნიშვნელოვნად სამედიცინო და არა კოსმეტიკური მიზნით. მნიშვნელოვანია სხეულის მასის ინდექსის განსაზღვრა და თანხმლები დაავადებების არსებობა. სხეულის მასის გამოთვლა რთული არ არის. თუ პაციენტს ჭარბი წონის გამო აქვს თანხმლები დაავადებები: შაქრიანი დიაბეტი, გულის უკმარისობა, სახსრების დაავადებები და ასე შემდეგ, ოპერაცია შეიძლება მაშინაც ჩატარდეს, თუ მასის ინდექსი 35-ს უტოლდება. სხვა შემთხვევაში კი ინდექსი 40-ს უნდა აღემატებოდეს. სლივ გასტრექტომია საუკეთესო შედეგს იძლევა 40-45 ინდექსის მქონე პაციენტებთან, ხოლო, თუ 50-ზე მეტია, უფრო ეფექტურია გასტროშუნტირება.



ქირურგიულ ჩარევამდე ავადმყოფს უტარდება ენდოკრინოლოგის კონსულტაცია. მიმდინარეობს კონსერვატიული მკურნალობა, დანიშნული დიეტის ზედმიწევნით შესრულება. თუ შესაბამისმა თერაპიამ შედეგი არ გამოიღო, მერე უკვე დგება ოპერაციის საკითხი. ოპერაცია ყოველთვის გეგმურად ტარდება, რაც საშუალებას გვაძლევს, პაციენტი კარგად მოვამზადოთ. აუცილებელია, პაციენტი სრულად ფლობდეს ინფორმაციას ოპერაციის, მისი რისკებისა და გართულებების შესახებ. რატომღაც, ბევრი ამ ოპერაციას პლასტიკურ ქირურგიასთან აიგივებს, რაც ასე ნამდვილად არ არის. ამ ოპერაციის დროს ხდება ჭარბი წონით გამოწვეული დაავადებების ლიკვიდაცია. შეიძლება, ეს იყოს შაქრიანი დიაბეტიც კი, მეტაბოლური სინდრომის ფარგლებში. ოპერაციის შემდეგ, ხშირ შემთხვევაში, ხდება გლუკოზისა და დარღვეული ლიპიდური ცვლის მოწესრიგება, შაქრიანი დიაბეტისთვის დამახასიათებელი სიმპტომოკომპლექსის ალაგება.

**– ოპერაცია რამდენ ხანს გრძელდება?**

– ოპერაციის საშუალო ხანგრძლივობა 1 საათია.

**– რეაბილიტაციის პერიოდს და კვების რეჟიმს რაც შეეხება?**

– ოპერაციიდან 2-3 კვირის განმავლობაში პაციენტი იღებს მხოლოდ თხევად საკვებს, რათა ნაოპერაციევი კუჭი ზედმეტად არ გადაიტვირთოს. მისი რაციონი სპეციალური პროტეინებითა და ცილებით მდიდარი ფაფებისგან შედგება. 3 კვირის შემდეგ კი პაციენტი იწყებს შედარებით მყარი საკვების მიღებას. ოპერაციის შემდეგ წონა საშუალოდ 40-70 პროცენტით იკლებს, საბოლოო ეფექტის ჩამოყალიბებას კი დაახლოებით ერთი წელი სჭირდება. საწყის ეტაპზე შესაძლებელია, პაციენტმა 10-15 კილოგრამი დაიკლოს, მომდევნო თვეებში კი – ნაკლები. წონის კლებასთან ერთად, ადამიანი ფიზიკურადაც აქტიურდება. ამას განაპირობებს როგორც ფსიქოემოციური ფაქტორები, ისე სხეულის შემსუბუქება, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა პირველ პერიოდში, როცა პაციენტის წონის კლება მკვეთრია.

**– მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია დაფინანსების საკითხი. სადაზღვევო კომპანიები თუ უზრუნველყოფენ ოპერაციის ანაზღაურებას, ან, თუ მონაწილეობენ თანადაფინანსებაში?**

– რა თქმა უნდა. გვაქვს ამის მაგალითები, როდესაც სახელმწიფო პროგრამით მოხდა თანადაფინანსება. ეს ოპერაცია არ განიხილება როგორც ესთეტიკური ოპერაცია. ეს არის იმ საკმაოდ სერიოზული გართულებების მკურნალობა, რასაც სიმსუქნე იწვევს. მოგეხსენებათ, ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრის პრიორიტეტს წარმოადგენს მკურნალობის მაღალ ხარისხთან შერწყმული ხელმისაწვდომი ფასები. ამ ოპერაციის შემთხვევაშიც, ფასი უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე სხვაგან. ცენტრი ჩართულია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში, მის ფარგლებში გეგმურ ოპერაციებზე მოქმედებს თანაგადახდის პრინციპი და პაციენტს მხოლოდ 30 პროცენტის დაფინანსება უწევს.

**მარიკა ხიდურელი**

---

უნდა ჰქონდეს კარგად. გეებიც კი არიან, მაგრამ იქ არის ხალხი, ვინც სანდო არაა, ვინც ნებისმიერ მომენტში „ჩაუშვებს" კაცს. ამ „ქათმებში" ერთი „მამალი" ყოველთვისაა – ის, ვინც მათ ხელმძღვანელობს. ეს იგივეა, როგორც კრიმინალებში – ქურდი. აი, ასეთი პოზიციაა ჩვენს პოლიტიკაში – ყველა კრიახებს და ერთი-ორი ცდილობს, იყოს მამალი.

**– ჩვენთან „მამალი" ვინაა?**

– ალბათ, ის, ამ ყველაფრის უკან რომ დგას და თავი მაგარი ბიჭი ჰგონია. არც იმ მასშტაბის არაა, როგორც თვითონ წარმოუდგენია. მე არ მჯერა კაცის, რომელიც თავის დროზე მამად აღიარეს, ამ კაცმა თავის დროზე ნაციონალები მოიყვანა ხელისუფლებაში და მერე წლების განმავლობაში აფინასებდა მათ. მე სწორედ მისმა დაფინანსებულმა ხალხმა დამიჭირა. მერე გაწია ნაციონალები და ხელისუფლებაში მოიყვანა მათი მსგავსი და უფორმო სტრუქტურა, რომელსაც ხელისუფლებაში მოსვლის არანაირი შანსი არ ჰქონდა. ესენიც ცუდად დაამთავრებენ. „ნაციონალური მოძრაობა" უინტელექტო ჯგუფი იყო, მაგრამ, საკმაოდ შეკრული. მე შენახვედრი ვარ ვიღაც-ვიღაცეებს, როცა დამიჭირეს. ახლა რა შედარებაა – ისინი უფრო ინტელექტუალები იყვნენ; ზედაპირულები, მაგრამ, მაინც ინტელექტუალები. ამათ საერთოდ არაფერი არ ესმით.

**– სცადეთ კომუნიკაცია ამ ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან?**

– მინდოდა შეხვედრა პრემიერ-მინისტრთან, მაგრამ ეს შეხვედრა არ გამოვიდა. ემოციურად ის ჩემზე დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს; ვიცი ის გარემო, სადაც ირაკლი ღარიბაშვილი გაიზარდა; ვიცი ის ხალხი, ვინც ჰყავდა პედაგოგებად და, ვიცი, რომ კარგი ბიჭია. უბრალოდ, ისე გამოვიდა, რომ ივანიშვილმა, რომლის გავლენის ქვეშ არის დღემდე პრემიერი, ის გაწირა – ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერად არ შეიძლებოდა. ებრაელების უძველესი წყევლაა – ბავშვებმა გმართონო, ასეა ჩვენი საქმე. რაც შეეხება ბულკზე გაზრდილ პრეზიდენტს, მასზე საუბარიც არ ღირს. კარგად გადახედეთ ჩვენს ჩინოვნიკურ სპექტრს, ზოგიერთ ქალბატონს პოლიტელიტიდან, ისეთი გამომეტყველება აქვთ, რომ ისინი „კუხნაშიც" კი ცუდი სანახავები არიან, არათუ პოლიტიკაში.

**– „არაკუხნური" სახეებიც გვინახავს, მაგრამ მათი გაკეთებული საქმეები – არა.**

– არც კახპური უნდა გქონდეს სახე და არც „კუხნური". წინა ხელისუფლებაში ყველას ჰქონდა დარღვეული მეტყველების მანერა, რაც ჰაერიდან, შემთხვევითი არ იყო. ჩამოყალიბებული კონსტიტუციური აღგზნებითი ფსიქოპათიის ნიშნებიც ბევრი გვინახავს და საჯდომგასიებულებიც. რატომ გაუსივდა საჯდომები ყველა პოლიტიკოსს, ვინც გასუქდა? იმიტომ, რომ ჰორმონული დისბალანსი ჰქონდათ დარღვეული ფსიქიკისგან და არასწორი სექსუალური მოთხოვნილებებისგან. რომ ვამბობდი ერთ-ერთ ჩინოვნიკზე, მისთვის ქალი და კაცი ერთიამეთქი, შემომითვალა – რაც გინდა, ილაპარაკე ჩემზე, ოღონდ მაგას ნუ შეეხებიო. ერთ ისტორიას გავიხსენებ, როცა მიქელანჯელო „იუდასა და ქრისტეს" ხატავდა: ქრისტეს დასახატად მოიყვანეს ახალგაზრდა ბიჭი, ეკლესიის მსახური. გაგიჟდა მიქელანჯელო მის დანახვაზე. წლების შემდეგ, როცა ეძებდა ვინმეს, იუდას სახის დასახატად, ქუჩაში იპოვა გალეშილი, მახინჯი არსება. წამოაყვანინა ის გალეშილი ბიჭი და დახატა. როცა ის ბიჭი გამოფხიზლდა, მიქელანჯელოს უთხრა: ეს მე ვარ, ქრისტე, სამი წლის წინ რომ დამხატეო. აი, ასე ცვლის ადამიანს ცნობიერება. მთელი ინსტიტუტები მუშაობენ ფიზიოგნომიკაზე. როგორ შეიძლება, ადამიანი დალაგებული იყო და არ გაწუხებდეს ის, რაც ირგვლივ ხდება?! ყველა იმ ჭაში ზის, რომელიც თავისთვის გათხარა. ერთი რამ ავიწყდებათ ამ პოლიტიკოსებს – სამყარო არ მუშაობს ჩვენი პარლამენტის დაწერილი კანონებით, არც ამერიკის კანონებით. სამყაროს ეს კანონები სულ ცალ ფეხზე ჰკიდია, მას აქვს ბუმერანგის პრინციპი – ყველა აგებს პასუხს კარგზეც და ცუდზეც. საქართველოში ყველაფერი დარღვეულია, ცხოვრება წაგვართვეს და მოგვაპარეს ამ პოლიტიკოსებმა; მეც მომპარეს ცხოვრების 22 წელი. ჩემისთანებმა, ვისაც აქვს უნარი, დაინახოს, ბევრმა დაკარგა ეს წლები. დეტალურად დავწერ ამ ყველაფერზე, ოღონდ, არა ახლა, მომავალში. სამყაროში ვითარება ძალიან იცვლება, 2040 წლისთვის ჩვენ მივიღებთ აბსოლუტურად სხვა სამყაროს. აუცილებლად დაირღვევა ის მოცემულობა, რაც ახლა გვაქვს, ისტორიისთვის ეს ყველაფერი სასაცილო ფაფხურად დარჩება. 40-იანი წლებიდან ძალიან შეიცვლება კაცობრიობა. ინდიგოების ის თაობა, რაც დღეს მოდის, მიაღწევს ისეთ პროცენტს, რომელიც ბევრ რამეს შეცვლის. რუსეთი დაიშლება შვიდ ნაწილად; დაიშლება ევროპა; ამერიკა აღარ იქნება სუპერსახელმწიფო და მის ადგილს დაიკავებს ჩინეთი. წავა „ფართუკიანი" ბიძიების პერიოდი და მოვა ცნობიერების ტრანსმუტაციის დრო, რაც უკვე აქტიურად არის დაწყებული. ეს არის გამოსავალიც – ცნობიერების ტრანსმუტაციის გარეშე კაციობრიობა გადაშენდება.

**თამუნა ნიჟარაძე**

# როგორ უნდა მოხიბლონ მამაკაცებმა ქრონიკულად შეყვარებული ნანა მესხი და როდის მიდის ის ვა-ბანკზე და სერიოზულ რისკზე

*ის საოცრად უშიშარი ქალბატონია, ცხოვრებაში გადატანილი დიდი და არაერთი ტრაგედიით, რასთან გამკლავებასაც ბევრი ვერ მოახერხებდა. მაგრამ, ის მაინც ძლიერი, დადებითი და რაც მთავარია, ძალიან ხალისიანი პიროვნება, ბევრი ღიმილით და სიკეთით. ალბათ, ამიტომაც არის მისი სიმღერები ძალიან პოპულარული და მათ უმეტესობას ცნობილი კვარტეტები და ყველასთვის საყვარელი ადამიანები ასრულებენ. ეს ქალბატონი გახლავთ ნანა მესხი – კომპოზიტორი. პროფესიით: ინჟინერი, ეკონომისტ-იურისტი, პროფესიონალი ელექროგიტარისტი, სხვადასხვა კომპანიების კონსულტანტი და საკუთარი სარეკლამო, მარკეტინგული კომპანია „ბრენდ გრუპის“ ხელმძღვანელი.*



**ჭაბუას აქვს ძალიან კარგი სიტყვები: გამოუსწორებელი ოპტიმისტი ვარ, უფსკრულის პირას რომ ვიდგე, გადარჩენის შანსი რომ არ მქონდეს, მაშინაც მჯერა, გადავრჩებიო**

**ნანა მესხი:** სამი წლის განმავლობაში პირველად მივეცი საკუთარ თავს იმის საშუალება, რომ 10 დღე გადაბმულად დამესვენა თურქეთში. ამ პერიოდის განმავლობაში საკმაოდ რთული რიტმი მქონდა და მხოლოდ რამდენიმე დღე თუ ვახერხებდი სადმე გასვლას, დასვენებას. შესაბამისად, ეს იყო პირველი ათდღიანი გაპარვა ზღვაზე და ძალიან ბედნიერი ვარ.

**– ვის გაეპარეთ, საკუთარ თავს?**

– საკუთარ თავს, მეტი არავის. როცა თბილისში ვარ, დილით ვიღვიძებ, ვიღებ ფერად ქაღალდებს და დილიდან ვიწყებ გეგმების ჩამოწერას: რამდენი საქმე მაქვს. თან, მე რაც მახსენდება, ყველაფერს ერთ დღეში ვაკეთებ. ამიტომ, არ მელევა საქმე და ყოველდღე ასე ხდება. ახლა, წასვლა რომ გადავწყვიტე, ვთქვი: ვტოვებ ტელეფონს, მივდივარ დასასვენებლად და იქნებ იქ, საათის არსებობაც დამავიწყდეს. პრინციპში, მოვახერხე კარგად დასვენება, რადგან ძალიან მიყვარს წყალი, თუმცა ცურვა არ ვიცი. ამის მიუხედავად, წყლის ქვეშ ისეთ ვარჯიშებს ვაკეთებდი, მერე მთელი „ბასეინი“ ჩემთან ერთად იმეორებდა. წყალში გადასარევად ვტივტივებ, ბურთით თამაში მიყვარს და ეს ყველაფერი სერიოზული დატვირთვაა. თუმცა, წყლის ძლიერი შიში მაქვს, რადგან ბავშვობაში ორჯერ ვიხრჩობოდი.

**– უშიშარი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებთ.**

– აბსოლუტურად უშიშარი ვარ ნებისმიერ ცხოვრებისეულ საკითხში. ამას ტრაბახით არ ვამბობ, ობიექტური რეალობაა – ისეთ გადაწყვეტილებას ვიღებ, რომლის მიღებასაც ძალიან ბევრი ძლიერი მამაკაციც ვერ გაბედავს. უბრალოდ, როცა ვიცი, რაღაცის მეშინია, იმას არც ვეკარები. ცხოვრებაში რისკი მიყვარს, მაგრამ გონივრული რისკი, უაზრო რისკზე არ წავალ.

**– რა იყო თქვენი მხრიდან ყველაზე დიდი რისკი?**

– ისეთი რაღაცები გამიკეთებია... ეს იყო ფიზიკური რისკიც, რაც ჯანმრთელობას ეხებოდა. ასევე, ყოფილა შემთხვევა, როცა გამირისკავს კარიერა და ჩემი ყოფიერება იმ მომენტში, რაც ნამდვილად არ არის ადვილი. ვა-ბანკზეც წავსულვარ. შეიძლება, მცირე ხნით წააგო, მაგრამ გრძელვადიანად აუცილებლად მოიგებ. ჩემს შემთხვევაში, ყოველთვის დადებითი შედეგი დგება. თან, საშინელი ოპტიმისტი ვარ. ჭაბუას აქვს ძალიან კარგი სიტყვები: გამოუსწორებელი ოპტიმისტი ვარ, უფსკრულის პირას, რომ ვიდგე, გადარჩენის შანსი რომ არ მქონდეს, მაშინაც მჯერა, გადავრჩებიო. მეც, ჩემი ოჯახიც, ჩემი ძმა – ბიძინა მესხი, რომელიც, პრაქტიკულად, გამზრდელი და დღემდე ჩემი პატრონია, ხშირად ვმდგარვართ უფსკრულის პირას და ეს გრძელდებოდა 20-30 წლის განმავლობაში. ცხოვრებამ ძალიან ბევრი გამოცდა მოგვიწყო და ზოგჯერ ხუმრობითაც ვამბობთ ხოლმე: ცოცხლები კი ვართ, მაგრამ ასათიანზე მაინც უნდა ვიყოთ, იმდენი რამ გვაქვს გამოვლილიო. მაგრამ ეს არ მეტყობა – მხიარული ვარ, მიყვარს ცხოვრება და მჯერა: დღეს თუ ძალიან ცუდად ვარ, ხვალ აუცილებლად კარგად ვიქნები.

**– როდის იყო თქვენს ცხოვრებაში ყველაზე რთული პერიოდი, რომელიც თქვენს მხიარულ ხასიათზეც აისახა?**

– ხასიათი სულ ასეთი მაქვს, პრობლემას ყოველთვის სახლში ვტოვებ. სიტყვა „დეპრესია“ რა არის, არც ვიცი. თუ მაქვს პერიოდი, როცა ძალიან მიჭირს, ვგრძნობ საკუთარ თავს ვერ ვერევი, ნორმალურ მიმიკას ვერ ვაყენებ, ვცდილობ, სახლიდან არ გამოვიდე. ან ვჯდები ავტომობილში და დავდივარ ქალაქში, კონტაქტს ვერიდები, რადგან ვერ ვაკონტროლებ საკუთარ ემოციას და არ მინდა, ვინმემ ეს შემატყოს. ანდა ვიგონებ პატარა სიხარულებს. ტირილი არ გამომდის. სამაგიეროდ, ფილმ „მედისონის ოლქის ხიდების“ ყველა ნახვაზე ვტირი. ნანახი კი მილიონხუთასჯერ მაქვს, თან გადახვევით. მაგრამ, როცა რაღაც ხდება, მაშინ არ ვტირი, უბრალოდ, ვჯდები მანქანაში და ვფიქრობ: რა პატარა სიხარული მჭირდება, რომ აზრზე მოვიდე. ვიხსენებ, რომ დღეს საღამოს რომელიმე არხზე იქნება ის ფილმი, რომელიც მე მიყვარს. ვჯდები ავტომობილში, გავდივარ შორს, მარკეტში და იქ ვყიდულობ ლამაზ, ფერად ჭიქას, რომელიც სახლში უამრავი მაქვს და მოვდივარ სახლში გახარებული: ამ ჭიქაში ყავა უნდა მოვიდულო, ფილმს უნდა ვუყურო.

**– ახლახან თქვენი მუსიკალური საღამო ჩატარდა, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა.**

– საღამო ორი თვით ადრე დაიგეგმა. ინსპირატორები იყვნენ ჩემი უსაყვარლესი ბავშვობის მეგობრები – ზაზა მარჯანიშვილი და მისი მეუღლე მარინა სალუქვაძე. რომ არა ისინი, დიდხანს არ გავინძრეოდი. ზოგადად, როცა რაღაცას ვაკეთებ, ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. თან, მინდა, მაქსიმალურად ხარისხიანი იყოს, ამას კი სერიოზული მატერიალურ-ტექნიკურ-ფინანსური ბაზა სჭირდება, რაც ძნელი მოსაპოვებელია. საკუთარი თავისთვის თხოვნა კი მიჭირს. ამიტომ, ყოველთვის თავს ვიკავებ, რადგან შეზღუდული შესაძლებლობებით, შეზ-

(გაგრძელება მე-17 გვერდზე)



ბაკურიანი BAKURIANI

# როგორ მოვუაროთ სახის კანს

სახის კანის მოვლა განსაკუთრებით აქტუალურია 25 წელს გადაცილებული ქალბატონებისთვის. გარეგნობაზე ზრუნვის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოთ სახის კანის დატენიანებას. ყველაზე მარტივად კანის დატენიანება შეგვიძლია დღის განმავლობაში მინიმუმ 2 ლიტრი წყლის მიღებით. წყალი, სხვა სასარგებლო თვისებების შეძენასთან ერთად, სახის კანს ატენიანებს, რის შემდეგაც კანი ინარჩუნებს ელასტიკურობას და ჯანმრთელ ფერს. ცნობილი ამერიკელი დერმატოლოგი, პროფესორი ჰოვარდ მურადი ამბობს: „კანის დატენიანების ხარისხი და ზოგადად მისი ჯანმრთელი იერი კოსმეტიკურ საშუალებებში შემავალი ნივთიერებების გარდა, უპირველეს ყოვლისა, ცხოვრების წესზეა დამოკიდებული". ჯანმრთელი ცხოვრების წესის შესახებ არაერთხელ გვისაუბრია, დღეს კი სახის კანის დატენიანებასთან დაკავშირებით მოგცემთ რჩევებს.

1. შეარჩიეთ შესაფერისი დამატენიანებელი საშუალება – გახსოვდეთ კარგად დატენიანებული კანი „შეიარაღებულია". გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი დამატენიანებელი საცხი კანში ტენიანობას დიდხანს უნდა ინარჩუნებდეს. დამატენიანებელი საცხის შერჩევისას მიაქციეთ ყურადღება, რომ მის შემადგენლობაში დიდი რაოდენობით არომატიზატორები და კონსერვანტები არ იყოს. კანის ეფექტურად დასატენიანებლად იდეალურად გამოგვადგება ისეთი საცხები, რომლებიც გლიცერინს, ჰიალურონის მჟავას, ეთერზეთებსა და მცენარეულ ექსტრაქტებს შეიცავენ.



2. დამატენიანებელი საცხი აუცილებლად კანის ტიპის მიხედვით შეიძინეთ. კომბინირებული კანით დავიწყოთ – კანის ამ ტიპს თითქმის ყველა ის დამატენიანებელი საშუალება უხდება, რომლებიც მშრალი და მგრძნობიარე კანისთვის არის განკუთვნილი.

მშრალ და მგრძნობიარე კანს ისეთი საცხები ესაჭიროება, რომელთა შემადგენლობაშიც შედის ცხიმი. იდეალურია ფუტკრის ცვილის საფუძველზე დამზადებული საშუალებები.

ცხიმიანი კანის შემთხვევაში შედარებით მსუბუქი, ემულსიის მსგავსი საცხები შეარჩიეთ. ასეთი პროდუქტების მთავარი მოქმედი გმირი დიმეტიკონია (ბუნებრივი სილიკონი), რომლის წყალობითაც ნაკლებცხიმიანი საცხი ნელა იწოვება კანში და არ ახშობს ფორებს.

3. სწორად წაისვით დამატენიანებელი საცხი – არ დაგავიწყდეთ, რომ კანი იდეალურად გასუფთავებული უნდა იყოს წასმამდე. საცხი სახის ცენტრიდან გარე მიმართულებით გაინაწილეთ: ცხვირიდან ლოყების მიმართულებით და შუბლის ცენტრიდან – საფეთქლებისკენ.

4. საკვებ რაციონში ჩართეთ ბლომად ხილი და ბოსტნეული – ხომ გახსოვთ, ისინი 85-95 პროცენტით სტრუქტურირებული წყლისგან შედგებიან, რომლებიც კანში ძალიან ადვილად აღწევენ და იქ დიდხანს ჩერდებიან. გარდა ამისა, ხილი და ბოსტნეული ანტიოქსიდანტებით არის მდიდარი, რაც კანის ახალგაზრდობის შენარჩუნებაში გვეხმარება.

5. დღე ღამეში 7-9-საათიანი ძილის რეჟიმი – კვლევებმა აჩვენა, რომ ძილის უკმარისობა და სტრესი კანში წყლის რაოდენობას ამცირებს.

ასე რომ, ქალბატონებო, გაუფრთხილდით სახის კანს, აუცილებლად გაითვალისწინეთ ჩვენი რჩევები, მიირთვით დღის განმავლობაში მინიმუმ 2 ლიტრი „ბაკურიანი" და შეინარჩუნეთ სილამაზე.

**ნინო მღივანი**

**ეს წელი, მომღერალ მეგი გოგიტიძისთვის ნამდვილად ბედნიერების მომტანი აღმოჩნდა. სურვილი, რომ უკრაინაში პოპულარული მომღერალი გამხდარიყო, ამ ქვეყნის „ვოისის" კონკურსში მონაწილეობით აიხდინა და ხალხის სიყვარულიც მოიპოვა. ახლა მას საკმაოდ ბევრი მიწვევაც აქვს და როგორც თავად გაგვანდო, სულ მალე უკრაინაში მისი სოლო კონცერტიც იგეგმება. ის სცენაზე, ორსულობის მთელი ცხრა თავე იდგა და კონკურსანტების გვერდით, თავს არ ზოგავდა, გამოემჟღავნებინა ის შესაძლებლობები, რაც მის შინაგან ბუნებაშია და გენეტიკურადაც დაჰყვა. თუმცა, ფინალში ეს ვეღარ შეძლო, რადგან მშობიარობის დრომ მოუწია. უკრაინული „ვოისის" მერე კი, მეორე, მთავარი მოვლენა ამ წელს ის გახდა, რომ – მეგი ულამაზესი, პატარა სიდონიას დედა გახდა. ჩვენი ჟურნალი, ულოცავს მას დედობას და ბედნიერ მომავალს უსურვებს!**

# რატომ ელოდებოდნენ მთელი ერთი თვე სასწრაფოს მანქანები სცენაზე ასულ მეგი გოგიტიძეს და ვის გამო დატოვა მან უკრაინული „ვოისის" ნახევარფინალი

**მეგი გოგიტიძე**: სასწაული გრძნობაა დედობა. ასეთი ბედნიერება მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში არ განმიცდია. ეს ყველაზე დიდი სასწაულია ჩემს ცხოვრებაში, საოცარი შეგრძნება. უბედნიერესი ვარ. სიდონია ხან წყნარია, ხან მტირალა, ხან ანჩხლი ***(იცინის).*** სასწაული სმენა აქვს, და რომ ტირის, ზარივით ხმას უშვებს, მგონია, უკვე მღერის ***(იცინის).*** ის ჩანაწერები მაქვს, რასაც ორსულობის პერიოდში ვმღეროდი და ახლა რომ ჩავურთავ, უნდა ნახოთ, როგორ განცვიფრებით ისმენს – ეცნობა მელოდიები. მსგავსებით კი მამას ჰგავს. თავიდან, მამიკომ გადაწყვიტა, მშობიარობას დავესწრებიო და მისი სახე რომ დავინახე, ვუთხარი: გადი, თორემ შენ უფრო მეტად გტკივა და განიცდი-მეთქი ***(იცინის).*** პატარა სიდონია მერაბიშვილი, 19 ივნისს გაჩნდა, ღამის 3 საათსა და 40 წუთზე. იყო 4 კილოგრამი და 56 სანტიმეტრი. ბუნებრივად ვიმშობიარე და ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. უფრო ადრე ველოდით მის დაბადებას, მაგრამ ცოტა დააგვიანა. ვხუმრობ ხოლმე, მაცადა უკრაინული „ვოისის" სცენაზე ბოლომდე დგომა და ბრძოლა-მეთქი. დამთავრდა „ვოისი" და მე ნახევარფინალიდან წამოვედი. უკვე წარმოუდგენელი იყო ჩემი იქ ყოფნა და სიმღერა. დღედღეზე ველოდებოდი ბავშვის გაჩენას და პროდიუსერები, ჟიურის წევრები და თავად კონკურსანტებიც კი, ჩემზე მეტად განიცდიდნენ, სცენაზე ჩემ ამხელა მუცლით დგომას. ფიქრობდნენ, აქ რომ დაეწყოს მშობიარობა, ვერ გადავრჩებითო ***(იცინის).*** სხვათა შორის, პროდიუსერებს გათვლილი ჰქონდათ და ყოველი შემთხვევისთვის, კართან სასწრაფოს მანქანები იდგა, სულ კუდში დამდევდნენ. ნახევარფინალიდან ბავშვის გამო წამოვედი, რადგან ფიზიკურად ვეღარ ვიდექი სცენაზე.



პროდიუსერები განწვალებული მყავდა და ამბობდნენ, ძნელია მეგის შეეკამათო, მაინც იმას აკეთებს, რაც მას სურსო

**– ანი ლორაკმა, თამარ გვერდწითელმა და შენმა კონკურენტმა, მაგრამ ახლა უკვე მეგობარმა მომღერლებმა თუ მოინახულეს პატარა სიდონია?**

– ანი ლორაკმა, როგორც კი გავაჩინე, იმ დილითვე დამირეკა და მომილოცა. შოუს პროდიუსერი მოვიდა გამოყვანის დღეს, ყველა მეფერებოდა და მილოცავდა. თამარ გვერდწითელს ჯერ არ მოულოცავს, რადგან მოსკოვში წავიდა და არ იცის, რომ დედა გავხდი, თორემ აუცილებლად დამირეკავდა და მოგვიკითხავდა, ისე გვგულშემატკივრობდა. თან, ტელეფონის ნომერიც შევცვალე და შესაძლოა, ვერ მიკავშირდება. ქუჩაში, უცხო ადამიანები მაჩერებენ და მილოცავენ: ტელევიზიით რომ გიყურებდით ამხელა მუცლით, უფრო მეტად გიჭერდით მხარს, გილოცავთ დედობასო. მგონი, ჩემს გამარჯვებას ისე არ გულშემატკივრობდნენ, როგორც დედობას ***(იცინის).*** ხალხი სოციალურ ქსელში წერდა: დაასვენეთ ეს გოგო, მეცხრე თვეშია, ემოციით მღერის და რამე არ დამართოთო. მადლობა ღმერთს, ყველაფერი კარგად დასრულდა.

**– მგონი, პატარა ქართველი სიდონია უფრო პოპულარული გახდა უკრაინაში, ვიდრე შენ?**

– ასე გამოდის ***(იცინის).*** სამშობიაროში სამი დღე ვიწექით. ექიმები და მშობიარეები შემოდიოდნენ ოთახში, მეფერებოდნენ და დიდ სიყვარულს გამოხატავდნენ, თან მყვებოდნენ. ბევრი საჩუქარიც მივიღეთ.

**– მეგი, ეს წელი შენთვის საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. უკრაინაში, რისთვისაც იბრძოდი, პოპულარული გამხდარიყავი, ეს ოცნება აგიხდა. დედობის უბედნიერესი წამებიც შეიგრძენი – ეს ღვთის საჩუქარიც მიიღე და თან, უამრავი მიწვევაც გაქვს კონცერტებზე გამოსასვლელად. გამოდის, რომ ყველა ოცნება ერთდროულად აგიხდა?**

– მე სასწაულებზე არ ვოცნებობ და ვცხოვრობ ყოველდღიური ცხოვრებით. ის, რაც ჩემს ცხოვრებაში ხდება, ისედაც სასწაული და ოცნებების ახდენაა. აქედან გამომდინარე, არ ვფიქრობ, რომ აუხდენელი ოცნებები დამრჩა. იმიტომ კი არა, რომ ყველა ოცნება ამიხდა, უბრალოდ, ბედნიერი ვარ დღეს და ამისთვის უფლის მადლობელი ვარ. ფაქტია, ეს წელი, ნამდვილად წარმატებულია. არც შოუთი დაწყებულა და დამთავრებულა ჩემი შემოქმედება, უამრავი ზარია და შემოთავაზება. ახლა, ველოდები, როდის გავა ორმოცი დღე, რომ ჩემს კონცერტზე ვიმღერო. 23 აგვისტოს დაიგეგმა ჩემი სოლო კონცერტი კიევში და ძალიან ბედნიერი ვარ. ამ კონცერტზე „ვოისის" მონაწილე, ახლა უკვე ჩემს მეგობარ მომღერალსაც დავპატიჟებ და სპეციალურ სტუმრად, ანი ლორაკსაც მოვიწვევ. თუ სხვა მწვრთნელებიც აქეთ იქნებიან, რასაკვირველია, მათაც დავპატიჟებ.

**– საქართველოში, ბავშვობიდან მღერი და მსმენელთა ვიწრო წრე გყავდა. არ გეწყინოს და პოპულარული არ იყავი. დღეს, სოლო კონცერტი კიევში – ეს უკვე დიდი წარმატებაა, არა?**

– გეთანხმებით, დიდი და სერიოზული წარმატებაა და ესეც ჩემი ოცნების ახდენილი ნაწილია. უკრაინულმა „ვოისმა" გზა გამიხსნა წარმატებებისკენ – ბევრი შანსი მომცა, სხვა მასშტაბზე გამიყვანა. საქართველოში ჩემი მსმენელი მყავდა, მაგრამ უკრაინა, სხვა ეტაპია და ეს, უკრაინული „ვოისის" დამსახურებაა. მართალია, ეს პროექტი დამთავრდა და ახალი დაიწყება, წამოვა ახალი შემსრულებლები, მე კი, თუ ეს წარმატება არ შევინარჩუნე, ახალი სიმღერები არ ჩავწერე და სიახლეები არ მივაწოდე მსმენელს, პოპულარობას ვერ შევინარჩუნებ. ამიტომ, ახალ სიმღერებს ვწერ სტუდიაში, კონცერტისთვისაც ვემზადები და ყველაფერი კარგად მიდის ჯერჯერობით. მე ვიშრომებ და თავს არ დავზოგავ.

**– ქართულ სიმღერებს შეასრულებ კიევში დაგეგმილ სოლო კონცერტზე? არის ამის მოთხოვნა მსმენელის მხრიდან?**

– აქ ძალიან მოსწონთ ქართული სიმღერები და ერთგვარი ეგზოტიკაა უკრაინელებისთვის ჩვენს ენაზე ნამღერი. ქართველებს დიდ პატივს სცემენ და ძალიან უყვართ. ყველაზე დიდი მოთხოვნა „ყვავილების ქვეყანაზეა". ეს სიმღერა პროექტშიც შევასრულე, დიდი ეფექტი მოახდინა და დღესაც მეკითხებიან, კონცერტზე ხომ იმღერებო. რა თქმა უნდა, ვიმღერებ.

**– უკრაინულმა „ვოისმა" შენი მუსიკალური სტილი და გემოვნება არ შეცვალა?**

– მე იმ დონის მომღერალი ვარ, ცოტა რთულია, შემიცვალო სტილი და გემოვნება. პროდიუსერები განწვალებული მყავდა და ამბობდნენ, ძნელია, მეგის შეეკამათო, მაინც იმას აკეთებს, რაც მას სურსო ***(იცინის).*** ჩემი სტილი და გემოვნება ვერ შეცვალა უკრაინულმა „ვოისმა", მაგრამ უდიდესი გამოცდილება მომცა და დიდი ტრამპლინი აღმოჩნდა ყველა კუთხით. მინდა, საქართველოშიც გავაკეთო კონცერტი. ამის დიდი სურვილი მაქვს და ვნახოთ, იქნებ მოვახერხო ახლო მომავალში.

**ნონა დათეშიძე**

# ინტიმური საუბრები

### ჩემი სიძე მეარშიყება

მყავს თითქმის ჩემი ტოლი დეიდაშვილი, რომელთან ერთადაც გავიზარდე. და რომ მყოლოდა, ალბათ, ასე არ მეყვარებოდა და ასე ახლოს არ ვიქნებოდი. მე რომ გავთხოვდი, რამდენიმე თვეში ეკაც გათხოვდა. ჩვენი შვილებიც თითქმის ტოლები არიან და იმათაც ერთად ვზრდით. ერთი სიტყვით, ერთ დღესაც ვერ ვძლებთ უერთმანეთოდ.

ეკას ქმარი თითქოს ცუდი ბიჭი არ იყო, მართლა გულით შევიყვარე და ძმად მივიღე, მაგრამ, მას შემდეგ, რაც ქმარს გავშორდი, ჩემ მიმართ აშკარად შეიცვალა. თავიდან მეგონა, რომ მეჩვენებოდა, მაგრამ, ერთხელ, როცა ჩემს დაქალთან ერთად მივედი ეკასთან და ნიკაც სახლში დაგვხვდა, ისე მოიქცა, რომ ჩემმა დაქალმა იქიდან წამოსვლის შემდეგ მითხრა, ეს შენი სიძე უზნეო და უსინდისო კაცია და მასთან ფრთხილად იყავიო. ეს სიტყვები მენიშნა, რადგან, მე თვითონაც აშკარად ვგრძნობდი ხოლმე (ბოლო ხანებში), რომ სხვანაირად მიყურებდა, სხვანაირად მელაპარაკებოდა და, საერთოდაც, ისე მექცეოდა, რომ მისი საქციელი დაფარულ არშიყობას უფრო ჰგავდა, ვიდრე ახლობლურ და ნათესაურ, თუნდაც შეხუმრებულ ურთიერთობას. ერთხელ კი, ეკას შვილის დაბადების დღეზე რომ მივედი (რესტორანში გადაუხადეს), მთელი საღამო თავს დამტრიალებდა, ცდილობდა, სულ ჩემთან ეცეკვა და ორაზროვან ფრაზებს მეუბნებოდა. ისიც კი გამიბედა და მითხრა: ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხარ და ქმართან გაყრა სულაც არ ნიშნავს უკაცოდ ცხოვრებას. ისეთი ქალი ხარ, შენზე უარს ვინ იტყვისო. ამას რომ მეუბნებოდა, ისეთი ბილწი მზერით ამათვალიერ-ჩამათვალიერა, შემეშინდა; ფაქტობრივად, საკუთარი თავი შემომთავაზა. ისეთ ხასიათზე დავდექი, ეკას ვუთხარი, უნდა წავიდე, ძალიან ცუდად ვარ-მეთქი. ეტყობა, ისეთი სახე მქონდა, ეკამ არაფერი აღარ მითხრა. წამოსვლისას ყველა გადავკოცნე, მათ შორის, ძალაუნებურად, ნიკაც, რომელიც უკვე საკმაოდ ნასვამი იყო. არ ვიცი, სიმთვრალის გამო ველარ „მოზომა" თუ გულში ჰქონდა ამის გაკეთება, მაგრამ, ჩვეულებრივი გამოსამშვიდობებელი ლოყაზე კოცნის დროს უცებ ტუჩებში მაკოცა და თვალებში შეთქმულივით შემომხედა. ეს სულ რამდენიმე წამში მოხდა და არავის დაუნახავს, თუმცა, მე ისე ცუდად გავხდი და ისე შემეზიზღა ნიკა, კინაღამ ტირილი დავიწყე. მერე აიტეხა, მე უნდა წაგიყვანო სახლში მანქანითო. მაგრამ, იმან გადამარჩინა, რომ ძალიან ნასვამი იყო და ეკამ თავი გაიგიჟა – ასეთი მთვრალი საჭესთან როგორ უნდა დაჯდეო. მოკლედ, ბოლოს ეკას მამამ, ბიძაჩემმა გამომაცილა – რესტორნის წინ ტაქსები რომ დგანან, ერთ-ერთში ჩამსვა და ისე გამომიშვა სახლში.

მთელი ღამე თვალი ვერ მოვხუჭე ნერვიულობისგან. დილით ისე ცუდად ვიყავი, შვილის მოვლის თავიც არ მქონდა და დედაჩემს ვთხოვე, ეტყობა, მოვიწამლე და ბავშვს შენ მიხედე-მეთქი, მე კი ისევ დავწექი, რომ ვინმეს რამე არ შეეტყო. მერე, როგორც იქნა, ჩამთვლიმა, მაგრამ, ათი საათიც არ იყო, რომ ტელეფონის ზარმა გამაღვიძა. ეკა მირეკავდა: ნიკა ძალიან ნერვიულობს შენ გამო და მთხოვა, გამეგო, როგორ ხარო. მერე თვითონ ნიკაც მელაპარაკა – ვითომ ჩემი ცუდად ყოფნით იყო შეწუხებული, ბოლოს კი მითხრა, დღეს ჩვენთან გამოდი, ერთად ვივახშმოთ, თუ გინდა, მე მოგაკითხავ მანქანითო. ეკამაც მთხოვა მისვლა, მაგრამ, რა თქმა უნდა, არ წავედი. ის კი არა, მას შემდეგ ლამის ერთი თვე გავიდა და სულ ორჯერ ვიყავი ეკასთან, ისიც მაშინ, როცა ზუსტად ვიცოდი, რომ ნიკა სახლში არ იქნებოდა, თანაც, ნახევარ საათზე მეტ ხანს არ დავრჩენილვარ. ეკაც, მისი მშობლებიც და ჩემი მშობლებიც ძალიან გაოცებულები არიან ჩემი ასეთი საქციელით, მაგრამ, ვერაფერს ვამბობ. ყველას ჰგონია, რომ ეკასგან რაღაც სერიოზულად მეწყინა და მასზე გული გამიცივდა. მხოლოდ დედაჩემი ეჭვობს რაღაცას, მართალია, ჯერჯერობით ვერაფერს მეუბნება და მხოლოდ მაკვირდება, მაგრამ, ვიცი, რომ, ადრე თუ გვიან, პირდაპირ დამისვამს კითხვას და მერე როგორ უნდა მოვიქცე, წარმოდგენაც არ მაქვს.







ურთულეს მდგომარეობაში ვარ: თუ ხმამაღლა ვიტყვი მიზეზს, რატომ ვიქცევი ასე, შეიძლება, ამით ჩემს უსაყვარლეს ადამიანს დავუნგრიო ოჯახი, ცხადია, თუკი დაიჯერებს ჩემს სიტყვებს. თუ არ დაიჯერებს, მე გამოვალ უზნეო ქალი, რომელმაც მის ქმარს თვითონ დაადგა თვალი, ამის დასაფარავად იქით დასწამა ცილი და, ცხადია, სამუდამოდ დამკარგავს. უფრო მეორე ვარიანტია მოსალოდნელი, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, მე და ეკა ისე ახლოს ველარასოდეს ვიქნებით და ამ აზრთან შეგუება ძალიან მიჭირს.

**ნინიკო, 26 წლის.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბავი და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის" ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

# როგორ უნდა მოხიბლონ მამაკაცებმა ქრონიკულად შეყვარებული ნანა მესხი და როდის მიდის ის ვა-ბანკზე და სერიოზულ რისკზე

(მე-14 გვერდიდან)

ღუდღული პირობებით, არ გამოდის ის, რაც მინდა. თან, მგონია, რომ 20 პროცენტი მაქვს რეალიზებული იმის, მუსიკალური თვალსაზრისით ვამბობ, რაც რეალურად შემიძლია, ვაკეთო. პროექტი ნაწილობრივ დამიფინანსა მერიამ, საკრებულომ, თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრმა. პრინციპში, კმაყოფილი ვარ, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კრიტიკული ვარ საკუთარი თავის მიმართ. აღიარეს, რომ საღამო შედგა და თან, ყველა ისეთი ღიმილიანი იყო, მე დავფრინავდი. რომ დამთავრდა, მადლობის შემდეგ ვთქვი: ჩემთვის ახალი ცხოვრება, სიცოცხლე დაიწყო დღეიდან-მეთქი და ასეც არის.

**– ძალიან ბევრი პროფესია და საქმე გაქვთ. მაგრამ, ალბათ, მუსიკაა ის საქმე, რომელსაც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებთ და თქვენთვის ყველაზე ფაქიზი, მოსაფრთხილებელი თემაა.**

– მუსიკა პროფესიად არ მიმაჩნია. იმიტომ კი არა, რომ კონსერვატორიის საკომპოზიციო არ მაქვს დამთავრებული – დამთავრებული მაქვს ელექტროგიტარის სრული კურსი, პროფესიონალი გიტარისტი ვარ, არამედ მუსიკა ჩემი სიყვარულია, სხვა რამეა, ფონად უდევს ყველა იმ საქმეს, რასაც ვაკეთებ. თორემ, მართლაც უამრავი პროფესია მაქვს: ინჟინერი ვარ, ლექციებს ვკითხულობდი წლების განმავლობაში ტექნიკურ უნივერსიტეტში, ეკონომისტ-იურისტიც ვარ. სხვათა შორის, ჩემს საღამოზე ჩემი დაწერილი ფრანგული სიმღერა შესრულდა, რომლის ტექსტის ავტორიც მე ვარ და მგონი, ეს პირველი მცდელობაა ქართველი კომპოზიტორის, რომელმაც ფრანგულად დაწერა სიმღერა.

**– ქალი-პროფესიონალი ელექტროგიტარისტიც არ მგონია, გვყავდეს საქართველოში...**

– არ არის. რაც მთავარია, ძალიან მინდა, რომ სერიოზული მუსიკალური კომპოზიცია ჩავწერო ელექტროგიტარაზე. აუცილებლად გავაკეთებ. ძალიან მიყვარს ელექტროგიტარა, თან, ქალის ხელში სხვანაირად ჟღერს.

**– რა ხდება თქვენს პირად ცხოვრებაში?**

– ოჯახი არ მაქვს, ამ ეტაპზე შეყვარებულიც არ მყავს, თუმცა, მთელი ცხოვრება ქრონიკულად შეყვარებული ვარ. ყველა ასაკში უნდა იყოს ადამიანი შეყვარებული – პირველ ადგილას უნდა დააყენო გრძნობა და მერე სხვა დანარჩენი. რადგან ეს არის ცხოვრების აზრი, სტიმული და ის, რისთვისაც ღირს გაღვიძება... როდესაც მამაკაცში გულწრფელი დამოკიდებულება იგრძნობა და ამას მარტივად ვგრძნობ – უდიპლომო ფსიქოლოგს მეძახიან. ადვილად ვიხიბლები. თან, მაქვს თვისება: პირველად ადამიანში დავინახო კარგი, მაგრამ, იმავდროულად, ქვეცნობიერად ვგრძნობ, რომ მასში უარყოფითი მეტია. ამ უარყოფითს სასწრაფოდ გვერდზე ვწევ და წინ იმ ადამიანის დადებითი მოდის. სულ მაქვს იმის იმედი, რომ ადამიანები იმაზე უკეთესები არიან, ვიდრე ჩანან, ხომ შეიძლება, მე ვცდები, ან იქნებ ამ ცუდის აქტივაცია არ მოახდინოს. საბოლოოდ, დგება მომენტი, როდესაც ყველაფერი ამართლებს... დღეს შეყვარებული ვარ ცხოვრებაზე, ყველაფერ კარგზე, ხვალინდელ დღეზე და ზუსტად ვიცი, რომ ხვალ ან ზეგ შემხვდება ისეთი მამაკაცი, რომელიც დაიმსახურებს ამ სიტყვას.

**ნათია უტიაშვილი**

# რის მონატრება და სერიოზული „ლომკა“ აქვს სალომე ჭაჭუას და რა რისკზე წაიყვანა ის დამ

**დაახლოებით 6 თვეა, რაც სალომე ჭაჭუამ საკუთარი სტუდია Prime Dance გახსნა, რომელიც, თამამად შეიძლება ითქვას, დღეს ერთ-ერთი საუკეთესოა, როგორც ქორეოგრაფების, ასევე იმ პირობების მხრივ, რასაც ის მოსწავლეებს სთავაზობს. სალომე კი, როგორი არაჩვეულებრივი მოცეკვავეცაა, ასეთივე, არაჩვეულებრივი პედაგოგია. ამაში საკუთარი, რამდენიმეთვიანი გამოცდილებითაც დავრწმუნდი.**

**სალომე ჭაჭუა**: სეზონი დავამთავრეთ და მიმაჩნია, რომ საკმაოდ წარმატებული იყო. არც მე და არც ჩემმა ორმა პედაგოგმა არ დავზოგეთ ძალები, მაქსიმალურად დავიხარჯეთ. ასეთ მოკლე ხანში, ჩვენი სტუდიის ბავშვებმა საკმაოდ ბევრ წარმატებას მიაღწიეს – ორ კონკურსში მივიღეთ მონაწილეობა. ახლა „შეკრებაზე“ მიმყავს ბავშვები. თან, ბათუმში ტარდება მასშტაბური კონკურსი და მასშიც ვაპირებთ მონაწილეობას. შემიძლია ვთქვა, რომ სხვა სტუდიებთან შედარებით, დიდი ნაბიჯი გადავდგით: მთავარ კატეგორიაში, ანუ დიდებში საქართველოს ჩემპიონები გვყავს: ანი ჯაჯანიძე და იაკობ ყუფუნია. ასევე, სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაშიც გვყავს საქართველოს ჩემპიონები. ჩემს სტუდიაში ქორეოგრაფად მუშაობენ ანი ჯაჯანიძე და როსტომ აროშვილი. როსტომი უშუალოდ ანისა და იაკობის მწვრთნელიცაა. მას პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ ვიცოდი, ძალიან ძლიერი მწვრთნელი იყო. მისი ბავშვები ტურნირებზე მყავდა ნანახი და მომწონდა. შევთავაზე ჩემთან მუშაობა და მიხარია, რომ მისგან თანხმობა მივიღე.





**– 6 თვის წინ, ამ საქმეს რომ იწყებდი, ალბათ, გარკვეული შიში გქონდა, რადგან ეს უკვე საკუთარი ბიზნენი იყო.**

– მქონდა შიშის მომენტი, თან, საკმაოდ დიდი. მაგრამ, ჩემი და დამიდგა გვერდში. მან მომცა სტიმული, რადგან ასეთ საქმეებში რისკიანი არ ვარ. არ ვაპირებდი, უარზე ვიყავი, მაგრამ ჩემმა ძმამ და დამ მითხრეს: გახსენი, გახსენიო და მეც გავხსენი. მეშინოდა, რადგან არ ვიცოდი, რამდენი ბავშვი მოვიდოდა, როგორ აეწყობოდა სტუდიის საქმეები. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად წავიდა. უკვე წინასწარ არიან ჩაწერილები და მიხარია, რომ უკმაყოფილო არავინაა. სტუდიის მენეჯერი ყველას, მათ შორის, ბავშვების მშობლებს, სულ ეკითხება: რამით ხომ არ არიან უკმაყოფილო, რომ მერე გამოვასწოროთ, გავითვალისწინოთ.

**– ამ 6 თვეში, საკუთარი სტუდიის მეპატრონემ, ალბათ, გარკვეული თვისებები შეიძინე.**

– უფრო გამეზარდა პასუხისმგებლობის გრძნობა. ადრე, როცა ვასწავლიდი, არ მინდა, ცუდად გამომივიდეს, მაგრამ იმ დროს იმაზე უფრო მეტს ვფიქრობდი, როგორ მევარჯიშა, როგორ გავსულიყავი შეჯიბრებაზე. ახლა მთლიანად ბავშვებზე ვარ გადართული. მაისში „კავკასიის თასის“ ტურნირი იყო და მე და როსტომს სამი დღის განმავლობაში არ გვძინებია. ჩვენ გავუკეთეთ თმა, მაკიაჟი, ზედ გადავყევით ბავშვებს. საბოლოოდ მეც, როსტომსაც და ანისაც დაგვიფასდა გაწეული შრომა.

**– სტუდიაში საკმაოდ ბევრი ბავშვი გყავს. სადღაც ამოვიკითხე: სალომე სხვა სტუდიებიდან ბავშვების გადაბირებას ცდილობდაო.**

– ეს მეც მსმენია, მიდის ამაზე საუბარი და უბრალოდ, მეცინება. ეს ბავშვები, მათი მშობლები, უპირველეს ყოვლისა, ადამიანები არიან და არა ცხვრის ფარა, რომელსაც მე ბაწარი გამოვაბი და წავიყვანე იქ, სადაც მე მინდოდა. რა თქმა უნდა, სხვა სტუდიიდანაც არიან ბავშვები გადმოსულები, მაგრამ მათი უმრავლესობა სტუდია „თელადანაა“. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე მათ რამე დავაძალე. უმეტესობას 5 წლის განმავლობაში ვასწავლიდი, თუმცა, მყავს ისეთებიც, ჩემთან რომ არ დადიოდნენ, მაგრამ გადმოსვლა მოისურვეს. ეს ჩვეულებრივი მომენტია. თუნდაც „თელას“ შემთხვევა რომ ავიღოთ, სადაც გავიზარდე და კარგად ვიცი იქაური სიტუაცია. იქაც ბევრი ძალიან კარგი მოცეკვავე, მაგალითად, ოთო და ჯულიანა, სხვა კლუბებიდან არიან გადასულები. ამით იმას ვუსვამ ხაზს, რომ ეს ჩვეულებრივი მომენტია. თუმცა, თავიდან ვცდილობდი, არ ამეყვანა სხვა ბავშვები, მაგრამ რომ გირეკავენ და გეუბნებიან: თუ შენ არ მასწავლი, მაშინ ცეკვიდან გავალ და აღარ ვივლიო – ჩემი მხრიდან მათთვის უარის თქმა, არ იქნებოდა სწორი. ვილაცეები ამბობენ: სტუდია Prime Dance ბავშვებს იტაცებსო... მიხარია, თუ ჩვენს სტუდიაზე ამდენს ლაპარაკობენ. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენ, ძალიან კარგ სტუდიებს, მათ შორის „თელასაც“ სერიოზული კონკურენცია გავუწიეთ. ასეთ ლაპარაკს ჯობია, იმაზე იფიქრონ, მათი მოწაფეები სხვა სტუდიაში, თუნდაც ჩემთან რატომ გადმოდიან. შეიძლება, მათ ის არ მოსწონთ როგორ ასწავლიან, როგორი მეთოდიკა, პირობები აქვთ. ამიტომ, საკუთარ თავს დაუსვან ეს კითხვები. „თელაში“ კარგად იციან, მე როგორი მშრომელი ვარ, თან როგორ ვყვები თითოეულ მოსწავლეს.

**– როდესაც „თელადან“ წამოხვედი, ამას გარკვეული პრობლემები მოჰყვა თუ ცივილიზებულად დაშორდით?**

– მე ძალიან მინდოდა, ყველაფერი ნორმის ფარგლებში დამთავრებულიყო, მაგრამ რეალურად ასე არ მოხდა და ეს არ მოდიოდა ჩემი

**მე, როგორც წესი, არ ვნებდები, არ ვყრი ფარხმალს. შეჯიბრების, თმის ჟელეს სუნიც კი მომენატრა და ის ნერვიულობა, სცენაზე გასვლისას რომ გრძნობ**

მხრიდან. თუმცა, რა საჭიროა საჯაროდ ამ ყველაფრის თქმა.

**– შენ და გიორგი ახლო მომავალში „თაფლობის თვის“ მოწყობას აპირებდით. დაგეგმეთ უკვე რამე?**

– ჯერჯერობით მე და გიორგიმ ვერაფერი დავგეგმეთ, რადგან ბავშვები მიმყავს გონიოში ათდღიან შეკრებაზე. იქიდან რომ ჩამოვალთ, მერე ერთი კვირით წავალთ სადმე, რადგან მერე გიორგისაც ეწყება გადაღებები.

**– არ შემიძლია, არ ვახსენო, როგორ უყვარხარ შენს ბავშვებს. საკუთარი თვალით მაქვს ნანახი, შენ მიმართ რამხელა სითბოს გამოხატავენ.**

– მეც ვგიჟდები მათზე. ალბათ, იმიტომ ვუყვარვარ მათაც, რომ ძალიან მიყვარს ისინი. თან, ხვდებიან, რომ მე ამ ყველაფერს იმის გამო კი არ ვაკეთებ, რომ სტუდია მაქვს, არამედ მსიამოვნებს და მთელს გულსა და სულს ვდებ.

**– გახსოვს ის პერიოდი, როცა შენ დადიოდი „შეკრებებზე“.**

– სულ მინდოდა წასვლა, მაგრამ მამიკო არასდროს მიშვებდა. მხოლოდ თვითონ დავყავდით. ერთს, რომ გვეტყოდა: არა... მერე ჩვენც ხმას არ ვიღებდით. ასევე, ადრე უნდა მივსულიყავი სახლში და სხვაგან არასდროს მტოვებდა. თამუნას და ნიკუშას – ჩემს და-ძმას, უფრო ტოვებდა, მე – არა. არ ვიცი, სხვანაირი მომენტი ჰქონდა, სულ სახლში უნდა ვყოფილიყავი, მის გვერდით. გული მწყდებოდა, მაგრამ ისე მივეჩვიე, ახლაც არ მსიამოვნებს სხვასთან სახლში დარჩენა, ან დაძინება.

**– რომ გათხოვდი, თავიდან იმ სახლშიც ხომ არ გაგიჭირდა დარჩენა?**

– ალბათ, იმიტომ მივეჩვიე ადვილად, რომ ჩემი გემოვნებით არის მოწყობილი. თან, სახლში არც ვართ, დილით გავდივართ და გვიან მივდივართ. სიწყნარეა, გიორგია და ასე შემდეგ... სხვათა შორის, მიჩვეული რომ ვარ, ბევრჯერ ტაქსის მძღოლისთვის მითქვამს: დოლიძეზე ავიდეთ-მეთქი. მერე მახსენდება, რომ იქ არ მივდივარ და გზიდან მომიბრუნებია. რა თქმა უნდა, მონატრების გრძნობა მაქვს, ჩემი სახლია, მთელი ბავშვობა იქ მაქვს გატარებული.

**– თქვენი ცეკვები უდიდეს შრომას, ვარჯიშს მოითხოვს. რა იყო თავიდან შენთვის ყველაზე დიდი სირთულე?**

– მსიამოვნებს, როცა ადამიანებს ჰგონიათ, რომ ეს ცეკვები ადვილია. მერე, რომ იწყებენ, ნევროზი ემართებათ. კარგია, რომ მაყურებელს იმხელა სიამოვნებას ვანიჭებთ, რომ ისინი ვერ ხვდებიანი – ჩვენ ამაში რამხელა შრომა გვაქვს ჩადებული. როცა დამწყები ვიყავი, მახსოვს, ძალიან მიჭირდა „რუმბას“ მუსიკაზე ცეკვა. გოგონათა სოლო კატეგორიაში მეორედ გავედი კონკურსზე და მეოთხედფინალში სულ უმუსიკოდ ვიცეკვე. ნახევარფინალიც უმუსიკოდ ვიცეკვე და ბოლოს ფინალში გადავედი. ქალბატონი ლარისა მეუბნებოდა: არ ვიცი, როგორ მოსწონხარ მსაჯებსო. ჩვენს ცეკვებში, როცა უმუსიკოდ ცეკვავ, ავტომატურად ნული გეწერება. ეს ცუდად მახსოვს, ძალიან განვიცადე, რადგან ამ მოგებას არ ვიმსახურებდი. მალე „კავკასიის თასი“ ტარდებოდა და იმდენი ვიმეცადინე, მეორე ადგილზე გავედი, რა თქმა უნდა, უმუსიკოდაც არ მიცეკვია.

**– რამე სიახლე ხომ არ არის მეწყვილესთან დაკავშირებით?**

– რა თქმა უნდა, სერიოზულ, ძლიერ მოცეკვავეს ვეძებ, ასეთებს კი არ უნდათ აქ ჩამოსვლა. აქ ეს სპორტი ისე არ არის განვითარებული. მე, როგორც წესი, არ ვნებდები, ფარხმალს არ ვყრი. შეჯიბრების, თმის ჟელეს სუნიც კი მომენატრა, ასევე, ის ნერვიულობა, სცენაზე გასვლისას რომ გრძნობ. მერე კი ფიქრობ: როგორ იცეკვებ. ეს ყველაფერი ისე მენატრება, „ლომკა“ მაქვს უკვე.

**ნათია უტიაშვილი**

**როგორც მომღერალი ნინა სუბლატი ამბობს, ის ცხოველებზე დამოკიდებული ადამიანია, რადგან, ბავშვობიდან უამრავი ცხოველი და ფრინველი ჰყავდა და დღესაც, მათთან გატარებულ დღეებს დიდი სიყვარულით იხსენებს. სახლში კი, უსაყვარლესი ძაღლი, სახელად აზალია ჰყავს, რომელიც საკმაოდ გათამამებულია მისი პატრონის ხელში. სახლში მისულ სტუმრებს კი ისე ხვდება, თითქოს ნამდვილი მასპინძელია – უხარია, ცქმუტავს, დარბის, გახტება, გელაქუცება და როგორც შეუძლია, ისე გამოხატავს სითბოსა და სიხარულს.**

# რა მსგავსება აღმოაჩინა ნინა სუბლატმა საკუთარ თავსა და რვა თვის კოკერსპანიელს შორის და რატომ არის ის ცხოველებზე დამოკიდებული

**ნინა სუბლატი**: თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ცხოველებზე დამოკიდებული ადამიანი ვარ. ბავშვობიდან, დაახლოვებით ათი ზაზუნა, ათი თუთიყუში, კნუტები და ძაღლები მყავდა. ბოლო დროს, მივხვდი, რომ მათი მოვლისთვის დრო აღარ მრჩება და დღეს, მხოლოდ ერთი უსაყვარლესი კოკერსპანიერი, სახელად აზალია მყავს.

**– საკმაოდ უცნაური სახელი ჰქვია, არ მეთანხმები?**

– ***(იცინის),*** მისი სახელის გაგონებაზე, ყველას ეს რეაქცია აქვს. აზალია ამერიკული ჯიშის კოკერსპანიელია და ეს სახელი მომღერლის, პატივსაცემად დავარქვით. ძალიან პატარა, თეთრი და ფუმფულა იყო ლეკვობისას და ის უცხოელი მომღერალიც, ასეთი თეთრი, ფუმფულა და საყვარელია. მოფერებით კი ზუს, ზას, ზაზუნას, ზუზუკას და რაც ზ-ზე იწყება, ყველაფერს ვეძახი ***(იცინის).*** შვილივით მყავს და ვხუმრობ ხოლმე, ეს ჩემი აყვანილი შვილია-მეთქი. სხვათა შორის, ჩემი სიმღერა არ უყვარს, მაგრამ მოსწონს, როცა ჩემი ქმარი საყვირზე უკრავს. ჯდება და გაფაციცებით უსმენს. ტელევიზორშიც, ვინმე რომ მღერის, ეს უყეფს. დავადგინე, რომ უფრო კლასიკური მუსიკის მოსმენა მოსწონს. ბოლო დროს, აღარ მყავდა ცხოველი სახლში. ამიტომ, ქუჩაში რომ დავდიოდი და ძაღლებს ვხედავდი, ძალიან მინდოდა, მეც მყოლოდა. მაწანწალა ძაღლებს რომ ვხედავდი, გული მიკვდებოდა და სულ ვაჭმევდი. ერთ საღამოსაც, ჩავუჯექი ინტერნეტს, ბევრი ვეძებე და მივაგენი ქალბატონის საიტს, რომელიც კოკერსპანიელების ამ ჯიშს აშენებს. მეორე დღესვე მივედი და სამას ლარად ვიყიდე ერთი თვის ლეკვი. თავიდან ძალიან წყნარი და მშვიდი იყო, სულ ეძინა და ვერ ვაღვიძებდით. მთელი დღე მის გვერდით ვიყავით მე და ჩემი ქმარი, მარტოს არ ვტოვებდით. ორ-სამ თვეში კი, ისე მოშინაურდა და აიწყვიტა, სულ გაგიჟდა.

**– ალბათ, თავიდან იფიქრა, ნაშვილები ვარ, წყნარად მოვიქცევი, თავს შევაყვარებ და მერე გავთამამდებიო.**

– ჰო, ზუსტად, ასე იყო! რომ მიხვდა, მისი მშობლები ნამდვილად ჩვენ ვიყავით, თავი შეგვაყვარა და მერე დაიწყო სახლის ამობრუნება, ტანსაცმლის მოპარვა და ჭამა. ხინკალზე გიჟდება და თუ მაგიდაზე დაინახა, ვერ ვაკავებთ. ახლა რვა თვისაა.

**– პასპორტი თუ აქვს და ვის გვარს ატარებს?**

– პასპორტი, რასაკვირველია, აქვს და ჩემი ქმრის გვარს ატარებს – აზალია შამანაურია. მართლა შვილივით გვყავს. ძალიან მინდა, ჩიხუახუას ჯიშის ძაღლიც მყავდეს, მაგრამ ჯერ ვეძებ და სავარაუდოდ, როცა აზალია დედა გახდება და შვილებს გვაჩუქებს, მაშინ მოვუყვანთ პატარა ჩიხუახუას და მასაც მათთან ერთად გაზრდის.

**– ამბობენ, ცხოველები, თავის პატრონს რაღაცით ემსგავსებიანო. შენსა და აზალიას შორის მსგავსება თუ შეგიმჩნევია?**

– ჩემსავით ენერგიული და ჯიუტია ***(იცინის).*** მე ძალიან ვუყვარვარ, მაგრამ ჩემთან ძალიან თავხედობს. აი, ჩემი მეუღლის თანდასწრებით კი, ცოტა მორიდებულია. სხვათა შორის, თავიდან ვიეჭვიანე, რადგან გიორგის უფრო უჯერებდა, ელაქუცებოდა და ეფერებოდა. მიტირია კიდეც, ამას შენ უფრო უყვარხარ, ვიდრე მე-მეთქი ***(იცინის).*** თავიდან, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს აზალია ცხოველი კი არა ნამდვილი ადამიანი იყო. არც კატაზე იწევდა და არც ძაღლებს იმჩნევდა ქუჩაში. ადამიანებთან კონტაქტი უყვარს და გიჟდება მათთან თამაშზე.



ერთ საღამოსაც, ჩავუჯექი ინტერნეტს, ბევრი ვეძებე და მივაგენი ქალბატონის საიტს, რომელიც კოკერსპანიელების ამ ჯიშს აშენებს. მეორე დღესვე მივედი და ვიყიდე

**– თქვი, რაც წამოიზარდა, ტანსაცმელს ემტერებაო. რა გაგიფუჭა?**

– მარტო რომ ვტოვებთ, თუ ტანსაცმელი მოძებნა და იპოვა, ჭამს. პირიდან ვაცლით ხოლმე „ნასკებს,” ისე უყვარს მათი ჭამა. რამდენიმე გადაყლაპულიც აქვს. თუ სადმე „ნასკი” დაინახა, გონება ეკეტება ***(იცინის).*** მაგარი ქურდბაცაცაა. თუ თვალი მოკრა, სადმე „ნასკი” გდია, ჩუმად ისე მიეპარება და გადაყლაპავს, ვერც მოასწრებ პირიდან გამოგლეჯას.

**– ვიცი, რომ ძალიან გიყვარს ზაზუნები, თუთიყუშები და ისინიც გყავდა. მათი მოვლა არ იყო რთული?**

– ერთი პერიოდი ზაზუნებზე ვიყავი გადარეული და ალბათ, ათი მაინც მყავდა. მათაც უცნაურ, მოკლე სახელებს ვარქმევდი, დასაძახებლად ადვილს, მაგალითად: ჟიჟი, ჟუჟუ, ზიზი, ზუზუ... მაგრამ, სულ მიკვდებოდნენ და მერე გული მწყდებოდა. ჩემმა მეგობარმა მაჩუქა ზღვის გოჭი, ბუბუ დავარქვი, მოფერებით ბუბუკას ვეძახდი. მასთანაც გამოვნახე საერთო ენა. ძალიან ენერგიული და კონტაქტური იყო აზალიასავით. მისი ხმის ინტონაციით ვხვდებოდი, რა უნდოდა და როდის შიოდა. ბოლოს, ისიც ფილტვების ანთებით მომიკვდა. ავად რომ იყო, სიცხეს ვუზომავდი, თან ვყვებოდი, მაგრამ ვერ გადავარჩინე. ზოგადად, მერე გავიგე, რომ თურმე ზღვის გოჭები იშვიათად ავადმყოფობენ და ფილტვების ანთებით კვდებიან ხშირად. მისი სიკვდილი ძალიან განვიცადე. ბევრი თუთიყუშიც მყავდა – ცნობილი მეთუთიყუშე ვიყავი ***(იცინის).*** მათი ჩხუბი უნდა გენახათ. სამი თუთიყუში მყავდა ერთად გალიაში – ერთი მდედრი და ორი მამალი. რომ დაიწყებდნენ მამრები ჩხუბს და ერთმანეთს წიხლებს ურტყამდნენ, გაოცებული ვუყურებდი; არ დახოცონ ერთმანეთი-მეთქი ***(იცინის).*** მერე, ეტყობა, მდედრს მობეზრდა მათი ჩხუბის ყურება და გაფრინდა. უნდა გენახათ, როგორ მოიწყინეს მამრებმა, ყურებჩამოყრილი ისხდნენ. სხვათა შორის, ერთი მათგანი ლაპარაკობდა, თავის სახელს იძახდა: ჩიკო, ჩიკოო. ერთ თუთიყუშს სოკო დაემართა და მასაც ვმკურნალობდი. მერე გავაჩუქე. ცხენიც მიყვარს, მაგრამ ბავშვობაში გადმომაგდო და ვერიდები ***(იცინის).*** პატარა, ფუმფულა, თეთრი სიამის კნუტი მყავდა. სასაცილო ვინმე იყო, პატარა წყლის ჯამი ჰქონდა, ჩადგებოდა შიგ ფეხებით და მერე ამ სველი თათებით მთელ სახლში დახტოდა. ბებია ირეოდა ამაზე და ერთ დღესაც, ადგა და გააჩუქა. მეც ავდექი და ისევ მოვიყვანე ახალი კნუტი, ისიც გამიჩუქა. ზოგადად, ბებიას ცხოველები ძალიან უყვარს, მაგრამ სახლში არა. თუ შანსი აქვს გააჩუქოს, ამ შანსს ხელიდან არ უშვებს. მე ვყიდულობდი და ის სხვებს აძლევდა.

**– ისეთი სიყვარულით საუბრობ ცხოველებსა და ფრინველებზე, სიმართლე გითხრა, მიკვირს, ვეტერინარი რომ არ გამოხვედი.**

– როცა რამე სტკივა ცხოველს, მე ვხდები ცუდად. ამიტომ, ჩემგან კარგი ვეტერინარი ვერ დადგებოდა. საკმაოდ კარგი მომვლელი ვარ და ვერ დავეთანხმები მათ, ვინც ცდილობს, იაფად გამოვიდეს და თავის ცხოველს იაფფასიან საჭმელს აჭმევს, თან ექიმთანაც იშვიათად დაჰყავს ასაცრელად. აზალიას ყველაფერი ძვირად ღირებული აქვს და ამ მხრივ, ნამდვილად ფუფუნებაშია. თუმცა, მავნეა და თავის თავს დააბრალოს. ისეთი ფუმფულა საწოლი ვუყიდეთ და ისე გამოღრღნა, ახლა, მისივე გამოშიგნულ საწოლში სძინავს. სულ ვამბობ, აზალია არაძაღლურია, თავი ადამიანი ჰგონია, ძალიან აფერისტია და ისე გვაცურებს თავისი მეთოდებით, ეს უნდა ნახოთ ***(იცინის).*** არ უყვარს ტელევიზორის ყურება, მაგრამ ერთხელ შევუსწარი, იჯდა და რაღაც რომანტიკულ ფილმს უყურებდა.

**– აზალია გოგოა და ეტყობა, რომანტიკული ფილმებიც ამიტომ უყვარს, არა?**

– საინტერესო იცით, რა არის? აზალია ჰერმაფროდიტია!

**– ბატონო?**

– დიახ, ჰერმაფროდიტია. ძალიან დიდი ბეწვი ჰქონდა და ორი თვის წინ, გადავწყვიტეთ, სალონში წაგვეყვანა და გაგვეკრიჭა. მანამდე, რაიმე საეჭვო არაფერი შეგვინიშნავს და რომ გავკრიჭეთ, მაშინ მივხვდით. წავიყვანეთ ვეტერინარებთან და აღმოჩნდა, ჰერმაფროდიტი. ახლა ვარკვევ, ვინ არის კარგი ექიმი, რომ ოპერაცია გავუკეთოთ. ჯერ პატარაა, მაგრამ მერე აუცილებლად შეაწუხებს ეს მდგომარეობა. ადრე, ავად გვყავდა და ათი დღე საავადმყოფოში დავდიოდით. ის ათი დღე, ნერვიულობისგან არ მიძინია, თავზე ვადექი, გადასხმებს ვუკეთებდით. აზალიას ოპერაციას კი, უკვე აღარ ვიცი, როგორ გადავიტან.

**ნონა დათეშიძე**



# პოულობს თუ არა ქალი ნუგეშს იმ სიურპრიზებში, რომელსაც ცხოვრება სიყვარულში იმედგაცრუების შემდეგ სთავაზობს

**ბანალური ისტორია... გოგოს და ბიჭს ერთმანეთი უყვარდა... მერე კაცმა სხვა მოძებნა. ახლა ის შეუყვარდა და წავიდა... რა არის ამაში გასაოცარი? ასეთი ამბები თითქმის ყოველდღე ხდება ჩვენ გარშემო. მიზეზი კი თითქმის არ არსებობს. უფრო სწორად, ბევრი მიზეზი არსებობს ერთდროულად და ზოგი ამას ბედისწერას ეძახის... თუმცა, ალბათ, აუცილებელია, მეტი ვიმუშაოთ საკუთარ თავზე, რომ არ ვიყოთ დამოკიდებული ვიღაცაზე, ან რაღაცაზე. ადამიანის დამოკიდებულება სერიოზულ პრობლემად იქცევა, თუკი არ მივხვდებით იმას, რომ ზოგი რამ ჩვენს ცხოვრებაში ჩვენსავე სასიკეთოდ ხდება.**

თინიკო *(27 წლის):* მე დიდი ტრავმა გადავიტანე. ზოგჯერ მიკვირს, საიდან აღმომაჩნდა ამხელა ძალა, რომ სტრესსაც მოვერიე და ბედნიერებაც ვიპოვე. ამით იმისი თქმა არ მინდა, რომ ვინმეზე უკეთესი ვარ, განსაკუთრებული და საოცარი. უბრალოდ, მალე მივხვდი, რა არის ცხოვრებაში მთავარი და რა – მეასეხარისხოვანი. იცით, კიდევ რა აღმოვაჩინე? – ქალებმა საკუთარი ფასი არ ვიცით. უმრავლესობა ისე არ ცხოვრობს, როგორც უნდა ცხოვრობდეს. ჩვენვე ვუქმნით ბარიერს საკუთარ თავს. მერე ამას სიყვარულს ან სხვა ადამიანებს ვაბრალებთ.

**– სიყვარული არ არის დამნაშავე ჩვენს ტკივილში?**

– რა თქმა უნდა, არის. მაგრამ, ეს გრძნობაც ხომ ჩვენგან მოდის? ჩვენ ვაძლევთ მას უფლებას, ჩვენ გარშემო მთელი სივრცე ამოავსოს და უზარმაზარი გახდეს. ამიტომ, როცა ჩვენს ცხოვრებაში რაღაც ნეგატიური ხდება, აუცილებლად უნდა ვკითხოთ საკუთარ თავს, ძალიან ხომ არ ვაზვიადებთ? იქნებ უფრო პოზიტივისკენ არის ყველაფერი? ბოლომდე ცუდი ამბავი მხოლოდ ადამიანის სიკვდილი შეიძლება იყოს. დაფიქრდით და გააანალიზეთ ჩემი სიტყვები. არ არსებობს ადამიანი, შვილის გარდა, რა თქმა უნდა, მამრობით სქესს ვგულისხმობ, რომლის გამოც ღირს ტირილი და ცხოვრების გამწარება.

**– როცა გიყვარს, ამ ყველაფერს ვერ განსაზღვრავ. გული არ გაძლევს საშუალებას. გონებას თუ დაუმორჩილებ, მაშინ სიყვარულიც არ იქნება.**

– ვერ დაგეთანხმებით. სიყვარული, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ საკუთარ თავზე მეტად არავინ არ უნდა გიყვარდეს. თუმცა, ვაღიარებ, რომ ყოველთვის ასე არ ვფიქრობდი. ცხოვრებამ მკაცრი გაკვეთილი ჩამიტარა და მწარედ დამარტყმევინა ცხვირი. დამანახვა, რომ ადამიანები ისეთები არ არიან, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება, მოგეჩვენოს. შეყვარებულიც კი არ არის ისეთი, როგორადაც ჩვენ „ვხატავთ“. ურთიერთობას ვაგებთ ილუზიებით და მერე ეს ილუზიები რომ გვენგრევა, დეპრესიაში ვვარდებით. საშინელებაა, როცა საკუთარი თავი გეცოდება. ეს ნამდვილი კოშმარია და ასეთ დროს სხვას, მით უმეტეს, არ სჭირდები. როგორ მოხიბლავს კაცს ქალი, რომელსაც თავი ეცოდება და გლოვობს თავისი ცხოვრების ყოველ წუთს.

**– თქვენ იყავით ამ მდგომარეობაში?**

– ვიყავი და, რომ გამოვიარე ეს ყველაფერი, იმიტომაც გამიჩნდა თქვენთან საუბრის სურვილი. შეყვარებულმა კარის მეზობელთან მიღალატა. შეყვარებულზე ცოტა მეტიც იყო. ქორწილს ვგეგმავდით და უკვე საქორწინო კაბასაც კი ვარჩევდი. ჩემს მეზობელთან განსაკუთრებული მეგობრობა არ მაკავშირებდა. ხანდახან ყავას თუ დავლევდით ერთად და წავიჭორავებდით. მიკა მე გავაცანი. როგორ წარმოვიდგენდი, რომ ჩემს ზურგს უკან რომანს გააბამდნენ. მით უმეტეს, რომ ჩემს ძვირფას მეზობელს იმ პერიოდში სერიოზული სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა თავის ცოლიან შეფთან.

**– სხვის კაცებზე მონადირე ქალია?**

## ქალები ურთიერთობას ვაგებთ ილუზიებით და მერე ეს ილუზიები რომ გვენგრევა, დეპრესიაში ვვარდებით

– ზოგადად, კაცებზე მონადირე ქალი იყო. თუმცა, მე მასზე მაინც არ ვიყავი ცუდი წარმოდგენის. მეც ხომ ქალი ვარ და არასოდეს მოვინდომებ სხვისი უბედურების ხარჯზე საკუთარი ბედნიერების მოწყობას. ოღონდ, რატომ მეგონა, რომ სხვებიც ჩემსავით ფიქრობენ, არ ვიცი.

**– იქნებ იმან დაგამშვიდათ, რომ მას ჰყავდა პარტნიორი და სიფხიზლე ვერ გამოიჩინეთ?**

– შეიძლება, ასეც იყო. ვერ გამოვრიცხავ. თუმცა, როცა კაცი ბუნებით ორგული და უპასუხისმგებლოა, სიფხიზლის გამოჩენა ვეღარ შველის. თუმცა, გული არ მწყდება... ახლა აღარ მწყდება, თორემ იმდენი ვიტირე და ვიგლოვე, კარგა ხანს მეყოფა მიღებული სტრესი. განვიცდიდი ორმაგ ღალატს ადამიანებისას. თუმცა, უფრო ჩემს შეყვარებულზე ვიყავი გაბრაზებული. ქალების უმრავლესობა პირიქით იქცევა. აგრესიას იმ ქალზე ანთხევს, რომელმაც პარტნიორი წაართვა და აპატიებს პარტნიორს, რომელიც უფრო დამნაშავეა.

**– ანუ, იმ მოსაზრებას ეთანხმებით, რომ მესამე არ ანგრევს ოჯახს?**

– არა, არ ვეთანხმები. მაპროვოცირებელი ფაქტორი, რა თქმა უნდა, არის „მესამე“ – ვიღაც სხვა ქალი, მაგრამ კაცს ხომ უნდა ჰქონდეს პასუხისმგებლობა?! დარწმუნებული ვარ, რომ არც ერთმა იცის, რა არის სიყვარული და არც მეორემ. კიდევ, იცით, რაშია მაგათი პრობლემა? – მინახავს ქალებიც და კაცებიც, თავს რომ იმართლებენ, შემიჩნდა და მაღალატებინაო – თორემ თვითონ არ უნდოდა... არ უნდა დაუშვა, რომ შეიძლება პარტნიორის ღალატი – ამაშია საქმე, თორემ თუ ეს ფიქრში „ჩაჯდა“, მერე აუცილებლად გამოჩნდება ის, ვინც ღალატზე რეალურად „წაგიყვანს“. მთავარი პასუხისმგებლობაა იმ ადამიანის წინაშე, რომელიც გიყვარს ან არწმუნებ იმას, რომ გიყვარს. ხვდებით, ხომ, რასაც ვგულისხმობ. ასე ყველას შეგვიძლია, ერთმანეთს გული ვატკინოთ და მერე თავი ვიმართლოთ: რა ვქნა, შემომიჩნდა მაცდურიო... მოკლედ, მე უკვე მიხარია, ეს პიროვნება ჩემი ცხოვრებიდან რომ წავიდა. ბედნიერიც კი ვარ იმით, რადგან მის გვერდით მშვიდად ვერ ვიქნებოდი. ჩემი მეზობელი თუ არა, სხვა იქნებოდა...

**– ანუ, კმაყოფილი ხართ იმით, რომ გიღალატათ და სხვა შეირთო ცოლად?**

– გიკვირთ? დიახ, კმაყოფილი ვარ... ჩემი მეზობელი, სხვათა შორის, თავიდან დამცინოდა: ნეტავი, ეგ არშემდგარი, ექვსასლარიანი „პიჟონი“ რად გინდა, რა ცხოვრება უნდა გქონდეს მაგასთან... ყველაფერი უნდა გენატრებოდეს... მე შემომხედე, ამას ახლა მანქანას ვაყიდინებ, მერე ვინმე უცოლოს და პერსპექტიულს ვნახავ და ცოლადაც გავყვებიო.

**– უცოლო და პერსპექტიული კი თქვენი საქმრო აღმოჩნდა?**

– ასე გამოვიდა. ყოველ შემთხვევაში, ფაქტი სახეზეა. მე მარიგებდა ჭკუას და თვითონ დაუჯდა ცოლად... გამაოგნებელი რაღაც მითხრა მას შემდეგ, რაც უკვე ყველაფერი გაირკვა, ჩემმა საყვარელმა

# როგორ ეძებს 73 წლის მამაკაცი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაკარგული მამის კვალს ნოვოროსიისკში

*73 წლის ავთანდილ პოლიკარპეს ძე კაშია ეძებს მამას, 1910 წელს დაბადებულ პოლიკარპე პარნადის ძე კაშიას.*

**ისტორია**: ვეძებ მამაჩემს, უფრო სწორად, რამე ინფორმაციას მამის შესახებ. მამაჩემი, 1910 წელს დაბადებული პოლიკარპე პარნადის ძე კაშია, მეორე მსოფლიო ომის დროს ჯარში გაიწვიეს და ბოლო ცნობა მისგან რუსეთიდან, კერძოდ კი, ქალაქ ნოვოროსიისკიდან მივიღეთ. მას შემდეგ მამის შესახებ არაფერი გაგვიგია. მამაჩემი არც უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სიაში იყო და არც გარდაცვლილთა სიაში. დაზუსტებით ვიცით, რომ ომში ის არ დაღუპულა, ამიტომ, ძალიან გთხოვთ, გამიწიოთ დახმარება მამის შესახებ რაიმე ინფორმაციის მოძიებაში.

**– საიდან გაიწვიეს მამათქვენი და რატომ გგონიათ, რომ ის უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შორის არ შეიძლება იყოს?**

– მამაჩემი, მეორე მსოფლიო ომში ქალაქ სამტრედიის სამხედრო კომისარიატიდან გაიწვიეს. ომის შემდეგ, ანუ, როდესაც უკვე ყველაფერი დასრულებული იყო, კერძოდ, 1952 წელს, ჩვენმა ოჯახმა მისგან წერილი მიიღო, რომელშიც ის იწერებოდა, რომ დიდი ხანია სამშობლოში არ ყოფილა და მალე აპირებს ჩამოსვლას. წერილი ცხონებულმა დედაჩემმა ქალაქ ნოვოროსიისკის ჩერნომორიის ქუჩა №14-დან მიიღო. წერილში მამა დედას, ასევე, სწერდა: გთხოვთ, მკვდრად არ ჩამთვალოთ, მალე ჩამოვალ სამშობლოშიო. ამ წერილის შემდეგ ჩვენ მის შესახებ აღარაფერი გაგვიგია. მისი კვალი გაქრა, მაგრამ, ვფიქრობ, ამის რეალური მიზეზი არსებობდა. ფაქტია, რომ ის ცოცხალი გადარჩა და ჩამოსვლასაც აპირებდა, მაგრამ, შემდგომ რა მოხდა, უკვე აღარ ვიცით. პირადად ჩემი აზრით, იმ დროს, როდესაც ყველას ძალიან უჭირდა, მამაჩემი ვიღაცას შეეკედლა, ან, შეიძლება, ის მძევლადაც აიყვანა ვინმემ და ამის გამო ვეღარ მოახერხა, ჩვენთვის მოეწერა... ათასი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო. ძალიან მინდა, გავიგო, რა ბედი ეწია მამაჩემს.

**– აქამდე თუ ეძებდით მამას?**

– ყოველთვის მაინტერესებდა, რა მოხდა სინამდვილეში, რა იყო იმის მიზეზი, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მამა აღარ ან ვეღარ დაბრუნდა სამშობლოში, რამ შეუშალა მას ხელი. ბოლო ცნობილ მისამართზე, ანუ, ნოვოროსიისკში რამდენჯერმე გავგზავნეთ წერილი, მაგრამ, უშედეგოდ, პასუხი საერთოდ არ მიგვიღია. სრულიად შემთხვევით წავიკითხე თქვენი ერთ-ერთი სტატია და გადავწყვიტე, დახმარებისთვის თქვენთვის მომემართა. უზომოდ ბედნიერი ვიქნები, თუკი მამის შესახებ რაიმე ინფორმაციას მოვიძიებ. თავად მე 73 წლის ვარ, პენსიონერი. ისე კი პოლიციის თადარიგის პოლკოვნიკი ვარ. ძალიან კარგ და სასიკეთო საქმიანობას ეწევით და ღმერთმა ხელი მოგიმართოთ ყველა თქვენს ისტორიასთან დაკავშირებით. ძალიან მიხარია, როდესაც ვკითხულობ, თუ რამდენ ადამიანს დაეხმარეთ ერთმანეთის პოვნაში. იმედი მაქვს, თქვენი დახმარებით მეც რამეს გავარკვევ. საწყალი დედაჩემი მთელი სიცოცხლე ელოდა მამაჩემის ჩამოსვლას. ის ამქვეყნიდან ისე წავიდა, რომ მეუღლის შესახებ სინამდვილე ვერ გაარკვია.

**– კვლავ დაკარგულს დაუბრუნდეთ: რაიმე საბუთი ხომ არ მოგიძიებიათ, რომლის მიხედვითაც მამათქვენი გარდაცვლილად ფიქსირდება?**

– ნამდვილად არ მაქვს ასეთი ინფორმაცია; ჩვენ მიერ არაერთგზის გაგზავნილი განაცხადი სულ პასუხგაუცემელი რჩებოდა. ის ფაქტი კი, რომ ის დედას ჩამოსვლაზე სწერდა და აპირებდა კიდევაც სამშობლოში დაბრუნებას, მოსვენებას არ მაძლევს. მინდა, გავიგო, რა მოხდა სინამდვილეში. ვიცი, რომ თქვენ გყავთ ნებაყოფლობითი დამხმარეები სხვადასხვა ქვეყანაში. იმედია, მათ შორის იქნებიან ისეთებიც, ვინც ომის დროს ან შემდგომ წლებში დაკარგულ ადამიანთა ძებნით არიან დაკავებულნი და, შეიძლება, მათ ჰქონდეთ საბუთების რაღაც რესურსი; ან, იქნებ, მათ შეძლონ და დაგვეხმარონ სიმართლის დადგენაში.

**თუ გაქვთ რამე ინფორმაცია ამ ისტორიასთან დაკავშირებით ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.**

**ნატალია მახარაშვილი**

## როგორ მოიხიბლავს კაცს ქალი, რომელსაც თავი ეცოდება და გლოვობს თავისი ცხოვრების ყოველ წუთს

ახალი „ნაშა“ გაიჩინა, აღარც მანქანა მიყიდა, აღარც ევროპაში წამიყვანა და ამის გამო დეპრესია მქონდა, შენმა შეყვარებულმა კი თვითონ შემომთავაზა, დავემშვიდებინეო. ხომ მაგარი ლოგიკაა? ჩემი ბრალიც არის. ენერვიულა და ყოფილიყო, რაში მანაღვლებდა მისი დეპრესია? რატომ შევთავაზე, წამოსულიყო ჩვენთან ერთად კაფეში ან კინოში? რატომ დავაპატიჟინე ჩემს სულელ შეყვარებულს, რა ძალა მადგა? თუმცა, აღარ ღირს ამაზე ლაპარაკი. რაც მოხდა, ჩემს სასიკეთოდ მოხდა. ამიტომაც გიყვებით ამ ყველაფერს. მინდა, ჩემს მდგომარეობაში მყოფი სხვა ქალები ცოტა „შევაჯანჯღალო“. ვინც არ გაფასებთ, მოიშორეთ თქვენი ცხოვრებიდან და აღარასოდეს იფიქროთ მასზე. სასაცილო, იცით, რა არის? ჩემი მეზობელი თავიდან იყო მესამე და ზედმეტი. ერთ თვეში კი როლები შეიცვალა და მე გავხდი მესამე, ზედმეტი. იმ ნაგლმა, ჩემმა მეზობელმა თვითონვე მომიყვა, როგორ შეუყვარდათ ერთმანეთი ერთბაშად და მოულოდნელად. საკუთარი თავის გამიკვირდა, როგორ არ გავგლიჯე, როცა შეწუხებული სახით და დამნაშავის ღიმილით მეუბნებოდა: მაპატიე, რაც მოხდა, სრულიად მოულოდნელი იყო, მე ეს არ მინდოდაო... იცით, რომ ქორწილშიც დამპატიჟეს? ამაზე მეტი ცინიზმი გინახავთ?

**– თქვენ მას კიდევ ეკონტაქტებით?**

– როგორ გგონიათ, დავეკონტაქტები ან ერთს, ან მეორეს? რა სისულელეა! ასეთი უთავმოყვარეო ნამდვილად არ ვარ. თვითონ არ დამანება თავი... შენ კიდევ იპოვი ადამიანს, ვისთან ერთადაც ბედნიერი იქნებიო, – გულმოწყალედ დამმოძღვრა. ნიშნობა რომ იზეიმეს, სკამები ჩემგან ითხოვეს... მაგრამ არა უშავს... მე ღმერთი დამეხმარა და ისეთი ნუგეში გამომიგზავნა – მალე ქორწილი მექნება და საცხოვრებლად ევროპაში წავალ.

**– უცხოელზე თხოვდებით?**

– არა, ქართველია. უბრალოდ, დიდი ხანია, აქედან წასულია და იქ ცხოვრობს. რაც შეეხებათ ამათ, მე ვხვდები, რომ ერთად დიდი დრო არ უწერიათ. იმიტომ არა, რომ ვწყევლი და ცუდს ვუსურვებ – უბრალოდ, სხვის უბედურებაზე პირადის მოწყობა არ გამოდის. დარწმუნებული ვარ, იმ ქალბატონმა საზიზღრობები ელაპარაკა ჩემზე... სხვანაირად არ შეიძლებოდა, ყოფილიყო. მაგრამ, მე უკვე აღარ მაინტერესებს ეს ყველაფერი. თურმე, მერჩივნა, რომ დამეკარგა, თუკი ცხოვრება ასეთ საოცარ სიურპრიზს მომიწყობდა.

**დალი მიქელაძე**

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**ყველა მამაკაცი მოღალატეა, თუ მარტო მე მხვდებიან ასეთები?! პირველ შეყვარებულს იმიტომ დავშორდი, რომ ჩემს მეგობართან გააბა რომანი. რა თქმა უნდა, ორივე სასწრაფოდ წავშალე ჩემი ცხოვრებიდან. ორი წელია, გავთხოვდი სხვა მამაკაცზე და მგონი, ახლა ჩემი ძვირფასი მეუღლის წაშლაც მომიწევს. ვატყობ, რაღაცას მატყუებს და თვალში ნაცარს მაყრის. ახლა ვფიქრობ, როგორ მოვიქცე: დაველაპარაკო და ერთი შანსი მივცე, თუ პირდაპირ სკანდალი მოვუწყო და მოვიშორო. თქვენ რას მირჩევთ?**

**გამოხმაურება:** გირჩევთ, რომ აუცილებლად დამშვიდდეთ. შესაძლოა, წარსულში გადატანილმა ტკივილმა და იმედგაცრუებამ ზედმეტად ფრთხილი გაგხადათ. აუცილებლად უნდა დაელაპარაკოთ, ძალიან მშვიდად და ფრთხილად. ერთი შანსი კი ყოველთვის ყველას უნდა მისცეთ.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

**მოსკოვში მცხოვრები ნიჭიერი ფოტოგრაფი და დიზაინერი მარია მათურელი ქართველია, ქართული წარმომავლობითა და ხასიათით. მისი წარმატებული ბრენდის, MATURELLI-ს ისტორიაც, შეიძლება ითქვას, საქართველოში დაიწყო. აქ შეიქმნა მისი პირველი კოლექციაც. დღეს მარიას ულამაზეს სამოსს, რომლითაც ნებისმიერი ასაკის მანდილოსანია აღფრთოვანებული, ძალიან ბევრი ვარსკვლავი იცვამს და მისი კაბები დღითი დღე კიდევ უფრო წარმატებული და პოპულარული ხდება.**

# როგორ დაშოკა მოსკოვში მარია მათურელის ფოტოებმა ყველა და როგორ გახდა ძალიან მცირე დროში მისი ქართული ბრენდი – MATURELLI პოპულარული

**მარია მათურელი**: საქართველოში დავიბადე, მთიული ვარ. შემდეგ ოჯახი რუსეთში გადავიდა საცხოვრებლად. დიდი ხანია, არ ჩამოვსულავარ საქართველოში და ძალიან მენატრებოდა. ერთხელ, გადავწყვიტე, მთელი ზაფხული საქართველოში გამეტარებინა. რა თქმა უნდა, ბევრი რამ მახსოვდა ბავშვობიდან, კარგი მოგონებები მქონდა, მაგრამ, უკვე ზრდასრულ ასაკში უფრო მეტად მაინტერესებდა გარემო, ხალხის ფსიქოლოგია; მინდოდა გამეგო და მეგრძნო უფრო მეტი. საბოლოოდ, სამშობლოში ჩემი ჩამოსვლა კარგად აისახა ჩემს მომავალ ცხოვრებაზე, შემოქმედებაზე და, ბოლო სამი წელია, ყველაფერი შეიცვალა. თბილისში ჩამოსული მოვიხიბლე ბუნებით, სამზარეულოთი; კიდევ ერთხელ ვიგრძენი, რომ ეს ჩემი მშობლიური გარემოა. თუ მანამდე ძირითადად ფოტოგრაფია იყო ჩემი საქმიანობა, მეორე პროფესიამ, ანუ დიზაინერობამ, უკვე თავად მიპოვა საქართველოში სამი-ოთხი თვის განმავლობაში, თითქმის ყოველდღე ვიღებდი ფოტოებს. ვთანამშრომლობდი ნინო ცქიტიშვილის სამოდელო სააგენტოსთან, რომელიც, მიმაჩნია, რომ თბილისში საუკეთესოა.








**– როგორ დაიწყე მუშაობა როგორც დიზაინერმა?**

– საქართველოში რომ ჩამოვედი, ყველაფერმა აღმაფრთოვანა, ინსპირაცია მომცა, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, მაშინ არც მიფიქრია, რომ ბიზნესში წავიდოდი. თუმცა, ახლაც არ მგონია, რომ ბიზნესი ჩემი ცხოვრების წესია, რადგან, მუდმივად შემოქმედებით სამყაროში ვცხოვრობ, ყოველდღე ვხატავ ესკიზებს, ვაკეთებ მოდელებს. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, ძალიან ბევრ ფოტოს ვიღებდი. რაღაც მომენტში მივხვდი, რომ, მინდოდა, მენახა ის სურათი, რომელიც ჩემს გონებაში არსებობდა და გადავწყვიტე, შემექმნა. ვიყიდე ქსოვილი და თავად დავიწყე კერვა, რაც დედამ ბავშვობაში მასწავლა. ამ დროს ჩემთვის მთავარი იყო, გადმომეცა სურათის განწყობა და ხასიათი; უკვე მქონდა წარმოდგენილი, როგორი იქნებოდა ის ფოტოზე. საკმაოდ ბევრი კაბა და ქვედაბოლო შევკერე ფოტოებისთვის და შემდეგ ჩამოვიტანე მოსკოვში. აქ ბევრი ჩემი კოლეგა, სტილისტები და ხელოვანები დაინტერესდნენ. ბევრი ფოტო ჟურნალმა წაიღო. საქართველოში ისეთ ლამაზ ადგილებში გადავიღეთ, რომ მოსკოვში ყველა დავშოკე. კაბებმა, კოსტიუმებმა ძალიან დიდი მოწონება დაიმსახურა. მეგობრები მეკითხებოდნენ, შეიძლება ვიყიდოთო? რა თქმა უნდა, მათ ვაჩუქე და, როცა ისინი ღონისძიებებზე ან ფილმის პრემიერაზე მიდიოდნენ, ამ კაბებში გამოწყობილები პოზირებდნენ ფოტოგრაფების წინაშე და უკვე ჟურნალებშიც გამოჩნდა ჩემი კოსტიუმების ფოტოები, ყველა მათ შესახებ ლაპარაკობდა, მაგრამ, ისე მივედი აქამდე, არც მიფიქრია. შემდეგ დავიწყე ფიქრი, რომ გამეკეთებინა ისეთი კოლექცია, როგორიც მე მინდოდა: თითოეული კაბა ყოფილიყო ექსკლუზიური, მისი ფასი კი – ხელმისაწვდომი ახალგაზრებისთვის. ყველა ბიზნესს უნდა ჰქონდეს თავისი „ფიშკა,“ ჩემი ბრენდისთვის კი ეს „ფიშკა“ არის ის, რომ თითოეული კაბა ექსკლუზიურია, მხოლოდ ერთია, რადგან, მიმაჩნია, რომ ყველა გოგონას შეუძლია, იყოს განსაკუთრებული და სხვებისგან გამორჩეული. ასე რომ, როდესაც ჩემმა კაბებმა ასეთი მოწონება დაიმსახურა, ისევ დავბრუნდი საქართველოში და შევქმენი 28 განსხვავებული, ინდივიდუალური კოსტიუმი, რომლებიც საერთოდ არ ჰგავდა ერთმანეთს და იყო ძალიან დახვეწილი, ნაზი და ქალური. ამის შემდეგ გავაკეთე ფოტოსესია ძველი თბილისის უბნებში. კოლექცია ჩამოვიტანე მოსკოვში – მაინტერესებდა, როგორ მიიღებდა მას ხალხი. ჩამოვედი თუ არა, მოსკოვის ერთ-ერთი ძალიან მოდური რესტორნიდან მივიღე შემოთავაზება – გამეკეთებინა ჩვენება. ძალიან ბევრი ხალხი მოვიდა, თუმცა, კოლექცია არ იყო დიდი. ეს ჩვენება უფრო ჩემს მეგობრებზე იყო გათვლილი, რომელთა შორის ბევრი ვარსკვლავია: მომღერლები, მსახიობები, ჩემი ახლობლები. დახურული საღამო იყო. ისე კარგად ჩაიარა, რომ მაშინვე 200 მოდელი გამოვუშვით. თითქმის ნახევარ წელიწადში გავაკეთეთ ახალი კოლექცია და მეორე ჩვენება უკვე პრესტიჟულ ადგილას მოვაწყვე, უფრო მეტი ხალხით, ხუთი არხი იყო მოსული, ჟურნალები, გაზეთები, ბლოგერები, სტილისტები, ფოტოგრაფები. ამ ჩვენების შემდეგ გადასაღებად წავედი პარიზში და თან წავიღე ჩემი ახალი კოლექცია. ისინი ჩემი მომავალი კოლექციის საიმიჯო ფოტოები გახდა და მათი გამოფენა-ჩვენებაც მოვაწყვეთ, სადაც წარვადგინე კოლექცია „პარიზი“, რამაც ფურორი მოახდინა და მეც დღემდე ვამბობ, რომ ეს იყო ჩემი საუკეთესო ჩვენება. ჩვენებაში მონაწილეობდნენ „მის რუსეთი“, „მის მოსკოვი“, ანუ, ყველა ცნობილი მოდელი. ძალიან ბევრი ტელევიზია იყო, 25-მდე ჟურნალი, ბლოგერები, ბაიერები, ვარსკვლავები... ყველაფერი უმაღლეს დონეზე იყო და სტუმრები აღფრთოვანებულები დარჩნენ. ჩვენებამდე სერიოზულად მოვემზადეთ, ინტენსიური ურთიერთობა გვქონდა პრესასთან, ვარსკვლავებთან, ფოტოგრაფებთან; ამიტომ, ყველას დიდი მოლოდინი ჰქონდა. პრეზენტაციის შემდეგ კი ყველა მადლობას მეუბნებოდა, სიყვარულში მიტყდებოდნენ, მეუბნებოდნენ, რომ ეს არის მიწიერი სილამაზე. მთელი კვირის განმავლობაში დილიდან რეკავდა ტელეფონი პაუზის გარეშე, მეკითხებოდნენ, სად შეიძლებოდა კოლექციის ნახვა, ყიდვა; ჩემი პუბლიკის წინ მე ვიყავი გულწრფელი; ვეცადე, მათთვის მეჩვენებინა ჩემი შინაგანი სამყარო, ჩემი ემოციები და მათ ეს ყველაფერი დაინახეს და შეიგრძნეს.

**– საოცარია შენი კაბები: ულამაზესი სილუეტი, დახვეწილი, ქალური, ნაზი, ჰაეროვანი, ამავდროულად, სექსუალური, ფერადი – არ მეგულება ნებისმიერი ასაკის ქალი, რომელსაც ამ კაბების ჩაცმა არ მოუნდება. ქსოვილებიც არაჩვეულებრივია.**

– დიდი მადლობა. ჩემთვის ჩემი მომხმარებლის აზრი ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ისინი ხშირად მეუბნებიან, რომ ჩემი კაბები ყველაზე ქალურია. კოკო შანელი ამბობდა, ქალი ყოველთვის უნდა იყოს ელეგანტური და ქალურიო. მეც ვფიქრობ, რომ ქალი, უპირველეს ყოვლისა, ნაზი არსებაა და უნდა გამოიყურებოდეს ნაზად, ქალურად, ჰაეროვნად. დღემდე მომდის წერილები, სადაც მწერენ: „მადლობა, რომ ასეთ ლამაზ სამოსს ქმნით”. აბსოლუტურად, ყველა გოგონა, რომელიც იცვამს ჩემს კაბას ქორწილში ან წვეულებაზე, მეუბნება: როცა შენს კაბას ვიცვამთ, „все подходят“. ცოტა ხნის წინ იყო Hello-ს პრემია – „ყველაზე მოდური ადამიანი“ და ის მიიღო მსახიობმა, რომელიც ჩემი კაბით იყო მისული. მომწერა კიდეც: მადლობა, მაშა, ასეთი მშვენიერი კაბისთვის; ყველა ჟურნალისტი ამის შესახებ მეკითხებოდაო.

**– მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანი არ არის, რაც შენი ბრენდი – „მათურელი“ არსებობს, ის ძალიან წარმატებულია, მას ბევრი ცნობილი ადამიანი იცვამს და მალე გახდა პოპულარული.**

– თავიდან ამაზე არც მიფიქრია. უბრალოდ, მივხვდი, რომ უნდა მეკეთებინა სილამაზე და ის ადამიანებამდე მიმეტანა. დღემდე ამაზე ვმუშაობ, ვაკეთებ კოლექციებს, ვიღებ ფოტოებს და მიხარია, რომ ხალხს ეს მოსწონს. ვაკეთებ ინტერნეტ-მაღაზიას, რომ ხალხისთვის ხელმისაწვდომი იყოს ჩვენი სამოსი. უკვე გავხსენით მაღაზია მოსკოვის ცენტრში, თუმცა, მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში ვგზავნით ჩვენს სამოსს. ცოტა ხნის წინ მსახიობი მარინა ორლოვა გაემგზავრა „ჰოლივუდში“, სადაც ფილმში იღებენ და ლოს-ანჯელესში ჟურნალებისა და პუბლიკაციებისთვის ჩემი კაბით პოზირებდა. მომდევნო წელს ვგეგმავთ, „ოსკარებზე“ ერთ-ერთ ვარსკვლავს ეცვას ჩვენი კაბა.

**– ანუ, შეიძლება, ვინმეს ეცვას „ოსკარებზე“ შენი კაბა?**

– „შეიძლება“ არა, აუცილებლად ეცმევა. თუმცა, ვის ეცმევა, ეს ჯერ საიდუმლოა, ამას თავად ნახავთ. მოსკოვში კინოპრემიაზე золотой орёл მსახიობ ანა ჩურინას ეცვა ჩემი კაბა და ის შევიდა золотой орёл-ის საუკეთესო ჩაცმულობაში. ჩვენი კაბა ეცვა, ასევე, „ახალ ტალღაზე“ მომღერალ ნიუშას;

**კოლექცია „პარიზმა” ფურორი მოახდინა და მეც დღემდე ვამბობ, რომ ეს იყო ჩემი საუკეთესო ჩვენება, სერიოზული კოლექცია. ჩვენებაში მონაწილეობდნენ „მის რუსეთი“, „მის მოსკოვი“ და ყველა ცნობილი მოდელი**

„მათურელის“ სამოსი ხშირად იბეჭდება ცნობილ ჟურნალებში – Hello და Ok. მეც ხშირად ვაძლევ ინტერვიუებს ჟურნალებს, ბლოგებს, ინტერნეტ-საიტებს. ცოტა ხნის წინ „კომედი კლაბშიც“ ვიყავი, ჩემზეც იხუმრეს კარგად. სადაც არ უნდა წავიდე, ვისთანაც არ უნდა ვისაუბრო, ყოველთვის ხაზს ვუსვამ იმას, რომ „მათურელი“ ქართული ბრენდია; რომ მე ქართველი დიზაინერი ვარ და საქართველოში დავიბადე. დღემდე ჩემი შთაგონების, ინსპირაციის წყარო საქართველოა, ქართული ბუნება და კულტურაა, ამიტომაც, ყოველ წელს ჩამოვდივარ და ვცდილობ, ბევრი დადებითი ენერგიით დავიმუხტო და ინსპირაცია მივიღო.

**ნათია უტიაშვილი**

**გიორგი ქადარია უკვე რამდენიმე წელია, ბელგიაში, ქალაქ ანტვერპენში ცხოვრობს, მშვენიერ მეუღლესთან და 3 წლის ძალიან საყვარელ შვილთან ერთად. გიორგი პროფესიით დრამის მსახიობია, თბილისიდან წასვლამდე ის საქართველოში სხვადასხვა სპექტაკლში, სარეკლამო რგოლებსა და სერიალებში თამაშობდა. დღეს ის ცნობილი კლუბების დიჯეია და არც მეტი არც ნაკლები Armani Jeans-ის ყველაზე დიდი მაღაზიის მენეჯერია.**

# ვინ არის გიორგი ქადარია, რომელსაც წლების წინ ქულიომ „რეპის მეფე“ უწოდა, ამავე დროს მსოფლიოში ცნობილ კლუბებში დიჯეობს და Armani Jeans-ის ნომერ პირველი მაღაზიის მენეჯერია

**გიორგი ქადარია**: წლების წინ, თბილისში ვაბარებდი თეატრალურ უნივერსიტეტში დრამის ფაკულტეტზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოვხვდი და გადავწყვიტე, სწავლა პანტომიმაზე გამეგრძელებინა. თითქმის ორწელიწად-ნახევარი ვისწავლე, სპექტაკლებშიც ვმონაწილეობდი, მაგრამ მაინც მინდოდა დრამის ფაკულტეტეზე გადასვლა, განსაკუთრებით, ლილი იოსელიანის ჯგუფში. როდესაც ქალბატონ ლილისთან გასაუბრების შემდეგ გამოვედი, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მიმიღო და საბოლოოდ, თეატრალური უნივერსიტეტი დავამთავრე. ვთამაშობდი სხვადასხვა სპექტაკლში, ასევე იყო სერიალები, რეკლამები. ყოველ შემთხვევაში, გარკვეული წარმატებები მქონდა. თან, იმავდროულად, დიჯეიც ვიყავი, ვუკრავდი თბილისის სხვადასხვა კლუბში და ამ მხრივაც იყო გარკვეული წარმატებები. მაგრამ, იმდენად ახლოს ჩანდა ჰორიზონტი, მისკენ მიმავალი გზა კი ისე მოკლე, რომ გადავწყვიტე, ეს გზა უფრო დამეგრძელებინა და წავედი თურქეთში სამუშაოდ. სწორედ თურქეთში გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე და იქ დაიწყო ჩვენი, თანამედროვე რომეოსა და ჯულიეტას სასიყვარულო ისტორია. რამდენჯერმე თურქეთში შევხვდით ერთმანეთს, შემდეგ უკრაინაში, ბოლოს საქართველოშიც ჩამოვიდა. ამის შემდეგ, უკვე სერიოზულად დაიწყო ყველაფერი. გავაცანი საქართველო, ოჯახი, მეგობრები და საბოლოოდ, ისე წავიდა საქმე, გადავწყვიტე, მეც ბელგიაში გადავსულიყავი საცხოვრებლად. რადგან ოჯახზე ჩამოვარდა საუბარი, არ შემიძლია, არ აღვნიშნო დედაჩემის – ლალისა და ჩემი დის – სალოს უმნიშვნელოვანესი წვლილი ჩემს აღზრდაში, ჩამოყალიბებასა და მხარდაჭერაში. ყოველთვის ვგრძნობდი, როგორ იყო გაჟღენთილი ჩემი ცხოვრება მათგან მიღებული სიყვარულით და თუ დღეს რამე კარგი ვიცი და შემიძლია, ეს მათი დამსახურებაა. მინდა, მოვუბოდიშო, რომ მათგან ასე შორს ვარ... რაც შეეხება ჩემს მეუღლეს, ის წარმოშობით დომინიკის რესპუბლიკიდანაა, ეგრეთ წოდებული, მულატკა. ჩემი საოცნებო ქალია, ისეთი, ბავშვობიდან რომ ვოცნებობდი. როგორიც ჩემს წარმოსახვაში მუდმივად იყო და მიხარია, რომ შევხვდით ერთმანეთს. შარშან საქართველოში ჩემი მეუღლეც და შვილიც მართლმადიდებლად მოინათლნენ: მარლი-ილია ქადარია – ასე ჰქვია ჩემს შვილს. მარლი – ბობ მარლი და ილია – ილია მართალი. მინდა, ჩემი შვილი ილია მართალივით მართალი ადამიანი იყოს. სხვათა შორის, მთელი ცხოვრება განსხვავებული ტიპაჟი ვიყავი, არ ვგავდი სხვებს არც ჩაცმის სტილით, არც ვარცხნილობით და არც მისწრაფებებით. ეს, რა თქმა უნდა, იმ დროს გარკვეულ სირთულეებს ქმნიდა. მსგავსი რალაცეები ხშირად მაღიზიანებდა და გარკვეულ პროტესტის გრძნობას იწვევდა. იმ დროს დავიწყე რეპის წერა, როგორც მუსიკის, ასევე ტექსტის. ერთ დღეს თბილისში ქულიო ჩამოვიდა. რამდენიმე ხნით ადრე გავიგე მისი ჩამოსვლის შესახებ. რა თქმა უნდა, ძალიან მინდოდა კონცერტზე წასვლა, მაგრამ საკმაოდ ძვირი ღირდა ბილეთი. მახსოვს, ჩემთვის ბავშურად ვლოცულობდი: მის კონცერტზე მოვხვდე-მეთქი. რამდენიმე საათი იყო კონცერტამდე დარჩენილი, წავედი ფილარმონიაში. იმდენი ხალხი იყო, დაცვა, შესვლის შანსი არ არსებობდა. უცებ დავინახე დათო ფორჩხიძე – მას კარგად ვიცნობდი. მანაც დამინახა, მკითხა: აქ რას აკეთებო. შესვლა მინდა და ბილეთი არ მაქვს-მეთქი. ცოტა ხანში გამოვიდა და ბილეთი მომიტანა, უფრო სწორად, მოსაწვევი: აი, ეს შენ ჩემგანო. კონცერტის დროს ქულიომ გამოაცხდა: ვის უნდა სცენაზე ამოვიდეს და გარეპოსო. კაბუ ავიდა, ერთი ბიჭი და მეც ავწიე ამ დროს ხელი. დამინახა და ამიყვანა სცენაზე. საბოლოოდ, მე დავრჩი და ქულიომ გამოაცხადა: შენ რეპის მეფე ხარო. ტელევიზიებთანაც კი გააკეთა ჩემ შესახებ კომენტარი. მოკლედ, მთელი კონცერტი მეც სცენაზე ვიდექი. ბოლო სიმღერაზე მითხრა: ახლა კულისებში გადი, რომ დამთავრდება კონცერტი ჩემთან ერთად წამოდი სასტუმრო „მეტეხში“. მაგრამ, დაცვამ აღარ გამიშვა და ვერ გავყევი სასტუმროში.



**პირადად ჩემი უფროსი Armani Jeans-ის მსოფლიო მენეჯერია. სხვა მაღაზიებში ასე არ ხდება, ანუ სხვადასხვა საფეხურია და სხვადასხვა მენეჯერს უკავია თითოეული ადგილი**

**– ახლა, ბელგიის თემას დავუბრუნდეთ. როგორ განვითარდა იქ შენი კარიერა?**

– ჩამოვედი ბელგიაში, კერძოდ ანტვერპენში და საკმაოდ მალე დავიწყე მუშაობა იტალიური ტანსაცმლის მაღაზიაში Replay. მალევე დამაწინაურეს და გავხდი განყოფილების უფროსი. დაახლოებით წელიწად-ნახევრის განმავლობაში ვმუშაობდი. შემდეგ, სამწუხაროდ, მაღაზია დაკეტეს. მერე მუშაობა დავიწყე მაღაზია Your Premim Store-ში, რომელიც We're Magazine-მა მსოფლიოში 2013 წლის საუკეთესო მაღაზიად დაასახელა. თუმცა, მე რომ იქ დაივიწყე მუშაობა, სწორედ მაშინ გაიხსნა და შესაბამისად, მის გახსნაში, ამუშავებაში მთლიანად ვიყავი ჩართული. ეს იყო ერთი დიდი მაღაზია, სადაც თითქმის ყველა ბრენდის პროდუქცია იყიდებოდა. მთელ მსოფლიოში აქვთ თავისი ქსელი და აქ იყიდება არა მხოლოდ სამოსი, არამედ მანქანები, ჭალები, მოკლედ, ყველაფერი. ამ მაღაზიისთვის პარიზში დავდიოდი საყიდლებზე, ახალი კოლექციები ჩამომქონდა, მთლიანად საქმეებში ვიყავი ჩართული. მაღაზიას ჰყავდა მეპატრონე, ერთი მენეჯერი და შემდეგ უკვე მე ვიყავი. შესაბამისად, ძალიან ბევრი საქმე მქონდა, ბევრი ყურადღება სჭირდებოდა. იმ დროს ბავშვი მყავდა, თან საღამოობით ვდიჯეობდი, ამიტომ რთული იყო ეს ყველაფერი ჩემთვის. კარგად მახსოვს, ჩემი შვილი რომ დაიბადა, იმ დღეს ანტვერპენის დიჯეების კონკურსის ფინალისტი ვიყავი, რომელიც მთელი ბელგიის მასშტაბით ტარდებოდა. პირდაპირ სამშობიაროდან წავედი დასაკრავად კლუბში, სამწუხაროდ, მაშინ მესამე ადგილზე გავედი, რადგან ძალიან გამოფიტული ვიყავი ემოციურად. იმ კლუბში მერე ბევრჯერ დავუკარი. მოკლედ, იმ პერიოდში დიჯეობის საქმე ძალიან კარგად მიდიოდა, კვირაში სამი-ოთხი დღე ვუკრავდი კლუბებში. დილით სამსახური, ღამე დიჯეობა, ბავშვი, ოჯახი... ამიტომ მაღაზიაში მუშაობას თავი დავანებე.

**– როგორც ვიცი, ამ ხნის განმავლობაში ძალიან ცნობილ კლუბებში უკრავდი, ისეთებში, როგორიც არის Pacha, Ministry of sound.**

– ანტვერპენშიც ვუკრავდი კლუბებში, ასევე დამიკრავს ლონდონში „პაჩაში“ და კიდევ ბევრგან. ბელგიაში ამ მხრივ გარკვეულ წარმატებას მივაღწიე – დავუკარი Pacha-ში, Ministry of sound-ში, ვუკრავ კერძო ფართებზე და ნოემბერში კი ჟენევაში ვარ მიწვეული, დიდ ივენთზე, როგორც მთავარი სტუმარი დიჯეი. შარშან „კორონა“ ატარებდა დიჯეების კონკურსს რეგიონული მასშტაბით. მე ამირჩიეს ბელგიიდან და უნდა წავსულიყავი იბიცაზე „პაჩა იბიცაზე“ . სამწუხაროდ, გვიან დამიკავშირდნენ და ზუსტად იმ დღეს, ანუ შაბათს „ლონდონის პაჩაში“ უნდა დამეკრა. შესაბამისად, ორივეგან წასვლას ვერ მოვახერხებდი. ლონდონის პაჩას ვერ მივატოვებდი, რადგან იქ სახელით მივედი და კონკურსის გამო, იმედებს ვერ გავუცრუვებდი მათ. უარი ვთქვი იბიცაზე და წავედი ლონდონში. ზოგადად, კლუბში ასე ხდება: ჯერ არის გახსნა, შემდეგ გახურება, შემდეგ უკრავს სტუმარი დიჯეი და მერე დახურვა. ანუ, ამის მიხედვით იცვლებიან დიჯეები. მე ძირითადად მთავარი სტუმრის მოსვლამდე ვუკრავ, ანუ გახურების დროს.



**– შენ ქმნი კლუბებში ამინდსა და განწყობას.**

– ისეთ ამინდს ვქმნი, ცნობილი დიჯეი რომ უკრავს, მე მეუბნებიან: მიდი, რა ისევ შენ დაუკარიო. ლონდონში ისე კარგად წავიდა ამ მხრივ საქმეები, რომ იქ გადავცხოვრდი. ჩემი მეუღლე

**(გაგრძელება 31-ე გვერდზე)**

**ადამიანი ბუნებით მეცნიერია, მან იცის თითქმის ყველაფერი, რაც უნდა იცოდეს. ყველაზე დიდი ცოდვა კი შიშია, ყველაზე დიდი შეცდომა – უიმედობა, ყველაზე დიდი სისუსტე – სიძულვილი, ყველაზე დიდი სიმდიდრე – ჯანმრთელობა, ყველაზე დიდი ჯილდო – სიყვარული, ყველაზე საშიში კაცი კი – მატყუარა. ამ საკითხების შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი).**

# როდის ვარდება ადამიანი ორმაგ ცოდვაში და როგორ მოჰყავს მას მაცდური აზრები ქმედებაში

**– ხშირად, როდესაც ადამიანები ცოდვას ჩავდივართ ან რამეს არასწორად ვაკეთებთ, მიზეზად არცოდნას ვიშველიებთ. შეიძლება, ვიღაცამ ისიც თქვას: არცოდნა არცოდვააო, თუმცა, ვფიქრობ, ეს არასწორია.**

– თუ ადამიანი ხარ, მოაზროვნე არსება, არ შეიძლება, თქვა, ეს უმეცრებით ჩავიდინე, არ ვიცოდიო. შეიძლება, იყო გარკვეული პერიოდი, როცა ბევრი რამ არ იცოდი, მაგრამ, ახლა როგორ შეიძლება, არ იცოდე – რა არის ცოდვა, მადლი, განკითხვა, რა არის კარგი და რა ცუდი?! თუ არ იცოდი, მაშინ, სად იყო შენი სინდისი? ღმერთმა არ მოგცა სინდისის გრძნობა? რა თქმა უნდა, მოგცა, მაგრამ, დიდი ხანია, სინდისი დამალულია. ამიტომაც ვაცხადებთ: მე ეს არ ვიცოდი და ამიტომ ჩავიდინეო. სამაგიეროდ, მარტივად შეგვიძლია მოყვასის ცოდვების თვალთვალი, რასაც შედეგად ის მოჰყვება, რომ მას განვიკითხათ, ვამცირებთ, ბოლოს კი თვითონაც იმავე ან უარეს ცოდვებში ვვარდებით. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სხვა რამაა ადამიანზე ძვირის თქმა და სხვა – განკითხვა. ძვირის თქმა ის არის, როცა ვინმეზე იტყვიან: მან იცრუა, იმრუშა ან სხვა ცუდი რამ გააკეთა. მაგრამ, ადამიანს მაშინ განიკითხავს, როდესაც სხვაზე იტყვის: მატყუარაა, მრისხანე, მრუში. ამ დროს იგმობა ადამიანის სულის წყობა და განაჩენი ეცხადება მთელ მის ცხოვრებას, რაც გაცილებით მძიმე ცოდვაა. ასევე, სხვადასხვა რამ არის განკითხვა და დამცირება. დამცირება ის მდგომარეობაა, როცა არა მარტო განიკითხავ მოყვასს, არამედ, კიდეც გძულს და ზიზღით აქცევ მას ზურგს, ამცირებ ყველგან. ეს განკითხვაზე კიდევ უფრო დამღუპველია. სულის ცხონების მსურველებმა ასეთ დროს უნდა გაიფიქრონ: „ვაიმე, დღეს ის სცოდავს, ხვალ კი მე შევცოდავ", – რადგან, არ არის გასაკვირი, რომ მეორე დღესვე ზუსტად იმავე ცოდვაში ჩავცვივდეთ, რომელშიც ჩვენი მეგობარი, ახლობელი ჩავარდა და რომელსაც ამის გამო ხმამაღლა განვიკითხავდით ან დავცინოდით. ამიტომ, ადამიანმა საკუთარ თავს უნდა ჩაუნერგოს იმის შიში, რომ ხვალ, შეიძლება, თვითონ შესცოდოს და ამით მოყვასის განკითხვას განერიდება. ჩვენ რომ სიყვარული გაგვაჩნდეს, თანაგრძნობით მოვეკიდებოდით მოყვასის ნაკლს, ცოდვას და მის ნაკლოვანებებსაც არ მივაქცევდით ყურადღებას. პირიქით, უნდა შევინარჩუნოთ ადამიანებთან ახლო ურთიერთობა, სიყვარული, რადგან, როცა მოყვასთან, მსგავსთან ახლოს ვართ, უფრო მეტად ვუახლოვდებით უფალს, მასთან ერთობაში ვიმყოფებით. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ვიღაც, შეიძლება, უცოდინრობის გამო სცოდავდეს, მაგრამ, ისეთი კეთილი საქმეები ჰქონდეს გაკეთებული, რომ ღვთისთვის მთელ შენს ცხოვრებაზე უფრო სათნო იქნება.



**ყველაზე საშინელი მდგომარეობაა, როდესაც ადამიანი მეცნიერებით სჩადის ამ ცოდვას, ანუ, ყველაფერი გააზრებული აქვს**

**– მამაო, რატომ არის უმეცრება ყველაზე დიდი ცოდვა?**

– როდესაც გონიერი არსება აცხადებს, რომ არ იცოდა... კი არ იცოდი, არ გინდოდა, რომ გცოდნოდა. თუ არ ცდილობ, რაღაც წაიკითხო, გაიგო, ისე სხვა ვერაფერს გაგაგებინებს. ადამიანები წლების განმავლობაში დადიან ეკლესიაში, ისმენენ ქადაგებას, რომელიც წმიდა მამათა სწავლებას ეფუძნება და, ამის მერე რომ ამბობენ – არ ვიცოდიო, ეს უკვე ორმაგი ცოდვაა. ამიტომაც, როცა წარდგებით უფლის წინაშე, ღმერთი მოგკითხავთ პასუხს. არ დაგავიწყდეთ, რომ, ვისაც მეტი მოგეცათ, უფრო მეტი მოგეთხოვებათ. მაგრამ, ყველაზე საშინელი მდგომარეობაა, როდესაც ადამიანი მეცნიერებით სჩადის ამ ცოდვას, ანუ, ყველაფერი გააზრებული აქვს – იცის, რა არის სიტყვიერი, საქმიერი ცოდვა, ნებსით თუ უნებლიეთ ჩადენილი და უკვე მეცნიერებით, დახვეწილად სჩადის ცოდვას. ასეთები ბევრნი იყვნენ, მათ მიიღეს ამქვეყნიური სიბრძნე, მაგრამ, თავისი ამსოფლიური გონება, ნება, აზროვნება მხოლოდ და მხოლოდ ბოროტებას მოახმარეს. ასეთი ადამიანი გააზრებულად ფიქრობს იმაზე, ვის რა დაუშაოს, ვის რა ავნოს. იცი, რომ ღმერთმა მოგცა გონება და ეს გონება მეცნიერებით მოახმარე კარგ საქმეს და არა ბოროტს, ეშმაკს. თუ გონებაში გექნება საეკლესიო, მაცხოვნებელი აზრი, რომ შენ ხარ ადამიანი, უნდა ცხონდე; გამოძევებული ხარ სამოთხიდან, სადაც უნდა დაბრუნდე; გჭირდება აღორძინება, ზიარება, უფალთან მისვლა. შენში თუ ღვთისმოსავი აზრი იქნება, რაც ვნებების მბრძანებელია, დათესილი აზრიდან დათესავ კეთილ საქციელს. თუ შენი საქციელი კეთილია, მაშინ მოიმკი კეთილ ჩვევას. კეთილი ჩვევა, რომელიც ჩვენში, სამწუხაროდ, ნაკლებად არის, მოიღებს ნაყოფს – კეთილ ხასიათს. დააკვირდით თქვენს ხასიათს – ის თქვენი ჩვევებიდან და ქცევებიდან არ მომდინარეობს?! ამიტომაც, თუ გინდა, დათესო კარგი ხასიათი, შენში ის უნდა იყოს გაწმენდილი, რომლითაც მერე მოიმკი შესანიშნავ ხვედრს.

**მეორე დღესვე შეიძლება, ზუსტად იმავე ცოდვაში ჩავცვივდეთ, რომელშიც ჩვენი მეგობარი, ახლობელი ჩავარდა და მას ამის გამო ხმამაღლა განვიკითხავდით ან დავცინოდით**

**– ცოდვა ხშირად სწორედ ფიქრის დროს იბადება, ეს კი განსაკუთრებით ლოცვის დროს ხდება. ხშირად ადამიანს სწორედ ასეთ დროს მოსდის მაცდური ფიქრები, რომელთაგან გაშორებაც ძალიან უჭირს და შემდეგ მათ ხშირად ქმედებაში ახორციელებს.**

– როცა არავინ და არაფერი მოგწონს, უკმაყოფილო ხარ და ამას ნიღბავ იმით, თითქოსდა იმხელა სულიერების მქონე ხარ, გარშემო არაფერი მოგწონს, სანამ საუბარს დაიწყებ, ან რამის აღსრულებას დააპირებ, დაფიქრდი, სულიერი განსჯით მოიფიქრე, რადგან, შეიძლება, შენი განსჯით, სიტყვით, უკმაყოფილებით სხვა ადამიანი დაიღუპოს. არ უნდა იყოთ მოძულეები, შურიანები და ზედმეტად მკაცრები სიტყვასა და საქმეში. რაც თქვენთვის არ გსურთ, იმას სხვას ნუ გაუკეთებთ და, რაც გინდათ, რომ სხვებისგან მიიღოთ: ის თავად გაეცით. მაგრამ პირიქით ხდება, როდესაც ადამიანი საკუთარ უსჯულოებას უყურადღებოდ ტოვებს, ის მაშინვე იწყებს მოყვასის ცოდვების თვალთვალს. სხვისი განკითხვით მას კი არ ვნებ რამეს, არამედ, საკუთარ სულს იმძიმებ, ცოდვებს იმატებ; ან, შეიძლება, დაეცა ადამიანი, მაგრამ, მან ამის შემდეგ ბევრი იტირა, შეინანია, ცრემლი დაღვარა... ღმერთი მის შრომას, ღვაწლს ხედავს, შეიწყალებს, შენ კი მხოლოდ ცოდვას ხედავ და განიკითხავ, სულს იღუპავ და მასაც ცოდვაში აგდებ... ასე რომ, სანამ სხვის განკითხვას დავიწყებდეთ, სანამ სიამაყით ზემოდან გადმოვხედავთ სხვებს, დავამცირებთ, უმჯობესი იქნება, საკუთარ სულსა და გულში, უფრო ღრმად ჩავიხედოთ, ბევრი ვიფიქროთ – იქ აუცილებლად დავინახავთ ჩვენს ცოდვებს და ამით სხვების განკითხვაზე ნელ-ნელა ვიტყვით უარს.

**ნათია უტიაშვილი**

# რა გადახდა თავს ციმბირში გადასახლებულ ეპისკოპოსს, შემდგომში პატრიარქ ეფრემ მეორეს

ამ ამბავს ეპისკოპოსი ეფრემი უყვება თავის ბავშვობის მეგობარს, გორის სასულიერო სასწავლებლის თანაკურსელს – მიხეილ დედაბრიშვილს: „ტაიგაში გამოგვიცხადეს, რომ უნდა მოვჭრათ ხეები, გავასუფთაოთ, დავხერხოთ და ავაშენოთ სახლები, სადაც ვიცხოვრებთო.

უკვე ყინავდა, გახურდა მუშაობა. ჩვენებური გლეხები, ჩემთან შედარებით ახალგაზრდები, ხის მოჭრისა და ტოტებისგან გა თავისუფლების დღიურ ნორმას დიდი გადაჭარბებით ასრულებდნენ და პურის ულუფას ყოველთვის მიყოფდნენ. მეც შეძლებისამებრ ვშრომობდი, მაგრამ ჩემი სუსტი ჯანმრთელობით თითქმის ვერაფერს გამოვდიოდი. უეჭველად შიმშილით სული გამძვრებოდა, ჩვენებურ ბიჭებს რომ არ ექმიათ.

ბოლოს რომ ნახა ლაგერის უფროსმა, ჩემგან არაფერი გამოდიოდა – არა, არ ვზარმაცობდი, სუსტი და არაჯანმრთელი, აბა, როგორ მოვახერხებდი უზარმაზარი ხეების მოჭრას, მით უმეტეს, დიდი ტოტების გასხვლას, ადგა და ფეხსალაგების დაწმენდა დამავალა, რასაც გადასახლების უკანასკნელ დღემდე ვასრულებდი.

ცხადია, გადასახლების დღიდან ყოველ თავისუფალ დროს ვიყენებდი განცხადება-თხოვნის საწერად. ვის არ ვწერდი – სტალინს, ვოროშილოვს (მაშინ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს), რუსეთის პატრიარქს – ყველა თხოვნაში დაწვრილებით ვყვებოდი ჩემს უდანაშაულობაზე და ვევედრებოდი ჩემს გათავისუფლებას. გადიოდა წლები და არ ვყრიდი ფარ-ხმალს – კიდევ და კიდევ ვწერდი თხოვნას და ვედრებას... და აი, გადასახლებიდან მეშვიდე წელს, მოვიდა ბრძანება ჩემს გათავისუფლებაზე – როგორც შემდეგ გავიგე, სრულიად რუსეთის პატრიარქის, ალექსის შუამდგომლობითა და თხოვნით გამათავისუფლეს. თურმე, ბრძანება ჩემს გათავისუფლებაზე ისეთ დროს მოვიდა, როცა ჭაობში დიდი ხნით დგომით, საერთო სინოტივისა თუ სხვა კლიმატური პირობების გამო, მთელი ტანი და მეტადრე ფეხები, რუმბივით მქონდა დასიებული, ვიწექი – გული მიწუხდებოდა.

ლაგერის უფროსმა გადაჭრით მომთხოვა ლაგერის დატოვება და მომცა სათანადო ცნობა. მე კატეგორიული უარი განვაცხადე ლაგერის დატოვებაზე, ვთხოვე, ადგილზე დავეტოვებინე, რადგან სიკვდილს ვებრძოდი და მოეცა საშუალება, მოვმკვდარიყავი.

– არა და არაო, ბრძანება უნდა შესრულდესო. გამიყვანეს და ერთ უზარმაზარ ცხენში შებმულ მარხილზე, ძველ ფარაჯადაგებულ თივაზე დამაწვინეს. მარხილი იმ ცხენივით უზარმაზარ ქურქში გახვეულმა დედაკაცმა დაძრა და დავტოვეთ ლაგერი.

ლაგერიდან ოცი კილომეტრის დაშორებით ერთ-ერთ რუსულ, ციმბირულ სოფელში ჩემმა ჩამომყვანმა ცხენი შეაჩერა და მითხრა:

– მე ბრძანება მაქვს, აქამდე მოგიყვანოთ. ახლა მითხარით, სად მიგიყვანოთო.

მიმოვიხედე და შევნიშნე შორიახლოს ეკლესია და ვთხოვე გამყოლს, ეკლესიაში წამიყვანე, ეპისკოპოსი ვარ-მეთქი.

ეკლესია დაკეტილი დაგვხვდა. მომხვია ხელი და ეკლესიის კართან ჩემი ნაგლეჯი ფარაჯიანად დამასვენა. ერთი დამაცქერდა მოკუნტულ კაცს, გაიძრო „შუბა" და დამაფარა. თვითონ პალტოს ამარა შეუტია ცხენს და გაქუსლეს. მე დიდხანს ვიწექი ეკლესიის დერეფანში. მციოდა, გავითოშე, ავხედე ეკლესიას და კარზე ღვთისმშობლის ხატი იყო გაკრული. შევხედე და შევევედრე ხატს:

– ღვთისმშობელო მარიამ, საქართველო შენი ხვედრია, მიშველე მის შვილს-მეთქი და წამსკდა ტირილი.

გავხედე და ჰოი, საოცრებავ, მოდის მღვდელი, ჩემი კარგად ნაცნობი, თბილისში წმიდა იოანეს ეკლესიის მღვდელი და ამჟამად გადასახლებაში მყოფი. როგორც შემდეგ გავიგე, გადასახლებაში ამ სოფლის მღვდლად დაუნწყია მღვდელმსახურება. მომიახლოვდა, მე შევძახე: „Отец Василий, это вы?"

მან პირჯვარი გადაიწერა, „შუბა" ამხადა და მიცნო: „Ваше Преосвященство Эфрем?!" – გაკვირვებით წამოიძახა და გაშეშდა. მალე გონს მოვიდა, დაუძახა ხალხს და ხელში აყვანილი წამიყვანეს მღვდლის სახლში.

იქ მთელი ორი თვე დავყავი – მღვდლის ოჯახობა ისე მივლიდა და მწამლობდა, რომ ორ თვეში ფეხზე დამაყენეს.

ჩემთან გამოცხადდა ჩეკისტი, ოლქში რწმუნებული, ზრდილობიანად მომესალმა და მითხრა:

– მთელი ამ ორი თვის განმავლობაში თვალყურს გადევნებდით და შეძლებისდაგვარად, გეხმარებით მედიკამენტებით. ახლა კარგად ხართ და უნდა წახვიდეთ დანიშნულებისამებრ.

დანიშნულება კი ჩემი სამშობლო, საქართველო იყო.

ჩეკისტი გამომყვა უახლოეს რკინიგზის სადგურამდე, 100 კილომეტრზე მეტ მანძილზე და იქ ჩამაბარა დამხვედრ ჩეკისტს – ასე გადაბარებით ჩამოვედი თბილისში.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: შეუძლია თუ არა მიცვალებულის სულს ცოცხლებთან კონტაქტი?**

**პასუხი**: გარდაცვლილის სულთან კონტაქტი ლოცვით მიიღწევა. ჩვენ ლოცვებით ვეხმარებით გარდაცვლილის სულს იმქვეყნიურ ცხოვრებაში. ასევე, გარდაცვლილებიც ლოცულობენ ცოცხლებზე. რაც შეეხება გამოცხადებას, ამ საკითხს ჩვეულებრივი ადამიანები სიფრთხილით უნდა მოეკიდონ, ხშირად ასეთი რამ ბოროტი ძალისგან მომდინარეობს. ჭეშმარიტი ხილვები, ღვთის ნებით, უპირატესად წმიდანებს აქვთ. დაუშვებელია სულებთან კონტაქტისთვის სპირიტული სეანსების ჩატარება და მსგავსი რამ. ეს ბოროტი ძალების დახმარებით ხდება, უფალს გვაშორებს და მიცვალებულთა სულებს აფორიაქებს.



**კითხვა: შეიძლება თუ არა ცოლქმრული ურთიერთობა მარხვაში?**

**პასუხი**: ცოლქმრული ურთიერთობა არ შეიძლება განსაკუთრებით მძიმე მარხვაში, მაგალითად, დიდი მარხვის პირველ და ბოლო კვირას. ზიარების წინა დღეებში და შაბათ ღამეს.

**კითხვა: როგორ უნდა მოიქცეს ქრისტიანი, რომელსაც ყოველღამე გარდაცვლილი ახლობლები ესიზმრება. რაზე მიანიშნებს ეს?**

**პასუხი**: ქრისტიანმა ეს უნდა მიიღოს, როგორც შეხსენება მეტი გულმოდგინებით ილოცოს გარდაცვლილი ახლობლებისთვის.

**კითხვა: შეიძლება თუ არა, ვუამბო სხვას, რა ვუთხარი აღსარებაზე მოძღვარს და როგორი დარიგება მომცა მან?**

**პასუხი**: მოძღვართან თქვენი საუბრის დაკონკრეტებისგან თავი შეიკავეთ. შეგიძლიათ, ზოგადად გაუმხილოთ სხვას მოძღვრის რომელიმე რჩევის ან მისი გონივრული დარიგების შესახებ. აღსარებაზე ნათქვამი კონკრეტული ცოდვის შესახებ საუბრის უფლება არც მოძღვარს და არც მრევლის წევრს არ აქვს.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

## ხსნის გზაზე დაბრუნებული გონებადაბნეული მონაზონი

წმიდა ბენედიქტეს დაარსებულ მონასტერთაგან ერთ-ერთში ცხოვრობდა მონაზონი, რომელსაც წირვაზე დგომა უჭირდა. როგორც კი ძმები ლოცვას იწყებდნენ, ის ტაძრიდან გამოდიოდა და გონებადაბნეული რაიმე მიწიერი და ამაო საქმის კეთებას იწყებდა. მონასტრის წინამძღვარმა არაერთხელ გააფრთხილა იგი, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწია. ბოლოს ეს ძმა ბენედიქტესთან წაიყვანა. ღვთის მონამ მკაცრად გაკიცხა ძმა უგუნურებისთვის. მონასტერში დაბრუნების შემდეგ მან მხოლოდ ორი დღე გაძლო მორჩილებაში და ისევ ძველებურად განაგრძო. მონასტრის წინამძღვარმა კვლავ შესჩივლა წმიდა ბენედიქტეს ამ მონაზვნის გამო, პასუხად კი მიიღო: „მე თვითონ მივალ და ვუშველი". მართლაც, დათქმულ დროს მონასტერში მივიდა. ფსალმუნთა გალობის შემდეგ ლოცვის დრო იყო. წმიდა კაცმა დაინახა: მონაზონს, რომელიც სხვებთან ერთად ლოცვაზე ვერ ჩერდებოდა, ვიღაც შავი ბიჭი ჩაფრენოდა სამოსის კალთაზე და მისი ტაძრიდან გაყვანას ცდილობდა. წმიდა ბენედიქტემ ამის შესახებ მონასტრის წინამძღვარ პომპეანსა და ღვთისმსახურ მავრს უთხრა, მაგრამ მათ ვერაფერი დაინახეს. ამიტომ, გადაწყვიტეს, ელოცათ, რათა მათაც დაენახათ ის, ვის ნებაზეც დადიოდა ეს ძმა. ორდღიანი ლოცვის შემდეგ, მავრმაც შეძლო ბიჭის დანახვა. მეორე დღეს, დასრულდა თუ არა ლოცვა, ღვთის კაცმა განმარტოებით მყოფი მონაზონი მიძებნა და გულის სიბრმავისთვის ჯოხი დაარტყა. იმ დღის შემდეგ მონაზონს რაიმე ცდუნება აღარ განუცდია, არამედ გაუნძრევლად იდგა ლოცვისას. უძველესი მტერი ველარ ბედავდა, მისი გულის სიტყვებს დაპატრონებოდა, თითქოს თავად მას მოხვედროდა წმიდა მამის ჯოხი.

## „გადადებული საქმე ეშმაკისაა"

მამა ქრისტეფორე გვიამბობს: „ერთხელ მონასტრიდან ჯვრის თაყვანსაცემად იერუსალიმში წავედი. როდესაც ჯვარს ვემთხვიე და ეკლესიიდან გამოსვლას ვაპირებდი, კარის იქით უცნობი ბერი დავინახე, იდგა და არც შიგნით შემოდიოდა და არც გარეთ გადიოდა. უცბად შევამჩნიე, რომ ბერს თავზე ორი ყორანი დასტრიალებდა. ისინი პირდაპირ სახეში სცემდნენ მას და ტაძარში შემოსვლის საშუალებას არ აძლევდნენ; მივხვდი, რომ ეს ყორნები ეშმაკები იყვნენ და ბერს ვკითხე: „ძმაო, რატომ არ შემოდიხარ ტაძარში?" „შემინდე, მამაო," – მიპასუხა მან, – „ორი გულის სიტყვა მებრძვის, ერთი მეუბნება: შედი და ემთხვიე წმიდა ჯვარს, მეორე შთამაგონებს: არ შეხვიდე, გაბრუნდი უკან, სხვა დროს ემთხვევი, ახლა შენი საქმე გააკეთე". ეს რომ გავიგონე, ძმას ხელი მოვკიდე და ტაძარში შევიყვანე. ყორნები მაშინვე გაფრინდნენ. მე ის წმიდა ჯვართან და საფლავთან მივიყვანე, რათა თაყვანი ეცა მათთვის, შემდეგ კი მშვიდობით გავისტუმრე".

**მოამზადა რევაზ ტომარაძემ**

# მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავების მიერ გამოხატული ერთგულების მაგალითები

*ერთგულება თანამედროვე სპორტში უიშვიათესი მოვლენაა, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ დღეს აღარ არიან თავისი კლუბის ერთგული ფეხბურთელები. მათმა უმეტესობამ არაერთხელ თქვა უარი მრავალმილიონიან შემოთავაზებაზე და მხოლოდ ერთ კლუბში გაატარა თავისი წარმატებული კარიერის საუკეთესო წლები.*

### ზეპ მაიერი – „ბაიერნი" (1962-1979)

გერმანელი გოლკიპერი ზეპ მაიერი 17 წლის განმავლობაში იყო მიუნჰენური გრანდის ძირითადი შემადგენლობის წევრი და მეკარეების იმ მცირერიცხოვან ჯგუფს მიეკუთვნება, რომელმაც მთელი კარიერა ერთ კლუბში გაატარა. თავისი კარიერის განმავლობაში მაიერმა მრავალი ტიტული მოიგო, მათ შორის – მსოფლიო ჩემპიონატი 1974 წელს. რომ არა, დანიელი ლარს ჰოგი, რომელმაც დანიურ „ოდენსეში" 23 წელი გაატარა და 800-მდე მატჩში დაიცვა კლუბის კარი, ზეპ მაიერის სტაჟი, შესაძლოა, რეკორდული ყოფილიყო.

### ლევ იაშინი – მოსკოვის „დინამო" (1949-1971)

მეოცე საუკუნის საუკეთესო გოლკიპერად დასახელებულ ლევ იაშინს მეტსახელი „შავი ობობა" შეარქვეს, რადგან მხოლოდ მას შეეძლო ექსტრაორდინარული შესაძლებლობების გამოვლენა კარში დგომისას. სამი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე და 1963 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი იაშინი 22 წელი ემსახურა „დინამოს" და სიცოცხლის ბოლომდე კლუბის ერთგული დარჩა.

### კარლეს პუიოლი – „ბარსელონა" (1997-2014)

„თუკი „მილანს" ჰყავდა პაოლო მალდინი, „ბარსელონას" ჰყავდა კარლეს პუიოლი," – ამბობენ საფეხბურთო ექსპერტები. რთული წარმოსადგენი იქნებოდა მისი ნახვა სხვა გუნდის მაისურში. სხვათა შორის, 2003 წელს „მანჩესტერ იუნაიტედს" ჰქონდა მცდელობა, რომ პუიოლი „ბარსელონიდან" გადმოეყვანა, თუმცა, საბოლოოდ კონტრაქტის გაფორმება ჩაიშალა, რადგან ფეხბურთელმა თვითონ არ ისურვა მშობლიური კლუბის დატოვება. წელს „ბარსელონა" ახალ სეზონს ლეგენდარული კაპიტნის გარეშე დაიწყებს.

### ხუან-კარლოს პლატა – „მუნისიპალი" (1990-2010)

ევროპაში ნაკლებად ცნობილი, ცენტრალურ ამერიკაში კი ლეგენდად ქცეული პლატა ნამდვილი გოლების მანქანა იყო. გვატემალის „მუნისიპალში" გატარებული 20 წლის განმავლობაში მან 553 მატჩში 299 გოლი გაიტანა და მსოფლიო ფეხბურთისა და სტატისტიკის საერთაშორისო ასოციაციის მიერ, ის პლანეტის ყველა დროის 60 საუკეთესო მეგოლეს შორის არის დასახელებული.

### რაიან გიგზი – „მანჩესტერ იუნაიტედი" (1990-2014)



24 წელი იცავდა უელსელი რაიან გიგზი „წითელი ეშმაკების" ღირსებას და, დიდი ხანია, „მანჩესტერის" ქომაგებმა ის „ოლდ ტრაფორდის" ლეგენდად შერაცხეს. 2003 წელს „ინტერის" მფლობელი მასიმო მორატი გიგზის გადაბირებას ცდილობდა „ჯუზეპე მეაცაზე," თუმცა, მოლაპარაკება არ შედგა. გასულ სეზონზე მოთამაშე-მწვრთნელის რანგში მან უხელმძღვანელა უმწვრთნელოდ დარჩენილ „მანჩესტერს", ხოლო ახალი სეზონიდან რაიანი ლუი ვან გაალის თანაშეწმე იქნება.

### პაოლო მალდინი – „მილანი" (1985-2009)

პაოლო მალდინი მილანელი ტიფოზების ნამდვილი კერპია, რომელიც 16 წლის ასაკიდან, 24 წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურა მილანურ გრანდს. შვიდჯერ სკუდეტოს და ხუთჯერ ევროპული თასის მფლობელი მალდინის „ჩელსიში" გადაბირებას 1997 წელს ცდილობდა რუუდ გულიტი, თუმცა მალდინიმ მშობლიურ კლუბს უერთგულა, სადაც მის გარდა უთამაშია მამამისს, ჩეზარე მალდინის, ახლა კი მისი ორივე ვაჟი, კრისტოფერი და დანიელი, იუნიორთა გუნდებში თამაშობენ.

## ახალი აღმოჩენები მზეზე „ნასას" გეგმებს უცვლის

მეცნიერები დიდი ხანია, აკვირდებიან მზეს და შეისწავლიან მასზე მომხდარ აფეთქებებს, პლაზმის ამოფრქვევებს და ქარიშხლებს. მკვლევრებმა ყოველთვის იცოდნენ, რომ ჩვენს მნათობს აქტიური ატმოსფერო აქვს. თუმცა, ახალმა მონაცემებმა ზოგიერთი შეხედულების გადახედვა დააყენა დღის წესრიგში. „ნასაში" აცხადებენ, რომ იძულებული არიან, შეცვალონ კოსმოსური კვლევების პარამეტრები. ამ ინფორმაციას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს Solar Probe Plus-ის კოსმოსური მისიისთვის, რომლის გაშვება 2018 წლისთვის იყო დაგეგმილი და მზეს მაქსიმალურად უნდა მიახლოებოდა. თუმცა, დადგინდა, რომ მზის გვირგვინი გაცილებით მეტია, ვიდრე მეცნიერები წარმოიდგენდნენ. ის ვარსკვლავის ზედაპირიდან 8 მილიონ კილომეტრს აღწევს, ანუ დაახლოებით მზის 12 დიამეტრის ტოლია. მზის ატმოსფეროს კვლევისთვის მაგნიტობგერითი ტალღები გამოიყენეს. დედამიწის ბგერითი ტალღებისგან განსხვავებით, რომლის რხევათა სიხშირე წამში ასობით ფიქსირდება, მზეზე მხოლოდ ერთია ოთხი საათის განმავლობაში. ეს კი, სავარაუდოდ, წარმოქმნის ტალღურ ეფექტს, რომელიც მზის ზედაპირიდან საკმაოდ მოშორებითაც კარგად იგრძნობა.

კალიფორნიის კვლევითი ცენტრის Big Bear Solar Observatory-ის მონაცემები კი მეცნიერებს მზის ფიზიკის სფეროში აღმოჩენების მთელი სერიის იმედს აძლევს. მისი საშუალებით მზის ლაქების უნიკალური სამგანზომილებიანი მოდელი შეიქმნა. მზის ლაქები 400 წლის წინათ გალილეო გალილეიმ აღმოაჩინა, თუმცა დღემდე გამოცანად რჩება. ისინი ზომით პლანეტა იუპიტერის ტოლიც შეიძლება, იყოს და რამდენიმე კვირის განმავლობაში, იარსებოს. როგორ ინარჩუნებს მზის ლაქები სტაბილურობას – უცნობია. გამოსახულებაზე შეგიძლიათ, თავისუფლად დაათვალიეროთ პლაზმის ბუშტუკები, რომლებიც ძალიან ჰგავს მდუღარე წყლის თავზე გაჩენილს. 70-წუთიანი ვიდეოფილმი მათ დინამიკაზე დაკვირვების საშუალებასაც იძლევა.

## ლამაზი ქალი...

წარმოდგენები ლამაზ ქალზე მართლაც განსხვავებულია. პლანეტის სხვადასხვა კუთხეს სილამაზეზე საკუთარი წარმოდგენა აქვს. ამაში კიდევ ერთხელ დარწმუნდებით, თუ 24 წლის ესთერ ჰონიგის ექსპერიმენტს გაეცნობით. გოგონამ კანზას სიტიდან თავისი ფოტო მსოფლიოს 25 ქვეყანაში 40 პროფესიონალ ფოტორედაქტორს გაუგზავნა და სთხოვა, გაეკორექტირებინათ ისე, რომ „გალამაზებულიყო".

მიღებულმა სურათებმა ძლიერ გააოცა გოგონა. მაროკოელმა რედაქტორმა მას ამ მუსლიმანური სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი, ტრადიციული ტანსაცმელი ჩააცვა ისე, რომ გოგონას მხოლოდ სახის ოვალი უჩანდა. ბერძენმა რედაქტორმა წამწამები დაუგრძელა. ისრაელიდან და ინდოეთიდან გამოგზავნილ ფოტოზე კი გოგონას სქელი წარბები ჰქონდა გაკეთებული. ფილიპინელმა რედაქტორმა გარეგნობაში არაფერი შეცვალა, მაგრამ შთაბეჭდილების მოსახდენად ღია წითელი პერანგი ჩააცვა. თანამემამულე ამერიკელმა ტუჩები მყვირალა ფერად შეუღება, თმა კი გაუშალა. მეორე ამერიკელმა გოგონა შოკში ჩააგდო – გოგონას სახე ზუსტად ბარბივით, არაბუნებრივად გამოიყურებოდა...

## ევანდერმა კარიერა დაასრულა

ლეგენდარულმა მძიმეწონოსანმა მოკრივემ ევანდერ ჰოლიფილდმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ მისი პროფესიული კარიერა რინგზე დასრულდა. 51 წლის



ამერიკელმა მოკრივემ პირველი ტიტული 1986 წელს მოიპოვა, ხოლო 1990-92 წლებში ის მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონად სახელდებოდა მძიმე წონაში. ევანდერ ჰოლიფილდის კარიერის ყველაზე ცნობილი ეპიზოდი კი მაიკ ტაისონთან შეხვედრას უკავშირდება, როდესაც ამ უკანასკნელმა მას რინგზე ყური მოაჭამა.

## შარაპოვა და ბექჰემი – უიმბლდონზე

გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქში მიმდინარე პრესტიჟულ საჩოგბურთო ტურნირზე, უიმბლდონზე მარია შარაპოვას გამოსვლას ცნობილი ინგლისელი ექსფეხბურთელი დევიდ ბექჰემი დაესწრო, რომელიც მარიას ახ-



ლო მეგობარი აღმოჩნდა. „დევიდს ჯერ კიდევ ლოს-ანჯელესიდან ვიცნობ, სადაც ის ფეხბურთს თამაშობდა, იგი ბრწყინვალე ადამიანი და საუკეთესო მეგობარია. მასთან ყოველთვის საინტერესოა საუბარი" - ასე დაახასიათა ბექჰემი მარია შარაპოვამ ჟურნალისტებთან.

## კრიშტიანუ რონალდუ – ნარკოდილერების სახე

ბრაზილიაში დააკავეს ნარკორეალიზატორი, რომელიც ორიგინალური მეთოდით ცდილობდა აკრძალული პრეპარატების გაყიდვა. ნარკოსაქონელს დილერი სპეციალურ ამპულებში ყიდდა, რომლებსაც გარედან კრიშტიანუ რონალდუს ფოტო ჰქონდა მიკრული. ამ გზით ის ცდილობდა, თავგზა აებნია პოლიციისთვის, თუმცა, არ გამოუვიდა, ისევე, როგორც არაფერი გამოუვიდა კრიშტიანუ რონალდუს, რომელმაც პორტუგალიის ნაკრებთან ერთად უხეიროდ იასპარეზა ბრაზილიაში.

**გვერდი მოამზადა უშანგი რუხაძემ**

# რას საქმიანობდნენ რუსი „ოლიგარქები” 25 წლის ასაკში

***თანამედროვე რუსეთის ერთ-ერთი ნაწილი „ოლიგაქრები” არიან. ისინი მართავენ ქვეყნის უმთავრეს სამრეწველო და ენერგეტიკულ ობიექტებს. მათ ხელშია ნავთობისა და რკინის მომპოვებელი ქარხნები. ისინი ვლადიმირ პუტინთან დაახლოებული პირები არიან და მის გარეშე მათი „არსებობა,” პრაქტიკულად, წარმოუდგენელია. საინტერესოა რით იყვნენ დაკავებული და რას საქმიანობდნენ რუსი მილიარდერები „კარიერის” დასაწყისში.***

**ვლადიმირ ლისინი** – ნოვოლიპეცკის მეტალურგიული კომბინატის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, ერთ-ერთი უმდიდრესი რუსი მილიარდერი ციმბირის მეტალურგიული ინსტიტუტის კურსდამთავრებულია. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ლისინმა საწარმოო გაერთიანება „ტულაჩერმეტში” ფოლადის გამომდნობად 35 წლამდე იმუშავა და იყო ასევე: „სტალევარი”, ფოლადის გამომდნობი მოწყობილობის ოპერატორი, ცვლის უფროსი, განყოფილების გამგე და ბოლოს საწარმოს უფროსის მოადგილე.

**ვლადიმირ პოტანინი** – კომპანია „ინტერროსის” პრეზიდენტი საერთაშორისო ურთიერთობების მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტის კურსდამთავრებულია. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1990 წლამდე პოტანინი საბჭოთა კავშირის ეკონომიკური კავშირების სამინისტროში მუშაობდა მთავარ ინჟინრად.



**რომან აბრამოვიჩი** – ჩუკოტკის ყოფილი გუბერნატორი და საფეხბურთო კლუბ „ჩელსის” მფლობელი. ბიზნესაქტივობა მან 25 წლის ასაკში დაიწყო და დააფუძნა კოოპერატივი „უიუტი”, რომელიც რბილ სათამაშოებს აწარმოებდა და ყიდდა. 1992 წელს აბრამოვიჩის წინააღმდეგ საქმეც კი აღიძრა დიზელის საწვავის დიდი ოდენობით მიტაცების ფაქტზე. თუმცა, საბოლოოდ, საქმე ისე დაიხურა, რომ აბრამოვიჩის დაპატიმრება დღის წესრიგში არდამდგარა.

**ვაგით ალეკპეროვი** – „ლუკოილის” აქციების მფლობელი. 24 წლის ასაკში მან აზერბაიჯანის აზიზბეკოვის სახელობის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტი დაამთავრა და შემდგომ „კასპმორნეფტში” საბურღი საქმიანობით იყო დაკავებული, ნავთობის მომპოვებლად მუშაობდა.

**ვიქტორ ვექსელბერგი** – „რენოვას” მფლობელი მილიარდერი, მოსკოვის საინჟინრო ინსტიტუტის კურსდამთავრებული 22 წლიდან წყლის საქაჩი საწარმო „კონასში” მუშაობდა კონსტრუქტორად და სამსახურიდან 11 წლის შემდეგ ლაბორატორიის უფროსის თანამდებობის რანგში წამოვიდა კერძო ბიზნესში.

**ალექსეი მორდაშოვი** – „სევერსტალგრუპის” გენერალური დირექტორი, 23 წლის ასაკში დაამთავრა ტოლიატის სახელობის ლენინგრადის ინჟინერ-ეკონომიკური ინსტიტუტის საინჟინრო-სამშენებლო ფაკულტეტი. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მორდაშოვი ჩერეპოვეცკის მეტალურგიული კომბინატის მთავარ ეკონომისტად მუშაობდა. 25 წლის ასაკში კი, ეკონომიკის ბიუროს უფროსი, ხოლო 27 წლის ასაკში – „სევერსტალის” ფინანსური დირექტორი გახდა, მორდაშოვი ყველაზე ახალგაზრდა მილიონერია რუსეთის ისტორიაში.

**მიხაილ ფრიდმანი** - „ალფა-გრუპის” კონსორციუმის აქციონერი, საწარმო „ელექტროსტალში” მუშაობდა ინჟინერ-კონსტრუქტორად, 1988 წლიდან კი მეგობრებთან ერთად კომპანია „კურიერი” დააფუძნა, რომელიც მომხმარებელს სთავაზობდა მაღალსართულიან შენობებში ფანჯრების წმენდის სერვისს. 1980-იანი წლების ბოლოს ფრიდმანი კომპიუტერებითა და სხვა ტექნიკით ვაჭრობდა.

**რუსტამ ტარიკო** – ბანკ „რუსკი სტანდარტის” დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, 27 წლის ასაკში ჩაერთო ბიზნესში. ის უცხოელებს მოსკოვის სასტუმროებში აბინავებდა. სპეციალობით ტარიკო ტრანსპორტის ინჟინერია.

**ვლადიმირ ბოგდანოვი** - „სურგუტნეფტეგაზის” გენერალური დირექტორი. 22 წლის ასაკში მან ტიუმენის ინდუსტრიული ინსტიტუტი დაამთავრა და გარკვეული პერიოდი ნავთობმომპოვებელ ბაზებზე მბურღავად მუშაობდა.

**მიხაილ პროხოროვი** – ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური რუსი მილიარდერი მიხაილ პროხოროვი მოსკოვის ფინანსური ინსტიტუტის კურსდამთავრებულია. კარიერის დასაწყისში ის „მოხარშული” ჯინსის საწარმოს ფლობდა.

# მხოლოდ ფაქტები

* 2006 წლის ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატზე პორტუგალია-ჰოლანდიის მატჩზე მსაჯმა ვალენტინ ივანოვმა 4 წითელი ბარათი ასწია.

* ცნობილი ძმები არველაძეებით დავიწყოთ და მსოფლიოში ცნობილი ძმები ფეხბურთელები არიან: ბობი და ჯეკ ჩარლტონები, ჟერომ და კევინ-პრინს ბოატენგები, იური და მიხაილ მარხელები, მბო და ემილ მპენზები, რენე და ვილი ვან დე კერხოფები.

* ალფავიტური როტაციით, 2015 წლის Copa America-ს ჩემპიონატიც ბრაზილიაში უნდა გამართულიყო, მაგრამ ჩილესთან მოლაპარაკების შემდეგ 2015 წელი 2019 წელზე გაიცვალა.

* მატჩების მსვლელობისა და დამატებით დროში გაუტანელი პენალტების რეკორდული რაოდენობით პირველ ადგილზეა „ევრო-2000-ში“ ჰოლანდია-იტალიის შეხვედრა.

* საბჭოთა კავშირის ნაკრების არსებობის ისტორიაში კვიპროსის ნაკრები იყო ბოლო მოწინააღმდეგე გუნდი – ეს საფეხბურთო მატჩი 1991 წლის შემოდგომაზე გაიმართა.

* თხუთმეტიდან მხოლოდ ყირგიზეთისა და თურქმენეთის რესპუბლიკები იყვნენ, რომელთა ფეხბურთის გუნდებს არც ერთხელ არ მიუღია მონაწილეობა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში.

* რონალდინიო, თავდაპირველად, გატანილი გოლების შემდეგ ხელის ჟესტით გამოხატავდა ტელეფონით საუბრის იმიტაციას – იგი შეყვარებულმა მიატოვა სიტყვებით: შენგან არაფერი გამოვა, თუ რამეს მიაღწევ, დამირეკეო...

* გამოვიდა ანდროიდების ახალი დამატება „ზიპოს ვირტუალური სანთებელა“, რომელიც განკუთვნილია განსაკუთრებით მათთვის, ვინც როკ-კონცერტებზე დადის. მობილურის რხევა ვირტუალური ალის შესაბამის მოძრაობას იწვევს და ძველი ტრადიციების და ტექნოლოგიური სიახლის შესანიშნავი შერწყმის საშუალებას იძლევა.

* ჰოლანდიაში, შენობიდან, რომელშიც მეჩვიდმეტე საუკუნეში ოსტინდური კომპანია იყო განლაგებული დღემდე არ გასულა მიხაკის სუნი. ეს კომპანია სუნელ-სანელებლებით ვაჭრობდა.

* ჰენრი ფორდმა ერთ დროს გადაწყვიტა, მსხვილი სამრეწველო ობიექტი ამაზონის ჯუნგლებში გაეკეთებინა, რომ იქვე მოპოვებული კაუჩუკით, რეზინით უზრუნველეყო წარმოება. თუმცა, ამ გადაწყვეტილებამ არ გაამართლა, კაუჩუკის მოპოვება საჭიროზე გაცილებით დაბალი იყო.

# მაჰმუდ აბასი – პალესტინელი ლიდერი და პრეზიდენტი

***2013 წლის 5 მარტიდან, ანუ, ზუსტად ერთი წელია, რაც პალესტინას ჰყავს ოფიციალური პრეზიდენტი, რომლის სახელია მაჰმუდ აბასი, პარტიული მეტსახელი კი – „აბუ მაზენი”. აბასი მოძრაობა „ფათხის” თავმჯდომარე და მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ცხელ წერტილში არსებული სახელმწიფოს მეთაურია.***

* მაჰმუდ აბასი დაიბადა 1935 წლის 26 მარტს, ქალაქ ცფატში. 1947-49 წლების არაბეთ-ისრაელის ომის პერიოდში მისი ოჯახი სირიაში გადასახლდა. მაჰმუდ აბასს დამთავრებული აქვს დამასკოს უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მოსკოვის, პატრის ლუმუმბას სახელობის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის ასპირანტურა. 1982 წელს მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მოსკოვის ფილიალში. ინსტიტუტის დირექტორის, ევგენი პრიმაკოვის განკარგულებით, აბასის ნაშრომის ხელმძღვანელი გახლდათ პალესტინის ისტორიის სპეციალისტი ვ. კისილიოვი, ხოლო თემის სახელწოდება იყო „ნაციზმსა და სიონიზმს შორის არსებული საიდუმლო კავშირი.“ აღსანიშნავია, რომ სადისერტაციო თემაში გამოყენებული მასალის ზოგიერთი წყარო ჰოლოკოსტის არსებობას უარყოფდა. მოგვიანებით, ებრაულ გაზეთ „ჰაარეცისთვის“ მიცემულ ინტერვიუში აბასი უარყოფდა მის მიერ ჰოლოკოსტის არარსებობის შესახებ გამოთქმულ თეორიას; მისი თქმით, მის



თემაში საუბარი იყო ჰოლოკოსტის დროს დაღუპული ადამიანების ზუსტი ციფრის დადგენაზე, ხოლო ჰოლოკოსტის უარყოფა მისი მხრიდან აბსურდულია, რადგან იგი მიიჩნევს, რომ ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დანაშაული კაცობრიობის ისტორიაში.

* მაჰმუდ აბასი მონაწილეობდა „პალესტინის ნაციონალური გათავისუფლების მოძრაობის” შექმნაში. არსებობს ვერსია, რომ იგი მონაწილეობდა მიუნჰენის 1972 წლის ოლიმპიადის დროს მომხდარი ტერორისტული აქტის ორგანიზებაში. კერძოდ, ტერორისტ აბუ დაუდის (რომლის დაგეგმილიც იყო მიუნჰენის ოლიმპიადაზე ებრაელი სპორტსმენების ლიკვიდირება) მტკიცებით, ოპერაციის მომზადება მაჰმუდ აბასის მიერ იყო დაფინანსებული, თუმცა, ამ უკანასკნელმა არ იცოდა, კონკრეტულად რაში დაიხარჯა ფული.

* „ქვედანაყოფი-17” სამხედრო დაჯგუფებაა, სადაც 3 500-მდე მებრძოლია გაერთიანებული. დაჯგუფება პალესტინელი ლიდერების უსაფრთხოებაზეა პასუხისმგებელი. ეს არის პალესტინის ადმინისტრაციის ყველაზე კარგად ორგანიზებული და ელიტური მებრძოლებისგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც მაჰმუდ აბასს ექვემდებარება. „ქვედანაყოფი-17” ჯერ კიდევ 70-იან წლებში ლეგენდარული პალესტინელი მებრძოლის, ალი ჰასან სალამის მიერ ჩამოყალიბდა და ხანგრძლივი დროის განმავლობაში იასირ არაფატის დასაყრდენ ძალად ითვლებოდა. ამბობენ, რომ დაჯგუფების მებრძოლებს მონაწილეობა აქვთ მიღებული ათეულობით ტერორისტულ აქტში, რომელთა ორგანიზების უმტესეობა მოგვიანებით საკუთარ თავზე აიღეს „ჰამასმა” და „ისლამურმა ჯიჰადმა.”

**გვერდი მოამზადა**
**უშანგი რუხაძე**



## რომელი საკვები უნდა ჭამოს ხშირად წნევიანმა ადამიანმა

ჰიპერტენზიასთან ბრძოლა ადამიანმა უნდა დაიწყოს ცხოვრების წესისა და კვების რეჟიმის გამოსწორებით. ასაკის მატებასთან ერთად, უმეტესობას აწუხებს ჭარბი წონა. გაითვალისწინეთ, რომ ჭარბ წონასა და არტერიულ წნევას შორის პირდაპირი კავშირია.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ცხიმის დაგროვებას მუცლის ირგვლივ. სხეულის მასის შემცირება კი აფერხებს არტერიული წნევის მატებას, აუმჯობესებს ცხიმოვან და ნახშირწყლოვან ცვლას.

ძირითადი მნიშვნელობა ამ მხრივ ენიჭება მოხმარებული ცხიმისა და მარილის რაოდენობას. ცხოველური ცხიმები, რომლებიც ორგანიზმში ხვდება საკვების სახით, შეიძლება გახდეს ქოლესტერინის ჭარბი რაოდენობით დაგროვების მიზეზი. ქოლესტერინი მნიშვნელოვანი კომპონენტია ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისთვის, მაგრამ, მისი გადაჭარბებული რაოდენობის მიღების დროს იზრდება ათეროსკლეროზისა და გულის იშემიური დაავადების განვითარების რისკიც.

სასურველია, საკვებ რაციონში შევზღუდოთ ცხიმები, ხორცის პროდუქტები, შემწვარი საჭმელი და უპირატესობა მიანიჭოს რძისა და მცენარეულ პროდუქტებს, რადგან ისინი მცირე რაოდენობით შეიცავენ ცხიმებს. ასევე, აუცილებელია მარილის შეზღუდვაც, რადგან ის იწვევს ორგანიზმში წყლის შეკავებას. მარილის სადღეღამისო ნორმა ასეთ შემთხვევაში უნდა იყოს დაახლოებით 5 გრამი.

უნდა დაიცვათ ბალანსი საკვებით მიღებულ და დახარჯულ ენერგიებს შორის, რადგან, თუ მიღებული ენერგიის რაოდენობა ჭარბობს მის დანახარჯს, მაშინ ენერგიის ეს სიჭარბე ორგანიზმში ცხიმების სახით გროვდება, ნორმალური წონის შესანარჩუნებლად კი აუცილებელია კვების რეჟიმის დაცვა, რაც უზრუნველყოფს ენერგეტიკული დანახარჯების რეალურ დონეს.

თუ წნევა გაწუხებთ, მიირთვით უცხიმო ან ნაკლებცხიმიანი რძის პროდუქტები, ხილი, ბოსტნეული, ნიგოზი, თხილი, მარცვლოვანი კულტურები; უპირატესობა მიანიჭეთ ცილოვან და მიკროელემენტებით, მაგალითად, კალიუმით, კალციუმითა და მაგნიუმით მდიდარ საკვებს, რადგან მათ ანტიჰიპერტენზიული ეფექტი აქვთ. ეცადეთ, საკვები დაძინებამდე 5 საათით ადრე მიიღოთ, რათა ორგანიზმი ღამით დაასვენოთ.

ზომიერი ფიზიკური აქტივობა ეფექტურად ებრძვის ათეროსკლეროზს, არტერიულ ჰიპერტენზიას, გულის იშემიურ დაავადებას. იმ ადამიანებს, რომლებიც ეწევიან ფიზიკურად აქტიურ ცხოვრებას და სისტემატურად ვარჯიშობენ, აღენიშნებათ სისხლის ლიპიდური სპექტრი, უმცირდებათ თრომბის წარმოქმნის საშიშროება, უვითარდებათ დამატებითი, წვრილი სისხლძარღვები, რომლებიც კვებავენ გულის კუნთს; მათი ორგანიზმი ადვილად თავისუფლდება მავნე ნივთიერებებისა და წიდებისგან. ასევე, საჭიროა რეგულარული ვარჯიში, კვირაში 3-ჯერ მაინც, სულ მცირე, 1 საათის განმავლობაში; კარგია ფეხით სიარული, ცურვა და ასე შემდეგ. ფიზიკური აქტივობა უნდა გახდეს თქვენი ცხოვრების წესის განუყოფელი ნაწილი. გარდა ამისა, უნდა მოერიდოთ სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს, ისწავლოთ მოვლენებისადმი სწორი მიდგომა და უარყოფითი ემოციების განეიტრალება. მოერიდეთ გადაღლას, მოახდინეთ გონებრივი და ფიზიკური დატვირთვის მონაცვლეობა.

თუ ხშირად გაწუხებთ მაღალი წნევა, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციებისა, უარი თქვით ალკოჰოლსა და თამბაქოზე

ასევე, არ უნდა შეცვალოთ ექიმის დანიშნული მკურნალობის კურსი თვითნებურად.

## როგორ ავარიდოთ თავი ატმოსფერული ცვლილებებით გამოწვეულ დისკომფორტს

ატმოსფერული ცვლილებების დროს ბევრს აწუხებს თავისა და სახსრების ტკივილი, შაკიკი, არტერიული წნევის მატება, უგუნებობა, მოთენთილობა, შრომის უნარის დაქვეითება, დეპრესია და სხვა უსიამოვნო სიმპტომები. ასაკის მატებასთან ერთად, ეს მგრძნობელობა ადამიანებში კიდევ უფრო იმატებს.

უქარო, ნესტიან ამინდში, როცა ჰაერში ნაკლებია ჟანგბადი, განსაკუთრებით ცუდად გრძნობენ თავს ისინი, ვისაც გულსისხლძარღვთა დაავადებები აწუხებთ. ასევე, გულით დაავადებულთათვის საშიშია მაგნიტური დღეები, რადგან, ამ დროს დიდია არითმიისა და სისხლძარღვების კრიზის, კერძოდ, ინსულტისა და ინფარქტის რისკი. მწვავდება სახსრების ტკივილიც. ატმოსფერული წნევის ცვლილებაზე მკვეთრად რეაგირებენ ჰიპერტონიკები.

მშრალ ამინდში, როდესაც ჰაერში ბევრი მტვერია, ასთმიანებს შეტევები ეწყებათ.

არსებობს ამ უსიამოვნებებისგან თავის დაცვის წესები, რომლებიც ყველამ უნდა გაითვალისწინოს, კერძოდ: მეტეომგრძნობიარე ადამიანებმა კრიტიკულ დღეებში შეძლებისდაგვარად უნდა შეიკავონ თავი ფიზიკური და ინტელექტუალური საქმიანობისგან; თავი აარიდონ კონფლიქტებს; მეტი დრო დაყონ სუფთა ჰაერზე; მკაცრად დაიცვან ექიმის დანიშნული წამლების მიღების დრო.

მომატებული მეტეომგრძნობელობის დროს უნდა ჭამოთ რძის ნაწარმი, მცენარეული ცხიმები, ხილი, ბოსტნეული. საკვები რაციონიდან გამორიცხეთ შემწვარი, ცხარე, მწარე კერძები და ალკოჰოლური სასმელები.

## გულისგან გამოწვეული შეშუპების დროს შვიტა გიშველით, კუჭ-ნაწლავის აშლილობისას კი – მოცვი

მინდვრის შვიტას შარდმდენი თვისებები აქვს, ამიტომ მას გულის დეკომპენსაციის ნიადაგზე განვითარებული შეშუპებების სამკურნალოდ იყენებენ. მიზანშეწონილი არ არის მისი მიღება ნეფრიტის დროს, რადგან, შესაძლოა, თირკმელების ქსოვილი გააღიზიანოს.

მინდვრის შვიტას ნახარში ასე უნდა მოამზადოთ: აფთიაქში ნაყიდი შვიტა დაფშვენით. 1 სადილის კოვზ მცენარეს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და ადუღეთ დაახლოებით 15-20 წუთი. შემდეგ გადმოდგით და გააჩერეთ ნახევარი საათი. გაწურეთ დოლბანდში და მიიღეთ თითო ჩაის კოვზი, დღეში 3-ჯერ.

მოცვის ნაყოფი შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, შაქრებს, ფლავონოიდებს, ორგანულ მჟავებს. ის კუჭში შემკვრელი და დიეტური საშუალებაა, განსაკუთრებით – კუჭ-ნაწლავის მწვავე ან ქრონიკული აშლილობის დროს. ნახარში ასე მზადდება:

2 ჩაის კოვზ მოცვის ნაყოფს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი. გააჩერეთ ნახევარი საათის განმავლობაში, დაატკბეთ და დალიეთ, ან, ამავე რეცეპტით მოამზადეთ კისელი და კუჭის აშლილობის დროს მიიღეთ, როგორც შემკვრელი საშუალება. ეს განსაკუთრებით ბავშვებისთვისაა კარგი.

სამკურნალოდ გამოიყენება მოცვის ფოთოლიც, რომელიც რეკომენდებულია შაქრიანი დიაბეტის დროს. მას ახასიათებს ინსულინის მსგავსი მოქმედება: 4 ცალ ფოთოლს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ თავდახურულ ჭურჭელში ნახევარი საათის განმავლობაში და დალიეთ დილით და საღამოს, თითო ჭიქა.

## ხაჭო და ყველი დადებითად მოქმედებს მამაკაცის პოტენციაზე

ადამიანის სექსუალური შესაძლებლობები დამოკიდებულია საკვებზე. პოტენციის ასამაღლებელი პროდუქტებია: კვერცხი, ყველი, ხაჭო, ნიორი, კიბორჩხალა, ხამანწკა, ხახვი, სუნელები, ისპანახი, თაფ-

ლი, ქინძი, ოხრახუში, თხილი, ნიგოზი, შოკოლადი და ასე შემდეგ.

თუ გინდათ, რომ საკვები თქვენს სექსუალურ შესაძლებლობებზე აისახოს, მასში აუცილებლად უნდა შედიოდეს A, B, C და E ვიტამინები.

A ვიტამინი აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას, დადებითად მოქმედებს მხედველობაზე, ამაღლებს სექსუალურ პოტენციას. ის დიდი რაოდენობით შედის რძეში, ყველში, ცხოველურ ცხიმებში, სტაფილოში, ისპანახში, წიწმატსა და სალათის ფურცლებში;

B ჯგუფის ვიტამინები აძლიერებს ნერვულ სისტემას, რაც აუცილებელია ადამიანის სექსუალური აქტივობისთვის. ამ ვიტამინს დიდი რაოდენობით შეიცავს: თევზი, ხორცი, კარტოფილი, რძის პროდუქტები, ხორბალი, პომიდორი, ყვავილოვანი კომბოსტო;

C ვიტამინი აძლიერებს იმუნიტეტს, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას. ამ ვიტამინით მდიდარია ასკილი, ლიმონი, მოცხარი, ქაცვი და კომბოსტო;

E ვიტამინის მეშვეობით ფუნქციონირებს მამაკაცისა და ქალის სასქესო ჯირკვლები. მას დიდი რაოდენობით შეიცავს კვერცხი, თევზი, საქონლის ღვიძლი და ქაცვი.

გარდა ვიტამინებისა, საკვები რაციონი მდიდარი უნდა იყოს ცილებით, ცხიმებით, ნახშირწყლებითა და დაბალანსებული პროდუქტებით.

თითქმის ყველა სახის ბოსტნეული და ხილი ამაღლებს პოტენციას. განსაკუთრებით კარგია: თხილი, ნიგოზი, პიტნა, ტარხუნა, ანისული, ქონდარი, კვლიავი – ეს პროდუქტები აძლიერებს სისხლის მიმოქცევას მცირე მენჯის ღრუში. ასევე, კარგია თალგამი, ჭარხალი, თაფლი, რძე, წითელი წიწაკა, ვაშლი, ბროწეული, ისპანახი, ოხრახუში და ძმრითა და მზესუმზირის ზეთით შეზავებული სალათები.

ხაჭო და ყველი კი განსაკუთრებულად დადებითად მოქმედებს მამაკაცის პოტენციაზე.

# ექიმის რჩევები

**კითხვა: მაინტერესებს, მშობიარობის შემდეგ, ვიბრომასაჟორი რამდენ ხანში შეიძლება, გამოვიყენო მუცლის არეში. 4 თვის წინ ვიმშობიარე და ციკლიც აღმიდგა უკვე.**

**პასუხი:** ვიბრომასაჟის გამოყენება არ არის რეკომენდებული მუცლის ზედაპირზე. ვიბრომასაჟორი უნდა მოთავსდეს ისეთ ადგილას, სადაც კანისა და კანქვეშა ქსოვილების ქვეშ ძვალია და არა უშუალოდ ორგანოები, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხდება ორგანოების ვიბრაცია და შესაძლებელია, მათი დაზიანება.

**კითხვა: ბოლო დროს მაწუხებს თავბრუხვევა, გულის რევის შეგრძნება და სისუსტე. ვარ 23 წის გოგონა. ადრე დაბალი წნევა მაწუხებდა, ახლა კი მოულოდნელად, შეიძლება, ამივარდეს და მეწყება კანკალი. რისი ბრალი შეიძლება, იყოს?**

**პასუხი:** ამ ჩივილების გამომწვევი მიზეზების დადგენისა და შემდგომი მკურნალობისთვის ჯობია, უპირველესად, მიმართოთ ენდოკრინოლოგს. გამოსარიცხია ჰიპოფიზის, ფარისებრი ჯირკვლისა და თირკმელზედა ჯირკვლის პათოლოგია; სისხლში განსაზღვრეთ შაქრის დონეც.

**კითხვა: მაინტერესებს, გენეტიკურია თუ არა კურდღლის ტუჩი და მამიდან გადადის თუ არა?**

**პასუხი:** კურდღლის ტუჩი და მგლის ხახა თანდაყოლილი დეფექტია. მიზეზი უმეტესად ორსულობის პირველი სამი თვის განმავლობაში დედის მიერ გადატანილი ინფექციურ-ვირუსული დაავადებაა. შესაძლოა, ინფექცია ისეთი მსუბუქი იყოს, ორსულმა არც კი მიაქციოს ყურადღება, მაგრამ გამოიწვიოს კურდღლის ტუჩი, მგლის ხახა ან ორივე ერთად. მძიმედ მიმდინარე ორსულობამაც შეიძლება, კურდღლის ტუჩის განვითარების პროვოცირება გამოიწვიოს. ის ფაქტი, რომ მშობელს აქვს ასეთი ანომალია, სულაც არ ნიშნავს, რომ ანომალია ექნება შვილს.

**კითხვა: მაინტერესებს, ექოსკოპიის დროს შესაძლებელია თუ არა დადგინდეს, რომ გოგონა ქალიშვილი არ არის?**

**პასუხი:** ქალი ეწევა თუ არა სექსუალურ ცხოვრებას, ამის დადგენა ექოსკოპიით არ ხდება.

**კითხვა: მაინტერესებს ძუძუთი კვების დროს რა ხილი შეიძლება მივირთვათ და თუ შეიძლება შინ გაკეთებული მოხუფული კომპოტის დალევა?**

**პასუხი:** ლაქტაციის პერიოდში მეძუძურმა დედამ არ უნდა მიიღოს ალერგიული თვისებების მქონე ციტრუსები – ლიმონი, ფორთოხალი, გრეიპფრუტი, ასევე, ატამი, საზამთრო და ისეთი ხილი, რომელიც იწვევს შებერილობას – (მსხალი, ბალი, ხურმა). არ არის რეკომენდებული ყურძენი, უნდა შეიზღუდოს ქლიავი, ლეღვი. ნებისმიერი საკვები, მათ შორის ხილი და ბოსტნეული რაციონში ეტაპობრივად უნდა შეიტანოთ და დააკვირდეთ ბავშვის რეაქციას; რაც შეეხება კომპოტს, უნდა მიირთვათ გამხმარი ხილის, ჩირის, ან ცოცხალი ხილისგან ახლად მომზადებული.

**კითხვა: ერთი თვის ბავშვი მყავს ბუნებრივ კვებაზე. შემიძლია თუ არა დუფალაკის მიღება და რა დოზით?**

**პასუხი:** დუფალაკის მიღება დაშვებულია მეძუძური დედებისთვის. დოზირება უნდა მოხდეს შემდეგი სქემით: დასაწყისში 15-45 მილიგრამი დღეში ერთხელ, დილით, ჭამის დროს. ორი დღის შემდეგ, მდგომარეობის გათვალისწინებით, დოზა მცირდება 10-25 მილიგრამამდე.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**

### შავი ქლიავი ადამიანის ორგანიზმისთვის ძალიან საჭირო და სასარგებლო ხილია

შავ ქლიავს განსაკუთრებული სამკურნალო თვისებები აქვს. ის მდიდარია პექტინებით, უჯრედისით, სორბიტით, ვიტამინებით, მიკრო და მაკროელემენტებით. მას ახასიათებს საფაღარათო, შარდმდენი და ნაღველმდენი თვისებები.

შავ ქლიავს იყენებენ ქრონიკული შეკრულობის, ქოლეცისტიტის, ნაღველკენჭოვანი დაავადებების დროს.

ანემიის შემთხვევაში განსაკუთრებით ეფექტურია ქლიავის ახალგამოწურული წვენის მიღება, რადგან ის დიდი რაოდენობით შეიცავს რკინას, მარილებსა და ასკორბინის მჟავას და სწორედ ამითაა განპირობებული მისი სისხლწარმომქმნელი სტიმულაცია.

ქლიავის ჭამა, ასევე, კარგია მაღალი მჟავიანობით მიმდინარე გასტრიტის, კუჭის ან თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებების დროს. ის ანეიტრალებს კუჭის წვენს და ბაქტერიოციდულად მოქმედებს ლორწოვანზე.

შავი ქლიავი, ფიტონოციდების შემცველობის წყალობით, გამოირჩევა ბაქტერიოციდული თვისებებით და ახასიათებს მადეზინფიცირებელი მოქმედება არა მარტო კუჭ-ნაწლავის, არამედ, პირის ღრუს ლორწოვანის დაავადებების დროსაც. შავი ქლიავი ორგანიზმის საუკეთესო გამწმენდია. ის გამოდევნის მავნე ნივთიერებებს, მაგალითად, ქოლესტერინს, კანცეროგენებს, მძიმე ლითონების შემცველ მარილებს. ამიტომ, ის აუცილებლად უნდა მიირთვას მოწამლულმა ადამიანმა.

ორგანიზმის გაჯანსაღებისა და სიმსივნური დაავადების პროფილაქტიკის მიზნით, 2 კვირის განმავლობაში მიირთვით 1 ჩაის ჭიქა გატარებული ქლიავისა და 1 კოვზი თაფლის ნარევი.



ქლიავის ჭამა არ არის სასურველი შაქრიანი დიაბეტით დაავადებული ან ჭარბი წონის მქონე პირებისთვის, რადგან ის დიდი რაოდენობით შეიცავს გლუკოზას.

**გვერდები მოამზადა**
**ნონა დათეშიძემ**

# ვისი მძღოლი იყო გივი ბერიკაშვილი მარჯანიშვილის თეატრში და ვინ დატოვა მან „კალგოტკის“ გარეშე

*„დავიბადე თბილისში, ვერაზე, სატოს უბანში, იქვე ახლოს მდებარე ჩაჩავას სამშობიაროში. მამა არ მახსოვს – 3 წლის ვიყავი, როცა ჭლექით გარდაიცვალა. მხოლოდ ის მახსოვს, დედაჩემი სადმე რომ გადიოდა, მამაჩემს ერთი დიდი ბამბუკის ჯოხი ჰქონდა და იმას დაუტოვებდა, ახლოს რომ არ მივკარებოდი. საკმარისი იყო, იმ ოთახში შემეხედა, სადაც მამა იწვა, რომ ის უბედური ჯოხს მიღერებდა. მე, რა თქმა უნდა, ჩემი თავიდან მოშორების მიზეზს ვერ ვხვდებოდი, ამიტომ, პატარა ბავშვს არ მიყვარდა მამაჩემი...“ – ამ სევდიანი მოგონებით იწყებს გივი ბერიკაშვილი თავის ცხოვრების დღიურებს დიტო ღვთისიაშვილის წიგნში – „სახალხო არტისტი“, მაგრამ მასში სახალისო ისტორიებიც საკმაოდ არის, თქვენ მხოლოდ უნდა წაიკითხოთ, თუ გინდათ, რომ თქვენი საყვარელი მსახიობი ახლოს გაიცნოთ.*



### მოგონებებში გაცოცხლებული

მამა, ზაქარია ბერიკაშვილი, გურჯაანის რაიონის სოფელ კოლაგიდან იყო; დედა კი თელავის რაიონის სოფელ ქვემო ხოდაშნიდან – ძულიაშვილის ქალი, ანა ერქვა. ჩემი მშობლები ადრე გადმოსახლდნენ თბილისში, მეც აქ გავიზარდე, თუმცა, კახეთთან კავშირი არასდროს გამიწყვეტია. სანამ მამაჩემის მამა – პაპა პანწკალა, ცოცხალი იყო, ყოველ ზაფხულს, უქმე დღეებშიც კი, სოფელში ვიყავი. თამრო ბაბოც კი კარგად მახსოვს... დედაჩემის დედას, სონა ბებოს, სულ პატარა წავუყვანივარ სოფელში. საწყალი, მეუბნებოდა: რომ ამიტირდებოდი, ძუძუს ჩაგიდებდი სანოვარას მაგივრადო. ას წელს იყო მიტანებული, რომ გარდაიცვალა. პაპა ფირუზას, დედაჩემის მამას, ზედმეტსახელად „ფხატას“ ეძახდნენ, ისიც უალესად მშრომელი კაცი იყო. ეგეთ ღვინოს კახეთში არავინ აყენებდა... ფეხსაცმელებსაც კერავდა, სოფლის კბილის ექიმიც ეგ იყო და პარიკმახერიც ქვემო ხოდაშენში. შაბათ-კვირას თავისი მოსავალიც თვითონ ჩამოჰქონდა ბაზარში... ვსწავლობდი თბილისში, მერვე ვაჟთა გიმნაზიაში. ომის წლებში დედაჩემი წინანდლისა და ქვემო ხოდაშნის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე იყო და, მეც, ძალაუნებურად, კახეთში გადამიყვანეს სკოლაში. თავისთავად, მძიმე წლები იყო. ამ რაიონს უამრავი დეზერტირი აფარებდა თავს, რომლებიც განსაკუთრებით ემტერებოდნენ ხელისუფლებას, ამ შემთხვევაში კი – დედაჩემს, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელს. მახსოვს, საწყალი ქალი გვერდით ვერ მიწვენდა – ეშინოდა, ღამით რამე თავდასხმა არ მომხდარიყო მასზე. ამის შემდეგ დავბრუნდით თბილისში. დედაჩემმა მუშაობა დაიწყო მარჯანიშვილის თეატრის ბუღალტერიაში. მეც დავუბრუნდი ჩემს ძველ სკოლას. მერე დედაჩემი გათხოვდა. ჩემი მამინაცვალი რუსთავში იწყებდა მუშაობას და ბოლო წელი იქ გადამიყვანეს. რუსთავის სკოლა დავამთავრე.

### სუნთქვით დატანჯული გივი და ავლიპის თეატრი

ლილი იოსელიანმა კინაღამ შეგვაძულა პროფესია. ვიფიქრე, დავანებებ თავს, წავალ, ვენახს შევწამლავ, მუშად ვიმუშავებ-მეთქი. შევიდოდი გაკვეთილზე, ვუყურებდით ამ ქალს – არც ჭამა უნდა, არც სმა, არც სხვა ბუნებრივი მოთხოვნილებები აქვს... ისე იყო გატაცებული იმით, რომ ჩვენც რამე გაგვეგო ამ საქმეში, ღამის თორმეტ საათზე გვიმთავრდებოდა ლექციები და მერე რუსთაველიდან პლეხანოვამდე მთელი ჯგუფი ვაცილებდით ერთმანეთს.

პირველი გაკვეთილი გვაქვს მეტყველებაში. ილება კარი და შემოდის ჭალარა, პატარა, კაფანდარა ქალბატონი. ისეთი ხმა ჰქონდა... აბა, დავიწყეთ სუნთქვის ვარჯიშებიო – გამოგვიცხადა, გავიფიქრე, რა სუნთქვის ვარჯიშები მინდა ახლა მე. სანამ სკოლაში ვიყავი, სპორტდარბაზი იქვე გვქონდა, სატოს უბანში რას აღარ ვაკეთებდი – ვცურავდი, ფეხბურთს ვთამაშობდი... ვიფიქრე, ამ პატარა ქალმა მე რა სუნთქვა უნდა მასწავლოს-მეთქი. აბა, აიღეთ სუნთქვა და ერთ ამოსუნთქვამდე ვინ რამდენს დათვლითო – იმეორებდა. ყველას ზინა კვერენჩხილაძე არ გადაგვიჯოკრა?!. სხვათა შორის, კვერენჩხილაძე კარგი მოფარიკავე, საკავშირო ჩემპიონი იყო. ერთხელ ქალბატონი ლილი მეუბნება: აბა, გივი, გენაცვალე, წარმოიდგინე რომ მდინარის ერთ ნაპირას დგახარ, ეს მდინარე ძალიან ხმაურიანია, შენ კი მეორე ნაპირზე უნდა გააგონო – „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“... დავიწყებდი ბურდღუნს – გამაჩერებდა. როგორ გგონია ახლა, გაიგონებდნენ მდინარის იქით? დავიწყებდი თავიდან, იმდენჯერ მამეორებინებდა, სანამ დასახულ მიზანს არ მიაღწევდა. სულ თაფლივით იყო, გამშვიდებდა, გაწყნარებდა... ჩემი ლილასავით ბუზღუნა კი არ იყო (ლეილა კაპანაძე, მეუღლე). მოკლედ, გავიდა წლები. მალიკო მრევლიშვილმა ლეილა ჯერ ასისტენტად დატოვა ინსტიტუტში, მერე ლეილა პედაგოგი გახდა, ჯგუფები ჩაიბარა. ერთ დღესაც, ქალბატონ ლილის ლეილასთან დაუწუწუნია: რაღაც, ვერ ვიძინებ და წამალი ყოფილა – რადედორმი, იმას ვეძებ, მაგრამ, ვერ ვიშოვეო. ეს აკრძალულ, ფსიქოტროპულ პრეპარატად ითვლებოდა და ლამის მინისტრამდე უნდა მიგეღწია, რომ გეშოვა. მე მაშინ დიდი „დოსტუპი“ მქონდა ავლიპ ზურაბიშვილთან. მივედი ბატონ ავლიპთან, მოვუყევი ჩემი გაჭირვება, მომისმინა და მითხრა: ახლა მე შენ მაგ წამალს მოგცემ, მაგრამ, თეატრზე უნდა ვილაპარაკოთ ცოტა ხანსო. ეს „ცოტა“, სამი-ოთხი საათი გრძელდებოდა. ამ დღის შემდეგ ხშირად მიწევდა საქართველოს პირველ ფსიქიატრთან კონსულტაციები, სამაგიეროდ, ვიცოდი, რომ ჩემს მასწავლებელს მშვიდად ეძინა. პატარა შვება იგრძნო და სულ მე მლოცავდა.



### „ჟენიას, ვირიშვილო?..“

1958 წელს სოხუმის თეატრი ჩამოვიდა თბილისში დეკადაზე. იმ გასტროლებზე მნახა ვერიკო ანჯაფარიძემ და შემომთავაზა, მარჯანიშვილის თეატრში დავრჩენილიყავი. მეც დავთანხმდი. დავიწყე მუშაობა. უკვე როლებსაც ვთამაშობდი. კაკო დვალიშვილი მაშინ კულტურის მინისტრის მოადგილედ მუშაობდა. ვერიკო მიმიღებდა შტატში, კაკო მომხსნიდა შტატიდან – მაგას არ ჰქონდა უფლება, სოხუმი მიეტოვებინაო. ვერიკო ისევ აღმადგენდა, კაკო ისევ მხსნიდა და ასე გრძელდებოდა, სანამ კაკო თვითონ არ დანიშნეს ჩვენი თეატრის დირექტორად. მერე ძალიან დავმეგობრდით. ვასო გოძიაშვილის მძღოლი ვიყავი კარგა ხანს. მახსოვს, სომხურ თეატრში იყო რაღაც შეხვედრა და მიმყავს მანქანით ბატონი ვასო, მისი მეუღლე ქალბატონი ჟენია და ქალბატონი მედეა ჯაფარიძე. გზაში ქალბატონმა მედეამ რაღაცას გამოსდო ფეხი და „კალგოტკა“ გაერღვა, არადა, საღამოს სცენაზე უნდა გამოვიდეს... დაიწყო ნერვიულობა. ვუთხარი: ნუ ნერვიულობ, აგერ, პუშკინის ქუჩაზე გზად შევიაროთ და ახალი „კალგოტკა“ ვიყიდოთ-მეთქი. მართლაც, შევაჩერე მანქანა, შევვარდი მაღაზიაში, ერთი „კალგოტკა“ გამოვიტანე და ქალბატონ მედეას მივეცი... ბატონი ვასო მიყურებს: „ჟენიას, ვირიშვილო?!“ ვაიმე... ჯერ კი გავიფიქრე, ჟენიას ხომ არ გარღვევია „კალგოტკა“ და რას მეუბნება-მეთქი, თუმცა მალე გამოვედი მდგომარეობიდან. ახლა საღამოს საათებია, მეტი არ ჰქონდათ და, ხვალ-ზეგ ქალბატონ ჟენიას ამოვუტან-მეთქი. მეორე



დღეს, რასაკვირველია, ეს ამბავი დამავიწყდა, ასევე, მესამე დღესაც. უცებ ვასო შემხვდა თეატრში და მომაძახა: „სად არის ჩული?“

### ჯერ დავიხოცეთ, მერე ვიქორწინეთ

ეს სპექტაკლი ვასო გოძიაშვილის „გედის სიმღერად“ იქცა. ამ გადაღებების შემდეგ სცე-



ნაზე აღარც გამოსულა და მალე გარდაიცვალა კიდეც. ერთ დღეს, მივედი გადაღებაზე და ჩოჩქოლია. რა ხდება-მეთქი? გოძიაშვილმა შემოგვითვალა, გრიპია მოდებული და სახლიდან ვერ გამოვალო. საგონებელში იყო ჩავარდნილი მთელი ჯგუფი – რა ვქნათ, არ ვიცით. არადა, სხვა დროს ამ სტუდიას აღარ მოგვცემენო – ეს ერთი გადაღების დღე იყო დარჩენილი. მე ვუთხარი: ნუ ნერვიულობთ, თქვენ მიდით, ყველაფერი გაამზადეთ, დავიდიჩს მე მოვიყვან-მეთქი. წავედი. ფილარმონიასთან ცხოვრობდა. გზად აფთიაქში შევიარე, ორი ცალი პირბადე ვიყიდე, ერთი ცხვირზე ავიკარი, მეორე ხელში მეჭირა. დავრეკე ზარი. კარი თვითონ გამიღო. ვაჰ, ვაჰ, რა სწორად გიქნია, ცხვირი რომ აგიკრავსო, – ამ სიტყვებით შემომეგება. უნდა წავიდეთ-მეთქი. არა, რას ამბობ, გრიპი მინდა ახლაო? რას ამბობ, დავიდიჩ, აბა, ეს დოლბანდი რისთვის მოვიტანე, მთელი ქალაქი დოლბანდაკრული დადის-მეთქი; შენობის შიგნით კიდევ, გრიპის ვირუსი არ აღწევს, იქ დაცული იქნები. გადავიღოთ ეს ბოლო სცენა და უკანვე მოგიყვან-მეთქი. ძლივს დავითანხმე. ახლა, წარმოიდგინეთ, დოლბანდაწეულები მე და ვასო რა სანახავები ვიქნებოდით, ქუჩაში რომ გამოვედით. ჩავსხედით მანქანაში და წავედით ტელევიზიაში. გზაზე გოძიაშვილმა შეამჩნია, რომ დოლბანდი არც არავის უკეთია ქუჩაში. გაგიჟდა. შენ რა, მასხრად მიგდებ?! აბა, ახლავე დამაბრუნე უკანო. უკან ვინღა დააბრუნებდა, ძლივს წამოვიყვანე. ასე მივიყვანე ბოლო გადაღებების დღის. უკან რომ მივიყვანე, დაიწუწუნა, ახლა ზევით რა ამიყვანსო. ვუთხარი: თუმანი მომეცი და მე აგიყვან ზურგით-მეთქი... დაეჭვებულმა შემომხედა: ხუთი მანეთი არ გეყოფაო?!

### ზესტაფონელი ვირი და „პედარასტი“ სიძე

ჩემი სიდედრი ხონელი იყო, სიმამრი – ქუთაისელი. ცოლი ახალი მოყვანილი მყავდა და ჩავედით ხონში, ცოლის ბიძაშვილებთან. იმერლებმა ახალი სიძე თუ არ წაახდინეს და ბაჟეში თავი არ ჩააყოფინეს, ისე რა მოასვენებთ... ხან ცოტა არაყს გამირევდნენ, ხან ღვინოს მოიპარავდნენ. რიგრიგობით ეცემოდნენ ბრძოლის ველზე. ლეილას შეეცოდა ცოცხლად გადარჩენილები და სთხოვა, მოეშვით ამ ჩემს ქმარს, კახელია, თქვენ ამის დამთრობი არ ხართ და, მოგკლავთ, თქვე უბედურებოო... ღვინით რომ ვერ მაჯობეს, კახელებზე ანეკდოტების მოყოლა დაიწყეს. ცოტა ხანს ვუსმინე, ვუსმინე და მერე ვუთხარი: მეც მოგიყვებით ერთ ანეგდოტს კახელებზე-მეთქი. კახელმა თელავიდან ვირი წამოიყვანა გასაყიდად ქუთაისში. მიდიან, მიდიან, გადაიარეს ნახევარი საქართველო და ზესტაფონში უცებ გაწვა ვირი. „ადე, ვირო! ადე, ვიროს“ ძახილით აიკლო კახელმა



იქაურობა. გამოესარჩლა ვირს ერთი ზესტაფონელი კაცი: პირუტყვი როა და ხმას ვერ გცემს, ამიტომ უნდა მოკლაო?! წადი, თქვენი ასე და ისეცო, – წაუკაკხურა თელაველმა და ვირის ცემა განაგრძო. გაბრაზდნენ იმერლები, ეს შენი კახელი კარგად მიტყიპეს და თავის ვირთან მიაგდეს. ცოტა ხნის შემდეგ, ოდნავ ჭკუაზე მოსულმა კახელმა ვირს გადახედა და უსაყვედურა: ამოდენა ბიძაშვილები თუ გყავდა ზესტაფონში, თელავში ვერ მითხარიო?..

ჩემი სიდედრი გიჟდებოდა ჩემზე. სანამ ჩვენს ბინაში გადავიდოდით (სატოს უბანში ბინა გავყიდეთ და თამარაშვილზე ამხანაგობის სახლის ასაშენებლად შევიტანეთ ფული), მანამ ჩემი ცოლის სახლში ვცხოვრობდით. ის ლეილას დედამთილი უფრო იყო, ვიდრე ჩემი სიდედრი. ერთხელ ნასვამი მივედი სახლში და ცოლმა მისაყვედურა: რა არის, ჩვენს სახლში არა ვართ, ამ ჩემს მშობლებთან რატომ მოდიხარ ნასვამიო... გამოუვარდა ჩემი სიდედრი და უთხრა: კაცი თუა, უნდა დალიოს, აბა, პედერასტი სიძე რა თავში სახლელად მინდაო. ჩემი სიმამრი არაჩვეულებრივი გარეგნობისა და ხმის პატრონი იყო, ეკლესიაში გალობდა ხოლმე. ადრე დაქვრივდა. გიჟდებოდნენ ჩემი შვილები ბაბუაზე. ერთხელ, მანქანით მოვდივარ და, დავინახე, ლუარსაბოვიჩი ქუჩაში მოსეირნობს ერთ სიმპათიურ რუს ქალთან ერთად. მაშინ, იქნებოდა ასე სამოცდაათი წლის. გავუჩერე მანქანა და ჩემი მომსახურება შევთავაზე. აბა, ბიჭო, იმ ჭკუაზე ვარ ზუსტად, შენ გასწავლო ამის მისამართიო, – მითხრა და გზა განაგრძო.

**ეკა პატარაია**

---

## ვინ არის გიორგი ქადარია, რომელსაც წლების წინ ჟულიომ „რეპის მეფე“ უწოდა, ამავე დროს მსოფლიოში ცნობილ კლუბებში დიჯეობს და Armani Jeans-ის ნომერ პირველი მაღაზიის მენეჯერია

(23-ე გვერდიდან)

თავის დროზე ბელგიაში საკმაოდ ცნობილი სტილისტი იყო, თავისი ბიზნესიც ჰქონდა, მაგრამ ბავშვი რომ გააჩინა, ბიზნესი გაყიდა, ოჯახისა და შვილისთვის უკეთ რომ მიეხედა. მასაც ვკითხე: თუ დაიწყებდა ლონდონში მუშაობას, მაგრამ ზუსტად ამ დროს მომივიდა საინტერესო მეილი: „არმანის“ მამაკაცის ჯინსის ახალი მაღაზია იხსნება ანტვერპენში და თქვენთვის შემოთავაზება გვაქვსო. რა თქმა უნდა, შევხვდი Armani Jeans-ის მსოფლიო მენჯერს, ძალიან წარმატებულად ჩაიარა ჩვენმა საუბარმა. ერთმანეთზე კარგი შთაბეჭდილება დავტოვეთ და სამ დღეში მომივიდა პასუხი: ასეთია ჩვენი პირობები, ამდენს გადაგიხდით, ეს შედის თქვენს მოვალეობაში და შეგიძლიათ, მუშაობა დაიწყოთო. რა თქმა უნდა, უარი არ მითქვამს – ეს ჩემთვის სერიოზული გამოწვევა იყო. სულ მინდოდა, ჩემი შესაძლებლობების გამოვლენისთვის და ამის საშუალება მომეცა. ჩვენი კონტრაქტი შედგა გასული წლის შემოდგომაზე. თან, ეს მაღაზია Armani Jeans-ის ქსელში ყველაზე დიდია. თავისი მნიშვნელობით ნომერ პირველი მაღაზიაა და მე ვარ მისი მენჯერი, რაც ჩემთვის ძალიან საამაყოა, ყოველგვარი ამბიციების გარეშე. მიწევს ისეთ კომპანიში მუშაობა, რომელიც პროფესიონალებითაა დაკომპლექტებული. პირადად ჩემი უფროსი Armani Jeans-ის მსოფლიო მენეჯერია. სხვა მაღაზიებში არ ხდება ასე, ანუ სხვადასხვა საფეხურია და სხვადასხვა მენეჯერს უკავია ცალკეული ადგილი. მე კი პირდაპირ მსოფლიო მენეჯერი მყავს უფროსად და ასე ვთქვათ, ამით ისინი დიდ ნდობას მიცხადებენ. როდესაც მაღაზია იხსნება, როგორი ცნობილი და წარმატებული ბრენდიც არ უნდა იყოს, დასაწყისში მაინც უჭირს მუშაობის აწყობა. მე ჩამაბარეს ამხელა მაღაზია და მეც გავამართლე მათი იმედები. მაღაზიის გამო მილანში ჩავდივარ, შეკვეთებს ვაძლევ, რაც ძალიან დიდ თანხებთან, მილიონებთან არის დაკავშირებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ბოლომდე მენდობიან. სამსახურის გამო ხშირად მიწევს მილანში ჩასვლა, როგორც შეკვეთებზე, ასევე სხვადასხვა შეხვედრებზე, კომპანიის ივენთებზე. ვიყავი მილანში, „არმანის“ მოდის სახლში – ეს არის საოცარი ადგილი, უზარმაზარი და ულამაზესი ტერიტორიით, სადაც აბსოლუტურად ყველაფერია, რადგან „არმანს“ ძალიან ბევრი ხაზი აქვს. თავის ჩვენებებსა და ფოტოგადაღებებსაც ჯორჯო არმანი ყოველთვის იქ აწყობს. თუმცა, ნებისმიერი სახის გადაღება, თუნდაც მის მაღაზიაში, აკრძალულია. მხოლოდ ჯორჯო არმანის თანხმობის შემთხვევაში აქვთ მისი ექსკლუზიური პროდუქციის გადაღების უფლება.

**– ხომ არ გაიცანი?**

– ჯერ არა, ყველაფერი წინ არის. თუმცა, სიმართლე რომ გითხრათ, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია არა მასთან შეხვედრა, არამედ ის, რომ ამ დიდი კომპანიის მნიშვნელოვანი და ღირსეული წევრი ვიყო.

**– თავადაც, ალბათ, სულ „არმანის“ ჯინსები გაცვია.**

– მანამდეც მიყვარდა „არმანის“ ჯინსები და ახლა არა მხოლოდ სამსახურში, ისედაც სულ მას ვატარებ. მე „არმანის“ ამ ხაზის სახეს წარმოვადგენ და არ შეიძლება, სხვანაირად იყოს. შესაძლებელია, ახლო მომავალში, ანუ ოქტომბერში, როგორც დიჯეიმ, „არმანის“ მოდის სახლში დავუკრა, ისევე, როგორც მილანში ერთ-ერთ კლუბში.

**– როგორც მსახიობი აღარ მუშაობ?**

– 2011 წელს ვითამაშე ჰოლანდიაში მოკლემეტრაჟიან ფილმში „სახურავზე მოსიარულენი“. რეჟისორი ქართველი ემიგრანტია, რამაზ მელაშვილი, ფილმი ეხება ქართველი ემიგრანტის ცხოვრებას. ფილმის პრემიერას დავესწარი როტრდამის კინოფესტივალზე. საკმაოდ კარგი შეფასებები დაიმსახურა, კრიტიკაც კარგი იყო. ასევე, ბელგიაში რამდენიმე სატელევიზიო რეკლამაშიც ვარ გადაღებული. თუმცა 100 პროცენტით მაინც Armani Jeans-ის მაღაზიაზე ვარ გადართული და კონცენტრირებული.

**ნათია უტიაშვილი**

**როცა ადამიანი სასოწარკვეთილებაში ვარდება და ფიქრობს, რომ სამყარო მის წინააღმდეგაა მომართული, მხოლოდ მაშინ იწყებს გამოსავლის ძიებას. ბევრს არ სჯერა უარყოფითი ენერგიებისგან თავდაცვის საშუალებების, ნეგატიური ზემოქმედების უდიდესი ძალის, თუმცა ამ სამყაროში ყველაფერი ხდება და ნებისმიერი სიტუაციისთვის მზად უნდა ვიყოთ. ჩვენი რუბრიკის სტუმარი, ქალბატონი გიული, უკვე წლებია, საქართველოდან შორს ცხოვრობს და წელიწადში მხოლოდ ერთხელ ესტუმრება ხოლმე თბილისს. თუმცა, როგორც თავად ამბობს, აქ ჩამოსვლისას უამრავი ნაცნობ-მეგობარი აკითხავს და შექმნილი რთული სიტუაციიდან დახსნას და თავდაცვას სთხოვს.**

# ვისთვის არის საშიში ოქროს სამკაულები და როდის უნდა ვატაროთ თილისმის ძალის მქონე ლითონის სამშვენისები



**გიული**: მიკვირს მათი, ვინც მხოლოდ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნის შემდეგ ცდილობს, იპოვოს შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი და დაიცვას თავი. არადა, ასე სწორედ მაშინ უნდა მოიქცეთ, როცა დაცულიცა ხართ და წარმატებულიც. ბევრს არ სჯერა თილისმის მაგიური ძალის, თუმცა სასწაულები მაინც ხდება და, როცა ამ სასწაულის მომსწრენი ხდებიან, მხოლოდ მაშინ თუ დაფიქრდებიან, რა მოხდა მათ თავს. დამიჯერეთ, თილისმის ტარება ყოველთვის საჭირო და აუცილებელია, რომ თავი უსაფრთხოდ, ჯანმრთელად და დაცულად იგრძნოთ. ზოგ ლითონს თილისმის ძალა და სამკურნალო თვისებები გააჩნია.

**– თუ ადამიანი წარმატებულია, არც ბედს უჩივის და მაინცდამაინც არც, მოუგვარებელი პრობლემები აწუხებს?**

– ზუსტად ამას ვამბობ: თილისმა მხოლოდ მაშინ კი არ უნდა ატაროთ, როცა შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალს ვეღარ პოულობთ და, რომ იტყვიან, ხავსს ეჭიდებით, არამედ მაშინ, როცა თავს კარგად გრძნობთ და ბედსაც არ უჩივით. თილისმა ბედნიერების დასაცავად უნდა ატაროთ და არა პრობლემებისგან თავის დასახსნელად. აბა, დაფიქრდით, რატომ ჰქონდათ ადრეულ საუკუნეებში ყველა ოჯახში ძვირფასი ლითონის ჭურჭელი? რატომ მიირთმევდნენ მოოქრული ან მოვერცხლილი ლანგრებიდან საკვებს და თვლებით მოჭედილი ძვირფასი ლითონების სასმისებიდან – სითხეს? ან, რატომ ხმარობდნენ ვერცხლის ან ოქროს დანა-ჩანგალს? იმიტომ, რომ, უნიკალური ენერგეტიკული დამცავი თვისებების გარდა, მათ ჯანმრთელობის შენარჩუნებაც შეუძლიათ და ავი თვალისა და ბოროტი მზერისგან დაცვაც.

**– ძველად უბრალო რკინისგან დამზადებული სამკაულების ტარებაც იყო მიღებული. მას თუ გააჩნია მსგავსი დამცავი თვისებები?**

– კარგი კითხვაა, რადგან, ბევრმა არ იცის, რომ უბრალო რკინის სამკაულიც კი, გარშემო მყოფების აგრესიისა და ავი ზრახვებისგან კარგი დამცველია. მაგრამ, აქვე გეტყვით, რომ რკინის სამკაულების ტარება ყველასთვის არ არის რეკომენდებული. მაგალითად, რბილი ხასიათის, მოკრძალებული, გაუბედავი და მორცხვი ადამიანებისთვის ის ძალიან კარგი დამცველია; გამბედავ, მებრძოლ და რისკიან ადამიანებზე კი – პირიქით, უარყოფით ზეგავლენას ახდენს. ამიტომ იყო, რომ დიდებულები ძველად მხოლოდ ძვირფას სამკაულებს ანიჭებდნენ უპირატესობას. დაბალი ფენის, მოკრძალებული ადამიანები კი რკინის სამკაულებს ატარებდნენ. ვისაც ნებისყოფა არ ჰყოფნის, ადვილად ფეთქებადი და იმპულსური ხასიათი აქვს, მას ოქროს სამკაულების ტარება, უბრალოდ, ეკრძალება. ოქრო პატრონს ენერგიის კონცენტრირებაში ეხმარება და კარგია მათთვის, ვისაც ეს სჭირდება. ჩვენთან მიღებულია, რომ ოქროს ნივთები თაობიდან თაობებს გადაეცემა. ზოგი ფიქრობს, თუ წინაპრისგან დანატოვარ ძვირფას ნივთს ატარებს, ამით მათ ხსოვნას სცემს პატივს. მე კი გეტყვით, რომ შეგიძლიათ, ასეთი საგვარეულო ნივთები ოჯახში შეინახოთ და ის თავის ძლიერ ენერგეტიკას თავისთავად დააგროვებს, რითაც ბინაში უარყოფითი ენერგიების შემოდინებასაც შეუშლის ხელს და არც თქვენზე იმოქმედებს ცუდად. მათმა ტარებამ კი, შესაძლოა, ზიანი მოგაყენოთ. მასში ყოფილი პატრონის ენერგეტიკაა ჩადებული და, არ არის გამორიცხული, ის თქვენს ენერგეტიკას ეწინააღმდეგებოდეს. ეს კი წინსვლაში შეგიშლით ხელს და, შეიძლება, პრობლემები და წინაღობები შეგიქმნათ, ბარიერების დაძლევა კი რთული აღმოჩნდეს თქვენთვის. არც ის არის კარგი, რომ გარდაცვლილი ადამიანის სამკაულები ატაროთ და თქვათ, ამით მის ხსოვნას ვცემ პატივსო. გარდაცვლილის ენერგეტიკა მასშია „ჩაბუდებული" და ის თქვენთვის წარმატების მომტანი ნამდვილად ვერ იქნება. მაგრამ, თუ ადამიანი მთელი ცხოვრება წარმატებული იყო,

**ის ოქრო თუ ძვირფასი სამკაული, რომელიც გარდაცვლილს ეკეთა, ორმოცამდე ხელუხლებლად უნდა შეინახოთ და ისეთ ადგილას დადოთ, სადაც ვერავის თვალი ვერ მისწვდება**

ღრმა სიბერემდე იცოცხლა და არც ჯანმრთელობას უჩიოდა, შეგიძლიათ, ასეთი წინაპრის ნაქონი ძვირფასი ნივთები თუ სამკაულები თამამად ატაროთ. თუმცა, გაითვალისწინეთ, რომ ის ოქრო თუ ძვირფასი სამკაული, რომელიც გარდაცვლილს ეკეთა, ორმოცამდე ხელუხლებლად უნდა შეინახოთ და ისეთ ადგილას დადოთ, სადაც ვერავის თვალი ვერ მისწვდება. აგრეთვე, არ შეიძლება, გარდაცვლილი ახლობლის ნივთებისა თუ სამკაულების ტარება კვირის გარკვეულ დღეებში და იმ დღეს, როცა ის გარდაიცვალა.

**– რომელ დღეებზეა საუბარი?**

– არ უნდა ატაროთ გარდაცვლილი ადამიანის ნაქონი სამკაულები და ნივთები ორშაბათს, პარასკევსა და კვირას, რადგან ამას კარგი არაფერი მოაქვს. ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს თავის სახელზე ნაყიდი ლითონის ახალი სამკაული და ის უნდა ატაროს – ის თქვენთვის საუკეთესო თილისმა და დამცავი იქნება.

**– ქალბატონო გიული, ბევრი პარაფსიქოლოგი თუ ეზოთერიკოსი ამბობს, რომ ჩვეულებრივ ქათმის კვერცხს უნიკალური მაგიური თვისებები აქვს. იქნებ ამაზეც ისაუბროთ?**

– დიდი სიამოვნებით. უბრალო კვერცხს მართლაც გააჩნია მაგიური თვისებები. მინდა ყველამ იცოდეს, რომ ჩვეულებრივი ქათმის კვერცხი საუკეთესო დამცველი საშუალებაა ავი თვალისა და ნეგატიური ზემოქმედებისგან. ალბათ, ბევრს გაუჩნდება კითხვა, კვერცხით როგორ უნდა დავიცვათ თავი ან რა დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს ჩვეულებრივ კვერცხსო, მაგრამ, აბა, დაფიქრდით, უძველესი დროიდან ჯადოქრები და მაგები რატომ იყენებდნენ მას თავიანთი შავბნელი საქმეებისთვის? იმიტომ, რომ კონკრეტული ადამიანისთვის ზიანი მიეყენებინათ. მაგალითად, ძველად ჯადოქრები ლაყე კვერცხს მალავდნენ იმ ოჯახში, რომლის დანგრევაც უნდოდათ და მიზანსაც აღწევდნენ. ასე რომ, მსგავსი ცუდი საქმეების გამკეთებლები დღესაც მომრავლდნენ და, თუ სახლში ან ეზოში ლაყე კვერცხი იპოვეთ, იფიქრეთ, რომ ვიღაცას თქვენთვის ზიანის მოყენება უნდა და, თუ დროულად არ ამოქმედდით, მიზანსაც მიაღწევს.

**– ამ დროს რა უნდა მოიმოქმედოს ადამიანმა?**

– უბრალოდ, ცეცხლი დაანთეთ და ის კვერცხი შიგ ჩააგდეთ. შემდეგ კი ნაცარი კარგად მოხვეტეთ და სახლიდან შორს, მდინარეში გადაყარეთ. ალბათ, არ იქნება თქვენვის სიახლე, თუ გეტყვით, რომ კვერცხი სიცოცხლის სიმბოლოდ მოიაზრება. თუ გსურთ, ჩვეულებრივი კვერცხი თქვენი დამცველი და ცუდის ამრიდებელი იყოს, კვირაში ერთხელ საწოლის გვერდით დადგით წყლით სავსე ჯამი და მასში ჩადეთ ერთი თეთრი კვერცხი. ჩაყარეთ მარილი და ცოტა ძმარიც ჩაამატეთ. დილით კი, გაღვიძებისთანავე, მასში ჩაყავით ხელები და ჯამიდან ხელების ამოღების შემდეგ რაც თითებზე წვეთები დაგრჩებათ, თავზე ისხურეთ. კვერცხი კი მოხარშეთ და მიირთვით, ოღონდ, არამც და არამც არ შეწვათ. ეს რიტუალი გარშემო მყოფების აგრესიისგან დაგიცავთ, საქმეში წარმატებას გპირდებათ და ბედშიც სასიკეთო ცვლილებების შემტანია. კვერცხი ჩვენს ქვეცნობიერს ენერგეტიკული ჩარევებისგან იცავს. მისი დახმარებით კი ჯადოსაც აარიდებთ თავს და გათვალვასაც.

**ნონა დათეშიძე**

## უსარგებლო სიტყვები

არიან ადამიანები, რომლებსაც საერთოდ არ შეუძლიათ კამათი, რომ არაფერი ვთქვათ, არგუმენტირებულ ჩხუბზე... საკმარისია, აღელდნენ, რომ მეტყველების უნარს კარგავენ და მათ ლექსიკაში სრულიად არასაჭირო სიტყვები ჩნდება. თუმცა, უნდა ვთქვათ ისიც, რომ „არასაჭირო" სიტყვები, ფაქტობრივად, არ არსებობს. მღელვარებისას ენის დაბმა და სათქმელისთვის თავის ვერ მობმა, ქმნის იმის შთაბეჭდილებას, რომ განათლება, ლოგიკა გაკლიათ. შეგიძლიათ, მოიშველიოთ პაუზა, როგორც აზრების დალაგების, ამოსუნთქვის საშუალება. არ ილაპარაკოთ ჩქარა და არ მიაყაროთ სიტყვები ერთმანეთს. ამოირჩიეთ თქვენთვის კომფორტული ხმის ტემბრი და ტემპი. ის თქვენი ბუნებრივი ხმის ტემბრისგან შედარებით ოდნავ ნელი უნდა იყოს.

ბევრი ფსიქოლოგი საუბრით შთაბეჭდილების მოსახდენად საკმაოდ ორიგინალურ მეთოდს იყენებს – ეს ღიმილი და იუმორია. ერთიც ძალიან ეფექტური საშუალებაა და მეორეც. თუნდაც არგუმენტები საერთოდ არ გქონდეთ, თუკი ღიმილსა და მოსწრებულ იუმორს მოიშველიებთ, სასწორი თქვენს მხარეს გადმოიხრება. მამაკაცთან ურთიერთობისას ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

## ისე, როგორც ბავშვი

მამაკაცი პასიური არსებაა. მთელ მსოფლიოში მამაკაცთა 14 პროცენტი მოხუცებულობამდე ცხოვრობს მშობლებთან, ეზარება ოჯახის შექმნა და ცალკე გასვლა. ბუნებრივია, ეს ინფანტილურობის ბრალიც არის და უპასუხისმგებლობისაც. დანარჩენი 86 პროცენტი ჩვენი ძვირფასი მამაკაცებისა უარს ნამდვილად არ იტყოდა, თუკი ნაკლები მოვალეობები ექნებოდა. მაგალითად, ძალიან აქტიურ ქალებს ემუქრებათ ის, რომ მათი მეუღლეები ინფანტილურები და პასიურები გახდებიან. ამიტომ დაიხსომეთ:

* არავითარ შემთხვევაში, არ შეითავსოთ დედის როლი. ნუ მოემსახურებით და ნუ გააკეთებთ მის გასაკეთებელს. ნუ გეშინიათ, როგორმე მოახერხებს, ისაუზმოს და შესაფერისი ტანსაცმელიც შეირჩიოს. სადილზე თეფშს და ჩანგალსაც თუ თვითონ გამოიღებს კარადიდან, ამით არაფერი დაშავდება. უფრო პირიქით...

* აუცილებლად ხშირად სთხოვეთ დახმარება ნებისმიერ საქმეში და აღნიშნეთ, რომ ეს თქვენთვის მეტად ფასეულია. ის კი ყველაზე საჭირო ადამიანია.

* გადაანაწილეთ ოჯახური მოვალეობები. რას გააკეთებს ის, ანუ რა ევალება სახლში, აჯობებს, იცოდეს.

* პირდაპირ უთხარით, რა გინდათ. მინიშნებების მამაკაცებს არ ესმით. მით უფრო, ვერასოდეს გამოიცნობს, რა გაქვთ გუნებაში.

* დაამკვიდრეთ ურთიერთობის თქვენეული სტანდარტები, ანუ, თუ მამაკაცს არ ეტყვით, რას ელოდებით მისგან და რისი მიღება გსურთ ამ ურთიერთობიდან, ის იცხოვრებს ისე, როგორც ყოველთვის „კარნახობდა" დედა და ეს არ მოგეწონებათ.

## თქვენ – მსახიობი

საკუთარი თავის შეცნობა მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია წარმატებისთვის, მით უფრო, ქალისთვის, რომელიც ცხოვრების თანამგზავრის ძიებაშია. „სცენარის თერაპია" – არსებობს ფსიქოლოგიაში ასეთი ცნება, თქვენ ერთი როლი მაინც აუცილებლად უნდა მოირგოთ, რომელიც „საჩვენებელ" სპექტაკლს გათამაშებთ. ეს იმას არ ნიშნავს, ვინმე მოატყუოთ. უბრალოდ, უნდა შეხვიდეთ რამდენიმე პერსონაჟის ამპლუაში და მიხვდეთ, რა უფრო ახლოსაა თქვენთან. ამით ზუსტად მიხვდებით, რა გჭირდებათ...

მაგალითად, წარმოიდგინეთ, რომ პირველი ლედი ხართ. როგორ ჩაიცვამდით, როგორ მოიქცეოდით, როგორ დაიჭერდით თავს მამაკაცების წინაშე. დიახ, ეს სტატუსი თქვენ ბევრ რამეს მოგცემდათ და ბევრსაც მოითხოვდა მსხვერპლად. ეს არ უნდა დაგავიწყდეთ.

ევროპაში ამბობენ, ქალი ანგელოზთან შედარებით, ერთი საფეხურით დაბლა დგას და ამას აქვს ლოგიკური ახსნა. ფაქტია, რომ ქალს ბევრი შეუძლია, თუ მან საკუთარი თავისა და შესაძლებლობების ფასი იცის. გახსოვდეთ ისიც, რომ, რა როლიც უნდა შეასრულოთ, მაინც დარჩებით იმად, რაც ხართ. ამიტომ, საკუთარი თავის მოტყუება არ სცადოთ, ნურც სხვებს მოატყუებთ, მით უფრო, როცა ხვდებით, რომ ცუდი მსახიობი ხართ.

## რატომ მიდის ქალი

ქალები ბევრად უფრო იშვიათად ანგრევენ ოჯახს. მით უმეტეს, იმ საზოგადოებაში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. თუმცა, ზოგიერთს მოთმინების ფიალა მაინც აევსება ხოლმე. თანაც, თუ კაცი, რომელიც ოჯახს ანგრევს, მერე 90 პროცენტ შემთხვევაში ძალიან ნანობს ამას, ქალი უკან აღარასოდეს იხედება, სულ წინ და წინ მიდის. მამაკაცი დიდხანს და ნაბიჯ-ნაბიჯ მიდის განქორწინებამდე. ქალს შეუძლია, გადაწყვეტილება ერთ წუთში მიიღოს, მაშინ, როცა მისი მოთმინების ფიალაში ბოლო წვეთი ჩაეშვება.

გაგიკვირდებათ, მაგრამ ქალების 38 პროცენტი ანგრევს ოჯახს, როცა მას ქმარი სცემს. ზუსტად ამდენივე პროცენტი წყვეტს კავშირს მამაკაცთან, თუ ის ცუდი მამაა და ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად ძალადობს შვილებზე.

28 პროცენტი ქალებისა ოჯახს ანგრევს მეუღლის ღალატის გამო. მათ არ შეუძლიათ მოღალატე მამაკაცის გვერდით ცხოვრება.

17 პროცენტს, უბრალოდ, სხვა უყვარდება.

P. S. რას მიიჩნევენ ფსიქოლოგები ოჯახის დანგრევის მთავარ მიზეზად?! უპირველესად, ნაადრევ ქორწინებას, როცა პარტნიორები სრულიად მოუმზადებლები არიან ოჯახური ცხოვრებისთვის. განქორწინების შემდეგ კი ამბობენ, ხასიათებით ვერ შევეწყვეთო.

## უმიზეზოდ არაფერი ხდება

რა თქმა უნდა, ამაზე არც არავინ დავობს – უმიზეზოდ არაფერი ხდება. უმიზეზოდ მხოლოდ გიჟები და ფსიქოლოგიურად დაავადებული ადამიანები ჩხუბობენ. მაგრამ, განქორწინება ის შემთხვევაა, როცა მიზეზები საკმაოდ მრავალფეროვანია. თანაც, სქესთა შორის განსხვავებაც მკვეთრად იგრძნობა.

მოდი, გავარკვიოთ, რატომ ანგრევს ოჯახს მამაკაცი, ანუ რამ შეიძლება, მიიყვანოს ის ასეთ ფატალურ გადაწყვეტილებამდე.

* მამაკაცების 40 პროცენტი ვერ ეგუება იმ ცვლილებებს, რომელიც ქალში ხდება პასპორტში ბეჭდით ურთიერთობის დაკანონების შემდეგ. ისინი ამბობენ, რომ ვერც ერთი ქალი ვერ ხვდება ამ ცვლილებებს.

* უცებ აღმოაჩენს, რომ თურმე ამ ქალის ცოლად შერთვით დიდი შეცდომა დაუშვია.

* ძალიან ცოტა – 13 პროცენტი მიდის ოჯახიდან იმიტომ, რომ სხვა შეუყვარდა.

* 23 პროცენტს საერთოდ არ უნდა ოჯახი – მათ სცადეს და მერე აღიარებენ, რომ თურმე სრულიად მოუმზადებლები ყოფილან ოჯახური ცხოვრებისთვის – ანუ, პასუხისმგებლობის დეფიციტია.

* 7 პროცენტია ისეთი, რომელმაც ცოლს ღალატი არ აპატია და პროტესტის ნიშნად მიატოვა.



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძე

# დაბალანსებული დიეტა

*ჩამოთვლილი პროდუქტები უნდა გადანაწილდეს მთელ დღეზე, დროის განუსაზღვრელად, მაგრამ, ცვლილებებისა და დამატებების გარეშე.*

**ორშაბათი**

4 პატარა ნაჭერი უცხიმოდ შემწვარი ან მოხარშული საქონლის ხორცი, ერთი მეოთხედი მოხარშული ქათამი, 2 ცალი პომიდორი, 4 ცალი (საშუალო ზომის) კიტრი, 1 ქილა თევზი თინუსი („ტუნეცი“) – უზეთოდ, 1 ნაჭერი ტოსტი, 1 ცალი ფორთოხალი ან გრეიპფრუტი.

**სამშაბათი**

4 პატარა ნაჭერი უცხიმოდ შემწვარი ხორცი, 2 ცალი პომიდორი, 4 ცალი კიტრი, 1 ნაჭერი ტოსტი, 1 ცალი ვაშლი, 1 ნაჭერი ნესვი ან 1 ნაჭერი საზამთრო; 1 ცალი ფორთოხალი ან გრეიპფრუტი.

**ოთხშაბათი**

1 სადილის კოვზი ხაჭო ან უცხიმო თეთრი ყველი, ერთი პატარა თეფში მოხარშული ბოსტნეული, 2 ცალი პომიდორი და 2 ცალი კიტრი, 1 ნაჭერი ტოსტი, 1 ცალი ფორთოხალი ან გრეიპფრუტი.

**ხუთშაბათი**

2 საშუალო ზომის ნაჭერი მოხარშული თევზი, ცოცხალი, ბოსტნეულის სალათა, 200 გრამი უცხიმო ყველი, 1 ნაჭერი ტოსტი, 2 ცალი ვაშლი, 2 ცალი ატამი, 1 ჩაის ჭიქა უცხიმო მაწონი.

**პარასკევი**

2 ცალი მოხარშული კვერცხი, 1 ცალი კიტრი და 2 ცალი პომიდორი, 2 ცალი ფორთოხალი ან გრეიპფრუტი.



**შაბათი**

2 ნაჭერი მოხარშული ქათმის მკერდის ფილე, 130 გრამი უცხიმო ხაჭო, 1 ნაჭერი ტოსტი, 2 ცალი კიტრი, 2 ცალი პომიდორი, 1 ცალი ფორთოხალი ან გრეიპფრუტი.

**კვირა**

1 კოვზი ხაჭო, 1 ქილა თინუსი (თევზი), ერთი პატარა თეფში მოხარშული ბოსტნეული, 3 ცალი პომიდორი, 2 ცალი კიტრი, 1 ნაჭერი ტოსტი, 1 ცალი ფორთოხალი ან გრეიპფრუტი.

***მნიშვნელოვანი მითითებები:***

*1) დღის განმავლობაში მიიღეთ დიდი რაოდენობით წყალი.*

*2) ბოსტნეული მოხარშეთ წყალში, ბულიონის დამატების გარეშე, მაგრამ, შეგიძლიათ, დაუმატოთ ცოტა მარილი, წიწაკა, სუნელები, ხახვი ან ნიორი.*

*3) საკვებში არ შეიძლება არანაირი ცხიმის დამატება.*

*4) დღის განმავლობაში შეგიძლიათ, დალიოთ 1 ჩაის ჭიქა მინერალური გაზგასული სასმელი (ნებისმიერ დროს), ასევე, 1-2 ჭიქა დიეტური გაზიანი სასმელიც.*

*5) უშაქრო ჩაი ან ყავა, ნებისმიერ დროს, რძის გარეშე.*

*6) შიმშილის შეგრძნებისას, შეგიძლიათ, შეჭამოთ კიტრი ან სტაფილო, მაგრამ, ბოლო ჭამიდან მხოლოდ 2 საათის შემდეგ.*

*7) აუცილებლად დაიცავით რეჟიმის თანმიმდევრობა მითითებული პროდუქტებით და არ შეცვალოთ ვახშამი სადილით ან პირიქით.*

*8) ყოველ დილით, უზმოზე, ტუალეტის შემდეგ, აიწონეთ ციფრულ სასწორზე.*

*9) თუ რომელიმე საფეხურზე შეგიჩერდათ წონაში დაკლება, აუცილებლად დაუბრუნდით დიეტის საწყის ეტაპს. იგივე გააკეთეთ იმ შემთხვევაში, თუ რამე აგერიათ.*

*10) სასურველია დიეტის დროს ვარჯიში, თუნდაც სახლის პირობებში; ასევე, კარგია სალამოობით ფეხით სეირნობა.*

*11) დიეტის დასრულების შემდეგ, ყოველი ჭამისას, დაგეუფლებათ კუჭის სწრაფად ავსების შეგრძნება, მაშინაც კი, თუ ცოტა მიირთვით. ეს დაგეხმარებათ, გააკონტროლოთ თქვენი წონა შემდეგ თვეებშიც, თუკი ზომიერად მიიღებთ კალორიულ საკვებსა და შაქარს.*

*12) თუ საჭიროდ ჩათვლით დიეტის გაგრძელებას, ორ-ორჯერ გაიმეორეთ პირველი და მეოთხე კვირები.*

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: გაგებული მაქვს, რომ თმას ოქროსფერს ხდის გვირილის ნაყენი. მაინტერესებს, როგორ უნდა დავამზადო და აქვს თუ არა ხანგრძლივი ეფექტი?**

**პასუხი:** გვირილის ნაყენი არა მარტო ოქროსფერ ელფერს აძლევს თმას, არამედ, ამაგრებს თმის ძირებს და აქრობს ქერტლს.

ნაყენი დაამზადეთ შემდეგნაირად: 3 ლიტრ წყალში ჩაყარეთ 300 გრამი გვირილის ყვავილი (ხმელი ან ნედლი) და თავდახურულ ჭურჭელში მიიყვანეთ ადუღებამდე, ასევე თავდახურული გააჩერეთ გაგრილებამდე, შემდეგ კი დოლბანდში გადაწურეთ, რომ ნამცეცები არ გაჰყვეს. ამ ნაყენიდან 1 ლიტრი გახსენით დაახლოებით 7-8 ლიტრ წყალში და იმ წყლით ჩვეულებრივად დაიბანეთ თავი, დარჩენილი ნაყენიდან ამოიღეთ 1 ჩაის ჭიქა და თმაზე გადაივლეთ (დანარჩენი, შეგიძლიათ, შეინახოთ შემდეგი დაბანისთვის).

ეფექტი გრძელდება დაბანიდან დაბანამდე. გვირილის ნაყენით რამდენიმე დაბანის შემდეგ კი შედეგის ხანგრძლივობა იზრდება.

**კითხვა: როგორ მოვუარო კანს თვალების გარშემო, რომ ნაადრევი ნაოჭები არ გამიჩნდეს?**

**პასუხი:** კანმა თვალების გარშემო ხანგრძლივად რომ შეინარჩუნოს სილამაზე და ახალგაზრდობა, აუცილებელია, რეგულარულად გაიკეთოთ სპეციალური ნიღბები და კომპრესები. ამისთვის, შეგიძლიათ, გამოიყენოთ როგორც სპეციალური, ისე შინაური საშუალებები.

თვალების გარშემო კანი განსაკუთრებით ნაზი და მგრძნობიარეა. ნაადრევი ნაოჭები რომ არ გაგიჩნდეთ, უნდა გაიკეთოთ ნიღაბი, რომელიც გააუმჯობესებს ქუთუთოებში და თვალების გარშემო კანში სისხლის მიმოქცევას. გთავაზობთ ორნაირი ნიღბის რეცეპტს:

1) 1 პატარა კონა ოხრახუში ღერებიანად წვრილად დაჭერით და ხელით ასრისეთ, რომ წვენი გამოუვიდეს. შეურიეთ 1 ჩაის კოვზი არაჟანი და მიღებული მასა სქლად წაისვით ქუთუთოებზე. 30 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ თბილ წყალში დასველებული ბამბის ტამპონით და შემშრალებისთანავე გადაისვით თვალებისთვის განკუთვნილი მკვებავი გელი.

2) 1 ცალი საშუალო ზომის კარტოფილი მოხარშეთ კანიანად. მერე გაფცქვენით, კარგად ჩასრისეთ და შეაზილეთ 1 ჩაის კოვზი არაჟანი და 1 ჩაის კოვზი ახალგამოწურული კიტრის წვენი. მიღებული მასა წაისვით ქუთუთოებზე და თვალების გარშემო. 30 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ გრილი წყლით და გადაისვით თვალის გელი.



ორივე ნიღბის გაკეთების დროს, სასურველია, წამოწვეთ და თვალები დახუჭოთ – კანი ასე უკეთ შეიწოვს საჭირო ნივთიერებებს.

მოამზადა
**თამრიკო ზამთარაძე**

# სტალინის ღვარძლიანი „მარტიშკა“ და თბილისელ მაკაკასთან ერთად ლოგინში მონებივრე ეჟოვის კომპრომატები

1936 წლის დასაწყისში სტალინმა ნიკოლაი ეჟოვი დააწინაურა, „ცეკაში“ შეიყვანა და პარტიული კონტროლის კომისიის თავმჯდომარედ დანიშნა. შემოდგომაზე შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად გაამწესა ჰენრიხ იაგოდას ნაცვლად. ეჟოვი, რომელსაც სერგო ორჯონიკიძემ „მარტიშკა“ შეარქვა (ეჟოვი დაბალი, გამხდარი კაცი იყო და მოძრაობებით მაიმუნს ჰგავდა) ისევე, როგორც დიდი ბელადის გარემოცვის უკლებლივ ყველა წევრი, ენერგიულობით გამოირჩეოდა. ის დიდი ენთუზიაზმით შეუდგა ახალი მოვალეობის შესრულებას. ეჟოვმა 1937-1938 წელს „დიდი წმენდა“ კანცელარიულად შეამზადა და სწორედ მის კაბინეტში იწერებოდა არასაიმედოთა გრძელი სიები, რომელიც შემდეგ დასამტკიცებლად სტალინთან უნდა შესულიყო. ეჟოვმა პატიოსნად, მიუკერძოებლად იმუშავა, მაგრამ ზოგ შემთხვევაში, სამსახურებრივ მოვალეობას პირადი ინტერესებიც დაამთხვია და ეგრეთ წოდებულ შავ სიებში თავისი პირადი მტრებიც შეიყვანა. ისინი ჯერ პარტიიდან გარიცხეს, შემდეგ კი დახვრიტეს. „მარტიშკა“ ეჟოვი ღვარძლიანი, ბოღმიანი და გულბოროტი ადამიანი აღმოჩნდა. ყველას სათითაოდ გაუხსენა, თუკი სადმე, ვინმესგან წკიპურტიც კი მოხვედრია. განსაკუთრებული ანგარიში ეჟოვს საქართველოს პარტიული აპარატის ზოგიერთ მუშაკთანაც ჰქონია, რომლისგანაც არათუ მცირედი წყენა, შეურაცხყოფაც კი ახსოვდა და სამაგიეროს გადახდაც მოინდომა, თუმცა კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, რადგან ყველა მათგანი ლავრენტი ბერიას „პროტეჟე“ აღმოჩნდა.

ჯერ კიდევ 20-იანი წლების მიწურულს, სამხედრო კოლეგიის მიერ თბილისში მივლინებული ახალგაზრდა ეჟოვი, რომელსაც საქართველოს „ჩეკას“ ინსპექტირება უნდა ჩაეტარებინა, ძალიან უსიამოვნო, დამამცირებელ სიტუაციაში აღმოჩნდა. თბილისში ერთობ გაბღენძილი კი ჩამოვიდა, მაგრამ მოსკოვში თაგვივით გაიპარა, შერცხვენილი და თავლაფდასხმული. იმ დროს საქართველოს „ჩეკას“ საგანგებო ოპერატიულ განყოფილებას ლავრენტი ბერია უძღვებოდა, ხოლო ბაღჩო ქობულოვი მისი თანაშემწე და მოადგილე გახლდათ. თანაც, უფროსის დიდი ნდობით სარგებლობდა. ეჟოვმა რომ უწყების შემოწმება დაიწყო, ბერიას უამრავი გადაუდებელი ოპერატიული სამუშაო გამოუჩნდა და მოსკოველ სტუმარს სათანადო ყურადღება ვერ დაუთმო. ეს საქმე ქობულოვს დაევალა. ეჟოვი ამ ფაქტმა ძალზე გააღიზიანა და თავისი მისიის შესრულებას გადაჭარბებული გულმოდგინებით შეუდგა. ბოლომდე ამოწმებდა თითოეულ წვრილმანს და რომ ვერაფერი აღმოაჩინა დასაწუნი, დაიჩემა, საქართველოს „ჩეკაში“ შეგნებულადაა უგულებელყოფილი რუსი ეროვნების კადრები და ეს ორგანოები 95 პროცენტით ქართველებითაა დაკომპლექტებულიო. აქ თითქოს საშარო არაფერი იყო, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ეჟოვმა ამ წერილებით დასკვნას ზეპირი ნაბოდვარიც მიაბა და განაცხადა, ვითომდა საქართველოში „ნაციონალ-უკლონისტურ“ ტენდენციებს აქვს ადგილიო, რაც იმ პერიოდისთვის უკვე უმძიმეს ბრალდებას წარმოადგენდა. იმ მივლინების დროს ეჟოვი არანაირ სიამოვნებასა თუ გართობას არ იკლებდა. თუმცა, ამ „ორგიებში“ არანაირ მონაწილეობას არ იღებდნენ ოფიციალური მასპინძლები და მათი მისია სამუშაო საათების დასრულებისთანავე იწურებოდა. ეჟოვი პარტიულ ფუნქციონერთათვის განკუთვნილ სპეციალურ სასტუმროში ცხოვრობდა და თბილისში საეჭვო ნაცნობობაც კი გაიჩინა. იმ პერიოდში რუსთაველის გამზირზე უამრავი დუქან-რესტორანი იყო და ეჟოვი თითქმის ყველას ესტუმრა. ერთ-ერთი ასეთი „დაწესებულების“ მასპინძელს სტუმრების გასართობად გაწვრთნილი, პატარა მაიმუნი – მაკაკა ჰყავდა. ეჟოვიც სწორედ იქ ილხენდა ხოლმე ნაცნობ-მეგობრებთან ერთად „წაქცევამდე“. ერთ დღეს, როდესაც ეჟოვის უარყოფითი დასკვნა უკვე მზად იყო, ცენტრიდან გამოგზავნილი რევიზორი გაქრა, სამუშაოზე არ გამოცხადდა. მას ჯერ სასტუმროში მოიკითხეს, შემდეგ დუქნებში და ბოლოს ერთ ახალშეძენილი მეგობრის, წარსულში ორჯერ ნასამართლევი შულერის, ვინმე ტრიფონ ბარატაევის ბინაში აღმოაჩინეს მძინარე, დუქნის პატარა მაიმუნთან ჩახუტებული... ბერია პირადად ეწვია ეჟოვს, „ნაზად“ შეაღვიძა და როცა „საპახმელიო“ გადაჰკრა, მიმოიხედა და გონს მოეგო, თავისი წარმოდგენა „ნაციონალ-უკლონისტთა“ მიმართ საბოლოოდ შეცვალა. იმავე საღამოს ის მოსკოვის გზას კი დაადგა, მაგრამ მასპინძლების ბოღმა გულში ჩაიდო... როცა ქვეყნის მასშტაბით პარტიული წმენდის ჩატარება დაევალა, სწორედ მაშინ დააპირა სამაგიეროს გადახდა და საქართველოში პარტიიდან გასარიცხთა სიაც ბაღჩო ქობულოვით დაიწყო (ბერიას ეჟოვი ვერ შეეხებოდა, რადგან იცოდა, მას პირადად სტალინი მფარველობდა), თუმცა აქაც ხელი მოეცარა, რადგან ბერიას ისევ ეჟოვის უახლოესი გარემოცვიდან დროულად მიაწოდეს სია. ამ ეპიზოდს ბაღჩოს ძმა, ამაიაკ ქობულოვი ასე იხსენებდა: „მე და ვალოდია (დეკანოზოვი) ლავრენტი პავლოვიჩმა თავის კაბინეტში გამოგვიძახა (ეს ამბავი 1936 წლის გაზაფხულზე, მაისში ხდება), სადაც უკვე ჩემი ძმა ბაღჩოც იმყოფებოდა. მან გვანიშნა, დასხედითო და დაიწყო: იმ „მარტიშკას“ მწერლობა დაუწყია და „პატრონთან“ გაბეზღებთ“. მერე ბაღჩოს თეთრი ფურცელი მიაწოდა, რომელზეც ორმოცდაათკაციანი სია იყო ჩამოწერილი. მეათე ვალოდია ეწერა, ხოლო ბაღჩო და მე, 49-ე და 50-ედ ჩავუჯღაბნივართ. მივხვდით, რომ პარტიიდან გასარიცხთა სიაში მოვხვედით და მიზეზიც კარგად გვახსოვდა. „ეტყობა, ეგ „მარტიშკა“ ფიქრობს, – დაიწყო ლავრენტი პავლოვიჩმა, – რომ მაგის მაიმუნობები წარსულს ჩაბარდა და არვის ახსოვს. ეს სია პარხომენკომ (პარხომენკო ეჟოვის თანაშემწე, მისი დიდი ნდობით სარგებლობდა. სინამდვილეში კი, ბერიას აგენტი იყო, რადგან მამათმავლობაში ჰყავდა გამოჭერილი) გამომიგზავნა და მისივე მეშვეობით გავუგზავნე მაიმუნს ეს ამანათი“. დეკანოზოვმა კონვერტის შიგთავსი ამოიღო, მაგიდაზე დაალაგა და თვალიერება დავიწყეთ. 15 ფოტოსურათზე ეჟოვი და მაიმუნი იყო აღბეჭდილი ლოგინში. ერთი სიტყვით, იმავე პარხომენკომ მეორე დღესვე შეგვატყობინა, რომ ეჟოვს სია დაუწვავს და დიდი ბელადისთვის აღარ შეუტანია“.

ბერიასთან მარცხის მიუხედავად, ეჟოვმა საკმაოდ წარმატებით გაართვა თავი დასახულ ამოცანას და 1937-1938 წლების დაპატიმრებები შეამზადა. დასკვნით თათბირზე, რომელსაც პოლიტბიუროს მხოლოდ რამდენიმე, სტალინთან დაახლოებული პირი ესწრებოდა, ბელადმა ეჟოვის მუშაობა ასე შეაფასა: „ამხანაგმა ეჟოვმა, იაგოდასგან განსხვავებით (იაგოდაც იქვე კუთხეში იჯდა), წარმატებით ჩაატარა ფსევდოკომუნისტთა გამოაშკარავების სამუშაო და სრულიად იმსახურებს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის თანამდებობა დაიკავოს“. იაგოდა თავჩაღუნული უსმენდა სტალინს, გაფითრებული იყო და მძიმედ სუნთქავდა. იმავე საღამოს, სტალინმა იაგოდას გათავისუფლებას და ეჟოვის დანიშვნას ერთდროულად მოაწერა ხელი. სულ მცირე ხანში კი, იაგოდა ეჟოვის ქსელში



გაება და დააპატიმრეს. აღნიშნულ პერიოდში სტალინის ერთ-ერთ ყველაზე ახლობელ თანამებრძოლად ლაზარ კაგანოვიჩი მოიაზრებოდა, რომელიც ლამის მის მემკვიდრედაც კი ითვლებოდა. თუმცა, სტალინისა და კაგანოვიჩის ურთიერთობები უეცრად „გაცივდა“. საქმე ისაა, რომ დიდმა ბელადმა ეჟოვთან ერთად, ხრუშჩოვი და მალენკოვიც დააწინაურა. ამ ფაქტმა კაგანოვიჩის უკიდურესად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია, რამაც ეჟოვი და კომპანია გაათამამა და ისინიც რადიკალურად დაუპირისპირდნენ ჯერ კიდევ ძალიან ძლიერსა და თვითდაჯერებულ ლაზარ მოისეევიჩს. როდესაც ეჟოვი მომავალი დიდი წმენდის ნიადაგს ამზადებდა, პარალელურად დაწვრილებით „დოსიეებს“ აგროვებდა პარტიულ ფუნქციონერებზე. ასეთი დოსიე კაგანოვიჩზეც იყო შედგენილი, რომლის ასლებიც კაგანოვიჩის ხელში აღმოჩნდა. როგორც შემდგომში გაირკვა, ეს ასლები ბერიამ იმავე პარხომენკოს ხელით მოიპოვა და კაგანოვიჩს შეუცურა. კაგანოვიჩი მართლაც ძალიან უხეში, პირდაპირი და გაუთლელი პიროვნება იყო. მან სტალინისა და ბერიას, მოგვიანებით კი ჟუკოვის გარდა, ნებისმიერი ადამიანის შეურაცხყოფა შეეძლო. მან, პოლიტბიუროს ერთ-ერთი სხდომის დაწყებამდე, სანამ სხდომის მონაწილეები ჰოლში იცდიდნენ, პატარა სკანდალი მოაწყო. ჯერ კიდევ ახალ პოსტზე დანიშვნამდე, ეჟოვი ჰოლში საკმაოდ მედიდური გამომეტყველებით, გაბღენძილი შევიდა. ოდნავ დაუკრა თავი იქ შეკრებილებს და მოპირდაპირე სავარძლისკენ დინჯად გაემართა, თუმცა უეცრად წაბორძიკდა და იატაკზე დაგებულ ხალიჩაზე გაიშხლართა. გაოგნებულმა ეჟოვმა თავი რომ ასწია, დაინახა კაგანოვიჩი, რომელმაც „კვანტი“ დაუდო „მარტიშკას“ და მრისხანე სახით დასჩერებოდა მას. პოლიტბიუროს წევრები გაინაბნენ: „– აბა, თქვი, ვინ ეწინააღმდეგება სტალინის მოსაზრებებს?“ – ჩაიქირქილა ლაზარმა და თვალები ისე დააკვესა, იფიქრებდით, ეს-ესაა ბუდეებიდან გადმოუცვივდებაო. ეჟოვი უცებ მოეგო გონს, დინჯად წამოდგა, თან ცდილობდა, ღირსეული გამოჩენილიყო და ასევე, დინჯად დააპირა სავარძლისკენ გზის გაგრძელება, თუმცა კაგანოვიჩმა კვლავ შეაჩერა. ამჯერად ლაზარ მოისეევიჩს ორივე ხელი ყელში წაეჭირა, ანჯღრევდა და ეუბნებოდა: „შე ჭიაყელა, შენა, დიდი ხანია, მიწიდან ამოძვერი...“ თან, ნელ-ნელა ჰაერში სწევდა. პოლიტბიუროს წევრებიდან არავინ დაძრულა.

**(გაგრძელება 46-ე გვერდზე)**

# ვისთვის აქვს ფულს იდეური დატვირთვა და რომელი ზოდიაქოს ნიშნები გამოირჩევიან მისი ყაირათიანი ხარჯვით



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

*ასტროლოგიურად, თითოეული ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანს ფულზე საკუთარი შეხედულება აქვს. სტატისტიკურად კი, სასწორისა და მორიელის ნიშნების ქვეშ დაბადებულებში მდიდარი და შეძლებული ადამიანები ჭარბობენ.*

**ვერძებისთვის** ფულს უფრო იდეური დატვირთვა აქვს, ვიდრე მატერიალური. მისი სურვილი, დაიკავოს პირველი ადგილი საზოგადოებაში, ხანდახან ფინანსურ სფეროშიც ვლინდება. მისთვის მთავარია, სხვებზე ღარიბი არ იყოს. ზოგადად, ის შრომისმოყვარეა და საკმაოდ სარფიანი იდეებიც მოსდის თავში, რომელსაც, არცთუ იშვიათად, ფულის მოტანაც შეუძლია. მთავარია, საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობისას დიპლომატია და ტაქტი გამოიყენოს, რაც მის სვლას სიმდიდრისკენ კიდევ უფრო ეფექტურსა და ნაყოფიერს გახდის.

**კუროს** სურს, ჰქონდეს იმაზე მეტი, ვიდრე აქვს – ეს მისი დევიზია. ამ ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანი მაქსიმალისტია. იბრძვის, რომ სახლი ნამდვილ სასახლეს დაამსგავსოს. ის ოცნებაშიც არ კარგავს დროს და სიმდიდრის მოსაპოვებლად თავს არ ზოგავს. ახალგაზრდა კუროებს ნაკლებად უმართლებთ ფულში, ასაკში შესვლისას კი უძრავი ქონებისა და ფინანსების მხრივ საწუწუნო არაფერი აქვთ, რასაკვირველია, თუ ახალგაზრდობისას ბევრს იშრომებენ.

**ტყუპებისა** და ფულის ერთად წარმოდგენა საკმაოდ რთულია. მის ქონებას ყველაზე დიდ ხიფათს ფულის უზომო ფლანგვის სურვილი უქმნის. ბაზრობაზე მოხვედრილი ტყუპები, რომელიც მთელი დღის განმავლობაში დადის, ვერაფრით ახერხებს იმის ყიდვას, რაც დილით უნდოდა და ეს გაორების გამო ემართება. მთავარია, მან ფულის დაზოგვა ისწავლოს და არ იყოს მფლანგველი.

**კირჩხიბის** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანს სავსე ქისის ჩხრიალი საყვარელ მელოდიას აგონებს. კირჩხიბთა შორის იშვიათად გვხვდება ღარიბი. ის ყოველთვის ცდილობს, იქ მოხვდეს, სადაც ფულის შოვნა შეიძლება. ასევე, ცდილობს, არ დაზოგოს ფული ისეთი საგნების ყიდვისას, რომელიც, შეუძლია, შემდგომში კვლავ სარფიანად გაყიდოს. უყვარს კარგი ცხოვრება, ფულის შოვნა და მისი მიზანმიმართულად ხარჯვა.

**ლომის** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულმა ადამიანმა, შესაძლოა, ღარიბმა დაიძინოს და დილით მდიდარმა გაიღვიძოს, თუმცა ეს პირიქითაც ხდება. მას უყვარს ახლობლებისთვის ფულის დახარჯვა, თუმცა, შემოქმედებითი ამბიცია ახალ-ახალი პროექტებისკენ უბიძგებს, რაც გამდიდრების კარგი საშუალებაა. თუ ნეგატიურ თვისებებს დათრგუნავს, მისი გამდიდრების შანსიც გაორმაგდება.

**ქალწული** სიმდიდრეზე კი არ ოცნებობს, არამედ, ამისთვის მუშაობს და თავს არ ზოგავს. ის ეკონომიურიცაა. თუ ქალწული შეძლებს, ისწავლოს საკუთარი ხასიათისა და ემოციის გაკონტროლება, მაშინ გარშემო მყოფების, კოლეგებისა და ხელმძღვანელების მიერ დაფასებული იქნება, რაც მის ფინანსებზე დადებითად აისახება.

**სასწორი** არ ანიჭებს უპირატესობას მხოლოდ მუშაობას, ის ყოველთვის ცდილობს, იშოვოს ფული პარტნიორებთან ერთად. ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულები ადვილად ახერხებენ კარგი რეპუტაციის მოპოვებას კოლეგებს შორის. მათ აქვთ გამდიდრების შანსი, თუ არ შეუშინდებიან ბარიერებს, რისთვისაც ხშირად უნდა შეიცვალონ იმიჯი.

მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა სიაში **მორიელის** ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანები ჭარბობენ. ისინი ყველაზე უფრო მიზანსწრაფულები არიან. მთავარია, კარგად გააცნობიეროს და დაგეგმოს საქმე და მაშინ ის უეჭველად გაიმარჯვებს. ასევე, შეუძლია, მართოს დიდი კომპანიები და კორპორაციები და შეუმცდარი ინტუიციითაც გამოირჩევა.

**მშვილდოსანს** ფულის ხარჯვა ყოველთვის და ყველგან უნდა; მეორე საკითხია, აქვს თუ არა მას ფინანსები. მისთვის ფულის დაგროვება წარმოუდგენელია, თუმცა, უფულობას იშვიათად უჩივის და შემოსავლის წყაროს ყოველთვის პოულობს. ასაკში შესული მშვილდოსანი ისე ცხოვრობს, როგორც ახალგაზრდობაში იშრომა.

**თხის რქისთვის** ეგრეთ წოდებული „ოქროს შუალედი" არ არსებობს: ის ან მდიდარია, ან – ღარიბი. ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანს არ უყვარს აჩქარებული, იმპულსური გადაწყვეტილებების მიღება და ეს ეხება ფულის გამომუშავებასაც და ხარჯვასაც. ის არასდროს იმუშავებს იმ საქმეზე, რაც მის რეპუტაციას შელახავს. სამაგიეროდ, გამომუშავებულ თანხას დიდი რუდუნებით შეინახავს და შეეცდება, საკუთარი თავისთვის მყარი გარანტიები შექმნას.

თუ **მერწყული** ოდესმე გამდიდრდება, ეს მისი გენიალური იდეის დამსახურება იქნება და არა მისი შრომისმოყვარეობის. სასურველია, მან მიზანსწრაფვა, შრომა, ორგანიზებულობა და მოთმინება ისწავლოს – ეს მას მეტ შემოსავალს მოუტანს. ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანს ფიზიკურ მუშაობას გონებრივი შრომა ურჩევნია. მისგან კარგი ბიზნესმრჩეველი დგება.

**თევზები** ცდილობენ, არასდროს იწუწუნონ უფულობაზე და მიტომ ისინი გარშემო მყოფებს მუდამ ფულიანები ჰგონიათ. ამ ზოდიაქოს ნიშანს შეუძლია, იოცნებოს და დააჯეროს საკუთარი თავი, რომ მდიდარია, ჰყოფნის ფინანსები და ამ მხრივ ყველაფერი კარგად იქნება. თუ ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანს სურს, გამდიდრების შანსი მიეცეს, უნდა მოიშოროს ზღვარგადასული ფანტაზია, შეეშვას წარსულზე ფიქრს და შეუდგეს ფაქტების რეალურად აღქმასა და იმ საქმის კეთებას, რითაც ფულს იშოვის.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 2005 წლის 1 მაისს, ღამის საათებში. რომელ სფეროში გაუმართლებს მას სამომავლოდ, რა არის მისი კარმული მისია და ზოდიაქოს რომელი ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანთან ელის სასურველი საქორწინო თანაცხოვრება?**

**პასუხი:** თქვენი შვილისთვის სამომავლოდ საქორწინო პარტნიორებიდან კარგია ურთიერთობა მორიელის, ვერძის, ქალწულის, თხის რქის და კირჩხიბის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულ ადამიანებთან. არ არის სასურველი ურთიერთობა ლომთან და მერწყულთან. პროფესიებიდან წარმატებების მომტანია: ფსიქიატრია, სასწრაფო დახმარება, რეანიმატოლოგია, ქირურგია, სტომატოლოგია, გინეკოლოგია, არატრადიციული მედიცინა, საბანკო, ეკონომიკური, კომერციული, სავაჭრო, საფინანსო სფერო, სამართალდამცავი ორგანოები, საგამომძიებლო სფერო, სამხედრო სტრუქტურები, საგადასახადო, საბაჟო საქმიანობა, სადაზღვევო კომპანიები და დეპარტამენტები, პედაგოგიური სფერო, სპორტი, მანქანათმშენებლობა, საინჟინრო სფერო, სამეცნიერო-კვლევითი საქმე, ტექნიკა-მექანიკის ფართო სპექტრი, ფსიქოთერაპია. რაც შეეხება კარმულ მისიას, აუცილებელია, გამოავლინოს დადებითი თვისებები ხასიათში, გამოირჩეოდეს ლიდერულ-ორგანიზატორული ნიჭით. უნდა იყოს კეთილშობილი და სამართლიანი, დაეყრდნოს ცოდნის ბაზას, ოპტიმიზმს. იყოს ორგანიზებული, შეუპოვარი, მიზანსწრაფული, მომთმენი, შრომისუნარიანი, ნებისყოფიანი, პრაქტიკული, ფულის ყაირათიანი მხარჯველი. დაეყრდნოს ინტუიციას, შეძლოს საიდუმლოს დაცვა.

**კითხვა: დავიბადე 1997 წლის 6 ნოემბერს, დილის, 8 საათზე. უცხოეთი თუ არის ჩემთვის წარმატების მომტანი და, კერძოდ, რომელი ქვეყანა?**

**პასუხი:** თქვენთვის სავსებით მისაღებია უცხოეთთან დაკავშირებით საქმიანი კონტაქტები. ქვეყნებიდან კი კარგია: ჩეხეთი, საფრანგეთი, რუმინეთი, შვეიცარიის აღმოსავლეთი მხარე, ჩრდილოეთ იტალია, ამერიკის შეერთებული შტატებიდან – კალიფორნიის შტატი, ავსტრია, ესპანეთი, ავსტრალია, სერბეთი, სლოვენია, პორტუგალია, კუნძული კორსიკა და სიცილია. თუ ბარიერებსა და წინაღობებს გადალახავთ, წარმატებები გელით შემდეგ ქვეყნებშიც: გერმანია, იაპონია, ხორვატია, ინდოეთის დასავლეთი მხარე, ლიტვა, საბერძნეთი, ჩრდილოეთ შვეიცარია, თურქეთის დასავლეთი მხარე, ბელორუსი.

# თეატრები

**შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი**
**რუსთაველის გამზირი №17.**
**ტელ.: 272-68-68**

9 ივლისი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„მოხუცი ჯამბაზები"** - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: გოჩა კაპანაძე. მონაწილეობენ: კახი კავსაძე, ზაზა ლებანიძე, ჯემალ ღაღანიძე, მანანა გამცემლიძე, მარინა ჯანაშია, მარინა კახიანი, დარეჯან ხარშილაძე. *ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი.*

**საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრი**
**რუსთაველის გამზირი №37.**
**ტელ.: 99-63-14.**

8 ივლისი, **სამშაბათი** 19.00 - **„კიდევაც დაიზრდებიან"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: ამირან შალიკაშვილი. *ხანგრძლივობა: 60 წუთი;*

11 ივლისი, **პარასკევი** 19.00 - **„ტერენტი გრანელი - მთვარისკენ ნასროლი მიხაკი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: ამირან შალიკაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ.*

**სამეფო უბნის თეატრი**
**გ. აბესაძის ქუჩა №10.**
**ტელ.: 292-38-70, 299-61-71**

10-11-12-13 ივლისი, **ხუთშაბათი-პარასკევი-შაბათი-კვირა** 20.00 - *„ტკივილი არის ახალგაზრდობა"* - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 15 ლარი), რეჟისორი: დათა თავაძე. მონაწილეობენ: თორნიკე გოგრიჭიანი, ნატუკა კახიძე, პაატა ინაური, მაგდა ლებანიძე, სალომე მაისაშვილი, ქეთა შათირიშვილი, გიორგი შარვაშიძე; *ხანგრძლივობა: 2სთ.*

**გაბრიაძის თეატრი**
**შავთელის ქუჩა №13, ტელ: 790 98-65-91 (მაგთი ფიქსი), 298-65-90**

11 ივლისი, **პარასკევი** 20.00 - **„ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

12 ივლისი, **შაბათი** 20.00 - **„რამონა"** - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

13 ივლისი, კვირა 20.00 - **„სტალინგრადის ბრძოლა"** - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.*

# კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი"**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**7 – 13 ივლისი**

*დარბაზი 1*

12.30, 16.00, 22.30 - **„ტრანსფორმერები: გადაშენების ხანა"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;*

19.00 - **„22 ჯამპ სტრითი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00, 20.15 - **„ზღვარი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;*

14.00, 16.00 - **„ხუთი ნახვით შეყვარება"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*

18.00, 22.30 - **„ტაქსი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00 - **„22 ჯამპ სტრითი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

15.00, 17.30, 19.45 - **„როგორ მოვარჯულოთ დრაკონი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

22.30 - **„მალეფისენტი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

*დარბაზი 4*

11.30, 14.00, 16.30 - **„არეულები"**, *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

19.05 - **„ტრანსფორმერები: გადაშენების ხანა"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;*

22.30 - **„ზღვარი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;*

*დარბაზი 5*

11.30 - **„როგორ მოვარჯულოთ დრაკონი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

14.00, 16.30, 22.30 - **„22 ჯამპ სტრითი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

19.00 - **„ტრანსფორმერები: გადაშენების ხანა"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

**კინოთეატრი „ამირანი"**
**კოსტავას ქუჩა №36.**
**ტელ.: 299-99-55.**

*დარბაზი 1*

12.00, 19.00 - **„ტრანსფორმერები: გადაშენების ხანა"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;*

16.00 - **„როგორ მოვარჯულოთ დრაკონი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

22.30 - **„22 ჯამპ სტრითი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი.*

*დარბაზი 2*

12.00, 14.30 - **„როგორ მოვარჯულოთ დრაკონი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

17.00, 20.00 - **„22 ჯამპ სტრითი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

22.30 - **„ტრანსფორმერები: გადაშენების ხანა"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი.*

*დარბაზი 3*

12.00 - **„ზღვარი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;*

14.30 - **„როგორ მოვარჯულოთ დრაკონი"** 3D (ინგლისურად), *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

17.00 - **„ჩემი საბნის ნაკეცი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;*

19.00, 22.30 - **„ტრანსფორმერები: გადაშენების ხანა"** 3D (ინგლისურად), *ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com.
ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

## ორშაბათი 7 ივლისი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30, 00.30** "დღეს" **14.00** "შეხვედრები მწერალთა სახლში" **15.20** "ტელებლოგი" **17.00** ტ/სერ. **"ტაქსისტი"** **19.30** "ქართული ჯარი" **21.00** სოციალური თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" **22.30** მხ/ფ **"ყველასათვის ჩემპიონი"**(ჯ.ლენგი).

**07.00** მხიარული კამერა **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.30** ქრონიკა. **10.03** სერ. **"ბედის ანაბარა"** **11.30** სერ. **"შურისმაძიებელი"** **11.20, 16.50** TV - მარკეტი **12.30** დღის შოუ (პ/ე) **14.45** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** **17.45**სერ. **"მინდა გახსოვდე"** **18.50, 19.03** სერ. **"ბამბის ველი"** 7 სერ. **21.00** სერ. **"შავი ვარდი"** **22.00** მხ/ფ **"წითელი სიცხე"** (ლ.ფიშბერნი) **23.40** მხ/ფ **"ერთი მშვენიერი დღე"** (ჯ.სტერჯესი) **01.40** მხ/ფ **"ძნელად აღსაზრდელები"** (ჯ.ძუნძა).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"მათრობელა სიყვარული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"საჰრა"** **18.45** სერ.**"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქალბატონი დილა"** **22.00** X - ფაქტორი **00.00** სპორტ ტაიმი **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ. **05.00** სერ. **"არ დამივიწყო"**.

**06.10** ქვიშით ნაამბობი **06.20** დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" **06.45** მხ/ფ **"არდადეგებზე"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **11.50** ქვიშით ნაამბობი **12.05** მხ/ფ **"ცხელი ზაფხულის სამი დღე"** **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** კეთილმოწყალე უფალი **15.35** სპექტაკლი - **"ცოლ-ქმარი ბინას დაეძებს"** **17.00** კონცერტი - "იყო ხილვის სიხარული" გოგი დოლიძე **18.05** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "აქედანა და შენამდე" **20.40** ძილი ნებისა **21.20** პატერიკი **21.25** სახლი ღვთისა **21.40** "წმინდა იოანე ნათლისმცემლის შობა" **22.25** დ/ფ "უბისა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "გალობის რაინდები" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.25** მულტფილმი **7.50** სამედიცინო გადაცემა "პულსი"(გამ.) **8.20** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი"(გამ.) **8.40, 17.45, 22.00, 2.10** "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან **9.00, 12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **9.00, 12.00, 15.00, 18.00** ახალი ამბები **9.30, 12.30, 1.15** ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე **9.50** პრესის მიმოხილვა **10.00, 11.00, 16.00, 17.00, 19.00,** ამბები მოკლედ **10.02, 11.03 სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** **11.50, 15.45** პრესის მიმოხილვა **13.00** იმედის ფსონი **13.15** "უცნობი ისტორიები" (გამ.) **13.55, 0.45** დოკ. ფ. "გზა ბრაზილიისკენ" **14.25, 18.25, 2.30** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) **15.45** პრესის მიმოხილვა **16.02, 17.02 სერიალი "ასი"** **19.02 სერიალი "თანაგრძნობა"** **20.00** "ინ-ფაქტი" **20.05 სერიალი "დაკარგული დრო"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი" პ/ე **22.15 სერიალი "დიდებული საუკუნე** **23.30 სერიალი "სკანდალი"** **0.30** ახალი ამბები (კოლაჟი).

## სამშაბათი 8 ივლისი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30, 02.00** "დღეს" **14.00** სოციალური თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" **17.00** დ/ფ "ამფორების გზა" **18.00** ტ/სერ. **"ტაქსისტი"** **19.15** "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" **21.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **22.00** "ბრაზილია – 2014"(პ/რეპ) **23.50 ფეხბურთი.** მსოფლიო ჩემპიონატი: ნახევარფინალი (პ/რეპ).

**07.00** მხიარული კამერა **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40** ქრონიკა. **10.03** სერ. **"ბედის ანაბარა"** **11.20, 16.50** TV - მარკეტი **11.30** სერ. **"შურისმაძიებელი"** **12.30** დღის შოუ (პ/ე) **14.45** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** **17.45** სერ. **"მინდა გახსოვდე"** **18.50, 19.03** სერ.**"ბამბის ველი"** 8 სერ. **21.00** სერ. **"შავი ვარდი"** **22.00** თოქ შოუ — თეა სიჭინავას პოლიტიკის დრო **00.00** მხ/ფ **"სასიყვარულო ინტრიგა"** **01.50** მხ/ფ **"წითელი სიცხე"** (ლ.ფიშბერნი).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"მათრობელა სიყვარული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"საჰრა"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქალბატონი დილა"** **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** არჩევანი **23.30** სოციალური ქსელი **00.00** მსოფლიო კინოპრემიერები კადრს მიღმა **00.30** მხ/ფ. **02.30** კურიერის დაიჯესტი **03.00** მხ/ფ. **05.00** სერ. **"არ დამივიწყო"**.

**06.10** დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" **06.35** სპექტაკლი - **"ცოლ-ქმარი ბინას დაეძებს"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** დ/ფ"გალობის რაინდები" **11.30** პატერიკი **11.35** სახლი ღვთისა **12.10** მხ/ფ **"აქედანა და შენამდე"** **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** კეთილმოწყალე უფალი **15.30** დ/ფ "წერილი ძმას" **16.25** კონცერტი - ნიკა რაჭველი,ლექსო თორაძე (მალერი, რაველი) **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მოკ./ფ. **"პეიტარი"** **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** "ჩვენი ამბავი" **21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი ფონდი **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.20** მულტფილმი **7.40** "უცნობი ისტორიები" (გამ.) **8.05** გადაცემა "ურბანსპორტი" (გამ.) **8.20** გადაცემა "60 კითხვა ინტერიერში" (გამ.) **8.40, 22.00** "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან **9.00, 12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **9.00, 12.00, 15.00, 18.00** ახალი ამბები **9.30, 12.30, 1.10** ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე **9.50, 11.50, 15.45** პრესის მიმოხილვა **10.00, 11.00, 16.00, 17.00, 19.00,** ამბები მოკლედ **10.02, 11.03 სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** **13.00** იმედის ფსონი **13.55, 0.45** დოკ/ფ. "გზა ბრაზილიისკენ" **14.25, 18.25, 2.20** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) **16.02, 17.02 სერიალი "ასი"** **17.45** "ყოველდღიური ა(მ)ბები" (გამ.) **19.02 სერიალი "თანაგრძნობა"** **20.00, 2.55** "ინ-ფაქტი" **20.05 სერიალი "დაკარგული დრო"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი" პ/ე **22.15** თოქ-შოუ "დებატები მაესტროზე" **23.30,** SV **11** მაესტროზე **23.55 სერიალი "სკანდალი"** **0.45,** დოკ. ფ. "გზა ბრაზილიისკენ".

გაგრძელება 43-ე გვერდზე

# თევზი მაროკოულად









**საჭირო ინგრედიენტები:** 700 გრამი ცხიმიანი თევზი, 150-200 გრამი სტაფილო (1 დიდი ან 2-3 მომცრო), 3 ცალი ბულგარული წიწაკა, ნახევარი წითელი, ცხარე წიწაკა, 2 ცალი პომიდორი, 10 კბილი ნიორი, ნახევარი კონა ქინძი, ნახევარი კონა ოხრახუში, ზეთი, წყალი, ლიმონი, მარილი.

**მომზადების წესი:** შეგიძლიათ, გამოიყენოთ თევზის ფილე. დაჭერით ის ულუფებად. სტაფილო გახეხეთ. დაჭერით წვრილად ნიორი – თითოეული კბილი 3-4 ნაჭრად. სასურველია, კერძი ცხარე გამოვიდეს, თევზს უხდება. პომიდორს გადაავლეთ მდუღარე და გადააცალეთ კანი. დაჭერით იმდენ ნაჭრად, რამდენი თევზის ნაჭერიც გაქვთ – თხელ რგოლებად. დანარჩენი პომიდორი კი – კუბიკებად.

მწვანილი საკმაოდ მსხვილად დაჭერით.

თევზი ორივე მხრიდან დაბრაწეთ ზეთში. მოაყარეთ ნიორი და ისიც დაბრაწეთ. მოაყარეთ სტაფილო და ერთად ჩაშუშეთ, დაუმატეთ წიწაკა, რომელსაც კუბიკებად დაჭრით. ჩაუმატეთ ასევე, კუბიკებად დაჭრილი პომიდორი და შუშეთ კიდევ ცოტა ხანს. უყავით ცოტა მარილი. ბოსტნეულზე ზემოდან დაალაგეთ თევზის ნაჭრები. თითოეულ ნაჭერს დაადეთ, თითო პომიდვრის „რგოლი“. მოასხით თბილი წყალი თევზის დონემდე. დაახურეთ თავსახური და შუშეთ 10-15 წუთი, საშუალო სიძლიერის ცეცხლზე. შემდეგ მოხადეთ ხუფი და გააგრძელეთ შუშვა, სანამ სითხის უმეტესი ნაწილი არ ამოშრება. ამის შემდეგ მოაყარეთ მწვანილი და ნიორი. დააფარეთ კიდევ ხუფი და ზუსტად 1 წუთის შემდეგ გამორთეთ. კერძი კარგად გააციეთ და ისე მიირთვით. ცივი გაცილებით გემრიელია. სანამ მიირთმევთ, მოასხით გაწურული ლიმონის წვენი. გარნირად ძალიან უხდება „კუს-კუსი“ ან მოხარშული ბრინჯი.

# გამომცხვარი კარტოფილი ყაბაყით





**საჭირო ინგრედიენტები:** 4 ცალი მოზრდილი კარტოფილი, 1,5 ცალი საშუალო ზომის ყაბაყი, 100 მილილიტრი (30-პროცენტიანი) ნაღები, 2 სადილის კოვზი ზეთი, 2 კბილი ნიორი, როზმარინი, 30 გრამი ჰოლანდიური ყველი, ცოტა მარილი.

**მომზადების წესი:** კარტოფილი მოხარშეთ და გააცივეთ. კარგად უნდა გაცივდეს. მოხარშული კარტოფილით ეს კერძი ბევრად სწრაფად მზადდება. უმი კარტოფილით გვიანაც მომზადდება და შეიძლება, უმიც დარჩეს. ყაბაყი კარგად გარეცხეთ, შეამშრალეთ და თხელ რგოლებად დაჭერით – 3 მილიმეტრის სისქის უნდა იყოს. კარტოფილს გადააცალეთ კანი და ისიც რგოლებად დაჭერით. ყაბაყი და კარტოფილი ჩააწყვეთ გამოსაცხობ ფორმაში, მონაცვლეობით – ხან ყაბაყი, ხან კარტოფილი... შეეცადეთ, კარტოფილი და ყაბაყი დიამეტრით თანაბარი ზომის იყოს.

ცალკე მოამზადეთ სოუსი: ნიორი გახეხეთ წვრილკბილა სახეხზე, დაასხით 2 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი. აურიეთ კარგად. მოასხით ყაბაყს და კარტოფილს. მოაყარეთ ცოტა მარილი და როზმარინი. მოასხით ნაღები. მოათავსეთ ფორმა 200 გრადუსზე გაცხელებულ აირღუმელში 30 წუთით. გამოიღეთ 15 წუთის შემდეგ, მოაყარეთ ყველი და ისევ 15 წუთით შეაბრუნეთ აირღუმელში. საოცრად არომატულია და გემრიელი.

# სამარხვო სალათა





**საჭირო ინგრედიენტები:** 5 ცალი ბადრიჯანი, 2 ცალი საშუალო ზომის პომიდორი, 1 კბილი ნიორი, 75 გრამი ნიგოზი, ზეთი, სამარხვო მაიონეზი, მარილი, შავი პილპილი, მწვანილი.

**მომზადების წესი:** ბადრიჯანი დაჭერით მომცრო კუბიკებად და მოხრაკეთ, კარგად დაბრაწეთ ცხელ ზეთში (მზესუმზირის აჯობებს). კუბიკებად დაჭერით პომიდორი. ნიგოზი დააბლენდერეთ. ბადრიჯანი მოათავსეთ საწურზე, რომ ზედმეტი ცხიმისგან დაიწუროს. პომიდორს დაუმატეთ ნიორი და ნიგოზი. დაუმატეთ ბადრიჯანი. აურიეთ. უყავით პილპილი, მარილი და მაიონეზი. ძალიან მოგეწონებათ.

# კულინარიული რეცეპტი ჩელესგან





*ამ კერძის რეცეპტი ჩვენთან, ტელევიზიაში მოვისმინე. გოგონები აქებდნენ, უგემრიელესიაო. სცადეთ, ვფიქრობ, თქვენც მოგეწონებათ.*

## კრევეტების წვნიანი

**საჭირო ინგრედიენტები:** 400 გრამი თეთრი თევზის ფილე, 400 გრამი გაყინული კრევეტები, 1 თავი ხახვი, 2 ცალი სტაფილო, 1-2 ღერი ნიახური, 50 გრამი კარაქი, 1,5 სადილის კოვზი ფქვილი, 70 მილილიტრი წითელი, მაგარი ღვინო, 1 სადილის კოვზი ტომატ-პასტა, 1 კვერცხის გული, მარილი, შავი პილპილი.

**მომზადების წესი:** ქვაბში ჩაასხით 3 ლიტრი წყალი, ჩააწყვეთ მასში თევზის ფილე და ხარშეთ დაბალ ცეცხლზე 30 წუთი მაინც. შემდეგ ჩაუმატეთ კრევეტები და ხარშეთ კიდევ 5 წუთი. თევზი და კრევეტები ამოიღეთ და ბულიონი კი სუფთა დოლბანდში გაწურეთ.

ხახვი დაჭერით რგოლებად, სტაფილო – მრგვლად, ნიახური ძალიან წვრილად. ცალკე ქვაბში გაადნეთ კარაქი და განუწყვეტელი, ნელი მორევით მოშუშეთ მასში ბოსტნეული. ნელ-ნელა შეურიეთ ფქვილი და შუშეთ კიდევ ორი წუთი. შემდეგ ნელა დაასხით ბულიონი, ადუღეთ 5 წუთი. დაუმატეთ ღვინო, ტომატ-პასტა, უყავით მარილი, პილპილი და ხარშეთ კიდევ ხუთი წუთი.

კვერცხის გული გათქვიფეთ, ჯერ შეურიეთ ორი კოვზი ბულიონი, კარგად რომ გაიხსნება, მერე ჩაუმატეთ დანარჩენ ბულიონს და კარგად შეურიეთ. დაუმატეთ თევზის ფილე, კრევეტები და მიიყვანეთ ადუღებამდე. სუფრასთან მიტანის წინ შეგიძლიათ მოაყაროთ ცოცხალი მწვანილი.



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# ქათამი ლიმონით

**საჭირო ინგრედიენტები:** 10 ცალი ქათმის ბარკალი, 1 სადილის კოვზი ზეთი, 4 სადილის კოვზი კარაქი, 3 კბილი დანაყილი ნიორი, 1 ლიმონის ცედრა, 1 სადილის კოვზი ლიმონის წვენი, 2 სადილის კოვზი დაჭრილი ოხრახუში, მარილი და პილპილი გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ქათმის ბარკლებს მოაყარეთ მარილი, პილპილი და 30 წუთით ოთახის ტემპერატურაზე გააჩერეთ. დიდ, ღრმა ტაფაში გააცხელეთ ზეთი და ნახევარი კარაქი. გაცხელებულ ცხიმში ყველა მხრიდან შებრაწეთ ქათმის ბარკლები. ცეცხლს დაუწიეთ, დაახურეთ სახურავი და ბოლომდე შეწვით. შიგადაშიგ ამოატრიალეთ ბარკლები, რომ ყველა მხრიდან შეიწვას. დაუმატეთ დარჩენილი კარაქი, ნიორი, ლიმონის ცედრა და წვენი, ოხრახუში. ცეცხლი გამორთეთ, დაახურეთ სახურავი და ასე გააჩერეთ 5 წუთი.



# ღორის ხორცი ზეთისხილითა და ბოსტნეულით

**საჭირო ინგრედიენტები:** 400 გრამი ღორის ხორცი, 2 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 2 სადილის კოვზი კარაქი, 0,5 ჭიქა ზეთისხილი, 0,5 ჭიქა თეთრი მშრალი ღვინო, 3 ღერი პიტნა, 1 ცალი სტაფილო, მარილი და პილპილი გემოვნებით, ლიმონის ნაჭრები, კიტრი და პომიდორი – გასაფორმებლად.

**მომზადების წესი:** ღვინოში აურიეთ მარილი, პილპილი, ზეთისხილი და პიტნის ღერები. ხორცის ნაჭერი დაჩხვლიტეთ და ჩადეთ ჯამში, დაასხით მომზადებული მარინადი და 3 საათით მაცივარში შედგით. თუჯის ღრმა ტაფაში ჩადეთ ხორცის ნაჭერი მარინადის გარეშე, დაუმატეთ კარაქი, ზეთი, მარინადიდან ამოღებული პიტნის ღერები, მთლიანი სტაფილო, ცოტა მარილი, პილპილი და დაასხით იმდენი წყალი, რომ ხორცი შუამდე დაიფაროს. ქვაბს დაახურეთ სახურავი და საშუალო ცეცხლზე დადგით. ხორცის ნაჭერი შიგადაშიგ ამოატრიალეთ. როცა წვენი დაშრება და ხორცი დარბილდება, ცეცხლს აუწიეთ და ყველა მხრიდან დაბრაწეთ. ხორცი ოდნავ შეაგრილეთ, თხლად დაჭერით და ბოსტნეულსა და ზეთისხილთან ერთად მიიტანეთ სუფრაზე.



ყოველკვირეული ჟურნალი
თბილისელები

# მარტივი და სასარგებლო



## ხელნაკეთი შანდალი

აგარაკზე ან სახლში შეიძლება, შუქი ჩაგიქრეთ. თუ ღამით პიკნიკზე მყოფთ შანდალი დაგჭირდათ, ზუსტად ხუთ წუთში გააკეთებთ მას მინერალური წყლის ორი ცარიელი ბოთლისგან. უბრალოდ, კარგად დააკვირდით სურათს და ბევრი ახსნა არ დაგჭირდებათ.




## ახალი ფეხსაცმელი

ძველმა „ბალეტკამ" თავი მოგაბეზრათ? შეგიძლიათ, მას ახალი იერი შესძინოთ. დაგჭირდებათ, ცოტა გიპიურის ბრტყელი ლენტი და წებო. დანარჩენი ისე გააკეთეთ, როგორც სურათზეა ნაჩვენები.

## რჩევები დიასახლისებს

* ბალახის ლაქა საკმაოდ პრობლემურია. ის ჯერ მარილწყლით უნდა ამოწმინდოთ (10 გრამი მარილი 50 მილილიტრ ადუღებულ წყალში ან არაყში), შემდეგ კი გაავლეთ თბილ წყალში. პირდაპირ წყლით ნუ ამორეცხავთ, უარესია.

* რაც შეეხება ქვარტლის ლაქას, მას ყველაზე უკეთ აცეტონით, გამხსნელით ან რომელიმე სხვა მსგავსი საშუალებით აშორებენ. თუ ლაქა სველია და ღრმად ჩამჯდარი, ამოწმინდეთ ის ჯაგრისით, რომ ამოსარეცხმა საშუალებამ ქსოვილში კარგად შეაღწიოს.

* კომბოსტო არ გაშავდება და ჩაშუშულიც კი შეინარჩუნებს ფერს, თუ მომზადების წინ გადაავლებთ მდუღარეს, მერე კი, უცებ – ძალიან ცივ წყალს და კარგად დაწურავთ.

* დარბილებული მარწყვი, ჟოლო ან ნებისმიერი კენკროვანი ხილი დააბლენდერეთ, უყავით შაქარი, კარგად ამოურიეთ, ჩაასხით ფორმებში და გაყინეთ საყინულეში. ინახება კარგად და ზამთარში მშვენიერი სასარგებლო დესერტია.

38-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 9 ივლისი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30, 02.00** "დღეს" **14.00 ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: ნახევარფინალი **17.00** დ/ფ "მონდრეანის სახელოსნოში" **18.00** ტ/სერ. "**ტაქსისტი**" **19.15** "ჩვენი ეზო" **21.00** თოქ-შოუ: I სტუდია **22.00** "ბრაზილია – **2014**"(პ/რეპ) **23.50 ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: ნახევარფინალი (პ/რეპ).

**07.00** მხიარული კამერა **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.30** ქრონიკა. **10.03** სერ. "**ბედის ანაბარა**" **11.20, 16.50** TV - მარკეტი **11.30** სერ. "**შურისმაძიებელი**" **12.30** დღის შოუ (პ/ე) **14.45** სერ. "**სიყვარული ცა და მიწა**" **17.45** სერ. "**მინდა გახსოვდე**" **18.50, 19.03** სერ. "**ბამბის ველი**" **9** სერ. **21.00** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** EMERGENCY — სასწრაფო დახმარება **00.40** მხ/ფ "**ყველაფერი დედაჩემის შესახებ**" (მ.პარედესი).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**მათრობელა სიყვარული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე"**16.00** სერ. "**საპრა**" **33** (**34**) **18.45** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.45** სერ. "**ქალბატონი დილა**" **22.00** "ნანუკას შოუ" **00.00** კიმონო **01.00** მხ/ფ. **02.30** კურიერის დაიჯესტი **03.00** მხ/ფ. (ტიტ.).

**06.10** დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" **06.35** დ/ფ "უბისა" **07.05** დ/ფ "წერილი ძმას" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** თეთრიდან თეთრამდე **10.45** ქრისტიანული ხელოვნება **11.25** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** მოკ./ფ. "**პეიტარი**" **13.25** ქვიშით ნაამბობი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45** "ჩვენი ამბავი" **15.05** კეთილმოწყალე უფალი **15.30** დ/ფ "მაცხოვრის სუდარა" **16.40** კონცერტი -ანს. "**შვიდკაცა**" **16.50** კვირიაკე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** ქრისტიანული სწავლება **19.35** მხ/ფ "**ათოვდა ზამთრის ბაღებს**" I ნაწ. **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** "ივერიის ეკლესია" **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "ქართველი ლეგიონერი" დიმიტრი ამილახვარი **23.40** ქვიშით ნაამბობი **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.20** მულტფილმი **7.40** "უცნობი ისტორიები" (გამ.) **8.05** გადაცემა "ურბანსპორტი"(გამ.) **8.20** გადაცემა "**60** კითხვა ინტერიერში"(გამ.) **8.40, 22.00** "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან **9.00, 12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **9.00, 12.00, 15.00, 18.00** ახალი ამბები **9.30** ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ"ე **9.50, 11.50, 15.45** პრესის მიმოხილვა **10.00, 11.00, 16.00, 17.00, 19.00**, ამბები მოკლედ **10.02, 11.03 სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** **12.30, 1.15** ბიზნეს კონტაქტი პ/ე **13.00** იმედის ფსონი **13.55** დოკ. ფ. "გზა ბრაზილიისკენ" **14.25, 18.25, 2.30** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) **16.02, 17.02 სერიალი "ასი" 17.45** "ყოველდღიური ა(მ)ბები" (გამ.) **19.02 სერიალი "თანაგრძნობა"** **20.00, 2.50**, "ინ-ფაქტი" **20.05 სერიალი "დაკარგული დრო"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი" პ/ე **22.15 სერიალი "დიდებული საუკუნე" 23.30 სერიალი "სკანდალი" 0.45**, დოკ. ფ. "გზა ბრაზილიისკენ".

## ხუთშაბათი 10 ივლისი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30, 02.00** "დღეს" **14.00 ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: ნახევარფინალი) **17.00** დ/ფ "შიგნიდან დანახული კონკორდია" **18.00** ტ/სერ. "**ტაქსისტი**" **19.15** "შემოძახილი" **21.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **22.00** "არენა" (პ/ტრ) **00.00** მხ/ფ "**ნიკიტა**" (რეჟ: ლ.ბესონი) **02.30** "შემოძახილი"(გ/ჩვ).

**07.00** მხიარული კამერა **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45** ქრონიკა. **10.03** სერ. "**ბედის ანაბარა**" **11.20, 16.50** TV - მარკეტი **11.30** სერ. "**შურისმაძიებელი**" **12.30** დღის შოუ (პ/ე) **14.45** სერ. "**სიყვარული ცა და მიწა**" **17.45** სერ. "**მინდა გახსოვდე**" **18.50, 19.03** სერ."**ბამბის ველი**" **10** სერ. **21.00** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** კონცერტი: "ნინო სურგულაძე" **00.00** მხ/ფ "**უცნაური შეხვედრა**" **01.55** მხ/ფ "**მხოლოდ შენნაირი**" (ტიტ.).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**მათრობელა სიყვარული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**საპრა**" **18.45** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.45** სერ. "**ქალბატონი დილა**" **22.00** პროფილი **00.00** მხ/ფ. **02.30** კურიერის დაიჯესტი **03.00** მხ/ფ. (ტიტ.) **05.00** სერ. "**არ დამივიწყო**".

**06.10** დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" **06.35** ჩვენი ფონდი **06.50** დ/ფ "მაცხოვრის სუდარა" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** დ/ფ "ქართველი ლეგიონერი" დიმიტრი ამილახვარი **11.05** ქართული ალბომი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**ათოვდა ზამთრის ბაღებს**" I ნაწ. **13.15** ივერიის ეკლესია **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** კეთილმოწყალე უფალი **15.30** კონცერტი -ანს. "**სახიობა**" **17.30** სახარება-ოთხთავის წმინდა გიორგი მთაწმინდელისეული რედაქციის შესახებ (ედიშერ ჭელიძე) **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** "პორტრეტები" **20.15** მოკ./ფ. "**ადგილის დედა**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** დ/ფ "ჯვარსახოვანი გზა" I ნაწ. **22.25** დ/ფ "ჯვარსახოვანი გზა" II ნაწ. **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ"კირიონ II" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.25** მულტფილმი **7.50** სამედიცინო გადაცემა "პულსი"(გამ.) **8.20** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი"(გამ.) **8.40, 22.00, 2.10** "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან **9.00, 12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **9.00, 12.00, 15.00, 18.00** ახალი ამბები **9.30** ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე **9.50, 11.50, 15.45** პრესის მიმოხილვა **10.00, 11.00, 16.00, 17.00, 19.00**, ამბები მოკლედ **10.02, 11.03 სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული" 12.30, 1.15** ბიზნეს კონტაქტი პ/ე **13.15** გადაცემა "ID"(გამ.) **13.35** SV **11** მაესტროზე (გამ) **13.55** დოკფ. "გზა ბრაზილიისკენ" **14.25, 18.25, 2.30** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) **16.02, 17.02 სერიალი "ასი" 17.45** "ყოველდღიური ა(მ)ბები" (გამ.) **19.02 სერიალი "თანაგრძნობა"** **20.00** "ინ-ფაქტი" **20.05 სერიალი "დაკარგული დრო" 21.00** მაესტროს "ცხრიანი" პ/ე **22.15 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.30, 5.20 სერიალი "სკანდალი" 0.45**, დოკ.ფ. "გზა ბრაზილიისკენ".

## პარასკევი 11 ივლისი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30, 00.20** "დღეს" **14.00** "სპექტაკლის დრო"– "ზვავი" **17.00** დ/ფ "ბირთვული კატასტროფა-იაპონიის ტრაგედია" **18.00** ტ/სერ. "**ტაქსისტი**" **19.15** დ/ფ "ზღვის სიღრმეში" **21.00** თოქ-შოუ: "პირველი სტუდია"(პ/ე) **22.30** მხ/ფ "**წვეულება ვეგასში**" **02.30** დ/ფ "ყალმუხეთის ბუდისტი ბერები".

**07.00** მხიარული კამერა **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.10** ქრონიკა. **10.03** სერ. "**ბედის ანაბარა**" **11.20, 16.50** TV - მარკეტი **11.30** სერ. "**შურისმაძიებელი**" **12.30** დღის შოუ (პ/ე) **14.45** სერ. "**სიყვარული ცა და მიწა**" **17.45** სერ. "**მინდა გახსოვდე**" **18.50, 19.03** სერ."**ბამბის ველი**" **11** სერ. **21.00** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** თოქ შოუ — რეაქცია **00.00** მხ/ფ "**სისხლი და შოკოლადი**" (ო.მარტინესი) **02.20** მხ/ფ "**უცნაური შეხვედრა**" (დ.კუკი).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**მათრობელა სიყვარული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ."**საპრა**" **18.45** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.45** სერ. "**ქალბატონი დილა**" **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** მთავარი თემა **22.30** ქერის უბანი **23.00** ვანოს შოუ **00.00** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **01.00** მხ/ფ.**03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ. **04.00** სერ. "**არ დამივიწყო**".

**06.10** დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" **06.35** სახარება-ოთხთავის წმინდა გიორგი მთაწმინდელისეული რე-

დაქციის შესახებ (ედიშერ ჭელიძე) **06.55** დ/ფ "ჯვარსახოვანი გზა" **07.50** "ჩვენი ამბავი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** დ/ფ "კირიონ II" **10.05** სახლი ღვთისა **11.20** ისტორიის გაკვეთილი **12.10** პორტრეტები **13.00** მოკ./ფ. **"ადგილის დედა"** **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** ქვიშით ნაამბობი **15.15** კონცერტი - ლიზი მამრაძე (პროკოფიევის საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი) **16.55** კვირიაკე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"ათოვდა ზამთრის ბაღებს"** II ნაწ. **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "წმინდა ათონელი მამები" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.25** მულტფილმი **7.50** "ინ-ფაქტი" (კვირის კოლაჟი) (გამ.) **8.10** გადაცემა "ფული და სურვილები"(გამ.) **8.45, 22.00** "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან (გამ.) **9.00, 12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **9.00, 12.00, 15.00, 18.00** ახალი ამბები **9.30** ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე **9.50, 11.50, 15.45** პრესის მიმოხილვა **10.00, 11.00, 16.00, 17.00, 19.00**, ამბები მოკლედ **10.02, 11.03** **სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** **12.30** ბიზნეს კონტაქტი პ/ე **13.15** გადაცემა "**60** კითხვა ინტერიერში"(გამ.) **13.35** გადაცემა "ურბანსპორტი"(გამ.) **13.55** დოკ. ფ. "გზა ბრაზილიისკენ" **14.25, 18.25, 2.30** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) **16.02, 17.02** **სერიალი "ასი"** **17.45** "ყოველდღიური ა(მ)ბები" (გამ.) **19.02** **სერიალი "თანაგრძნობა"** **20.00** "ინ-ფაქტი" **20.05** **სერიალი "დაკარგული დრო"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი" პ/ე **22.15** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.30, 5.20** **სერიალი "სკანდალი"** **0.45**, დოკ. ფ. "გზა ბრაზილიისკენ".

## შაბათი 12 ივლისი

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** საბ. ან "ლუნი ტიუნზი ისევ საქმეშია" **10.00** საბ. ან/ფ. "სამართლიანობის ლიგა" **11.30** საბავშვო გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "მხიარული სტარტები" **13.30** საქართველოს შეიარაღებული ძალებისადმი მიძღვნილი კონცერტი **15.20** **"მეხსიერება"** – ალ. ბასილაია **16.30** "გურმანია" **17.00** დ/ფ "დიზაინი" **18.00** ტ/სერ. **"ტაქსისტი"** **19.00** "ეტალონი" **21.00** "შეხვედრები მწერალთა სახლში" **22.00** "ბრაზილია – **2014**"(პ/რეპ) **23.50** **ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: მესამე ადგილისთვის (პ/რეპ).

**07.30** ან/ფ "სპანჯბობი" **08.00** მხ/ფ **"წითელი ძაღლი"** **10.15, 16.50** TV - მარკეტი **10.25** ეკოვიზია **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ვაკანსია **12.00** სერ.**"მერლინი"** **13.00** ღამის შოუ (გ/ჩ) **14.50** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** **17.45** სერ. **"მინდა გახსოვდე"** **18.50, 19.03** სერ.**"ბამბის ველი"** **12** სერ. **21.00** სერ. **"შავი ვარდი"** **22.00** შალვა რამიშვილის შოუ **23.00** ადრენალინი **23.45** მხ/ფ **"რემბო"** (ს.სტალონე) **01.25** მხ/ფ **"სისხლი და შოკოლადი"**.

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.25** ანიმაცია **08.30** მხ/ფ. **10.00** კომედი შოუ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **14.00** იღბლიანი ბორბალი (კვირის გ/ჩ) **15.30** X - ფაქტორი (გ/ჩ) **18.45** "ექიმები" - დაწყება **19.45** "დაამარცხე ვასო" - დაწყება **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **23.30** გააცინე და მოიგე (ძველი გ/ჩ) **00.00** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა (გ/ჩ) **00.30, 03.00** მხ/ფ.

**06.10** საგალობელი **06.15** დ/ფ "კოსმოსიდან დანახული დედამიწა" **07.15** ეთნოგრაფია **07.30** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ქართული მულტფილმი **10.50** კვირიაკე **11.50** ქვიშით ნაამბობი **12.10** მხ/ფ **"ათოვდა ზამთრის ბაღებს"** II ნაწ. **13.20** საღვთისმეტყველო საუბრები **14.05** ღია აუდიტორია **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05, 18.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **15.25** ოპერა - **"ბაროკო"** ალა სიმონიშვილი **18.30** ქვიშით ნაამბობი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** დ/ფ "მცხეთა" **19.35** ქართული ალბომი **20.00** "ერთსულოვნების სალონი" **21.20** ქრისტიანული ხელოვნება **22.20** "ჩვენი ამბავი" **22.30** საქართველო არის ესე - სვეტიცხოველი I ნაწ. **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოციქულთა თავნი პეტრე და პავლე **23.35** დ/ფ "სვეტიცხოველი" **00.35** დროის ჩანაწერები **01.20** მხ/ფ **"დები ბრონტეები"** I ნაწ.

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.25** მულტფილმი **8.10** იუმორისტული შოუ -"**4X4**/ (გამ.) **9.10, 11.00, 13.50, 16.00, 19.00** **სერიალი "თანაგრძნობა"** **10.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **11.55, 14.55, 17.55, 2.50** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **12.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **12.50** გადაცემა "**60** კითხვა ინტერიერში" **13.00** იმედის ფსონი **15.30** NX სპიკერი **18.30** "უცნობი ისტორიები" **20.00** **სერიალი "დაკარგული დრო"** **21.30, 2.20** გადაცემა "ფული და სურვილები" **22.00** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 1.35** "თქვენი გადახდილია" **23.30**, SV **11** მაესტროზე **0.00** "ინ-ფაქტი" (კვირის კოლაჟი) **0.15** "უცნობი ისტორიები"(გამ.) **0.45**, დოკ. ფ. "გზა ბრაზილიისკენ".

## კვირა 13 ივლისი

**08.00** დ/ფ "მსოფლიოს ოდისეები" **08.30** საბ. ან "პატარა პოლარული დათვი" **10.00** საბ. მხ/ფ **"საოცარი მისტერ ბარნანდერი"** **11.30** საბავშვო გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ჩვენი ფერმა" **13.00** "სამოთხის ვაშლები" **14.00** **ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: მესამე ადგილისთვის **16.30** "ვაშინგტონი დღეს" **17.00** დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" **18.00** ტ/სერ. **"ტაქსისტი"** **19.00** ქართ. დ/ფ მანანა დოიჯაშვილი **20.30** "ტელებლოგი" **21.00** "ბრაზილია – **2014**"(პ/რეპ) **22.50** **ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: ფინალი (პ/რეპ) **01.30** "სამოთხის ვაშლები"(გ/ჩვ.).

**07.30** ან/ფ "სპანჯბობი" **08.00** მხ/ფ **"ნაშვილები"** **10.10** ადრენალინი (გ/ჩ) **11.00, 14.00, 17.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** სერ. **"მერლინი"** **13.00** კულინარიული დუელი **14.30** იმედის გმირები **15.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ (გ/ჩ) **17.30** ცეკვავენ ვარსკვლავები (გ/ჩ) **20.00** პანორამა **21.00** ღამის შოუ **22.00** მხ/ფ **"ძნელად აღსაზრდელები"** **00.00** მხ/ფ **"მომხიბვლელობის კანონი"**(პ.ბროსნენი)

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.25** ანიმაცია **08.30** მხ/ფ. **10.30** ეკი ვოკი **12.00, 15.00, 18.00, 03.00** კურიერი **12.30** ვანოს შოუ (პარასკევის გ/ჩ) **14.00** ქერის უბანი **14.15** სიცილის ზონა **15.30** პროფილი გ/ჩ **18.50** იღბლიანი ბორბალი **20.00** გააცინე და მოიგე **21.00** P.S. **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **23.00** კომედი შოუ **01.00, 03.30** მხ/ფ.

**06.10** ჩვენი ფონდი - ნანა სხირტლაძე - სვეტიცხოველი **06.35** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** საკვირაო სახარების განმარტება **08.30** თბილისის ტაძრები **09.00** საეკლესიო კალენდარი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.15** სიახლენი **10.40** ივერიის ეკლესია **10.55** დ/ფ "სვეტიცხოველი" **11.25** ქართული ალბომი **12.10** მხ/ფ **"დიდედები და შვილიშვილები"** **13.25** ქრისტიანული ხელოვნება **14.10** ისტორიის გაკვეთილი **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05, 18.05, 21.05, 00.05** პატრიარქის ქადაგება **15.30** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** ერთსულოვნების სალონი **16.55** ეპოქის სახელები **17.20** საღვთისმეტყველო საუბრები **18.30** "ჩვენი ამბავი" **18.40** დროის ჩანაწერები **19.25** მხ/ფ **"შერეკილები"** **21.30** კვირიაკე **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საქართველო არის ესე - სვეტიცხოველი II ნაწ. **00.30** პორტრეტები **01.30** მხ/ფ **"დები ბრონტეები"** II ნაწ.

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.20** მულტფილმი **8.00** "უცნობი ისტორიები"(გამ.) **8.20** "თქვენი გადახდილია" (გამ.) **8.50** TV **11** მაესტროზე (გამ.) **9.20, 11.00, 14.25, 16.00, 20.00** **სერიალი "დაკარგული დრო"** **10.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **11.55, 14.55, 17.55**, კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **12.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **13.00** იმედის ფსონი **13.50** გადაცემა "ურბანსპორტი" **14.05, 0.00** გადაცემა **"ID"** **15.30** NX სპიკერი **18.30, 0.20** ჟურნალისტური გამოძიება ("მონიტორი") **19.00** **სერიალი "თანაგრძნობა"** **21.00, 1.15** ვახო სანაიას რეპორტაჟი **22.00** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 2.15** იუმორისტული შოუ -"4X4“ **23.45** "აბების" კვირის ანეკდოტები **0.45**, დოკ. ფ. "გზა ბრაზილიისკენ".

## ვერძი

ნუ მიიღებთ სერიოზულ გადაწყვეტილებებს და მოერიდეთ გეგმების დასახვას, რადგან დიდია შეცდომების დაშვების ალბათობა. ამ პერიოდში თქვენი სასიყვარულო გრძნობები განიცდის ტრანსფორმაციას, ამიტომ კონფლიქტებისთვის თავის ასარიდებლად შეინარჩუნეთ სიმშვიდე. ხშირად დაისვენეთ და გაიაზრეთ შექმნილი სიტუაცია.

## კურო

მკაფიოდ ჩამოაყალიბეთ აზრები და ისე მიიღეთ გადაწყვეტილებები. მართეთ ოჯახის მატერიალური საკითხები დამოუკიდებლად. არ არის გამორიცხული, ახალი საქმიანი პერსპექტივების წინაშე აღმოჩნდეთ, მაგრამ, კარგად დააკვირდით გარემოებებს და ისე მიიღეთ გადაწყვეტილებები. ძალები კი ბუნებაში დასვენებით აღიდგინეთ.

## ტყუპები

ბევრი დრო გაატარეთ საინტერესო ადამიანების გვერდით – ეს დაგეხმარებათ ავტორიტეტის ამაღლებაში. მოერიდეთ რთული საკითხების გადაწყვეტას და მეტად ენდეთ საყვარელი ადამიანის რჩევებს. კარგია დასასვენებლად გამგზავრება, ჯანმრთელობის მოწესრიგება და ძალების აღდგენა.

## კირჩხიბი

დადებითად წარმართავთ ფინანსურ და ეკონომიკურ საკითხებს. ნუ ენდობით გამოუცდელ ადამიანებსა და უცხოებისგან მიღებულ ინფორმაციას. მოერიდეთ ფულის უყაირათო ხარჯვას. გაგიჭირდებათ მარტოობა, ამიტომ, საყვარელ ადამიანთან უსიამოვნებას, ჯობია, მშვიდად გააანალიზოთ მოვლენები და მეტი სითბო გამოხატოთ მის მიმართ.

## ლომი

ფინანსურ საკითხებში გამოიჩინეთ მეტი სიფრთხილე. მოერიდეთ ტყუილის თქმას. კარგია ემოციურ პრობლემებში გარკვევა და პირადი კომპლექსების დაძლევა. მშვიდად შეასრულეთ საქმეები და გამონახეთ დრო საყვარელ ადამიანთან ერთად დასასვენებლად. ნუ აჰყვებით დეზინფორმაციას და ამით ნუ შეიყვანთ თავს შეცდომაში.

## ქალწული

ფინანსურ და მატერიალურ მდგომარეობაზე ზრუნვა დაგეხმარებათ კარიერულ წინსვლასა და სამომავლო გეგმების ჩამოყალიბებაში. მხიარული და რომანტიკული შეხვედრები დადებითად აისახება თქვენს გუნებაგანწყობაზე. პირად ცხოვრებაში სწორად გააკეთეთ არჩევანი და მოერიდეთ კონფლიქტებს.

## სასწორი

გაგიადვილდებათ კოლეგებთან საერთო ენის გამონახვა და სამომავლო გეგმების დასახვა. არ არის გამორიცხული, მატერიალური პრობლემები გაჩნდეს, რაც თქვენგან ზუსტ ხარჯთაღრიცხვას მოითხოვს. ფინანსური სტაბილურობისთვის აუცილებელია ცხოვრებისეული ცვლილებები. მოერიდეთ სხვისი ფულის ხარჯვას.

## მორიელი

ახალი საქმის დაწყება მეტ პერსპექტივებს გპირდებათ მომავალში, ამიტომ, დაფიქრდით ამაზე. ადვილად შეძლებთ საერთო ენის გამონახვას კოლეგებთან და ხელმძღვანელ პირებთან. ბევრ დროს წაგართმევთ გადაადგილებები, ოჯახის საქმეები და საყვარელ ადამიანთან პრობლემების მოგვარება, თუმცა, ეს ახლო მომავალში გამოსწორდება.

## მშვილდოსანი

ჯობია, დროულად წახვიდეთ დათმობაზე, რათა არ შეიქმნათ უფრო მეტი პრობლემა როგორც პირად ცხოვრებაში, ისე კარიერაში. კარგია დამატებითი ცოდნის მიღება და კვალიფიკაციის ამაღლება. მოგზაურობა კი არა მარტო დასვენების საშუალებას მოგცემთ, არამედ ბევრ ახალ, საინტერესო შეგრძნებას მოგიტანთ.

## თხის რქა

პროფესიონალურ სფეროში კომუნიკაბელურობა დაგეხმარებათ მიზნების განხორციელებაში. კარგია ცოდნის გაღრმავება და პროფესიული თვისებების დახვეწა. დახმარებას გაგიწევენ მეგობრები. დასასვენებლად წასვლის შემთხვევაში, მოერიდეთ მძაფრ შეგრძნებებსა და ექსტრემალურ გართობას. მეტი ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას.

## მერწყული

მჭევრმეტყველებისა და გამოცდილების მეშვეობით ადვილად შეძლებთ გარშემო მყოფების თქვენით დაინტერესებას. იყავით ორიგინალური და იმოქმედეთ თამამად. ახალი გადაწყვეტილებების მიღება მომავალში კარგ პერსპექტივებს გპირდებათ. არ არის გამორიცხული, ამ პერიოდში გამოჩნდეს ადამიანი, რომელთანაც სასიყვარულო კავშირს გააბამთ, თუმცა, ნუ აჩქარდებით.

## თევზები

გაგიჭირდებათ საკუთარი შესაძლებლობების სწორად განსაზღვრა. სამსახურის გამოცვლა დაგეხმარებათ ადრინდელი ჩანაფიქრების რეალიზებაში. გაგიადვილდებათ ახლის შესწავლა, ინფორმაციის მიღება, ახალი კავშირების დამყარება და ურთიერთობები. მეტი დრო დაუთმეთ ჯანმრთელობის გაჯანსაღებასა და სპორტს.

**ახალმთვარეობა – 27 ივლისი, 22 სთ: 20 წთ.**

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

## ორშაბათი

კარგია რომანტიკული შეხვედრები, მეგობრებთან კონტაქტი, სპონტანური იმპროვიზაციები. ატარეთ წითელი, შინდისფერი, შავი, ყვითელი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ტოპაზი, ჰელიოტროპი, ქრიზოპრაზი ან მარჯანი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. მოერიდეთ საბუთების ნოტარიულად გაფორმებას, ახალი საქმის დაწყებას, მოგზაურობას, ადგილსამყოფლის შეცვლას, სესხის აღებას, სოცუზრუნველყოფისა და სადაზღვევო ორგანიზაციებთან ურთიერთობას. სუსტდება შარდსასქესო სისტემა, ჭიპი, ცხვირი.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

## სამშაბათი

მოერიდეთ სარისკო მოქმედებებს, აზარტულ თამაშებს, კაპიტალდაბანდებას, საეჭვო პროექტებში მონაწილეობის მიღებას. არ გირჩევთ ახალი საქმის დაწყებას. ნუ აჩქარდებით და იმოქმედეთ მშვიდად. ატარეთ წითელი, შავი, ყვითელი, მწვანე ან შინდისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ტოპაზი, ქრიზოპრაზი, ზურმუხტი ან ჰელიოტროპი. დაიმახსოვრეთ დღევანდელი სიზმარი. მოერიდეთ მოგზაურობას, სესხის აღებას, ბინის შეცვლას, სადაზღვევო ორგანიზაციებთან კონტაქტს. კარგია თმის შეჭრა. სუსტდება შარდსასქესო და რეპროდუქციული სისტემები, ცხვირი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის.***

## ოთხშაბათი
## გეომაგნიტური დღე

ჭეშმარიტების ძიების დღეა. კარგია სერიოზული გადაწყვეტილებების მიღება, ფინანსური საკითხების მოგვარება, ცოდნის გაღრმავება. ატარეთ წითელი, ლურჯი, ყვითელი, ცისფერი ან იისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ფირუზი, სარდიონი, აკვამარინი, ლაზურიტი ან ლალი. დიდი შანსია, ამ დღის სიზმარი ახდეს. არ ვარგა მშენებლობა. კარგია უცხოელებთან კონტაქტი, მოგზაურობა, კაპიტალდაბანდება, სწავლა, იურიდიული საქმიანობა, სამეცნიერო კვლევა. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

## ხუთშაბათი

შესაძლებელია ახალი საქმის დაწყება, მოლაპარაკებები, საკითხების გადაწყვეტა. აკონტროლეთ უარყოფითი ემოციები. ატარეთ წითელი, ყვითელი, იისფერი, ლურჯი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ფირუზი, სარდიონი, საფირონი, წითელი იასპი, რუხი ტოპაზი ან ჯესპილიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა მშენებლობა. კარგია იურიდიული საქმიანობა, უცხოელებთან კონტაქტი, მოგზაურობა, სამეცნიერო კვლევა. მძაფრდება ინტუიცია. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი.

***პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.***

## პარასკევი
## გეომაგნიტური დღე

შეიძლება ახალი საქმის დაწყება, გეგმების დასახვა. მიუდექით საკითხების გადაწყვეტას მეტი სერიოზულობით. მოერიდეთ სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას, თმის შეჭრას, სასიყვარულო კავშირებს, ხელმძღვანელობასთან ურთიერთობას, ახალ კავშირებს. ატარეთ ყავისფერი, კრემისფერი, ნაცრისფერი, ლურჯი ან მწვანე სამოსი, ქვებიდან კი ონიქსი, მალაქიტი, ქრიზოპრაზი, აქატი ან ოპალი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, სამეცნიერო კვლევა. სუსტდება ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, კანი, კბილები.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის, მერწყულებისთვის.***

## შაბათი
## გეომაგნიტური დღე

ამ დღეს სავსემთვარეობაა. კოსმოსიდან მოჭარბებული უარყოფითი ენერგიები მეტად განაპირობებს ავარიების, ცდუნებების, დეპრესიის, კონფლიქტების, ჯანმრთელობის გაუარესებისა და სხვა ნეგატიური მოვლენების ალბათობას. იყავით მეტად წინდახედული და ფრთხილი. ატარეთ ოქროსფერი, ჩალისფერი, ლურჯი, მწვანე, იისფერი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, გიშერი ან ოპალი. ნუ დაუჯერებთ სიზმრებს. არ ვარგა ხელმძღვანელებთან ურთიერთობა, სტომატოლოგიური პროცედურები. კარგია სამეცნიერო კვლევა. სუსტდება ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, კანი, კბილები.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

## კვირა

კარგია სასიყვარულო შეხვედრები, ინტელექტუალური საქმიანობა. გამახვილდება ინტუიცია. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახსა და მეგობრებს. ატარეთ ვერცხლისფერი, ლურჯი, ცისფერი, წითელი, ვარდისფერი ან ყვითელი სამოსი, ქვებიდან კი საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ძოწი ან ფირუზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. იყავით მეტად ლმობიერი და დამთმობი. სუსტდება ნერვული სისტემა, ფეხის კუნთები, თვალები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### თავდგირიძე

გვარის ძველი ფორმაა **თადგირიძე**. საკუთარი სახელის – **თავდგირის** შესახებ ცნობას გვაწვდის ივანე გვარამაძე.

ვახუშტი ბატონიშვილს (ბაგრატიონი) **თავდგირიძე** მოხსენიებული ჰყავს ქართლის ცხოვრებაში, მთავართა – „უწარჩინებულეს და შემძლებელთა“ შორის.

**თავდგირიძე** უძველესი ქართული სათავადო საგვარეულოთაგანია და დაახლოებით მეთხუთმეტე საუკუნეშივე, **თავადობის** სახელის გაჩენის დღიდანვეა მოხსენიებული აღმოსავლეთ (ასევე, სამხრეთ) საქართველოში. **თავდგირიძეები** მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან გადასულან გურიაში, მათი სამფლობელო იყო ქობულეთში. მეთვრამეტე საუკუნიდან წამოსულა, ასევე, საგვარეულოს აჭარული შტო, რომელმაც მიიღო მუსლიმანობა (მისგან მომდინარეობდა ოსმან-ფაშა **თავდგირიძე**, ქვემო აჭარის მმართველი, რომელიც, 1878 წელს აჭარის რუსეთთან შეერთების შემდეგ, ემიგრაციაში წავიდა თურქეთში). ამ გვარის წარმომადგენლებს გურიის სათავადოში ეკავათ მთავარი იასაულის მემკვიდრეობითი თანამდებობა, ხოლო მეცხრამეტე საუკუნეში – მდივანბეგისა და სარდლის თანამდებობები. თავად კ. ლ. თუმანიშვილს (თუმანოვი) მიაჩნია, რომ **თავდგირიძეთა** (თავგდირიძე) შტო სათავეს იღებს სიტყვისგან **„თაგადირ“**, ესე იგი, „გვირგვინის დამდგმელი“. ის, ვინც კორონაციის დროს მეფეს თავზე ადგამს გვირგვინს, ეს თანამდებობა კი მემკვიდრეობით ეკუთვნოდათ ბაგრატიონებს.

**თავდგირიძეების** საგვარეულო თავადებად მიიჩნია რუსეთის იმპერიამ და ეს გვარი შეტანილია 1850 წლის, 6 დეკემბერს ხელმოწერილ გურიის თავადთა სიაში.

### ჭაობაშვილი

მწერალ გიორგი შატბერაშვილს მეტსახელად დაფიქსირებული აქვს **ჭაობა.** ეს მეტსახელი გვხვდება გვარში – **ჭაობაშვილი.**

**ჭაობი** სოფლის სახელწოდებაა დღევანდელ თეთრი წყაროს რაიონში, სოფელ მუხათის ბოლოს. დღესაც ამ ადგილს **ჭაობს** ეძახიან. ადვილი შესაძლებელია, რომ აქედან წასულ კაცს თან წაელო სოფლის სახელი.

საქართველოში 39 **ჭაობაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 25, კასპში – 14.

### ახალკაცი-ახალკაციშვილი

გვარზე **ახალკაცი**, წიგნში „ქართული გვარ-სახელები“, ილია მაისურაძე წერს: „გადმოცემით, ბატონისგან გამოქცეული და სხვა სოფელში შეხიზნული ყმა, რაკი საკუთარ გვარს ვერ ამჟღავნებდა, **ახალკაცს** ირქმევდა“. ასევე, მეგრულში გვხვდება **ახალკოჩი**, ანუ, იგივე **ახალკაცი**. აქედანვე უნდა იყოს წარმოშობილი გვარები: **ახალკაციშვილი, ახალმოსულიშვილი, ახალშენიშვილი.**

ცნობილია, რომ **ახალბედაშვილის** წინაპარი, გადმოცემის თანახმად, მესხეთიდან გა-




დმოსახლებულა და გვარად მაისურაძე ყოფილა, მაგრამ, როგორც **ახლად** მოსულისთვის, მისთვის **ახალბედაშვილი** უწოდებიათ.

**ახალკაცი** და **ახალკაციშვილი** ერთი და იგივე გვარად ჩანს.

**ახალკაცი** ისტორიულ წყაროებში მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან გვხვდება. „**ახალკაცი** გოგია, ცხუნურს მცხოვრები, საამილახვროს დავთრის მიხედვით, მისი კომლიდან ორ კაცს ევალებოდა თოფით ლაშქრობა“. „**ახალკაცი** როინაი, მოწმე ავთანდილ მინიაშვილის მიერ ფილასონ ქურდევანიძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა, 1569 წელი“.

გადმოცემის მიხედვით, **ახალკაცები** წარმოშობით რაჭველები არიან. დათო ახალკაცის ცნობით, მის წინაპარს რაჭაში ბატონთან უთანხმოება მოსვლია, გამოქცეულა და ქართლში დასახლებულა. ქართლელებს მისთვის **„ახალი კაცი“** შეურქმევიათ, ბოლოს ეს მეტსახელი გვარად იქცა. **ახალკაცები** ძირითადად სოფელ ოსიაურში ცხოვრობენ. რამდენიმე ოჯახი სამეგრელოშიც სახლობს.

საქართველოში 1 567 **ახალკაცი** ცხოვრობს: ხაშურში – 343, თბილისში – 337, გორში – 318. არიან სხვაგანაც.

### გოგორიკი

გადმოცემით, **გოგორიკების** ადრინდელი გვარი ამაშუკელია. ამაშუკეთიდან მათი წინაპრები მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნიდან გადმოსულან გურიაში და, იქ, რატომღაც, გვარი **გოგორიკი** მიუღიათ. სავარაუდოდ, ფუძედ უნდა აეღოთ ლამაზი, მოხდენილი, ცქრიალა ქალის სახელი, ის **გოგო-რიკად** მოაკვარახჭინეს.

**გოგორიკი** მცირერიცხოვანი გვარია. ასევე, გვხვდება გვარი **გოგორიკიძე.**

საქართველოში 30 **გოგორიკი** ცხოვრობს: ოზურგეთში – 23, გარდაბანში – 4, თბილისში – 1. არიან სხვაგანაც.

### ხეთაგური-ხეთაგაშვილი-ხეთაგურაშვილი

**ხეთაგური** ქართული გვარ-სახელია. გვარს საფუძვლად უდევს ტოპონიმი **ხეთა. ხეთები** ძველი ხალხი იყო ცენტრალურ ანატოლიაში (მცირე აზია), ცხოვრობდნენ ძველი წელთაღრიცხვის მესამე-მეორე ათასწლეულის მიჯნაზე.

ფუძით **ხეთა** მიღებულია ქართველთა გვარები: **ხეთაგაშვილი, ხეთაგურაშვილი, ხეთაგური.** მსგავსი ფუძითაა წარმოებული ოსური გვარი – **ხეთაგუროვი. ხეთაგუროვებმა** თვითონ უკეთ იციან, მათ შორის ვინ ოსია და ვინ – ქართველი. ასევე, გვხვდება გვარი **ხეთერელი.**

საქართველოში 117 **ხეთაგაშვილი** ცხოვრობს: გორში – 67, რუსთავში – 25, თბილისში – 12. არიან სხვაგანაც.

54 **ხეთაგურაშვილი**. თბილისში – 31, გარდაბანში – 9, რუსთავში – 1. არიან სხვაგანაც.

699 **ხეთაგური**: თბილისში – 232, გორში – 156, ყაზბეგში – 64. არიან სხვაგანაც.

111 **ხეთაგუროვი**: თბილისში – 44, ლაგოდეხში – 37, გარდაბანში – 10. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# სტალინის ღვარძლიანი „მარტიშკა“ და თბილისელ მაკაკასთან ერთად ლოგინში მონებივრე ეჟოვის კომპრომატები

(35-ე გვერდიდან)

მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეჟოვმა ენა გადმოაგდო და ახროტინდა, თავად კაგანოვიჩმა შეუშვა ხელები და თითქმის ერთ მეტრზე ჰაერში აწეული „მარტიშკა“ ძირს, უგონოდ დაენარცხა. ამის შემდეგ კი დაფაცურდნენ იქ შეკრებილები და ეჟოვის მოსულიერება დაიწყეს. ყველა ერთ წრედ შექუჩდა. ამ დროს პოსკრებიშევიც გამოჩნდა, რათა პოლიტბიუროს წევრები სხდომათა დარბაზში მიეწვია. თუმცა, თვითონაც ეჟოვის მოსულიერებას შეუდგა. კაგანოვიჩი ამ სანახაობას თვალყურს საკმაოდ აუღელვებლად ადევნებდა, მშველელთაგან კი აზრადაც არავის მოსვლია, ექიმისთვის დაეძახა. „რა ფუსფუსია?“ – გაისმა უცებ ნაცნობი ხმა და სტალინის დანახვაზე ყველა გაისუსა. დიდმა ბელადმა წამის მეასედში შეაფასა სიტუაცია, ჯერ აუღელვებელ კაგანოვიჩს შეხედა, შემდეგ აღელვებულ „მშველელებს“, მერე გულწასულ ეჟოვზე გადაიტანა მზერა და ჩაილაპარაკა: „ნიშადურია საჭირო, ჯობია, ექიმს დაუძახოთ!“ შემდეგ კვლავ კაგანოვიჩს შეხედა, თავი გააქნია და სხდომათა დარბაზში შევიდა... მოგვიანებით, ეს ინციდენტი სტალინის ბინაში მწვავე გარჩევის საგანი გახდა, სადაც მან ორივე დაპირისპირებული მხარე მოიწვია. „ლაზარ მოისეევიჩ, ძალა რომ გერჩის, კარგია, მაგრამ ეს ტემპერამენტი ბოლომდე რკინიგზაში ჩადე (მაშინ კაგანოვიჩი რკინიგზის სახალხო კომისარი იყო), ხოლო შენ კი, – ახლა უკვე ეჟოვის მისამართით გაისმა სტალინის ხმა, – შენ კი, ეგ შენი საიდუმლო „ესეები“ უფრო საიმედოდ უნდა გქონდეს შენახული“.

იქვე, მან ეჟოვს დაავალა, სასწრაფოდ გაერკვია, როგორ მოხვდა ეს ქაღალდები კაგანოვიჩთან, დამნაშავე კი დაესაჯა. ეჟოვი ბევრს ეცადა, მაგრამ „მოღალატეს“ ვერ მიაგნო. პარხომენკოს კი იმდენად ენდობოდა, რომ მასზე არც კი აუღია ეჭვი. ეს ეპიზოდი ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ სტალინის ერთგულ თანამებრძოლებს შორის ფარული და აშკარა ბრძოლა მიმდინარეობდა. მასში კი ხან ერთი აღწევდა წარმატებას, ხან – მეორე და ასე შემდეგ.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამ საქმეში ყველაზე დიდ წარმატებას მაინც ლავრენტი ბერიამ მიაღწია, რადგან დანარჩენი პოლიტბიუროს დათრგუნვა-დამორჩილება და ერთმანეთზე წაკიდება შეძლო, თვითონ კი სტალინის უდიდესი ნდობა მოიპოვა. თამამად ვაცხადებ, რომ თუმცა 1936 წლის შემოდგომიდან მოყოლებული, 2 წლის განმავლობაში ეჟოვი ედგა სათავეში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, ამ უწყების ფაქტობრივი გამგებელი თანდათანობით, ჯერ კიდევ ეჟოვის მოადგილედ დანიშვნამდე, თავად ლავრენტი ბერია გახლდათ. ამ ფაქტს ადასტურებს ისიც, რომ მათი 75 პროცენტი, რომლებიც ეჟოვის მმართველობის პერიოდში ამ უწყების საპასუხისმგებლო თანამდებობებზე დაინიშნენ, ბერიას უერთგულესი ხალხი იყო და გასაკვირი სულაც არ არის, რომ როდესაც ბერიამ ეს კომისარიატი ჩაიბარა, მისი ეფექტურობა და ქმედითუნარიანობა გაორმაგდა. მრავალი საქმე, რომელსაც ეჟოვი საკუთარ თავზე იწერდა, ფაქტობრივად, ბერიას მოფიქრებული იყო.

**სტალინის პირადი დაცვის უფროსის მოადგილის, მიხეილ თევდორაძის ჩანაწარების მიხედვით მოამზადა ნიკა ლაშაურმა**

**ტელესახე და ფსიქოლოგი გიორგი ჯაჯანიძე ჯერ საზაფხულო არდადეგებზე არ „გასულა" – „პალიტრა ტვ-ში" გადაცემის პარალელურად, თავის წიგნზე მუშაობას დამკვრელურ დროში ამთავრებს. მას შემდეგ, რაც ცნობილი პროექტი „ცეკვავენ ვარსკვლავები" დატოვა, დაკარგული ენერგიების აღდგენას პასიური ზაფხულით ცდილობს, თუმცა ამ პროექტიდან ბევრი კარგიც დარჩა მოსაგონარი და, სადაც არ უნდა გაიგოს – „ერთი, ორი, სამი, ვპერიოდ, ზად," ახლა უკვე „იავნანასავით" ესმის.**

# რა აუმოძრავდა გიორგი ჯაჯანიძეს მიძინებული და როგორ მოხვდა მისი ტვინი ამერიკელი მედიკოსების ხელში

**გიორგი ჯაჯანიძე**: რაც წლები მემატება, იდეალური თერმორეგულაცია მაქვს. ჩემს სახლში არ არსებობს არც გამათბობელი და არც გამაგრილებელი; სიცხესაც ვუძლებ და სიცივესაც და არა თუ ვუძლებ, ვხუმრობ ხოლმე, ისეთი შერწყმული ვარ ბუნებასთან, ზაფხულში არ მცხელა და ზამთარში არ მცივა-მეთქი *(იცინის)*. დასვენების დიდი მოყვარული არც ვარ, ჩემთვის სიწყნარეში ერთი საათი რომ დავრჩე, დასვენებისთვის ესეც მყოფნის. „ცეკვავენ ვარსკვლავებმა", იმის მიუხედავად, რომ იდეალური პროექტია, ძალიან დამღალა. გარედან გულშემატკივრობას არაფერი ჯობია. იმ პერიოდში ჩემი სხეული გაოცებული იყო – ვერაფრით მიხვდა, ამდენს რატომ მოძრაობდა ჩემი მიძინებული კუნთები. იმ კიბეზე ბავშვები ცუნცულით ადი-ჩადიოდნენ, მე კი, 52 წლის კაცი, ძლივს დავლახლახებდი, მაგრამ, არ ვიმჩნევდი. დღედაღამე, „ერთი, ორი, სამი, ვპერიოდ, ზად," მესიზმრებოდა. არასდროს ხელ-ფეხი არ გამინძრევია, ცხოვრებაში არ მივარჯიშია და, უცებ, „ტანგოს" ცეკვა დავიწყე. როცა მეკითხებოდნენ, დღეს ცეკვავო? არა, დავდივარ-მეთქი, – ვპასუხობდი. ცეკვის დროს თითი ამომივარდა, მთელი ორი კვირაა მაწუხებს და დღეს გადავიღე რენტგენი. ეს ჟიურიც ხომ ისე მაფასებდა, თითქოს პროექტში „სუხიშვილებიდან" მოვხვდი. რატომღაც, სულ მეგონა, რომ ჩერტკოევს ვძულდი *(იცინის)*.

**– ამიტომ სცადე გოჩა ჩერტკოევის „მოქრთამვა"?**

– არა, მინდოდა, რამე ორიგინალური საჩუქარი გამეკეთებინა მისთვის, ცა და დედამიწა შევძარი, რომ კალოშები მეშოვა. ყველაზე მთავარი ის იყო, რომ, დავიტანჯე, სანამ მისი ფეხის ზომა გავიგე. სულ „სტრანნი" ფეხსაცმელი ეცვა. ჩასაფრებული ვიყავი, ხან მარჯვნიდან ვუზომავდი თვალით, ხან – მარცხნიდან, მაგრამ, ვერაფრით ვხვდებოდი, რა ზომის ფეხი ჰქონდა. ბოლოს, როგორც იქნა გამოვიცანი და ასე ვაჩუქე ჩემი დიზაინით გაკეთებული, დიდი ბროშით მორთული კალოშები, რომლებსაც ამერიკაში წაიღებს.

**– ამბობენ, რომ ეს პროექტიც კი შენი პიარისთვის გამოიყენე.**

– კარგი, რა, რაღა დროს ჩემი პიარია, პიარი მინდა კიდევ მე?! ცნობილ ადამიანთა ერთი ნაწილი, რა თქმა უნდა, გეგმავს, რომ პოპულარული გახდეს, მეორე ნაწილის ცხოვრებაში კი ბევრი რამ თავისით ხდება; აი, „ციდან ჩამოვარდა" რომ ჰქვია, ზუსტად ასე იყო ჩემს ცხოვრებაშიც. ჩემი პოპულარობა განსაზღვრა იმ უცნაურობებმა, რაც მე მთელი ცხოვრება მჭირს. კარგი, დღეს ოცდამეერთე საუკუნე და პიარტექნოლოგიების ხანაა, მაგრამ, მეოცე საუკუნის შუა წლებში, ჭიათურის იმ პატარა უბანში, სადაც მე ვცხოვრობდი, საიდან უნდა მცოდნოდა, პიარი რა იყო? იცი, როგორ უბანში დავიბადე? ჯარბელა გაგიგონია? ჯარბელაში სულ 18 ოჯახი ცხოვრობს. მთელი უბანი, ყველა სახლი კლდეზეა დაკიდებული. მეზობელი სპეციალურად თუ არ შემოვიდა შენს ეზოში, იქ ვერ მოხვდება. არც ქუჩაა, რომ ჩაიაროს, არც არაფერი. ამ უბანშიც კი უცნაური ხედვა მქონდა. ეზოში ძალიან ლამაზი ვაზი გვქონდა. რა ვიცოდი, რა იყო ნატვრის ხე? მე იმ ხნის ვარ, მგონი, ფილმიც კი უფრო გვიან გამოვიდა. მოკლედ, ის ვაზი მოვრთე ფერად-ფერადი ნაჭრებით და „ნატვრის ხე" ვუწოდე. 23 წლის ვიყავი, პირველად რომ ვნახე ნატვრის ხე სევანის ტბაზე, მაგრამ მანამდე ჩემებური ნატვრის ხე მქონდა ჯარბელაში. ჩვენი უბნის დასაწყისში ჯართის ჩასაბარებელი პუნქტი იყო. მთელი დღე ჯართში დავდიოდი და პატარ-პატარა რკინებს ვაგროვებდი, ამ რკინებს ვაცვამდი მავთულებზე და მთელი ეზო ბოლტებითა და ჭანჭიკებით მქონდა მორთული – ჩემი თამაში ეს იყო, აბა, სად მქონდა სათამაშო?! ველოსიპედით იმ კლდეებზე ვერ ივლიდი და, სიმართლე გითხრათ, არც მაინტერესებდა ეს თამაშობები. ცხოვრებაში ერთადერთხელ ვითამაშე ფეხბურთი და ისე დავამთავრეთ თამაში, ბურთისთვის ფეხი არ მიმიკარებია – ყველა მე მეჯახებოდა.



მე ხომ დასვენებაში ფულს არასდროს ვიხდი

**– ასე მორთული ეზოს პატრონი, ჯარბელელ მეზობლებს ადეკვატური ეგონე?**

– როგორ გგონია, ჩემი ლამაზი ეზოს სანახავად არ დადიოდა ხალხი?! ისეთი პოპულარული გავხდი უბანში, რა გითხრათ. მაშინ დასაჭრელი ცხვირსახოცები იყიდებოდა და დედაჩემმა იმ ნაჭრისგან შემიკერა საროჩკა; მერე ფარდა დავაჭრევინე საროჩკისთვის. ყველაზე დიდი როლი ჩემს ცხოვრებაში ითამაშეს ჩემი ოჯახის წევრებმა, რომლებიც ამ უცნაურობებს კი არ მიკრძალავდნენ, პირიქით, ხალისით იღებდნენ. არაფერს მე არ ვაშავებდი, ჩემთვის ვიყავი. პარალელურად, ჭიათურის თეატრში ვიყავი დაკავებული სპექტაკლებზე, მსახიობობა მინდოდა, მაგრამ, თეატრალურ ინსტიტუტში „დამბრაკეს" – დაბალი ხარო; ამ დროს, ჭიათურის თეატრში კორიფეებთან ერთად ვთამაშობდი ტრაგიკულ სპექტაკლში. მოგეხსენებათ, თეატრალურ ინსტიტუტში მაინც მოვხვდი და ახლა იქ აღმოვჩნდი კოშმარში. ყველა ვიღაცის შვილი იყო, ერთი მე ვიყავი საწყალი და უბედური, ვის დაჰკარგვოდა ჯაჯანიძე. ისეთი მორიდებული და დაკომპლექსებული ვიყავი, ორ სიტყვას ვერ ვაბამდი ერთმანეთზე. ერთხელ, ერთი ძალიან პოპულარული ბიჭის ყურადღება მივიქციე და, აბა, როგორ? ტუალეტში შევედი ჩემი გაქუცული ფეხსაცმლით – მოყვითალო ზამშის ფეხსაცმელი იყო, 2 კაპიკად ნაყიდი. იმ დღეს ტუალეტში შუქი არ იყო და მარცხი მომივიდა – ფეხსაცმელზე დავიფსი. გარეთ მეცა ის „სვეტსკი" ბიჭი და მეუბნება: ვაა, ჯაჯანიძე, რა მაგარია, სხვადასხვა ფერის ტუფლი გაცვია? მე, რა თქმა უნდა, ვიფიქრე, რომ დამცინოდა, დავიხედე ფეხსაცმელზე და, ჩემი ერთი ყვითელი ტუფლი ყავისფერი არაა?! ასე, სულ შემთხვევით მივიქციე იმ კარგად ჩაცმული ბიჭის ყურადღება. ტუფლი ორ საათში შრებოდა, შევდიოდი ტუალეტში, წყალს ვასხამდი და ისე დავდიოდი ინსტიტუტში, სამი დღის მერე ორი საროჩკა დავჭერი, ერთმანეთს გადავაკერე და ასე სხვადასხვა ფერით გამოვეცხადე ჩემს თანაკურსელებს. მერე და მერე მივხვდი, რომ ადამიანებს მოსწონთ, როცა უცნაური და განსხვავებული ხარ.

**– ჭიათურაში რომ დარჩენილიყავი, იქაც იქნებოდი პოპულარული?**

– ამაზე ბევრჯერ მიფიქრია. ვიმუშავებდი ჭიათურის თეატრში, ან – მაღაროში და მოვკვდებოდი ძალიან ახალგაზრდა, მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ მეშახტის ქუდი ისეთი მძიმეა, კისერს მომაძრობდა, დიდი ალბათობით, სამუშაოდ იქ არ წავიდოდი. ჭიათურაში რომ დავრჩენილიყავი, ახლა ვიქნებოდი თეატრის კუზიანი თანამშრომელი, ან, შეიძლება, ჩემი განსხვავებულობის გამო, „სოფლის გიჟის" იარლიყი მოეკრათ. თბილისში პლეხანოველი მარინაც იყო, კიდევ ერთი ქალი დადიოდა ოპერასთან თეთრი ბუმბულებით, ჭიათურაში კი მე ვიქნებოდი იქაური პაჭიკოს კონკურენტი – ჭიათურელები მიხვდებიან, ვინც იყო პაჭიკო. იმაზე მეტი რა გინდა, ჯარბელადან ამერიკაში რომ მოხვდები. ნიუ-იორკის ჯანმრთელობის ინსტიტუტში ტვინის გადაღება გადავწყვიტე – ძალიან მაინტერესებდა, რა ხდება ჩემს ტვინში. ფილმებში რომ მინახავს, ისე გამიკეთეს თავზე მოწყობილობები და შემიყვანეს ბაროკამერაში. ისე შემეცოდა ჩემი თავი, ისე შემეშინდა... წარმოვიდგინე, რომ ჭიათურელი ჯაჯანიძე ნიუ-იორკის ბაროკამერაში მოვკვდი. სად ჰქონდათ ჩემებს ფული, იქ ვინ მომძებნიდა? მკვდარსაც კი ვერ ჩამომასვენებდნენ. შეშინებულმა სიბნელეში ისე ვთქვი „მამაო ჩვენო", ის განცდა არასდროს დამავიწყდება.

იმის მიუხედავად, რომ ძალიან ადრეული ასაკიდან მოვხვდი ეგრეთ წოდებულ ბომონდურ წრეებში, ვერ წარმოიდგენთ, იმ წრიდან გასული, როგორი ტანჯვით ვცხოვრობდი. ერთ ნათესავთან ვიყავი შეკედლებული, რომელსაც თვითონაც ძალიან უჭირდა. მე გამიმართლა იმ მხრივ, რომ ძალიან ბევრი ადამიანი შემხვდა, ვინც ცდილობდა და მიიოლებდა ცხოვრებას. ერთხანს თოჯინების თეატრის მსახიობმა დოდო ქერდიკაშვილმა შემიკედლა, რომელმაც ძალიან მიპატრონა და მთელი ცხოვრება მისი მადლიერი ვიქნები. მისი ხელფასი 120 მანეთი იყო და ორნი ვიყოფდით ამ მცირე ფულს. რაც ჩვენ ბოთლები ჩაგვიბარებია... დღემდე მახსოვს, რომ ყავის 21 მარცვალს რომ დავფქვავდით, ერთი კოვზი გამოდიოდა. ერთხელ, მარჯანიშვილის მეტროში ველოდებოდი მატარებელს, ისე მშიოდა, გული მიფრიალებდა. უცებ ლავაშის სუნი მეცა. თვალი გავახილე და დავინახე ქალი, რომელსაც პარკში ლავაში ედო. არ შემრცხვა, ვთხოვე, პური მომიტეხეთ-მეთქი. ჩემს ცხოვრებაში არ დამავიწყდება, როგორ ვჭამე ის პური. ჭიათურაში წასვლა რომ მინდოდა, ბილეთის ფულს ორკაპიკიანებითა და ათკაპიკიანებით ვაგროვებდი, ვითომ დარეკვა მინდოდა. როცა ძალიან შემცივდებოდა ხოლმე, მეტროში ვთბებოდი. არ მქონდა თბილი ბათინკი, თბილი შარფი, რომელი კურტკაც ოქტომბერში მეცვა, ის მეცვა თებერვალშიც, ამიტომაც, იმდენს ვიცვამდი, ველარ ვინძრეოდი ხოლმე. ამის მიუხედავად, არასდროს ვიმჩნევდი, როგორ მიჭირდა, არასდროს ვწუწუნებდი. სტუმრად რომ მივდიოდი და საჭმელს შემომთავაზებდნენ, არა, არ მშია-მეთქი, – ვამბობდი; ეტყობა სახეზე მეწერა, რომ მშიოდა.

ყველა გაჭირვებული მეცოდება, რითაც შემიძლია, აუცილებლად ვეხმარები მშიერ, დაჩაგრულ კაცს და, სულ ვცდილობ, არ დავკარგო თანაგრძნობის უნარი. სად არ ვყოფილვარ, სად არ მომახვედრა ცხოვრებამ, მაგრამ, ჩემი აწეული ცხვირი არავის უნახავს, უფრო და უფრო ვხვდები, რომ სიკეთის მეტი არაფერი რჩება ადამიანისგან.

**თამუნა ნიჟარაძე**

# როგორ ასაღებდა თავს სტალინის შვილად ცნობილი ქართველი თაღლითი და რა ბედი ეწია მას



*2008 წელს, მოსკოვში, 89 წლის ასაკში სახელგანთქმული ქართველი თაღლითი ბენო კალანდია გარდაიცვალა. მას მთელი საბჭოთა შავი სამყარო იცნობდა და პატივს სცემდა. დღევანდელ პუბლიკაციაში გთავაზობთ რამდენიმე ეპიზოდს მისი მდიდარი კრიმინალური ცხოვრებიდან.*

### განზილებული სასიძო

პირველი პატიმრობა 18 წლის ბენო კალანდიას 1937 წელს მიუსაჯეს. წარმოსადეგ ზუგდიდელ ყმაწვილს 16 წლის თანაქალაქელი შოუ ნარმანია უყვარდა. გოგონას მამა შეძლებული გლეხი, ეგრეთ წოდებული „კულაკი“ იყო და მას მთელი რაიონი იცნობდა. ბენომ შეყვარებულის მამას შუამავლები მიუგზავნა და ქალიშვილის ხელი სთხოვა. მაგალი ნარმანიამ კარგად იცოდა კალანდიების არასტაბილური მატერიალური მდგომარეობის ამბავი და შუამავლებს უთხრა:

– ჩემი ერთადერთი ქალიშვილი ფუფუნებასაა ჩვეული და ყანაში წელის საწყვეტად არ მემეტება.

– არა, როგორ გეკადრებათ, ბატონო მაგალი, ბენიამინი შოუს ხელის გულზე ატარებსო, – მიუგეს შუამავლებმა „კულაკს“.

– მაშ, კარგი. დამიმტკიცოს ეს. თავად მოვიდეს ჩემთან. მე თვითონ შევაფასებ მას, გადავწყვეტ და პასუხს გავცემო, – თქვა მაგალი ნარმანიამ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ „კულაკი“ სასიძოსგან მდიდარ ძღვენს ითხოვდა, რისი შესაძლებლობაც ბენოს არ ჰქონდა და პრაქტიკულად, უარით გამოისტუმრა.

ბენომ ნარმანიას პასუხი რომ მოისმინა, არ დაღონებულა, თავი ამაყად ასწია და შუამავლებს უთხრა:

– უთხარით, რომ ერთ კვირაში ვეახლები სასიმამრო ბატონსო.

მეორე დღეს ბენო კალანდია ქუთაისში გაემგზავრა და ჩაფიქრებული გეგმის განხორციელებას შეუდგა. სამი დღის განმავლობაში მან ქალაქის ცენტრალურ მოედანზე განლაგებული კერესის ცნობილ საიუველირო მაღაზიას უტრიალა და საჭირო ინფორმაციები შეაგროვა. მეოთხე დღეს კი, როდესაც მაღაზიაში მხოლოდ გამყიდველი იმყოფებოდა, საიუველიროს წინ მდებარე სადალაქოში შევიდა და მაღაზიაში დარეკა. საიუველიროში ტელეფონი მეორე ოთახში იდგა, რომელიც კარით იკეტებოდა. ერთადერთი გამყიდველი ყურმილის ასაღებად გავიდა და დახლი მიატოვა. „გისმენთ“, – უპასუხა გამყიდველმა.

– „ჩეკადან“ ვრეკავ. ახლავე შეგაერთებთ კომისართან. დაელოდეთ, – მიუგო „ჩეკას“ ხსენებაზე შეშინებულ გამყიდველს ბენომ და ყურმილი გადადო. შემდეგ სწრაფად გამოვიდა სადალაქოდან და ცარიელ საიუველირო მაღაზიაში ხურჯინით შეიჭრა. ბენომ ჯერ კარი მიხურა, ჩარაზა და გამყიდველი გამოამწყვდია. შემდეგ კი თვალის დახამხამებაში დააცარიელა დახლები, ხურჯინი ძვირფასეულობით აავსო და იქაურობას მოშორდა.

მთელი „ჩეკა“ და მილიცია ფეხზე დადგა და ორიგინალური მძარცველის ძებნა დაიწყეს. ბენო კი ნარმანიებთან დათქმულ დროს გამოცხადდა და შოუს საქორწილო კაბა მიუტანა, რომელზეც ნაძარცვი ძვირფასეულობა იყო დაბნეული. სასიმამრომ ბენო მეორე დღისთვის დაიბარა და ძღვენი დაიტოვა. ერთი საათის შემდეგ კი ძვირფასეულობით სავსე კაბა ზუგდიდის მილიციის უფროსს, ვარლამ აქუბარდიას მიუტანა.

ბენო დააპატიმრეს, გაასამართლეს და ათწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. მაგალიმ კი შოუ სწორედ ვარლამ აქუბარდიას ვაჟს მიათხოვა...

განზილებულმა სასიძომ სრულიად მოიხადა ათი წელი და ციხიდან 1947 წელს გათავისუფლდა.

### „სტალინის შვილი“

ციხიდან გათავისუფლებული ბენო მშობლიურ კუთხეში აღარ დაბრუნებულა. საპყრობილეში მან მდიდარი კრიმინალური გამოცდილება მიიღო და თაღლითობა აირჩია პროფესიად, რაშიც ნიჭიც ხელს უწყობდა. მძიმე, ომისშემდგომი წლები იდგა და ადამიანები თვითგადარჩენისთვის იბრძოდნენ. ბედის ანაბარა დარჩენილმა ბენომ საკმაოდ ორიგინალური და საშიში სქემა მოიფიქრა. მან ყალბი პასპორტი გააკეთა, შიგ ვასილი ჯუღაშვილი ჩაწერა და თავს სტალინის შვილად ასაღებდა... ელეგანტურად გამოწყობილი თაღლითი საბჭოთა კავშირის პერიფერიებში მოგზაურობდა, საუკეთესო სასტუმროებში ჩერდებოდა, უფასოდ ცხოვრობდა და იკვებებოდა... ეს არც იყო გასაკვირი, რადგან, აბა, ვინ შეჰკადრებდა ფულის მოთხოვნას დიდი სტალინის ვაჟს...

ორწლიანი დაუსჯელი ვოიაჟის შემდეგ, ბენო იმდენად გათავხედდა, რომ უკვე დიდ ქალაქებში ჩადიოდა. მან უფასო სასტუმრო და საუკეთესო კვება აღარ იკმარა და ფულის შოვნაზე გადავიდა – აპრობირებული სქემის მიხედვით, ბენო რომელიმე მსხვილი საწარმოს უფროსს ეწვეოდა და საკმაოდ მსხვილ თანხას სთხოვდა. „სტალინის ვაჟს“ მამამისის შიშით ფულს აძლევდნენ და ბენო თანხის ნაკლებობას არ განიცდიდა.

## დათქმულ დროს ბენო სასიმამროს ეწვია და საქორწილო კაბა მიიტანა, რომელზეც ნაძარცვი ძვირფასეულობა იყო დაბნეული

1940 წლის 2 ნოემბერს, თაღლითი ქალაქ კუიბიშევის საავიაციო ქარხნის დირექტორს ეახლა და უთხრა:

– მე ვასილი ჯუღაშვილი ვარ, აი ჩემი პასპორტი და თქვენთან ერთი დელიკატური თხოვნა მაქვს.

ქარხნის დირექტორმა სერიოზული სახით დაათვალიერა პასპორტი, მფლობელს დაუბრუნა და მიუგო:

– დიახ, ვასილი იოსებოვიჩ, გისმენთ.

– ოცი ათასი მანეთი მჭირდება სასწრაფოდ და გთხოვთ, მასესხოთ. როგორც კი მოსკოვში დავბრუნდები, გამოგიგზავნით.

– რაზეა ლაპარაკი, ახლავე. თქვენ აქ დამელოდეთ და ათ წუთში თანხას მოგიტანთ, – უთხრა დირექტორმა თაღლითს და კაბინეტიდან გავიდა.

ათი წუთის შემდეგ დირექტორმა ფულის მაგივრად ოთხი ჩეკისტი მოიყვანა და ბენო იქვე დააპატიმრეს. საქმე კი ის გახლდათ, რომ საავიაციო ქარხნის დირექტორი ნამდვილი ვასილი ჯუღაშვილის უახლოესი მეგობარი იყო და სწორედ ვასიამ შეუწყო ხელი მის დანიშვნას ამ პოსტზე...

ბენო კალანდიას პოლიტიკური მუხლი მიუყენეს და დახვრეტა მიუსაჯეს. თუმცა, მას სასწაულებრივად გაუმართლა და ეს ისტორია ვასილი ჯუღაშვილმა შეიტყო. ის ჩაერია, განაჩენი შეაცვლევინა და ბენოს 15-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. თუმცა, ბენო კალანდია 1953 წელს, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ეგრეთ წოდებული ბერიას ამნისტიით გაათავისუფლეს.

### გაფურჩქვნის წლები

მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლები, ანუ ეგრეთ წოდებული, „ზასტოის პერიოდი“, ბენო კალანდიასთვის ნამდვილი გაფურჩქვნის ხანა იყო. მან ამ დროს უამრავი ფული იშოვა და ძალიან მახვილგონივრული აფერები ჩაატარა.

1973 წლის 7 ივლისს, აზერბაიჯანის კოლმეურნეობა „ლენინელს“ შავი ფერის „ვოლგით“ ელეგანტურად ჩაცმული შავპიჯაკიანი მამაკაცი მიადგა. უკან მას „ვილისით“ ოთხი ადამიანი მოჰყვა, რომლებიც უნიფორმებში იყვნენ გამოწყობილები. უნიფორმებიანმა მანქანიდან გეოდეზიური ხელსაწყოები გადმოიღეს და გაზომვით სამუშაოებს შეუდგნენ. უზარმაზარი სოფელ-კოლმეურნეობის მოსახლეობა ნახევარ საათში შეიკრიბა იქ. მოვიდა თავმჯდომარეც, რომელიც შავპიჯაკიანთან მივიდა და ჰკითხა:

– რა ხდება აქ, ამხანაგო?

– თქვენ ვინ ბრძანდებით? – კითხვა შეუბრუნა შავპიჯაკიანმა, რომელიც უნიფორმიანებს ბრძანებებს აძლევდა.

– „ლენინელის“ კოლმეურნეობის თავმჯდომარე იუსუფ ალიევი, – თქვა ცნობისმოყვარემ.

– გაზსადენ „საუკუნის მშენებლობის“ უფროსი იური გუსევი, – მიუგო მოსულმა.

– რას ზომავთ, ამხანაგო იური?

– აქ გაზსადენმა უნდა გაიაროს და ადგილს ვზომავთ. მშენებლობა ერთ კვირაში დაიწყება.

– ჩვენი ბაღები და ნათესები?

– ავიღებთ.

– მერე, ჩვენ რა ვქნათ?

– რას იზამ, ამხანაგო, ასე სჭირდება სამშობლოს.

თავზარდაცემული კოლმეურნეობის თავმჯდომარე ერთხანს გაოგნებული იდგა. ბოლოს კი გუსევს უთხრა:

– არ შეიძლება, რომ თქვენი გაზსადენი ორასიოდე მეტრით გვერდზე გაატაროთ?

– პრინციპში, კი. მაგრამ პროექტი ასე მაქვს შედგენილი და ზედმეტი ხარჯია.

– მაინც რამდენი? – დაინტერესდა თავმჯდომარე.

– ასი ათასი მანეთი, ამხანაგო თავმჯდომარე.

– ჩვენ აგინაზღაურებთ ამ ხარჯს. ოღონდ, პროექტი შეცვალეთ.

გუსევმა და თავმჯდომარემ მოილაპარაკეს, რომ ასი ათასი მანეთის სანაცვლოდ, გაზსადენს ორასი მეტრით სამხრეთით გადასწევდნენ და მეორე დღეს, თავმჯდომარემ თანასოფლელებისგან აკრეფილი თანხა მიუტანა გუსევს. მან კი თავმჯდომარეს ხელი ჩამოართვა და შეჰპირდა, რომ კოლმეურნეთა ქონებას არ შეეხებოდნენ.

– აბა, ნახვამდის, ამხანაგო ალიევ. ერთ კვირაში შევხვდებით, – გამოემშვიდობა გუსევი „ლენინელის“ თავმჯდომარეს, შავ „ვოლგაში“ ჩაჯდა და სოფლიდან სამუდამოდ გაემგზავრა...

გუსევი, სინამდვილეში, ბენო კალანდია იყო. ხოლო „ვილისის“ მგზავრები კი ოთხი ყრუმუნჯი, რომლებიც მას დაქირავებული ჰყავდა და ისინი საქმის კურსში არ იყვნენ, თუ რა ხდებოდა. ბენომ მათ ათას-ათასი მანეთი მისცა და გაისტუმრა, თვითონ კი მოსკოვში გადაფრინდა...

**ნიკა ლაშაური**

# რატომ მოკლა ინვალიდმა მამაკაცმა ყასაბი მეგობარი

წარსულში გაუპატიურებისთვის და ქურდობისთვის ნასამართლევ მამაკაცს, რომელიც კრიმინალური დანაშაულის შედეგად გახდა მეორე ხარისხის ინვალიდი, 56 წლის ანზორ ბ-ძის მკვლელობისთვის 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

52 წლის მიხეილ ც-ძე მარტოხელა იყო. პირველი სასჯელი ახალგაზრდობაში მოიხადა, როდესაც ის ღვინის ქარხანაში ქურდობის ფაქტზე დააკავეს. მიხეილ ც-ძემ შემთხვევის ადგილიდან გაქცევა სცადა – მესამე სართულიდან გადახტა, რა დროსაც ფეხი ისე დაიზიანა, რომ მოკვეთა გახდა საჭირო. ხეიბრად დარჩენილმა ნაცვლად ხუთი წლისა, ციხეში ორი წელი და სამი თვე გაატარა – ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ვადაზე ადრე გაათავისუფლეს. მან სახელმწიფოს გადაუხადა ქურდობის შედეგად მიყენებული ზარალი – რაიონულ ცენტრში არსებული თავისი კუთვნილი ბინა გაყიდა და სააგარაკე ნაკვეთში გადავიდა საცხოვრებლად, მეორე მძიმე დანაშაული მან მოგვიანებით ჩაიდინა. ნაცნობი მამაკაცის მეუღლე გააუპატიურა, რის გამოც ისევ ციხეში მოხვდა, ციხიდან გამოსვლის შემდეგ კი კვლავ იძულებული გახდა, შეეცვალა საცხოვრებელი ადგილი.

მეორე პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ, მიხეილ ც-ძეს ძველმა ნაცნობმა, ანზორ ბ-ძემ, საქმეში თანამშრომლობა სთხოვა. ანზორი საკოლმეურნეო ბაზარში ხორცით ვაჭრობდა და მიხეილ ც-ძეს შესთავაზა, რომ დახმარებოდა ღორების გაზრდაში და მისთვის იმ ეზოს ფართი დაეთმო, სადაც ის საცხოვრებლად გადავიდა. ორი მამაკაცის საქმიანი ურთიერთობა ორი წელი გაგრძელდა, ამის შემდეგ კი მათ შორის შავმა კატამ გაირბინა: ანზორ ბ-ძემ მიხეილ ც-ძე ფულის გამოძალვასა და მოტყუებაში დაადანაშაულა და პარტნიორს დიდი უსიამოვნებით დაშორდა. ამ ინციდენტიდან რამდენიმე წლის განმავლობაში მათ შორის ყველანაირი ურთიერთობა შეწყდა, თუმცა, როგორც მოგვიანებით სამართალდამცველებისთვის გახდა ცნობილი, მკვლელობამდე ერთი თვით ადრე საბედისწეროდ განახლდა.

**„მეორე დღეს გვამის ხევში გადაგდება მინდოდა, მაგრამ სასმელს გადავყევი და ეს საქმე გადავდე"**

საქმის მასალებით ცნობილი გახდა, რომ მიხეილ ც-ძე ყოფილ საქმიან პარტნიორს შემთხვევით გადაეყარა რაიონული ცენტრის ბაზარში. მიხეილ ც-ძემ, მიაგნო რა ყოფილი მეგობრის სამუშაო ადგილს, მას მეორედაც ეწვია. ამჯერად მათმა შეხვედრამ ინციდენტების გარეშე ჩაიარა, უფრო მეტიც, ანზორ ბ-ძემ მიხეილს შესჩივლა: იმ პერიოდში, რაც არ მინახავხარ, ცოლი გარდამეცვალა და მეც შენსავით მარტო დავრჩი. მერე სახლიდან წამოვედი და, შვილების პროტესტის მიუხედავად, მეგობარი ქალი გავიჩინეო. მიხეილმა ანზორი მეგობარ ქალთან ერთად თავისთან მიიწვია, რის შესახებაც გამოძიებისთვის ანზორ ბ-ძის მეგობრის, მარინა მ-შვილისგან გახდა ცნობილი. მის მიერ მიცემული ჩვენების მიხედვით, მიხეილთან სტუმრად მისულებს მასპინძელი არყით გაუმასპინძლდა.

ამონაწერი მარინა მ-შვილის ჩვენებიდან: „ანზორი ძალიან დათვრა, საერთოდ დაკარგა თავის კონტროლი. მიხეილმა ამით ისარგებლა და სქესობრივი კავშირის დამყარება შემომთავაზა და ამის მცდელობაც ჰქონდა. მე ნაცნობ ტაქსის მძღოლს დავურეკე და ვთხოვე, რომ ჩემს წასაყვანად მოსულიყო. მთვრალი ანზორი იქ დავტოვე და წავედი. მეორე დღეს დილიდან ველოდი, მაგრამ არ გამოჩნდა და ჩავთვალე, რომ ისევ მთვრალი იყო. ღამითაც რომ არ დაბრუნდა, დილიდან ბაზარში მივაკითხე, სადაც მისმა ნაცნობებმა მითხრეს, მეორე დღეა, არ გამოჩენილაო. ამის შემდეგ ანზორის მოძებნა მიხეილთან გადავწყვიტე. საღამო იყო, როცა მასთან მივედი. ნასვამი იყო და ხალისიანად შემხვდა. როცა ვკითხე, ანზორი სად არის-მეთქი, ძალიან გაიკვირვა – დილას დავემშვიდობე და მისი არაფერი ვიციო. სახლშიც შემიპატიჟა, მაგრამ მე მალე გამოვბრუნდი უკან. ეჭვი ნამდვილად არაფერზე გამჩენია, უფრო მეტიც, მიხეილი ისე შემხვდა, როგორც დიდი ხნის ნაცნობს."

მარინა მ-შვილმა ანზორ ბ-ძის გაუჩინარების შესახებ მის ვაჟიშვილს შეატყობინა, მაგრამ მათ ცუდი ურთიერთობა ჰქონდათ და დაკარგული მამის ძებნა არ დაუწყია. ზუსტად იმ პერიოდში, სოფლის ფერმაში მომხდარი ისტორია გახმაურდა. ანზორ ბ-ძის გაუჩინარებიდან სამი დღის შემდეგ, სოფლის ფერმაში ერთ-ერთმა გლეხმა ტომარაში გახვეული გვამი იპოვა, რომელიც ღორებს დაეგლიჯათ. გვამისგან დარჩენილი სხეულის ნაწილები საშინელი სანახავი იყო. შეშინებულმა მამაკაცმა მთელი სოფელი შეყარა; მომხდარი ფაქტი ცნობილი გახდა სამართალდამცველებისთვისაც. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებითა და გვამის სამედიცინო ექსპერტიზით დადგინდა, რომ გარდაცვლილი ანზორ ბ-ძე იყო. სამართალდამცველებმა მარინა მ-შვილის დაკითხვის შემდეგ დაკითხეს მიხეილ ც-ძეც, რომელმაც დაადასტურა, რომ ანზორ ბ-ძემ სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე, ღამე მასთან გაატარა, მაგრამ, მას წარმოდგენა არ ჰქონდა, რა მოხდა მას შემდეგ, რაც მეორე დილით ანზორმა მისი სახლი დატოვა.

ცალფეხა მამაკაცის დადანაშაულება სასტიკ მკვლელობაში ძალიან მძიმე ბრალდება იყო, მით უფრო რომ ინვალიდი მიხეილ ც-ძე ფიზიკურად ბევრად უფრო სუსტი იყო და მასთან ფიზიკური დაპირისპირება ანზორ ბ-ძის სასარგებლოდ უნდა დასრულებულიყო. გამოძიებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იმ მოწმის ჩვენება, რომელიც მიხეილ ც-ძის სახლთან ახლოს ცხოვრობდა და რომელმაც დაინახა, თუ როგორ წვავდა მამაკაცი თავის ეზოში ტანსაცმელს, რაზეც მოგვიანებით მან მეზობელს უთხრა, ძველი ტანსაცმელი მოვიშორე თავიდანო. როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, მან თავიდან მოიშორა სისხლიანი ტანსაცმელი, რომელზეც სასტიკი მკვლელობის კვალი იყო დარჩენილი. მიხეილ ც-ძე თავიდან უარყოფდა ჩადენილ დანაშაულს, თუმცა, მის წინააღმდეგ მოპოვებული სამხილებისა და მტკიცებულებების შემდეგ მან აღიარა, რომ, ანზორ ბ-ძე, რომელთანაც წლების წინ ჰქონდა დაწყებული უსიამოვნება, იმ ღამეს შურისძიების ნიადაგზე სწორედ იმ დანით მოკლა, რომლითაც წლების წინ ისინი ერთად კლავდნენ ღორებს. როგორც დაკავებულმა მიხეილ ც-ძემ განაცხადა, ანზორ ბ-ძეს ის არ აპატია, რომ წლების წინ საქმიდან ჩამოიშორა და ულუკმაპუროდ დატოვა. ბრალდებულისგან ცნობილი გახდა მკვლელობის დეტალებიც: მიხეილ ც-ძის განცადებით, ჩხუბი ღამით გაღვიძებულ და გამოფხიზლებულ ანზორთან მოუხდა, რის შემდეგაც მასპინძელმა მას ისევ დაალევინა არაყი და მთვრალს ჯერ ყელი გამოჭრა, შემდეგ კი მის სხეულს ტომარა შემოახვია და, სახლიდან რომ მოეშორებინა, ურიკით ჩაიტანა ახლოს მდებარე ფერმაში, სადაც ადრე თვითონ მუშაობდა. „გვამი ისეთ ადგილას დავმალე, სადაც ღორები არ შედიან, რადგან, მეორე დღეს გვამის ხევში გადაგდება მინდოდა, მაგრამ, სასმელს გადავყევი და ეს საქმე გადავდე. გვამი საკვების საცავში მქონდა გადამალული და, არ მეგონა, იქ თუ ვინმე მიაგნებდა, მაგრამ, ჩემს მეზობელს, ვინც პირუტყვს კვებავდა, ღორები საცავში შეეპარნენ, სადაც მან გვამს მიაგნო", – განაცხადა განსასჯელმა სასამართლო პროცესზე. მას ჩადენილი დანაშაულის გამო სინანული არც უფიქრია; შესაბამისად, სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის მიერ გამოცხადებული სასჯელის ვადა და მიხეილ ც-ძეს ჩადენილი სასტიკი დანაშაულისთვის 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

**ეკა ბარაბაძე**

## რა მოხდა ამ დღეს

### 7 ივლისი

1607 – პირველად აჟღერდა ინგლისის ჰიმნი – God Save the King.

1807 – ტილზიტში ნაპოლეონმა და ალექსანდრე პირველმა ხელი მოაწერეს საფრანგეთ-რუსეთის სამოკავშირეო ხელშეკრულებას.

1937 – იაპონია თავს დაესხა ჩინეთს (და სულ მალე თითქმის მთლიანად დაიპყრო ის).

1977 – პირველად მოხდა ნეიტრონული ბომბის გამოცდა. ამ ბომბის მოქმედების შედეგად იღუპებიან მხოლოდ ცოცხალი ორგანიზმები, ხოლო ნაგებობები და ტექნიკა უვნებელი რჩება.

### 8 ივლისი

1654 – ამბობენ, რომ ამ დღეს ვინმე იაკობ ბარსიმონი გემით ჩავიდა ვირჯინიაში. თურმე, ის იყო პირველი ებრაელი, ვინც ფეხი დადგა ამერიკის კონტინენტზე.

1889 – გამოვიდა ჟურნალ The Wall Street Journal-ის პირველი ნომერი.

1918 – პირველ მსოფლიო ომში ერთ-ერთ ბრძოლაში დაიჭრა ერნესტ ჰემინგუეი.

### 9 ივლისი

1887 – ამერიკელმა ქაღალდის მაგნატმა ჯონ დიკენსონმა ერთ-ერთ ოფიციალურ მიღებაზე პირველად წარადგინა თავისი ქარხნის პროდუქცია – ქაღალდის ხელსახოცები.

1922 – ჯონ ვაისმიულერმა დაამყარა მსოფლიო რეკორდი: მან პირველმა გაცურა 100 მეტრი 1 წუთზე ნაკლებ დროში.

1945 – ლავრენტი ბერია გახდა საბჭოთა კავშირის მარშალი.

### 10 ივლისი

1547 – საფრანგეთში შედგა უკანასკნელი ოფიციალური დუელი.

1703 – პეტრე-პავლეს ციხესიმაგრის დაფუძნებით დაიწყო სანკტ-პეტერბურგის მშენებლობა.

1938 – ამერიკელმა მილიარდერმა ჰოვარდ ჰიუზმა საკუთარი კონსტრუქციის თვითმფრინავით დედამიწას 91 საათში შემოუფრინა.

1940 – საფრანგეთის ხელისუფლებაში მოვიდა პროფაშისტი ფილიპ პეტენი.

1981 – ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ფლოტში ოფიცრებს აეკრძალათ წვერის ტარება.

### 11 ივლისი

1700 – ბერლინში დაარსდა გერმანიის მეცნიერებათა აკადემია.

1903 – ირლანდიის ნავსადგურ კორკში შედგა თბომავლების პირველი შეჯიბრება.

1970 – გაიხსნა პირველი გვირაბი პირენეების ქვეშ, რომელმაც შეაერთა ესპანეთი და საფრანგეთი.

1971 – პიტსბურგში გაიმართა ენდრიუ ლოიდ უებერის როკ-ოპერის – „იესო ქრისტე სუპერვარსკვლავის" პრემიერა.

1985 – ჟურნალ „ფლეიბოის" ყდაზე გამოჩნდა შიშველი მადონას ფოტო.

1995 – ბოსნიელმა სერბებმა რადკო მლადიჩის მეთაურობით ქალაქ სრებლინიცაში 7 000 ადამიანი ამოწყვიტეს (ხორვატები და მუსლიმანები).

### 12 ივლისი

1917 – გერმანულმა ჯარებმა ბელგიაში, მდინარე იპრთან პირველად გამოიყენეს ქიმიური იარაღი.

1943 – პროხოროვკის ბრძოლა – კურსკის ბატალიის უმნიშვნელოვანესი ეტაპი. უდიდესი სატანკო შეტაკება ისტორიაში: ერთმანეთს ებრძოდა 1 500 ტანკი.

1962 – ლონდონში შედგა ჯგუფ „როლინგ სტოუნზის" პირველი კონცერტი.

### 13 ივლისი

1260 – დურბეს ბრძოლაში ლიტველებმა გაანადგურეს ლივონიის ორდენის გერმანელი რაინდები. ამ ბრძოლის შემდეგ ლიტვის სამთავრო დამოუკიდებელი გახდა.

1897 – გულიელმო მარკონიმ მიიღო პატენტი რადიოზე.

1908 – ლონდონში გაიხსნა მეოთხე ოლიმპიური თამაშები, სადაც პირველად მიიღეს მონაწილეობა ქალებმა.

1930 – მონტევიდეოში (ურუგვაი) გაიხსნა მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი ფეხბურთში.

1947 – პარიზში ევროპის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიიღეს „მარშალის გეგმა", რომელიც დასავლეთ გერმანიის აღორძინებას ითვალისწინებდა.

1973 – გამოვიდა ჯგუფ „ქუინის" პირველი ალბომი – QUEEN I.

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.

**გოეთე**

**კითხვა: რა სიხშირით უნდა მოვრწყა ციპერუსი?**

პასუხი: ამ მცენარის ფესვები მუდამ ტენიანი უნდა იყოს. მოზრდილ მცენარეს ზაფხულში ბევრი წყალი სჭირდება, ამიტომ ქოთანი ღრმა ჯამში ჩადგით, საიდანაც მუდამ ექნება წყლის შეწოვის საშუალება. ზაფხულში, აქტიური ზრდის პერიოდში, ნიადაგი ბალანსირებული თხევადი სასუქით გაანოყიერეთ. მზეზე მყოფ მცენარეს მაღალი სინესტე სჭირდება, რათა ფოთლის წვეროები არ გაუხმეს.

**კითხვა: როგორ გავუხანგრძლივო სპარსულ იას ყვავილობა?**

პასუხი: დამჭკნარი ყვავილები რეგულარულად მოაშორეთ და ყვავილობის პერიოდი გაუხანგრძლივდება. რაც უფრო მაღალია ტემპერატურა, სპარსულ იას მით მეტი ტენი სჭირდება. თუ ბინაში მშრალი ჰაერია, ქოთანი სველკენჭებიან ლანგარზე დადგით და ეცადეთ, ნათელი ადგილი შეურჩიოთ.

**კითხვა: რა ტემპერატურაზე ვამყოფო ლოტუსი?**

პასუხი: ლოტუსისთვის საუკეთესოა ოთახის ნორმალური ტემპერატურა, 18-24 გრადუსი, თუმცა ზამთარში 5-6 გრადუსსაც იტანს. მთელი წლის განმავლობაში კაშკაშა სინათლეზე დადგით. ეს მცენარე იტანს მზის მწველ სხივებსაც. დაბალ ტემპერატურაზე იშვიათად მორწყეთ.

**კითხვა: ბინაში სპატიფილუმი მაქვს და არ ვიცი, როგორ მოვუარო. იქნებ ამიხსნათ, მცენარეს როგორი მოვლა სჭირდება, რომ ჯანსაღად იყოს?**

პასუხი: ზაფხულში მცხუნვარე მზეს მოარიდეთ, ხოლო ზამთარში სინათლეზე გაიტანეთ. წელიწადის ამ დროს მცენარე იტანს მინიმუმ 16 გრადუსს. იშვიათად მორწყეთ და მიწას შეშრობა დააცადეთ. გაზაფხულიდან შემოდგომამდე, აქტიური ზრდის პერიოდში კი მიწა მუდამ ტენიანი უნდა ჰქონდეს.

**კითხვა: როგორ მოვუარო ფალენოპსისს?**

პასუხი: ფალენოპსისს სჭირდება სინათლე, ზამთარში, ყვავილობის ხელშესაწყობად, ხელოვნური განათებაც მიაშველეთ. მისთვის იდეალურია დაახლოებით 20 გრადუსი და მაღალი ტენიანობა. მოსწონს სიგრილეც – ღამით ტემპერატურა 3-4 გრადუსით დაბალი უნდა იყოს. ზამთარში იშვიათად მორწყეთ და სიმშრალეში ამყოფეთ, ზრდის პერიოდში კი უხვად დაუსხით წყალი. ზაფხულში ორ კვირაში ერთხელ 5 წუთით გააჩერეთ ორქიდეებისთვის განკუთვნილ თხევად სასუქში, შემდეგ კი დაწრიტეთ. დაყვავილების შემდეგ ღერო ქვემოდან მეორე კვირტის სიმაღლეზე გადაჭერით. შეგიძლიათ, ძველი ღერო მთლიანად მოაშოროთ.

**კითხვა: რა ტემპერატურა და სინათლე სჭირდება ლანთანას?**

პასუხი: მისთვის აუცილებელია კაშკაშა სინათლე. ამიტომ ზამთარში ყველაზე ნათელ ადგილას დადგით. სჭირდება ნორმალური ტემპერატურა. ზამთარში მინიმალური ტემპერატურაა 10 გრადუსი. თუ მცენარეს ფესვები ტენიანი აქვს, ზაფხულის სიცხესაც იტანს. ზომიერი კლიმატის პირობებში თავს მშვენივრად გრძნობს. სუბტროპიკებში ის სარეველად იზრდება.

**კითხვა: ბინაში ჩინური ვარდი მაქვს. რა რაოდენობით წყალი სჭირდება წელიწადის სხვადასხვა დროს?**

პასუხი: დიდ მცენარეს ზაფხულობით რეგულარული მორწყვა სჭირდება. მიწა მუდამ ტენიანი უნდა ჰქონდეს. ზამთრობით მორწყვა შეამცირეთ და მორწყვიდან მორწყვამდე მიწას შეშრობა აცადეთ. გაზაფხულზე ნიადაგის კალიუმიანი სასუქით განოყიერება ხელს უწყობს ყვავილობას.

მოამზადა
**თეონა გოზალიშვილმა**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
**ირაკლი გაბრიჭიძე**

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*

**ანატოლ ფრანსი**

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, კონკრეტულად რომელი სახელმწიფო ორგანოს კომპეტენციაა გაცემული ლიცენზიის პირობების შესრულების კონტროლი?**

პასუხი: განგიმარტავთ, რომ, ზოგადად, ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების შესრულებას აკონტროლებს ლიცენზიის უშუალო გამცემი. ლიცენზიის გამცემი უფლებამოსილია, განახორციელოს კონტროლი, თუ აღნიშნული ფუნქცია კანონმდებლობით სხვა ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციას არ განეკუთვნება.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა სახითა და ფორმით ხორციელდება ლიცენზიის მფლობელის მხრიდან ლიცენზიის გამცემისათვის ანგარიშგება?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ ზოგადად ლიცენზიის მფლობელი ყოველწლიურად, 1 აპრილიდან 1 მაისამდე ახორციელებს სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგებას. ანგარიშგება ხდება ლიცენზიის გამცემისთვის წერილობით წარდგენით. ამასთან, ლიცენზიის მფლობელი, რომელიც ლიცენზიას მიიღებს საანგარიშგებო პერიოდის დაწყებამდე 6 თვის განმავლობაში, ვალდებული არ არის, ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს ანგარიშგება.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, იურიდიულად როგორ გადაწყდება საკითხი იმ შემთხვევაში, როდესაც წლების განმავლობაში არსებობს მოძრავი ნივთის მფლობელობის ფაქტი, თუმცა, ეს ნივთი მფლობელის საკუთრებაში არ არის. მაინტერესებს, დროთა განმავლობაში თუ მოხდება აღნიშნულ ნივთზე მფლობელის საკუთრების უფლების აღიარება?**

პასუხი: განგიმარტავთ, რომ, თუ პირი მოძრავ ნივთს ხუთი წლის განმავლობაში უწყვეტად ფლობს როგორც საკუთარს, მასზე საკუთრების უფლებას მოიპოვებს, რასაც ეწოდება საკუთრების შეძენა ხანდაზმულობით. ამასთან, მოძრავი ნივთის შეძენა დაუშვებელია, თუ შემძენი ნივთს არაკეთილსინდისიერად ფლობდა, ან, თუ მან მოგვიანებით შეიტყო, რომ ნივთი მას არ ეკუთვნოდა.

**კითხვა: შევიძინე საცხოვრებელი ბინა, რომელშიც სრულად გადავიხადე საფასური და დავირეგისტრირე საჯარო რეესტრში. აღნიშნულ ბინაში კვლავ ცხოვრობს ძველი მესაკუთრე და უარს აცხადებს ბინიდან გამოსვლაზე. მივმართე შესაბამის ორგანოებს, მაგრამ უშედეგოდ. ძველი მესაკუთრის არაკეთილსინდისიერი მოქმედებით მადგება ზიანი. როგორ შეიძლება მოვიქცე?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ სამოქალაქო სამართალში არსებობს პირის თვითდახმარების უფლება; კერძოდ, თუკი კომპეტენტური ორგანოების დახმარება დროულად ვერ უსწრებს და სწრაფი ჩარევის გარეშე არსებობს საფრთხე, რომ უფლება ვერ განხორციელდება ან მისი განხორციელება არსებითად გართულდება, მაშინ მართლსაწინააღმდეგოდ არ ჩაითვლება იმ პირის მოქმედება, რომელიც თვითდახმარების მიზნით წაართმევს, გაანადგურებს ან დააზიანებს ნივთს, ან, ამავე მიზნით, შეიპყრობს ვალდებულ პირს, რომელიც შეიძლება მიიმალოს, ანდა, აღკვეთს ვალდებული პირის წინააღმდეგობას იმ მოქმედების მიმართ, რომელიც მას უნდა შეესრულებინა. შესაბამისად, თქვენ შეგიძლიათ, იმოქმედოთ თვითდახმარების ფარგლებში.

# როგორ მივაწოდოთ ჩამქრალ ავტომობილს ნაპერწკალი

***დაქოქვის პრობლემა მძღოლებს და განსაკუთრებით ქალბატონ მძღოლებს, ყველაზე მეტად რომ აწუხებთ, ეს რედაქციაში შემოსული უამრავი კითხვიდანაც ჩანს. სტარტერისა და აკუმულატორის პრობლემა ჩვენს რუბრიკაში, ასე თუ ისე, განვიხილეთ. დღეს კი მევლუდ მელაძე დაქოქვის დროს წარმოქმნილ სხვა პრობლემებზე ისაუბრებს და მათი გადაჭრის გზებსაც გვასწავლის:*** იმ შემთხვევაში, თუ დილით, როცა ავტომობილის

> ***ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.***
> **მიხაილ შუმახერი**

დასაქოქად გასაღებს გადაწევთ და ძრავა თითქოს მუშაობს, მაგრამ ძალიან ნელა, ისე, რომ დაქოქვას ვერ ახერხებს, შეიძლება აკუმულატორია სუსტი. აქედან გამომდინარე კი, ისე ნელა ატრიალებს ძრავას, რომ მას დაქოქვა უჭირს. მეორე მიზეზი შეიძლება, სტარტერიც იყოს – მისი მბრუნავი ღერძი რომელიმე კედელს ედება და მუშაობას ამუხრუჭებს. ეს დეტალი ძრავას სწრაფ დატრიალებას ვერ ახერხებს და ამის გამო, ავტომობილი არ იქოქება. ნუ შეგეშინდებათ, ნუ იფიქრებთ, რომ ძრავას რაიმე კატასტროფული სჭირს და მისი რემონტი ან გამოცვლა მოგიწევთ. აქ საშიში არაფერია. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სტარტერი ძალიან სწრაფად ტრიალებს, მაგრამ ავტომობილი არ იქოქება. ამ დროს მიზეზი შეიძლება, სხვადასხვა იყოს. პირველი – სპეციალურ ხელსაწყოებს, რომლებიც ძრავაში ნაპერწკლის წარმოქმნას იწვევს, დენი არ მიეწოდება; მეორე – ძრავას არ მიეწოდება ბენზინი, ანუ საწვავის სისტემას აქვს პრობლემა. პირველ შემთხვევაში, თუ ნაპერწკალი არ წარმოიქმნება, ეს ნიშნავს, რომ „ბაბინას", „ტრამლიორს" ან კომპიუტერს, დენი არ მიეწოდება. ამის შემოწმება ძალიან მარტივია. ერთ-ერთი ჩიბუხამდე, ანუ ეგრეთ წოდებულ „სვეჩამდე" მიმავალი სადენი უნდა ჩახსნათ. შემდეგ შეგიძლიათ მოხსნათ „სვეჩი", გასინჯოთ მისი მუშაობა ან სხვა „სვეჩი" იშოვოთ და ძრავას კორპუსზე გვერდულად დაადოთ. საჭიროა, იქ მიიღოთ მინუსი, რათა მოხდეს ნაპერწკლის გადახტომა. ანუ, თუ ძრავას შეუღებავ კორპუსზე „სვეჩა" დაადეთ, რომ მას მინუსი აელო, დენი მიერთებულია, გასაღებს ატრიალებთ და ნაპერწკალი არ ხტება, ეს ნიშნავს, რომ სადღაც დაკარგულია კონტაქტი – ხდება ის, რაც მეორე მიზეზში ავხსენით: „ტრამლიორს" არ მიეწოდება დენი ან მასში რაღაცაა დაზიანებული, რაც ელექტროობის გარეშე ტოვებს. ანუ, პრობლემა გვაქვს ელექტროობაში.

**– შეიძლება მოხდეს ისე, რომ ნაპერწკალი გადახტეს, მაგრამ ავტომობილი მაინც არ დაიქოქოს?**

– ამ დროს ერთმნიშვნელოვნად, საწვავის მიწოდების პრობლემაა, რომელიც შეიძლება, სხვადასხვაგვარად გამოიხატოს. გააჩნია, რა სტილის ავტომობილია. უპირველესად, მაინც მცველი უნდა გადავამოწმოთ, განსაკუთრებით ბენზინის ელექტროძრავების შემთხვევაში, ანუ უფრო თანამედროვე მოდელებში. ვგულისხმობ, არა კარბურატორიან ავტომობილებს, სადაც თავიდანვე მცველს ვამოწმებთ. ამ ტიპის ავტომობილებში, ბენზინის ავზში განთავსებულ ძრავას აქვს სპეციალური მცველი, რომელიც უზრუნველყოფს წინ, საწვავის სისტემაში ბენზინის მიწოდებას. თუ პრობლემა მცველია, ხომ კარგი, მაგრამ თუ ბენზინი მაინც არ მიეწოდება, მაშინ ან საწვავის მიმწოდებელი ძრავაა დამწვარი, ან ბენზინის ფილტრი – გაჭედილი. ამ შემთხვევაში, თუ ოდნავ მაინც ერკვევით ავტომობილში, ძრავასთან მიმავალ ბენზინის მილს მოხსნით და ატრიალებთ გასაღებს, ისე რომ, წითლები აინთოს. თუ ბენზინი გამოვიდა, ეს ნიშნავს, რომ ბენზინის მიწოდებას უზრუნველყოფს ბენზინის ძრავაში განთავსებული სპეციალური პომპა. თუ ბენზინი არ წამოვიდა, სწორედ საწვავის ავზში განთავსებულ იმ პატარა ძრავას აქვს პრობლემა და ის ვერ უზრუნველყოფს ბენზინის მიწოდებას. ამ დროს უნდა ჩახსნათ ეგრეთ წოდებული „აბრატნი შლანგი," ანუ სისტემიდან უკან, ავზში მიმავალი მილი. თუ თავად ვერ მოახერხეთ ამ პრობლემის აღმოფხვრა, მაშინ მიმართეთ ეგრეთ წოდებულ „ინჟექტორის" ხელოსანს, რომელიც იოლად გამოასწორებს პრობლემას. თუ ავტომობილი კარბურატორიანია, ანუ ის არ არის ელექტრული სისტემებით აღჭურვილი, მაშინ პრობლების მიზეზის დადგენაც და მისი გამოსწორებაც, ძალიან იოლია. ამის მიზეზი შეიძლება, იყოს „ბენზონასოსი". მოხსნით იმ მილს, რომელიც კარბურატორისკენ მიმავალია, ნახავთ ბენზინი შედის თუ არა და თუ შედის, მაშინ ამოწმებთ უკან გამომავალ მილს და ის იქნება დაზიანებული. კარბურატორს ოდნავ მიუკაკუნეთ, შიგნით სისტემა იქნება გაჭედილი და ასე მარტივად შეძლებთ პრობლების აღმოფხვრას.

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი **მევლუდ მელაძე**

**ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა: ზაფხულში, როგორც იცით, ძალიან ბევრი მწერია, მით უმეტეს – აგარაკებზე. საშიშია თუ არა მწერისგან ძაღლის დაკბენა და რა უნდა გავაკეთოთ ამ დროს?**

**პასუხი:** ფუტკრის, კრაზანისა და სხვა მწერების ერთეული ნაკბენები ჯანმრთელი ძაღლისთვის განსაკუთრებულ საშიშროებას არ წარმოადგენს. სიფრთხილეა საჭირო იმ შემთხვევაში, როცა ნაკბენი მრავლობითია, განსაკუთრებით – პატარა ტანის და დეკორატიულ ძაღლებში. მწერები, როგორც წესი, იკბინებიან ცხვირისა და ზედა ტუჩის მიდამოში. ნაკბენი მტკივნეულია და სწრაფად სივდება. ძაღლი ცდილობს, მოიფხანოს ნაკბენი თათებით, ან დაკბენილ ადგილს უხახუნებს საგნებს. პატარა ტანის ძაღლებში შეიმნევა მოწყენილობა, იშვიათად – ღებინება. სასწრაფოდ უნდა მოვაშოროთ ნესტარი და ნაკბენ ადგილზე დავადოთ ბამბის ტამპონი, რომელიც დასველებული იქნება არაყში, სპირტში, წყალბადის ზეჟანგში ან ბორის მჟავაში.

**კითხვა: ჩემს ლეკვს კბილების მოცვლის პერიოდი დაეწყო. ზედმეტად მონდომებულია და ყველაფერს კბილებით ეკიდება. ძალიან მეშინია, არ დაიზიანოს. იმ შემთხვევაში, თუ მაინც ვერ ავიცილეთ თავიდან დაზიანება, პირველ ყოვლისა, რა უნდა გავაკეთოთ?**

**პასუხი:** ეს ნაკლებად დასაშვებია, მაგრამ, თუ თქვენმა ძაღლმა კბილი დაიზიანა და სისხლდენა დაეწყო, დაზიანებულ ადგილას მაშინვე ტამპონი დაადეთ და აიძულეთ, რომ პირი დახუროს – გაუკეთეთ ალიკაპი ან ყბები მჭიდროდ აუკარით დოლბანდით.

**კითხვა: შევიძინე ჩინური ქოჩორა ძაღლი, მაგრამ თავზე თმა არ ამოუვიდა. იქნებ, მითხრათ, ეს ჯიშის არასასურველი წარმომადგენელია თუ სხვა ძაღლი მომყიდეს? ვნერვიულობ, რადგან მასში არც ისე ცოტა თანხა გადავიხადე.**

**პასუხი:** თქვენ, ალბათ, არ იცით, რომ ჩინური ქოჩორა ძაღლის ორი ნაირსახეობა არსებობს – ბეწვიანი და ქოსა. დედ-მამიშვილებიდან, შეიძლება, ერთი ქოსა იყოს, დანარჩენი კი – ბეწვიანი. ბეწვიან ძაღლებს ძირითადად ჯიშის მომშენებლებად იყენებენ, თუმცა, პრაქტიკამ აჩვენა, რომ ბეწვიანი ძაღლის ქოსა ძაღლთან შეჯვარებით ბევრად უფრო ჯანმრთელი ლეკვები იბადებიან, ვიდრე ქოსა ძაღლის ქოსასთან შეჯვარებით. ასე რომ, თქვენ ნამდვილად არ შეგიძენიათ ჯიშის არასასურველი წარმომადგენელი, უბრალოდ ის ჩინური ქოჩორა ძაღლის ერთ-ერთი ნაირსახეობაა.

**კითხვა: მაინტერესებს ლეკვის აყვანა რა ასაკშია სასურველი?**

**პასუხი:** სასურველია, ლეკვი დაბადებიდან 45 დღის შემდგომ აიყვანოთ. 30 დღის ასაკამდე აუცილებელია, ლეკვი დედის რძით იკვებებოდეს. 45 დღის ასაკში კარგად ჩანს ლეკვის როგორც ანატომიური დეფექტები, ასევე, შესამჩნევია, ჯანმრთელია თუ არა ის. 45 დღის ლეკვს ადვილად შევამჩნევთ მხედველობისა და სმენის პრობლემას. გაითვალისწინეთ, რომ ლეკვი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს მშიშარა.

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**



რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი **ზაქრო ბაჯიაშვილი**

> **ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.**
> **ჯეიმს დუგლასი**

იაპონიის ქალაქი

ადამიანის შემქმნელი

ბოჩოლა თევზი

ბევრი




მონტე-კრისტოს ტიტული

ლორი ანუ?

დამრეცი

ვარსკვლავთკრებული

ახლობელთა გაერთიანება

ლაბაც ნიკორაც

ინდოეთის შტატი

ბურთი

აშშ-ს გრიგალი

მეოთხე ნოტი

ინგლისელი ანდრო

უდაბნოს ბალი

ყვავილი

ქსოვილის ზოლი

დანიელი ფიზიკოსი

უფროსი

შეძახილი მთიელთა ცეკვაში

გოგიას დიღმელი სატოლე

ირანელი მუსლიმანი

ახირებული ავადმყოფი

ქვემეხების ერთად გასროლა

ფულად-საკრედიტო ორგანიზ.

პირველი პირი

დანაშაული

ბულბული მეგრულად

პუგაჩოვა

ზერო

პოლივუდის მიკი

თეფში

ფრანგი მწერალი ჟორჟ....

მიბაძვის სურვილის აღმძვრელი

იალქანი

სადაური ფილმია „ბატონი 420“?

ქალაქი ლიტვაში

აშშ-ს შტატი

გაეროს ყოფილი შეფი

სხეული

(.......) ხაჩატურიანი

პერუს დედაქალაქი

ცხენის ინვენტარი

კარგი ხალიჩა სადაურია?

შექსპირის მეფე

ტრასა

ფრანგი მსახიობი

დიდი ვივიენი

თავდადება

რუსი პატარა ირინე

ფართო ხაზი

ყინულის ქოხი

ელდა, რიდი

ბერიკაშვილი

ოკეანეთშია

ფეთქებადი ნივთიერება

ჭამის სურვილი

წითელი სიგარეტი

ფლობერი „(.......) ბოვარი“

ჯილდო

ხაიამი

ინგლისელი მწერალი

შურისძიების ქალღმერთი

კუკარაჩას სატრფო

ციური მოვლენა

იუპიტერის თანამგზავრი

ქალის ევროპული სახელი

რაბლე „(.......) და პანტაგრუელი“

განათლება

სამხრ. ამერიკის მტაცებელი

თანასწორი

შეიძლება ზოგჯერ წახდეს

მინდვრის ფრინველი

უკვე სადღაც ნანახი

სამხრ. საქართველოს მდინარე

კედლის სანათი

ტანწერწეტა

ახლა პირველი რუსი

გრამატიკული კავშირი

დიდი თევზი

ესპანეთ. ეროვნული გმირი

იმერეთის რაიცენტრი

მაგნიტურის არსებობს

სათუთი, აზიზი

ფულის დამრიგებელი

ბადურაშვილი

მდორე

ზადი, დეფექტი

ქალის სახელი

მსოფლიოს ჩემპიონი მოკრივე კასიუს კლეიმდე, სონი....

| Column | Clues |
|---|---|
| 1 | 3 4 |
| 2 | 3 2 2 2 |
| 3 | 9 2 |
| 4 | 1 2 2 2 3 |
| 5 | 3 1 4 5 |
| 6 | 1 2 1 1 2 1 2 |
| 7 | 8 4 1 |
| 8 | 3 2 1 1 |
| 9 | 4 3 |
| 10 | 3 |
| 11 | 3 |
| 12 | 2 2 |
| 13 | 2 2 |
| 14 | 2 6 2 |
| 15 | 7 3 2 |
| 16 | 8 3 3 |
| 17 | 2 12 5 1 |
| 18 | 15 7 |
| 19 | 19 |
| 20 | 17 |
| 21 | 3 13 |
| 22 | 7 13 |
| 23 | 8 12 |
| 24 | 10 10 |
| 25 | 12 8 |
| 26 | 13 4 2 |
| 27 | 15 3 |
| 28 | 5 18 |
| 29 | 4 14 |
| 30 | 3 3 5 2 |

| Row | Clues |
|---|---|
| 1 | 1 1 4 |
| 2 | 2 2 7 |
| 3 | 1 1 9 |
| 4 | 1 1 8 |
| 5 | 4 8 |
| 6 | 4 7 |
| 7 | 6 7 |
| 8 | 5 6 7 |
| 9 | 2 1 2 1 5 7 |
| 10 | 8 8 7 |
| 11 | 4 4 8 7 |
| 12 | 1 1 1 1 1 8 6 |
| 13 | 4 4 6 6 |
| 14 | 4 2 11 4 |
| 15 | 1 3 13 4 |
| 16 | 4 1 9 3 |
| 17 | 2 2 7 3 |
| 18 | 1 8 3 |
| 19 | 1 5 10 3 |
| 20 | 2 3 3 11 2 |
| 21 | 4 6 11 3 |
| 22 | 5 2 10 3 |
| 23 | 2 9 3 |
| 24 | 2 11 |
| 25 | 2 4 2 3 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | | 1 | 9 | 4 | | 8 | | 6 |
| 4 | | 8 | 2 | 3 | 1 | | 7 | |
| | 5 | | | 7 | | 2 | 4 | 1 |
| 8 | | 6 | 1 | | 3 | | 2 | |
| | 1 | 4 | | | 2 | | 9 | 5 |
| 7 | 2 | 5 | 6 | 9 | | 3 | 1 | |
| | 8 | | | 1 | | 7 | 6 | 3 |
| 6 | 3 | 9 | 5 | 2 | 7 | 1 | | 4 |
| 1 | | | 3 | | | 9 | | 2 |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | 1 | | 2 | | 7 | | 5 |
| 7 | | 3 | | | 4 | | 9 | |
| | 5 | | 3 | | | 6 | 4 | 2 |
| | 3 | | 6 | | 7 | | | 9 |
| | 7 | | | 8 | | 4 | | |
| 4 | | | 1 | | | | 6 | |
| | 6 | | 4 | | 8 | | 2 | |
| 2 | 1 | | | | | | | |
| | | | | 1 | 6 | | 7 | 4 |

# როგორია თქვენი როლი ცხოვრებაში?!

*ზოგი ცხოვრების არსს ოჯახში, ძვირფას მეუღლესა და შვილებში ხედავს. ზოგს მხოლოდ კარიერა და ახალთახალი თავგადასავლები იზიდავს. რომელი როლი შეგეფერებათ თქვენ?!*

**1. რაზე ოცნებობდით თექვსმეტი წლის ასაკში?**

ა) ერთადერთ და ყოვლისმომცველ სიყვარულზე – 0 ქულა;

ბ) ბევრ ფულსა და უამრავ გასართობზე – 10 ქულა;

გ) იმაზე, რომ ძალიან ცნობილი გავმხდარიყავი – 20 ქულა.



**2. სრულიად უცნობი ადამიანი დაჟინებით გიყურებთ...**

ა) აუცილებლად გამოველაპარაკები – 10 ქულა;

ბ) ძალიან ავღელდები – 0 ქულა;

გ) გავუღიმებ და ვნახავ, რას მოიმოქმედებს – 20 ქულა.

**3. გაქვთ სახლში ეროტიკული შინაარსის წიგნები?**

ა) არა – 0 ქულა;

ბ) ერთი-ორი – 10 ქულა;

გ) ერთი ცალი უნდა მქონდეს – 20 ქულა.

**4. რის გარეშე ვერ წარმოგიდგენიათ ცხოვრება?**

ა) ჯინსის გარეშე – 10 ქულა;

ბ) ფრანგული პარფიუმის გარეშე – 0 ქულა;

გ) ხარისხიანი საყოფაცხოვრებო ტექნიკის გარეშე – 20 ქულა.

**5. სრულიად უცნობი ქალი (კაცი) ქუჩაში კომპლიმენტს გეუბნებათ:**

ა) ძალიან გამიხარდება – 10 ქულა;

ბ) გავუღიმებ – სულ ეს არის – 20 ქულა;

გ) არ მომეწონება – რა საჭიროა – 0 ქულა?!

**6. თქვენს პარტნიორს სხვა შეუყვარდა. როგორი იქნება თქვენი რეაქცია?**

ა) ვინერვიულებ. შევეცდები, როგორმე შევაჩერო – 10 ქულა;

ბ) ვეტყვი, რომ თუ წავა, მთელი ცხოვრება დაველოდები – 0 ქულა;

გ) საშინელ სკანდალს მოვუწყობ. შევიძულებ – 20 ქულა.

**7. თუ პარტნიორს გამოიჭერთ, რომ ფიქრით აშკარად სხვაგან არის...**

ა) სკანდალს მოვუწყობ, მიზეზს ვკითხავ – 0 ქულა;

ბ) ეროტიკულ საღამოს მოვუწყობ – 10 ქულა;

გ) იფიქროს, რა პრობლემაა – 20 ქულა?

**8. როგორ უყურებთ მარტო ცხოვრების პერსპექტივას?**

ა) ეს საშინელება იქნება – 0 ქულა;

ბ) ნორმალურად. ეს არ არის ტრაგედია – 10 ქულა.

გ) მარტო ცხოვრებას აქვს თავისი პლუსები, მაგრამ არ მინდა – 20 ქულა.

**9. თქვენი პარტნიორი, მეწყვილე სიყვარულზე გელაპარაკებათ. ეს რას უნდა ნიშნავდეს?**

ა) ალბათ, ინტიმი უნდა – 10 ქულა;

ბ) რაღაც უნდა მთხოვოს აშკარად – 0 ქულა;

გ) ვუყვარვარ. სხვა რა უნდა იყოს – 20 ქულა?

**10. რა დროს უთმობთ საკუთარი თავის მოვლას?**

ა) მინიმალურს. გარეგნობა არ არის მთავარი – 0 ქულა;

ბ) ერთ საათზე მეტს – 10 ქულა;

გ) თხუთმეტ-ოც წუთს – 20 ქულა.

**დაითვალეთ ქულები და ნახეთ შედეგები:**

*0-100 ქულა: თქვენ ტრადიციულ ღირებულებებს სცემთ პატივს და მიგაჩნიათ, რომ ცხოვრებაში ყველამ რაღაც მისია უნდა შეასრულოს.*

*101-140 ქულა: რაღაც გაკლიათ... ცეცხლი და შინაგანი ენერგია. ზუსტად არ იცით, რა გინდათ. ჯერ თქვენი ადგილი ცხოვრებაში ვერ გიპოვიათ.*

*141-200 ქულა: ყველაფერი ერთად გინდათ და იცით, თავი როგორ გაართვათ ამას. საკუთარ სურვილებში ჩამოყალიბებული, თამამად მიდიხართ ერთხელ ამორჩეულ გზაზე.*

## ბუტერბროდი – სამეფო საქმეეი

ბუტერბროდის დამზადების ტექნოლოგია, არც მეტი, არც ნაკლები, კოპერნიკმა მოიფიქრა. ბუტერბროდს მილიონობით ადამიანი მიირთმევს, თუმცა მისი ისტორია მხოლოდ ერთეულებმა იციან. ვის მოუვიდა თავში პირველად აზრად, რომ პურზე კარაქი წაესვა? სწორედ იმ მომენტში, როცა ეს მოხდა, დაიბადა ბუტერბროდი. ლეგენდა მოგვითხრობს, რომ ნიკოლაი კოპერნიკმა, სწორედ იმან, ვინც დაამტკიცა, რომ დედამიწა მზის გარშემო ბრუნავს. 1520 წელს, აპრილში, როცა კოპერნიკი ჯერ კიდევ არ იყო მედიცინით გატაცებული და მხოლოდ სწავლობდა, მისი ბიძა – ეპისკოპოსის რეკომენდაციით ოლშტინის ციხე-კოშკის კომენდანტად დანიშნეს. დაიწყო ციხე-კოშკის ალყა ტევტონის რაინდთა ორდენის მიერ. მალე ციხის დამცველთა შორის ეპიდემიამ იფეთქა. უცნობი დაავადება მეციხოვნეებს მტერზე უარესად უტევდა. კოპერნიკმა გადაწყვიტა, რომ მათ ვიტამინები აკლდათ და მხოლოდ პური, არ იყო კარგი საკვები. გარდა ამისა, პური ხშირად უვარდებოდათ მიწაზე. იღებდნენ და ისევე ჭუჭყიანს ჭამდნენ. კოპერნიკის ვარაუდით, ესეც იყო დაავადების მიზეზი. მაშინ გადაწყვიტა, ჭუჭყი და მტვერი თვალხილული გაეხადა და პურს თხლად გადაუსვა კარაქი. ეს იყო კლასიკური ბუტერბროდი, რომლის სახელწოდებადაც, რატომღაც, გერმანული სიტყვები გამოიყენეს. ახალი საკვების გემო ძალიან ბევრს მოეწონა და მალე უზომოდ პოპულარული გახდა.



## ძვირფასი სერ სენდვიჩი

ბუტერბროდი ნამდვილად ეკუთვნის თუ არა კოპერნიკს, ეს დაზუსტებული არ არის. სამაგიეროდ, კარგად ვიცით, ვის უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ გემრიელად მივირთმევთ სენდვიჩებს. ლონდონელ არისტოკრატს, ლორდ სენდვიჩს, რომელიც სახელგანთქმული და ლონდონში საყოველთაოდ ცნობილი ადმირალის – ლორდ ჯონ მონტეგიუს შთამომავალი იყო, მოუვიდა იდეა, ჰქონოდა საკვები, რომელიც სულ თან ექნებოდა, ბანქოს თამაშის დროსაც კი. ლორდი მთელ დღეებს და ზოგჯერ ღამეებსაც კი, სათამაშო მაგიდასთან ატარებდა. აზარტში შესული სასადილოდ ვერ ახერხებდა გასვლას. მან თავის მზარეულს მითითება მისცა, ერთმანეთისთვის კარაქიანი ზედაპირით შიგნით, დაედო ორი ბუტერბროდი და შუაში ყველის ნაჭერიც მოეთავსებინა. მალე ლორდის მეგობრებსაც მოეწონათ ეს იდეა და ასე გაჩნდა სენდვიჩი ძეხვით, ხორცის ნაჭრით, ბოსტნეულით... მათ ხომ ლორდისგან განსხვავებული გემოვნება ჰქონდათ. თუმცა, საკვებს მაინც ლორდის სახელი „სენდვიჩი“ ეწოდა.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

# უჩინარი მკვლელები



**დენის ჰოლდინგი**

მაიკლს უყვარდა ცოლი. ძალიან უყვარდა... ან, როგორ შეიძლებოდა, არ ჰყვარებოდა, როცა დორისი ასეთი ლამაზი და საყვარელი იყო, მოლურჯო შავი თმითა და ჭაობისფერი თვალებით. ახლა, როგორი სხეული ჰქონდა? – ყველა მამაკაცის ოცნება. თუმცა, მაიკლს შეეძლო, აღარ ეოცნება, იმიტომ, რომ დორისი მისი ცოლი იყო და დაუსრულებლად შეეძლო, მისით დამტკბარიყო. ისეთი ამაყი იყო, როცა მას უყურებდა, არც კი სჯეროდა საკუთარი ბედნიერების და, ამ დროს, მოულოდნელად გაიგო, რომ დორისს რომანი ჰქონდა იმ უბადრუკ დეტექტივების მჯღაბნელთან – მისტერ უილკინსთან. ეს უილკინსი მათ მეზობლად ცხოვრობდა, ზუსტად მათ მოპირდაპირედ. მაიკლი ლამის შოკში ჩავარდა. რა შეიძლებოდა მოსწონებოდა მის ცოლს ამ კაცის – ერთი გატყავებული მწერლის, რომელსაც თმაც შეთხელებოდა და თავისი საბეჭდი მანქანის მეტი არაფერი გააჩნდა?! როგორ შეიძლებოდა, ასეთ კაცს „შეება" მისი დორისი, რომელიც ყველაფერს საუკეთესოს იმსახურებდა?! ცოლს, რა თქმა უნდა, მაშინვე აპატია ღალატი. საწყალი დორისიო, – გაიფიქრა, – როცა მე მივლინებებში დავდიოდი და სახლში არ ვიყავი, იმ დონჟუანმა თავგზა აურია და გააბრიყვაო. ესე იგი, მთავარი დამნაშავეც ის იყო და არა მისი ანგელოზი ცოლი, რომელსაც არაფრით დაუთმობდა სხვა მამაკაცს, მით უმეტეს, იმ უდღეურ უილკინსს. დონჟუანი მკაცრად უნდა დასჯილიყო, მაგრამ, ისე არა, რომ თვითონ ელექტროსკამზე აღმოჩენილიყო – ამით მაიკლი ვერაფერს მიიღებდა. უილკინსი მოკვდებოდა, მას სიკვდილით დასჯიდნენ, დორისი კი მონახავდა მანუგეშებელს – ვინ გააჩერებდა ასეთ თოჯინას?! ამიტომ, მაიკლმა გადაწყვიტა, დაეცადა, კარგად მოეფიქრებინა და ისე დაეგეგმა იდეალური მკვლელობა, რომ მასზე ეჭვი ვერავის მიეტანა. დიდ ძალისხმევად ულირდა სიმშვიდის შენარჩუნება – თამაში, თითქოს არაფერი მომხდარა. არც დორისს უნდა შეეტყო რამე და მით უმეტეს, არც უილკინსს. ჯობდა ისე ეფიქრა, მასზე, როგორც სულელ და მოტყუებულ ქმარზე. მაიკლიც იცდიდა. დარწმუნებული იყო, რომ აუცილებლად მიეცემოდა ხელსაყრელი შემთხვევა და, ასეც მოხდა. ერთ საღამოს, როცა მაიკლი სახლში დაბრუნდა, დაინახა, რომ მისმა მეზობელმაც გააჩერა მანქანა, გადმოვიდა და ნავაჭრით სავსე ქაღალდის პარკით ხელში, სადაბრაზოსკენ გაემართა. ვარდის ბუჩქს რომ ჩაუარა, ერთბაშად მთელი ხმით იბღავლა; პარკი მოისროლა და ხელების ქნევით, ქალივით ისტერიული კივილით შევარდა სახლში. მაიკლი ნელა მიუახლოვდა ვარდის ბუჩქს და ფუტკარი დაინახა, თავისთვის, მშვიდად რომ იჯდა გაუშლელ კვირტზე. მაიკლი გაოცდა. ჩვეულებრივი მამაკაცისთვის ფუტკრის ასეთი შიში არ იყო ნორმალური. აშკარად რაღაც ძალიან სერიოზული მიზეზი არსებობდა და, უცებ, მაიკლს, რომელიც სააფთიაქო დისტრიბუციაში მუშაობდა და ფარმაკოლოგიაში რაღაც გაეგებოდა, გონება გაუნათდა: უილკინსს ალერგია ჰქონდა ფუტკრის შხამზე და, შეიძლებოდა, ფუტკრის ერთ ნაკბენსაც კი, სასიკვდილო შეშუპება, სულის შეხუთვა გამოეწვია. თავად განგება ეხმარებოდა შურისძიებაში... სამი დღე დასჭირდა ყველა ნიუანსის მოსაფიქრებლად და დასაგეგმად... მერე, ჩვეულებრივ, მივლინებაში გაემგზავრა. დორისს თბილად დაემშვიდობა. დიდხანს ჰყავდა ჩახუტებული და ჭაობისფერ თვალებში ჩასჩერებოდა. იცოდა, რომ ცოლი მის წასვლას ელოდებოდა და მაშინვე ესტუმრებოდა უილკინსს, შემდეგ კი ერთად გაერთობოდნენ მეზობელ ბინაში. ამის გაფიქრებამ კიდევ ერთხელ დაარწმუნა თავისი გადაწყვეტილების სისწორეში. ქალაქიდან გავიდა თუ არა, პირველივე აყვავებულ ბუჩქთან გააჩერა მანქანა და წინასწარ მომარაგებული ნივთებით შეიარაღებული გადავიდა. ბუჩქზე შვიდი-რვა ფუტკარი იჯდა. მაიკლმა ბოროტად გაიცინა. ხელის სწრაფი მოძრაობით ფუტკრები ბადეში მოაქცია და ნაგავსაყრელიდან წამოღებულ შოკოლადის კოლოფში მოათავსა. მერე კოლოფი რამდენიმე ადგილას ჩაჩხვლიტა, მწერები რომ არ გაგუდულიყვნენ. კოლოფი თხელ შესაფუთ ქაღალდში შეახვია და ექვსი მარკა მაინც დააკრა, რომ ამანათი დანიშნულების ადგილამდე სწრაფად და დაუბრკოლებლად მისულიყო. მისამართი მეზობლის ბინის დააწერა. გამომგზავნელის გვარი ის მიუთითა, რაც პირველად მოუვიდა აზრად... ისევ მანქანაში ჩაჯდა თავის მძლავრ, საშიშ იარაღთან ერთად. გაიარა რამდენიმე მილი, გადააგდო ფუტკრის საჭერი ბადე, კიდევ რამდენიმე მილის გავლის შემდეგ კი საფოსტო ყუთთან შეჩერდა. მანქანიდან გადასვლაც არ დასჭირდა ამანათის გასაგზავნად – პირდაპირ მანქანის ჩამოწეული ფანჯრიდან ჩააგდო საფოსტო ყუთში და, საკუთარი თავით უზომოდ კმაყოფილი, დამშვიდებული გაემგზავრა...

მივლინებიდან ცხრა დღის შემდეგ, პარასკევს, სადილის შემდეგ დაბრუნდა. ქუჩაზე შეუხვია თუ არა, მაშინვე მიხვდა, რომ მათ სახლში რაღაც ხდებოდა. სადარბაზოსთან პოლიციის სამედიცინო მანქანა იდგა და პოლიციელები ირეოდნენ. სიხარულის ჟრჟოლამ დაუარა მთელ სხეულში – მისმა გენიალურმა ჩანაფიქრმა შედეგი გამოიღო... კიბეზე რომ ადიოდა, ლიფტის კარი გაიღო და რამდენიმე პოლიციელმა თეთრზეწარგადაფარებული საკაცე გამოიტანა. შეუძლებელი იყო მიმხვდარიყავი, ვინ იწვა მასზე, მაგრამ, მაიკლმა ზუსტად იცოდა, რომ ეს მისი მეზობელი, საზიზღარი უილკინსი იყო... სიმშვიდე ბოლომდე შეინარჩუნა. პორტიეს, რომელსაც შიშისგან მობრეცილი სახე ჰქონდა, თავი ღიმილით დაუქნია და სახლში ავიდა. მის სიფრიფანა დორისს ნამტირალევ თვალებზე ეტყობოდა, რომ ძალიან ინერვიულა. მაიკლმა მაგრად ჩაკოცნა და მოეფერა.

– რა მოხდა, პატარავ?

– ცუდი ამბავი... საწყალი ჩვენი მეზობელი, მისტერ... მისტერ უილკინსი მოკვდა... შემთხვევით მე ვიპოვნე... არა, მე კი არ ვიპოვე, რა მინდოდა მასთან... უბრალოდ, რამდენიმე დღის განმავლობაში რომ არ გამოჩნდა, ანუ, პრესა რომ არ აიღო, პორტიემ მკითხა, მისი საბეჭდი მანქანის ხმა თუ გესმისო... ხომ გახსოვს, კაკუნი დერეფანშიც ისმოდა ხოლმე... გამახსენდა, რომ რამდენიმე დღე თვალი არ მომიკრავს მისთვის. პორტიემ სათადარიგო გასაღები მოიტანა და შევედით... დივანზე იწვა... არ სუნთქავდა... საერთოდ არ სუნთქავდა...

– ძილში მომკვდარა. ამას კიდევ არა უშავს, – სარკასტულად გაიღიმა მაიკლმა და ჯინი დაისხა, – შემეცოდა, წყნარი და უპრეტენზიო მეზობელი იყო. ეტყობა, რაღაც ფარული დაავადება ჰქონდა.

– არა, არა, რა დაავადება... არც ძილში არ მომკვდარა... ძილში გარდაცვლილებს შიშისგან დაღრეჯილი სახე არა აქვთ ხოლმე... დივანზეც კი არ იწვა, უფრო წაქცეულს ჰგავდა... პოლიციელებმა თქვეს, ეტყობა, რაღაცის ძალიან შეეშინდაო...

– სულ ეს არის? სხვა მიზეზი ვერ მოიფიქრეს?! ცუდია, რაც მოხდა, მაგრამ, მოდი, დავლიოთ და დავივიწყოთ საწყალი მწერალი... ის ახლა ზეცაშია... ჯინს არ დალევ?! საყვარელო, იცი, რა გადავწყვიტე?! აღარ მინდა მივლინებებში სიარული. ვიცი, ჩემ გარეშე ძალიან მოწყენილი ხარ. ამიტომ, რაღაც ისეთს გავაკეთებ, რაც მუდმივად შენ გვერდით ყოფნის საშუალებას მომცემს... მაგალითად, დეტექტივებს დავწერ...

დორისს თვალები გაუფართოვდა:

– დეტექტივებს დაწერ? როგორ? ჯერ ხომ არასდროს დაგიწერია?!

– მერე რა, ოდესღაც ხომ უნდა დაიწყო? რატომღაც, მგონია, რომ კარგად გამომივა.

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძემ**


## ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

**599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.**

# ქალური შურისძიება

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №1-26(705)**

– შეიძლება, კიდევ გკითხოთ რაღაც? – არცთუ მორიდებით იკითხა უცებ ნუცამ.

– კი ბატონო, მკითხე.

– რის გარკვევას ცდილობთ?

– ეს შენ არ გეხება.

– დედაჩემს თუ ეხება, ესე იგი, მეც მეხება, – გაჯიუტდა გოგო.

– არა, ვერ გეტყვი, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, – თქვა მზიამ და წამოდგა,



რომ ოთახში გასულიყო და ნანიტასთვის დაეხედა, მაგრამ, სკამზე დადებულ გახსნილ ჩანთას შემთხვევით გამოედო და ძირს ჩამოაგდო. ჩანთიდან უამრავი რამ გადმოცვივდა. როცა მზიამ თავისი ნივთების აკრეფა და ჩანთაში ჩალაგება დაიწყო, ნუცამაც ჩაიმუხლა მისახმარებლად და პატარა სარკესა და თეთრ კონვერტს წამოავლო ხელი, მერე მექანიკურად დახედა გარედან გაკეთებულ წარწერას და გაფითრდა:

– თქვენთან საიდან მოხვდა ეს წერილი?

– რა წერილი? – გაისმა სამზარეულოს კარიდან.

მზიამ და ნუცამ დაფეთებულებმა შეხედეს ნანიტას, რომელიც ისე შემოვიდა სამზარეულოში, რომ ვერც ერთმა ვერ შენიშნა.

– არაფერი, – დაბნეულმა გოგომ კონვერტიანი ხელი ზურგსუკან წაიღო და ამ პოზაში გაშეშდა.

– რა წერილი-მეთქი? – ახლა მზიას მიმართა ქალმა და მკაცრად შეხედა.

მზიამ თავი ჩაღუნა და ხმა ვერ ამოიღო. ყველა დუმდა და ამ დუმილმა კარგა ხანს გასტანა. ნანიტა მთვარეულივით მივიდა მაგიდასთან და მზიას წინ დაჯდა. მერე ხელი შვილისკენ გაიწოდა და შეუვალი ხმით უბრძანა:

– მომეცი!

ნუცა შეყოვნდა, მაგრამ მერე დაჰიპნოზებულივით დაიძრა ადგილიდან, კონვერტი ხელში ჩაუდო დედას და კედლისკენ დაიხია.

ნანიტამ ჯერ გარედან დახედა კონვერტს, შემდეგ გახსნა, ფურცელი ამოიღო და გაშალა.

– დედა, გთხოვ, გემუდარები, არ წაიკითხო! – ისტერიული ხმით იყვირა გოგომ და ფურცლის წართმევა დააპირა, მაგრამ, ვერ მოახერხა.

– დაჯექი! – უბრძანა დედამ.

შვილი მექანიკურად დაემორჩილა და სახე ხელებში ჩარგო.

ნანიტამ წერილი წაიკითხა და გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა.

– ეს შენ დაწერე? – ჰკითხა შვილს მკაცრად და ფურცელი მაგიდაზე დააგდო.

ნუცამ ხმამაღალი ტირილი დაიწყო.

– შენ დაწერე-მეთქი? – გაუმეორა შეკითხვა.

შვილმა თავი დაუქნია, თან ტიროდა და სახიდან ხელებს არ იშორებდა.

– რამ მოგაფიქრა ასეთი საშინელი ტყუილის გამოგონება? – ჰკითხა ამჯერად უკვე ლმობიერად, რადგან, ძალიან შეეცოდა შვილი. ნუცამ უცბად ასწია თავი, ცრემლები პატარა ბავშვივით მუჭებით მოიწმინდა, მერე ღრმად ამოისლუკუნა და ჩურჩულით თქვა:

– შურისძიება მინდოდა...

– რა გინდოდა?! – მთლად დაიზაფრა ნანიტა, – რამ მოგაფიქრებინა ასეთი სისულელის გაკეთება?



ერდო ჯგუფი

როდესაც ომი
დამთავრდა,
კრიზისი დამთავრდა
და არჩევნები დამთავრდა
მაშინვე ბულბულის
და ტოროლას სტვენასავით
გაისმა ტელეფონის ზარები:
ალო,
მიწა მინდა
7 მილიონი მაქ
ალო,
მაღაზია მინდა
1 მილიონი მაქ
ალო,
ბინა მინდა
500 000 მაქ
ალო.................................

მარიკა 599 24 28 31


ნუცა სლუკუნებდა და სიტყვებს ვერ უყრიდა თავს. მზიამ მოიფიქრა და ჭიქით წყალი მიაწოდა. ბავშვმა დიდი ყლუპებით გამოცალა ჭიქა, ტუჩები ხელის ზურგით მოიწმინდა და დედას შედარებით თამამად შეხედა. მერე ერთი ღრმად ჩაისუნთქა და თქვა:

– დედა, მე ახლა ყველაფერს გულახდილად გეტყვი, ოღონდ, არ შემაწყვეტინო. თუ რამის დაზუსტება მოგინდება, ლაპარაკს რომ დავამთავრებ, მერე მკითხე, კარგი?

ნანიტამ თავი დაუქნია.

– ეს წერილი ჩემი დაწერილია. მამაჩემმა იმ დღეს მიიღო, ავარია რომ მოუვიდა. მანამდე კარგა ხნით ადრე დავწერე, მაგრამ, მის კაბინეტამდე მიტანას ვერ ვახერხებდი – იქ რომ გამოვჩენილიყავი, მაშინვე მიხვდებოდა, ვინც იყო ამ წერილის ავტორი. ბოლოს მოვიფიქრე და ერთ ჩემს მეგობარ ბიჭს ვთხოვე, ოფისის კართან დაეგდო – დარწმუნებული ვიყავი, ვინმე აიღებდა და, გარედან დაწერილ სახელსა და გვარს რომ წაიკითხავდა, თვითონვე შეუტანდა დიმიტრის. ასეც მოხდა – მან ეს წერილი მიიღო... სულ ეს არის.

– მაგრამ შენ მთავარს არ მეუბნები, – წარბის აწევით უთხრა ნანიტამ.

– რა მთავარს? – ვითომ ვერ მიხვდა ნუცა.

– როდის და რატომ გადაწყვიტე შურისძიება.

– კარგი, მაგასაც გეტყვი, – ამოიქშინა გოგომ, – ერთ დღეს, ელენე მოვიდა შენთან და ყველაფერი გავიგონე, რაც მოუყევი.

– ეს როდის იყო? – დაიძაბა ნანიტა.

– რამდენიმე წლის წინ, სანამ გუგას დაურეკავდი, – ნუცამ თავი ჩაღუნა და სახეზე ხელები აიფარა.

– ესე იგი, გუგაზეც ყველაფერი იცი? – გაფითრდა ნანიტა.

– ჰო, – აღიარა გოგომ, – იმ პირველი შემთხვევის შემდეგ უკვე ჩუმად გიგდებდი ყურს, როცა ელენე მოდიოდა ან ტელეფონზე ელაპარაკებოდი. მართალია, რაღაც-რაღაცეებს ვერ ვიგებდი, მაგრამ, იმას კი ვხვდებოდი, რომ ამ მდგომარეობამდე მამაჩემმა მიგიყვანა და, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ პატარა ვიყავი, ვგრძნობდი, რომ ჩემში ნელ-ნელა ილვიძებდა და მწიფდებოდა დედისადმი თანაგრძნობიდან გამომდინარე ქალური შურისძიების სურვილი, მაგრამ, როგორ უნდა გამეკეთებინა ეს, არ ვიცოდი. ერთ დღეს რაღაც ფილმს ვუყურებდი, მგონი, სერიალი იყო და იქ ერთმა პერსონაჟმა უთხრა მეორეს, შენ იმის შვილი არ ხარ, ვისაც მამას ეძახი, დედაშენმა სხვა კაცისგან გაგაჩინაო. ეს ფრაზა მაშინვე ჩამიჯდა გონებაში. რამდენიმე დღის მერე, ისე დაემთხვა, რომ თოკომ გითხრა, შენს გვარზე უნდა გადმოვიდეო. ეს თითქოს მინიშნება იყო. კარგა ხნის ფიქრის შემდეგ შევადგინე ამ წერილის ტექსტი, რომლისთვისაც წიგნებში ამოკითხული ზოგიერთი ფრაზაც გამოვიყენე, მერე კი, როგორც გითხარი, მხოლოდ მომენტს ვუცდიდი, კონვერტი რომ მამაჩემის კაბინეტამდე მიმეტანა.

მზია აქამდე ჩუმად იჯდა, მაგრამ უცებ ნანიტას შეხედა და მორიდებით ჰკითხა:

– ქალბატონო ნანიტა, შეიძლება ნუცას რაღაც ვკითხო?

ნანიტამ თვალები დახუჭა, სიმწრით მოიკვნიტა ტუჩები და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

– ნუცა, შენ ხომ არ გეწყინება?

– არა, – უპასუხა ნუცამ, – რაც გინდათ,

მკითხეთ, ყველაფერს სიმართლეს გეტყვით.

– გუგაზე შურისძიების სურვილი არ გაგჩენია? მანაც ხომ ატკინა გული დედაშენს?

– რა თქმა უნდა, გამიჩნდა, მაგრამ, არ გამომივიდა.

– რატომ, შეგეცოდა?

– არა. ასეთი კაცები, შეიძლება, მხოლოდ მშობლებმა და ძალიან ახლო ნათესავებმა შეიცოდონ. უბრალოდ, ვერ მოვიფიქრე ტექსტი, რომელიც მას გაანადგურებდა. თუმცა, იყო კიდევ ორი მიზეზი... – ნუცა გაჩუმდა.

– რა ორი მიზეზი? – ჰკითხა ნანიტამ.

– პირველი ის, რომ ვერ გავიგე, სად ცხოვრობდა; მეორე მიზეზი კი ის იყო, რომ რაღაც მომენტში მივხვდი – გუგასაც მამაჩემის გამო დაენგრა ცხოვრება, ისიც დიმიტრის მსხვერპლი იყო, ისევე, როგორც შენ, დედა. თანაც, თუ რამე დააშავა, მას თავისთავად მიეზღო სამაგიერო, მამაჩემი კი ლაღად ცხოვრობდა, დაგრიალებდა ქალებში და ვერც კი გრძნობდა თავის დანაშაულს.

– თორნიკემაც იცის ეს ყველაფერი? – ჩამქრალი ხმით ჰკითხა ნანიტამ.

– არა. მართალია, ჯერ სულ მთლად ბავშვი ვიყავი, მაგრამ, ვხვდებოდი, რომ სხვისი საიდუმლო უახლოესი ადამიანისთვისაც კი არ უნდა გამენდო. თან, გული მიგრძნობდა, რომ ეს იყო ისეთი საშინელი საიდუმლო, რომლის გაგების შემდეგ თოკო რაღაც საშინელებას ჩაიდენდა. მას ძალიან უყვარხარ, დედა, ამიტომ, არავის აპატიებს შენს წყენინებას.

ნანიტამ უცებ გახედა მზიას და მკაცრად ჰკითხა:

– როგორც ვხვდები, იმიტომ დამიკავშირდი, გეგონა, რომ ამ წერილის ავტორი მე ვიყავი?

– არა, ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ წერილი სხვისი დაწერილი იყო, მაგრამ, ვფიქრობდი, იქნებ თქვენ მიმხვდარიყავით, ვინ გაუგზავნა ბატონ დიმიტრის...

– ანუ, დიმიტრის დავალებით მოქმედებდი? – ირონია გამოერია ხმაში ნანიტას.

– მარტო დიმიტრის არა, ბატონი გიორგიც იყო ამით დაინტერესებული. რა გასაკვირია, რომ ამის გამოკვლევის სურვილი გასჩენოდათ?

– გასაკვირი ის არის, რომ შენ, ექთანს, თითქმის უცნობ ადამიანს, დაგავალეს ოჯახის და პირად ცხოვრებაში ქექვა. საერთოდ, ვინ ხარ, რა საქმე გაქვს ან ჩემს წარსულთან, ან ჩემს აწმყოსთან? ექთანი და მომვლელი თუ ხარ, გაუკეთე ნემსი, დაალევინე წამალი და გამოუცვალე თეთრეული, ჩვენ კი თავი დაგვანებე! – იყვირა ნანიტამ.

– მართალი ბრძანდებით, ქალბატონო ნანიტა, არ უნდა დავთანხმებოდი, მაგრამ, მაშინ, ვინმე კერძო დეტექტივი უნდა აეყვანათ და ასე უფრო მეტი ადამიანი გაიგებდა ყველაფერს, მე კი, ასე თუ ისე, საავადმყოფოდან მოყოლებული, ძალაუნებურად ვიგებდი თქვენი ცხოვრების ეპიზოდებს და... – მზია წამოდგა, ჩანთა მხარზე გადაიკიდა და გასასვლელისკენ გაემართა. მერე ნანიტას წინ შეჩერდა და თქვა: – ისე, ცნობისთვის, არც დიმიტრის და არც გიორგის არ დაუჯერებიათ, რაც ამ ფურცელზე წერია. პირველივე დღიდან ეჭვიც არ შეჰპარვიათ, რომ ეს იყო შურის საძიებლად გამოგონებული საშინელი სიცრუე და ამიტომაც უნდოდათ, გაერკვიათ, ვინ...

– ანუ, დიმიტრიმ არ დაიჯერა, რომ თოკო...

– დიახ, დარწმუნებულია, რომ ორივე თავისი შვილია.

– რატომ არის ასეთი დარწმუნებული? – მწარედ ჩაიცინა ნანიტამ, – რა, ისეთი ქმარი იყო, რომ ღალატის ღირსად არ ჩათვალა თავი?

– არა, – თვალებში შეხედა ექთანმა, – უბრალოდ, თქვენში იყო დარწმუნებული.

– ჩემს წესიერებასა და პატიოსნებაში? – ნერვიულად გაეცინა ნანიტას, – საერთოდ, არსებობს კი ბოლომდე წესიერი და პატიოსანი ადამიანი?



– არსებობს, – დარწმუნებით თქვა მზიამ, – მე ბევრი შემხვედრია ასეთი.

– ნეტარ არიან მორწმუნენი, – გაეღიმა ნანიტას.

– მაპატიეთ, ქალბატონო ნანიტა, უსიამოვნება თუ მოგაყენეთ, მაგრამ, ვფიქრობდი, რომ ასე ყველასთვის უკეთესი იქნებოდა, მათ შორის – თქვენთვისაც, მაგრამ, ეტყობა, შევცდი, – მზია კარისკენ წავიდა.

–– მზია, არ წახვიდეთ, რა! – წამოხტა უცებ ნუცა, – ძალიან გთხოვთ, ცოტა ხანს კიდევ დარჩით! ვიცი, დედასაც უნდა, რომ დარჩეთ, მაგრამ, იმის შემდეგ, რაც უკვე გითხრათ, ერიდება თქმა.

მზია გაკვირვებით მოტრიალდა და ქალს შეხედა. მან ღიმილით დაუქნია თავი. გახარებულმა ნუცამ ექთანს მაჯაში ჩაავლო ხელი, ძალით შეაბრუნა უკან და სკამზე დასვა.

– მე რაღა საჭირო ვარ? ქალბატონი ნანიტა უკეთ არის და თქვენ უჩემოდაც კარგად გაუგებთ ერთმანეთს, – მორცხვად თქვა მზიამ.

– არა, მინდა, კიდევ ცოტა ხანს ვისაუბრო თქვენთან, – ღიმილით უპასუხა გოგომ.

– ნუცა მართალია, დარჩი. თან, რატომღაც, ძალიან მომშივდა და ერთად ვივახშმოთ.

მზიას ესიამოვნა ნანიტას თბილი ტონი.

– აღარ ბრაზობთ ჩემზე? – ჰკითხა ღიმილით.

– შენზე აღარ, მაგრამ, საკუთარ თავს ვერ ვაპატიებ ვერასდროს, რომ ჩემი საქციელით შვილი კინაღამ მკვლელი გავხადე, რომ აღარაფერი ვთქვა იმ სტრესებზე, რაც მან ჩემ გამო გადაიტანა.

– შენ გამო არა, დედა, მამაჩემის გამო, – შეუსწორა ნუცამ.

– არა, ჩემ გამო. როგორი უვარგისიც არ უნდა იყოს მამა, დედამ ყოველთვის უნდა დაიცვას შვილები ზედმეტი სტრესებისა და ტკივილისგან, მე კი ეს ვერ შევძელი.

– რაც იყო, იყო, დროს უკან ველარ დააბრუნებთ, ქალბატონო ნანიტა, – მორიდებით ჩაერთო დედა-შვილის დიალოგში მზია.

– მართალი ხარ, ვერ დააბრუნებ, მაგრამ, მე ახლა მაინც ბედნიერი ვარ, რადგან, ნუცა დავიბრუნე – ის ისევ ჩემი ნუცაა, რომელიც, პრაქტიკულად, დაკარგული მყავდა.

ნანიტამ და ნუცამ სუფრა გააწყვეს.

– მიირთვი, არ მოგერიდოს, ისე გამოვიდა, რომ შენ უკვე შინაური ხარ, – მიმართა ნანიტამ მზიას და კერძი გადაუღო.

სამივე გემრიელად შეექცა ვახშამს. ამ დროს მზიას მობილურმა დარეკა. ნომერს დახედა თუ არა, გათიშა და უხერხულობისგან გაწითლდა.

– დიმიტრი იყო? – თითქმის მიხვდა ნუცა მისი გაწითლების მიზეზს.

– არა, ბატონი გიორგი. ძალიან დამაგვიანდა და, ეტყობა, შეეშინდათ.

– არა უშავს, არაფერი მოუვათ, გაძლონ უშენოდ როგორმე ცოტა ხანს, – ცოტა გაღიზიანებული ტონით თქვა ნუცამ, – არ შეჭამეს ამ ძმებმა ეს ქალი?!

ამ ბავშვურ რეპლიკაზე მზიას და ნანიტას გაეცინათ.

როცა ვახშამი მოათავეს, ნუცამ სუფრა აალაგა და ყავიანი ფინჯნები ჩამოარიგა.

– ჩემი მეგობრები ამბობენ, რომ ძალიან მაგარი ყავა გამომდის. საინტერესოა, თქვენ თუ მოგეწონებათ.

ქალებმა ერთხმად აღიარეს, რომ მსგავსი ყავა არსად დაულევიათ, რითაც ძალიან გაახარეს უკვე ისედაც ხასიათზე მოსული ნუცა.

– მზია, – მიმართა ექთანს ნანიტამ, როცა ყავის სმა დაამთავრეს, – ერთი რამ მაინტერესებს: რა მიზნით უნდოდა დიმიტრის წერილის ავტორის დადგენა, ჩივილს აპირებდა?

– არა, მსგავსი არაფერი უთქვამს.

– აბა, რა აზრი ჰქონდა ამ ყველაფერს?

– დიმიტრის თითქმის არ ეპარებოდა ეჭვი, რომ ეს წერილი იყო გუგას შურისძიება და, თუ ეს დადასტურდებოდა, აუცილებლად დასჯიდა ამის გამო. ამიტომაც მოატანინა ოფისიდან გიორგის ვიდეოთვალის კასეტა, მაგრამ, იქ ვერაფერი ნახა.

– რით დასჯიდა?

– არ ვიცი, არც ეს უთქვამს, უბრალოდ, ვგრძნობდი, რომ რაღაცას აუცილებლად დაუშავებდა.

– მეტი რაღა უნდა დაეშავებინა? – მწარედ გაეღიმა ნანიტას.

– ჩემი აზრით, ფიზიკურად გაუსწორდებ-


**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**



ოდა, – ვარაუდი გამოთქვა მზიამ.

– ლოგინში მწოლიარე და დამტვრეულ-დასახიჩრებული?

– თვითონ ამას ვერ შეძლებდა, მაგრამ ვილაცას ფულს გადაუხდიდა და... – ეს რომ თქვა, მზია საკუთარ თავზე გაბრაზდა: – მაპატიეთ, ქალბატონო ნანიტა, ვატყობ, რომ ზედმეტები მომდის და, ჯობია, საერთოდ გავჩუმდე. თუმცა, ერთი კითხვა მაინც მინდა დაგისვათ, სითამამისთვის თუ არ გამინაწყენდებით.

– არ გაგინაწყენდები, გისმენ, – უთხრა ნანიტამ და მოსასმენად მოემზადა.

– ქალბატონო ნანიტა, – მორიდებით დაიწყო მზიამ, – ბატონი დიმიტრი რეანიმაციაში რომ იწვა და კომაში იყო, თქვენ მის სანახავად მოხვედით, შუბლზე აკოცეთ, ფული დაუტოვეთ და ისეთი სიყვარულით შესცქეროდით, ვერავინ იფიქრებდა...

– ანუ, შენ იმის კითხვა გინდა, მიყვარდა თუ არა ქმარი? – ნანიტა წუთით ჩაფიქრდა და განაგრძო: – დიახ, იყო ასეთი ნათელი ეპიზოდებიც... ნათელი, მაგრამ, ძალიან ხანმოკლე; მერე თანდათანობით შემცირდა ამ ეპიზოდების სიხშირე, ბოლოს კი სულაც გაქრა... რაც შეეხება იმ დღეს, მეგონა, რომ კვდებოდა და, მინდოდა, იმქვეყნად ცოტაოდენი სითბო მაინც გამეტანებინა...

– გასაგებია... – ჩაილაპარაკა მზიამ, – კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს, მტკივნეულ თემას რომ შევეხე.

– გუგას საქციელზე რას იტყვით? – ჰკითხა უცებ ნუცამ, – ძალიან მაინტერესებს თქვენი აზრი.

– რომელ საქციელზე? – ვერ მიხვდა მზია.

– დედასთან რომ მივიდა, როგორც თვითონ თქვა, მამაჩემის ნებართვით და მერე წერილი დაუტოვა.

– ეს, რა თქმა უნდა, მის სასარგებლოდ არ მეტყველებს, – დაფიქრებით თქვა მზიამ, – მაგრამ, ჩემი აზრით, იმიტომ არ მივიდა, რომ ქალბატონ ნანიტას საქციელით არ აკადრა ის, რაც აკადრა სიტყვებით.

– წერილი? წერილში ხომ ეუბნება, სამაგიეროს გიხდიო?

– ვფიქრობ, რომ იმ სიტყვებით გუგამ, ასე ვთქვათ, თავი გაიმართლა საკუთარი თავის წინაშე... ან, იქნებ, ვცდები კიდეც...

– ახლა სად არის გუგა? – ჰკითხა ნუცამ.

მზიამ მოკლედ უამბო გუგაზე ყველაფერი, რაც იცოდა.

– საცოდავი ადამიანია, – ჩაილაპარაკა ნანიტამ, – მე შვილები მაინც მყავს, ეგ კი აბსოლუტურად მარტო დარჩა.

– ჰო, ცოდვაა, – დაეთანხმა მზია და წამოდგა, – ახლა კი მართლა უნდა დაგტოვოთ, თორემ, გამიგიჟდებიან ძმები.

– მზია, რაღაც უნდა გკითხოთ და არ გეწყინოთ, – უთხრა ნუცამ, ჰოლში რომ გავიდნენ.

– შენგან რა უნდა მეწყინოს, ნუციკო, მკითხე, რაც გინდა.

– გიყვართ დიმიტრი? – თქვა გოგომ და ეშმაკურად მოწკურა თვალები.

– არა, – გაეცინა მზიას, – მე სხვა მომწონს, მაგრამ, არ ვიცი, მასაც მოვწონვარ თუ არა და, რაც მთავარია, ამას ვერც ვერასდროს გავიგებ.

– გამანდეთ, ვინ არის და მე დაგიდგენთ ყველაფერს, – გულუბრყვილოდ შესთავაზა ნუცამ.

– არ არის საჭირო. რაც მოსახდენია, ისედაც მოხდება, – უცებ დასევდიანდა მზია, – კარგად იყავით. ძალიან მიხარია, რომ გაგიცანით.

– არ დაგვივიწყო, შემოგვიარე ხოლმე, – გულწრფელად სთხოვა ნანიტამ და გადაკოცნა.

– შენი ტელეფონის ნომერი ჩამაწერინე, – უკვე კარში გასვლისას უთხრა ნუცამ და თავისი მობილური მოიმარჯვა.

მზიამ ნომერი უკარნახა და ლიფტს აღარ დაელოდა, კიბეები ფეხით ჩაირბინა.

***

– სად არის ეს გოგო ამდენ ხანს? – ადგილს ვერ პოულობდა გიორგი და ნერვიულობისგან ოთახში ბოლთას სცემდა.

– ნუ გეშინია, არავინ მოგტაცებს, – გაეცინა დიმიტრის, – ისე, მგონი, როგორც რუსები იტყვიან, „ვტიურილსია“. ჰა, მართალი ვარ თუ არა?

გიორგი ჯერ გააბრაზა ძმის კილომ და დააპირა, უხეშად ეპასუხა ხუმრობაზე, მაგრამ მერე საშინლად მოუნდა, ვინმესთვის გული გადაეშალა, ეს „ვინმე“ კი მხოლოდ დიმიტრი იყო, რომელმაც უკვე ისედაც გაშიფრა მისი გრძნობები, რაც უფრო გაუადვილებდა გულახდილ საუბარს. თანაც, ასე თუ ისე, ძმა იყო და მზიასაც კარგად იცნობდა.

– სერიოზული სალაპარაკო მაქვს შენთან და კარგად მომისმინე, მაიმუნობისა და ღადაობის გარეშე, – უთხრა უცბად, მერე ფანჯარა გამოაღო, სავარძელი საწოლთან მიაჩოჩა და სიგარეტს მოუკიდა.

– ჩემთან ნუ ეწევი, – შენიშვნა მისცა დიმიტრიმ, – თანაც, რომ გიყურებ, მეც მინდება მოწევა.

– ფანჯარა იმიტომ გამოვაღე, რომ ბოლი გარეთ გავიდეს, შენ კი როგორმე გაუძელი და მომისმინე, შენი რჩევაც მჭირდება.

– გისმენ, – დაემორჩილა დიმიტრი. მიხვდა, რა თემაზეც აპირებდა ძმა მასთან დალაპარაკებას და გულში ძალიან ესიამოვნა, შენი რჩევა მჭირდებაო, რომ უთხრა. ამ სამმა სიტყვამ სასწაული მოახდინა – უცებ იგრძნო, რომ გიორგიზე ახლობელი ადამიანი დედამიწის ზურგზე არ გააჩნდა.

– დამალვას აზრი აღარ აქვს – მზია მართლა შემიყვარდა. თან, ისე შევეჩვიე, რომ, როცა სახლიდან გადის, ადგილს ველარ ვპოულობ; სულ მეშინია, რამე არ დაემართოს, ან, სულაც შემთხვევით ვინმე ისეთს არ შეხვდეს, რომ... – გიორგი გაწითლდა და გაჩუმდა.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ფ | | | პ |  | | | | | | | მ | | ბ | |
| კ | უ | რ | კ | ა | | | | | | | რ | ო | ბ | ა | ი |
| | ფ | | ა | რ | | | | | | | | დ | | ბ | |
| ტ | ა | ქ | ს | ა | | | | | | | მ | ე | დ | ე | ა |
| | ლ | | ი | შ | ა | ხ | | ა | რ | ბ | ა | ლ | ე | ტ | ი |
| ჩ | ა | ი | ლ | უ | რ | ი | | ლ | | ე | | ი | ფ | ა | დ |
| უ | | პ | ა | ტ | ი | | ა | მ | ა | ლ | ა | | ი | | ა |
| ქ | | ო | ს | ი | კ | ო | | ა | რ | ა | ტ | | ს | | ჰ |
| ჩ | ი | ნ | ი | | ა | ვ | ე | | ი | | ი | ს | ი | ფ | ო |
| ა | | ი | | მ | | ა | რ | ე | ვ | ი | კ | ა | | ი | |
| | ა | | ჰ | ე | რ | ც | ი | | კ | | ა | თ | ე | ნ | ი |
| ა | ნ | ი | ა | ნ | | ი | | რ | | ჭ | | ლ | | ტ | |
| | კ | | მ | ა | ლ | ა | მ | ო | | ე | მ | ი | ს | ი | ა |
| ყ | ა | ბ | ა | ხ | ი | | ო | მ | ე | რ | ე | | ე | | ლ |
| | რ | | კ | ი | რ | ო | ვ | ი | | ა | ს | ა | ნ | თ | ი |
| | ა | კ | ი | რ | ა | | ი | | გ | მ | ი | რ | ი | | ა |
| კ | | ა | | ე | | კ | | ა | | ი | | ე | | ქ | |
| ა | ნ | მ | ზ | | პ | ა | ო | ლ | ო | | წ | ნ | ე | ვ | ა |
| მ | | ე | | კ | | ი | რ | ი | დ | ა | | ა | რ | ა | ს |
| პ | ო | რ | შ | ე | | | ლ | | რ | ვ | ა | | ე | | ფ |
| უ | | ჰ | | კ | ი | ლ | ი | კ | ი | ა | | ა | ვ | ლ | ა |
| ჩ | ვ | ე | ნ | ე | ბ | ა | | ვ | | რ | ა | ფ | ა | | ლ |
| ი | | რ | | ლ | ი | ქ | ი | ო | რ | ი | | ა | ნ | | ტ |
| ა | ლ | ი | ბ | ა | ბ | ა | | | ს | ა | ს | ტ | ი | კ | ი |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 3 | 4 | 8 | 1 | 5 | 7 | 9 | 2 |
| 9 | 5 | 1 | 2 | 7 | 4 | 3 | 8 | 6 |
| 7 | 2 | 8 | 6 | 9 | 3 | 5 | 4 | 1 |
| 5 | 8 | 3 | 7 | 6 | 1 | 9 | 2 | 4 |
| 4 | 9 | 6 | 5 | 3 | 2 | 8 | 1 | 7 |
| 2 | 1 | 7 | 9 | 4 | 8 | 6 | 3 | 5 |
| 8 | 4 | 5 | 3 | 2 | 7 | 1 | 6 | 9 |
| 1 | 7 | 9 | 4 | 8 | 6 | 2 | 5 | 3 |
| 3 | 6 | 2 | 1 | 5 | 9 | 4 | 7 | 8 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 7 | 6 | 5 | 1 | 8 | 4 | 9 | 3 |
| 1 | 3 | 4 | 2 | 9 | 6 | 8 | 7 | 5 |
| 5 | 8 | 9 | 4 | 7 | 3 | 2 | 1 | 6 |
| 4 | 5 | 3 | 6 | 8 | 9 | 1 | 2 | 7 |
| 9 | 6 | 1 | 7 | 4 | 2 | 3 | 5 | 8 |
| 7 | 2 | 8 | 3 | 5 | 1 | 9 | 6 | 4 |
| 8 | 4 | 2 | 1 | 6 | 5 | 7 | 3 | 9 |
| 3 | 9 | 5 | 8 | 2 | 7 | 6 | 4 | 1 |
| 6 | 1 | 7 | 9 | 3 | 4 | 5 | 8 | 2 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები:** **1. მატჩის შემდეგ პენალტების სერიის დაწყებისას პორტუგალიელთა მეკარემ, ხელთათმანები გაიხადა და დარტყმული ბურთები შიშველი ხელებით მოიგერია. 2. სოკოებს. 3. ისინი დასახრჩობად მკვდარ ზღვაში ჩაყარეს. 4. წითელ საღებავს – სისხლის იმიტირებისთვის, ვითომ მძიმედ იყვნენ დაჭრილები. 5. ვატიკანი. 6. ვარდს. 7. დახრილ ნაწერს – იტალიკი. 8. წისქვილის დოლაბები. 9. პრიმატები (ლათინურად – პირველი). 10. ყველაზე უჭკუოდ.**

– ... რომ, შეუყვარდეს, – წაეშველა დიმიტრი, – მაგრამ, მაგის ნუ გეშინია, მზია ის ტიპი არ არის, შემთხვევით გაცნობილ კაცზე უცბად გაგიჟდეს; ამ მხრივ, შეგიძლია, მშვიდად იყო.

– მართლა? – გაუხარდა გიორგის.

– დარწმუნებული ვარ. განაგრძე.

– ამ ასაკში თუ ასე შემიყვარდებოდა, ვერც კი წარმოვიდგენდი, – დამორცხვებით თქვა გიორგიმ, – ცოლი რომ მომიკვდა, ასე მეგონა, დედამიწაზე სიცოცხლე დასრულდა-მეთქი. აღმოჩნდა, რომ ასე არ ყოფილა... ქალების მეტი რა მყოლია, მაგრამ, ის გრძნობა, რაც მზიას მიმართ გამიჩნდა, აბსოლუტურად განსხვავებულია. ამ გოგოს გვერდით თავს მყუდროდ, მშვიდად და ბედნიერად ვგრძნობ. მინდა, რომ ჩემი ცოლი გახდეს, მაგრამ, არ ვიცი, როგორ ვუთხრა.

– მაგას რა ცოდნა უნდა? – გაეღიმა დიმიტრის, – ასე დაგაბნია ამხელა კაცი ამ თითისტოლა გოგომ?

– არ ვიცი, როგორ ვთხოვო ხელი ლამის შვილისხელა გოგოს. თითქმის ოცი წლით ვარ უფროსი...

– მაგის ნუ გეშინია, ეგ ახლა მოდაშია, – გაეხუმრა დიმიტრი.

– ხომ გთხოვე, მაიმუნობა არ დაიწყო-მეთქი? – ეწყინა გიორგის.

– არა, ეს ისე ვთქვი, სიტუაციის განსამუხტავად, – მოუბოდიშა ძმამ, – ისე კი, მართლა ვფიქრობ, რომ შენი ასაკი ბარიერი სულაც არ არის. თანაც, რაღა დაგიმალო და, ამ ბოლო ხანებში შევამჩნიე, რომ მზიაც არ არის შენ მიმართ გულგრილი, რაღაც სხვანაირად გიყურებს ხოლმე.

– მართლა? არ მატყუებ? – გაუხარდა გიორგის.

– რატომ უნდა მოგატყუო? მაგრამ, მე სხვა რამ მაფიქრებს: მზიას რომც უყვარდე და ცოლად სიხარულით რომ გამოგყვეს, შენ გაწყობს... – დიმიტრის აშკარად მოერიდა წინადადების დასრულება და გაჩუმდა.

– დაასრულე, მე ახლა ჰაერივით მჭირდება შენი თითოეული სიტყვა, რჩევა თუ მოსაზრება. არ მოგერიდოს, მითხარი ყველაფერი, რასაც ფიქრობ, თუნდაც გეგონოს, რომ მეწყინება, – სთხოვა გიორგიმ.

– კარგი, მაშინ, გეტყვი ყველაფერს და მერე თვითონ გადაწყვიტე, როგორ მოიქცევი. მოსულა?

– მოსულა, – აღელვებით თქვა გიორგიმ, – რა მაწყობს?

– იქნებ, შენ, უბრალოდ, გაწყობს მზიასნაირი ცოლი, რადგან, კარგად მოგივლის, მყუდროებასა და კომფორტს შეგიქმნის და პრეტენზიებით არ შეგაწუხებს? თუ, მართლა გიყვარს, როგორც ქალი?

გიორგი ცოტა ხანს ჩაფიქრდა, მერე თავი ასწია და გულწრფელად უპასუხა:

– მე ასე მგონია, რომ სიყვარული ცოტა ეგოისტური გრძნობაა და, აქედან გამომდინარე, თავის თავში მოიცავს ყველაფერ იმას, რაც შენ ჩამოთვალე. ლოგიკურია, რომ, თუ საპირისპირო სქესის წარმომადგენელი არ იწვევს შენში სიმყუდროვის, დაცულობის, სიმშვიდის, კომფორტისა და სტაბილურობის შეგრძნებას, ის არ შეგიყვარდება და, მით უმეტეს, არ მოინდომებ მასთან ერთად მთელი დარჩენილი ცხოვრების გატარებას. მაგრამ, ამ ყველაფერთან ერთად, როცა მზია აქვეა, ჩემ გვერდით, მიჩნდება სურვილი (და ამ სურვილის შეგრძნებაც კი წარმოუდგენელ სიამოვნებასა და სიხარულს მანიჭებს), გავაკეთო მისთვის ყველაფერი, რაც გაახარებს, რაც თვალებში ვარსკვლავებს აუნთებს... მინდა, ყველა ის ნატვრა და ოცნება ავუსრულო, რაც მის გულში მხოლოდ ნატვრად და ოცნებად დარჩენილა; მინდა, ვიყო ის ადამიანი, ვისაც ენდობა, ვისი იმედიც ექნება ყველაფერში... მინდა, ჩემთან ბედნიერი იყოს და არასდროს ინანოს, რომ ცოლად გამომყვა, თუ, რა თქმა უნდა, გამომყვება...



გიორგი ისეთი ანთებული თვალებით ლაპარაკობდა, დიმიტრი მიხვდა, რომ მისი ძმა მართლაც ყურებამდე იყო შეყვარებული და კეთილი შურით შეშურდა, რაც არც დაუმალავს:

– მიხარია, ასეთს რომ გხედავ და, სიმართლე გითხრა, თეთრი შურით მშურს, რომ ამ ასაკშიც შეგძლებია ასეთი სიყვარული. ბედნიერი კაცი ხარ.

– ჰო, – ღიმილით დაეთანხმა გიორგი, – რუსებს კარგად აქვთ ნათქვამი – „ლიუბვი ვსე ვოზრასტი პოკორნი“...

– მაგაზე გალაკტიონმა თქვა უკეთესად: „მაგრამ სულ სხვაა სიყვარული უკანასკნელი, და ვით ყვავილი შემოდგომის, ხშირად პირველს სჯობს“...

– ჰო, მეც ასე მგონია; მგონია კი არა, დარწმუნებული ვარ, რომ ეს მართლაც ჩემი უკანასკნელი, მაგრამ, ყველაზე ძლიერი სიყვარულია, თუ არ ჩავთვლი ჩემი ცოლის სიყვარულს, მაგრამ, ის უკვე დიდი ხანია, ჩემთან აღარ არის, მე კი ცოცხალი, ჯანმრთელი და ჯერ კიდევ არც ისეთი ხნიერი მამაკაცი ვარ. ამიტომ, დარწმუნებული ვარ, რომ მისი სული არ მიწყენს.

– როდის აპირებ ხელის თხოვნას? – დაინტერესდა დიმიტრი.

– არ ვიცი... ალბათ, როცა შესაფერისი სიტუაცია შეიქმნება. არ მინდა, ბანალური ვიყო და, თან, იმისაც მეშინია, რომ არ დავაფრთხო.

– კიდევ ერთ შეკითხვას დაგისვამ და არ გეწყინოს. არ ვიცი, გიფიქრია თუ არა ამაზე... – დიმიტრი უხერხულად გაჩუმდა.

– თუ ამბობ, თქვი, ნერვებს ნუ მიშლი! – გაბრაზდა გიორგი, – რაზე არ მიფიქრია?

– რაზე და, მოდი, სიმართლეს თვალებში შევხედოთ: მზია ძალიან კარგი ადამიანია, კარგი ექთანი, კარგი დიასახლისი, საკმაოდ გონიერი, ვერც უწიგნურობას დააბრალებ და, პრინციპში, გარეგნობითაც არ არის ურიგო, მაგრამ, ამ ყველაფრის მიუხედავად, მაინც უბრალო გოგოა, სოფელში გაზრდილი, თანაც, დედინაცვლის ხელში...

– მერე რა? – ისევ გაბრაზდა გიორგი, – მაგით რისი თქმა გინდა?

– რისი და, შენ და მზია აბსოლუტურად სხვადასხვა წრის შვილები ხართ. როგორ ფიქრობ, მოერგება მზიას ტიპაჟი შენს წრეს, იმ საზოგადოებას, რომელშიც შენ ტრიალებ? მისი ასეთი განსხვავებულობა რამე უხერხულობას არ შეგიქმნის?

– მაგაზე აქამდე არ მიფიქრია, მაგრამ, ახლა ვიფიქრე და თამამად გეტყვი, რომ მზია ძალიან მალე აითვისებს ეგრეთ წოდებული მაღალი საზოგადოების წესებს და, თავისი პიროვნული თვისებების წყალობით, ამ საზოგადოების სული და გული გახდება. მე ამაში დარწმუნებული ვარ, რადგან, ამ გოგოს აქვს თანდაყოლილი ინტელექტი, ნიჭი, გონიერება და ბუნებრიობა, ეს ყველაფერი ერთად კი საკმაოდ ბევრია იმისთვის, რომ, იმაში, რაც მე ვთქვი, ეჭვი შეგეპაროს...

დიმიტრის უნდოდა, პატარა კომენტარი გაეკეთებინა ძმის სიტყვებზე, მაგრამ, უცებ კარის გაჩხაკუნების ხმა გაიგო და თემა შეცვალა:

– მე მზიას ახალი სახელი გამოვუგონე და ამის შემდეგ ყოველთვის ასე მივმართავ ხოლმე.

– რა სახელი? – ღიმილით ჰკითხა უკვე ოთახში შემოსულმა გოგომ.

– მარპლმზი, – ამაყად გამოაცხადა დიმიტრიმ, – ხომ მაგარია?

მზიამ მოწონების ნიშნად გულიანად გადაიკისკისა, გიორგი კი უცებ ვერ მიხვდა და იკითხა:

– ეგ რას ნიშნავს?

– მარპლი პლუს მზია, – სიცილით აუხსნა ექთანმა, – მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა ვაღიარო, რომ ვერ გავამართლე ჩემი ახალი სახელი.

– რატომ, ვერაფერი გაიგე? – უცბად შეეცვალა ხასიათი დიმიტრის.

– პირიქით, – დაამშვიდა გოგომ, – ყველაფერი გავიგე და დავადგინე, მაგრამ, არა ჩემი მოხერხებულობისა და ორიგინალური მეთოდების, არამედ, მისი უდიდებულესობა შემთხვევის წყალობით... – და მზიამ ყველაფერი უამბო, ნანიტასა და გუგას პაემნის გარდა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**


## მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

**599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი**

# როცა ქალს უყვარს...

თავიდანვე გადაწყვიტა: პაემანი შედგებოდა პაბში.. შეიძლება იმიტომ, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი პაემანი, ლუდის მაგივრად დალევდა ყავას – კაპუჩინოს ან ლატეს, თუნდაც ფრაპეს, უსიამოვნო გემოთი, სამაგიეროდ – იდუმალი, თითქოს ზღაპრული სახელწოდებით... მისი ცხოვრებაც ხომ ცოტათი ზღაპარს ჰგავდა... სარკეში ჩაიხედა და არ მოეწონა საკუთარი გამოსახულება – ხელოვნური იყო, ნაძალადევი ღიმილითა და დაძაბული მზერით. იჯდა და მოსწავლესავით ხელები მუხლებზე ჰქონდა დაწყობილი... „უნდა დავმშვიდდე, ასე არაფერი გამოვა. სრული მობილიზება მჭირდება და ცივი გონება... ეს არც ისე რთული მისაღწევია, თუკი საკუთარი თავის ხელში აყვანას მოვახერხებ. პრინციპში, განსაკუთრებულიც ხომ არაფერი ხდება...“ – ისევ ჩაიხედა სარკეში და თვალებში ჩახედა თავის ანარეკლს... ეს დღე, ალბათ, უნდა დაემახსოვრებინა – ამ დღეს სერიოზული გარდატეხა უნდა შეეტანა მის ცხოვრებაში... კიდევ ბევრი ადამიანის ცხოვრებაში, მაგრამ დეა მათზე ნაკლებად ფიქრობდა. უფრო სწორად, ისე სერიოზულად არ ფიქრობდა და, ბუნებრივია, არც დარდობდა... მისთვის მიზანი გახლდა მთავარი, აი, ისე, გიჟი რომ ამოიჩემებს რაღაცას და აღარ ეშვება...

დეამ თმა გაიშალა და ხელისგულებით მუქ ოქროსფერ ტევრს მოეფერა. ლამაზი თითები ჰქონდა, გრძელი და, თითქოს სანთლისგან გამოთლილი... თითებით დედას ჰგავდა, რომელსაც თავისი არისტოკრატიული წარმომავლობის დასადასტურებლად, ყოველთვის ნატიფი ხელებით მოჰქონდა თავი... მუქი ჟაობისფერი თვალები, ფერს რომ დეას განწყობის მიხედვით იცვლიდა,



უფრო მამის ჰქონდა... საკუთარი თავის „ნაწილებად“ დაშლა და მერე ამ ნაწილების დედის ან მამისთვის მიკუთვნება უყვარდა.

შაბათი, სამი საათი. პატარა ირლანდიური პაბი... სწორედ იქ უნდა გაეცნო სანდრო. ასე მოხდა. ასე გამოვიდა... შეხვედრა დიდი ხანია, უნდოდა. ბევრი იწვალა, რომ ამ პაბამდე მისულიყო. იცდიდა და ინფორმაციას აგროვებდა. იმედი არ დაუკარგავს, რომ შეხვედრა შედგებოდა და ზუსტად ისე დასრულდებოდა, როგორც მან ჩაიფიქრა. ისევ შემთხვევა დაეხმარა... ფანჯრიდან კარგად ჩანდა წყალნარევი თოვლით დასველებული ქვაფენილი. სვამდა ყავას უსიამოვნო გემოთი და იცდიდა... ორნი შემოვიდნენ და მის მოპირდაპირედ დასხდნენ. თვითონ ისევ მარტო იყო. ძალიან ნელა, ცოტათი ზიზღითაც წრუპავდა უკვე გაცივებულ ყავას... ერთბაშად გონებაში გაუელვა აზრმა, რომ, შეიძლება, ყველაფერი წყალში ჩაყრილიყო და ათვლის ისარიც ნულს ქვემოთ ჩამოსულიყო, თუკი ბიჭს ის არ მოეწონებოდა. რატომ არ შეიძლებოდა, ასე მომხდარიყო? რატომღაც, ამაზე არ უფიქრია... ლამაზი იყო, მაგრამ, სილამაზე ხომ ფარდობითი ცნებაა – არ არის კონკრეტული და ჩარჩოთი შემოსაზღვრული, რომ ეს ლამაზია და აუცილებლად უნდა მოგეწონოს...

– დავიგვიანე? უნდა მაპატიო. კინაღამ დამავიწყდა, – აქოშინებულმა გოგომ ჩანთა მაგიდაზე დააგდო და დეას ლოყაზე აკოცა, – აბა, რას შვები? უკვე გამოჩნდა?

– ქართულად ნუ დამელაპარაკები, – წარბი შეიკრა დეამ და მზერა მეზობელი მაგიდისკენ გააპარა.

– რატომ? უი, აქვე ყოფილა! კარგი, მხოლოდ ინგლისურად დაგელაპარაკები, ირლანდიური აქცენტით. ხომ გეუბნებოდი, აქ დადის-მეთქი, რომ არ მიჯერებდი.

– რა ვქნა, ასეთი ხასიათი მაქვს. ძნელად ვენდობი ადამიანებს და ეს ჩემი ბრალი არ არის. არ უნდა გეწყინოს.

– ჰოდა, არც მწყინს – ლამაზი მხრები აიჩეჩა გოგომ, – არც იმას გეკითხები, მაინცდამაინც ამ ბიჭზე რატომ გადაირიე, როცა უამრავი თაყვანისმცემელი გყავს მსოფლიოს ყველა კონტინენტიდან... იმიტომ, რომ ქართველია?

– ჰო, – მოკლედ მიუგო დეამ, – გაკმაყოფილებს პასუხი?

– არა, მაგრამ, აღარ ჩავუღრმავდები, – აკისკისდა დეას მეგობარი. მისმა წკრიალა, ცოტათი ვნებიანმა სიცილმა ბიჭები მათი მაგიდისკენ მოახედა.

– ასე ხმამაღლა ნუ იცინი, – შენიშვნა მისცა დეამ.

– პირიქით, ჩვენ მათი ყურადღების მიქცევა გვჭირდება. ნახე, როგორ გამოცოცხლდნენ? მალე მოვლენ და ჩვენს გაცნობას მოინდომებენ, დარწმუნებული იყავი...

სანდრომ ლუდი მოსვა და შეფარვით გაიხედა გოგონებისკენ.

– მოგეწონა? მაგარი ვინმეები არიან, – უთხრა მეგობარმა, რომელსაც მხედველობიდან არ გამორჩენია ბიჭში მომხდარი ცვლილება, – ორივე კარგია, მაგრამ ის ერთი – განსაკუთრებით.

– რომელი? – სანდრო მზერას არ აშორებდა დეას.

– ოქროსფერთმიანი. ნეტა, ბუნებრივად ასეთი თმა აქვს თუ იღებავს? თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, ძალიან ლამაზია.

– ნეტავი, ვინ არის?

– რა გითხრა. აქ ადრე არასდროს მინახავს. ისე, მუდმივ კლიენტს ჰგავს. ნახე, ლუდსაც კი არ სვამს, ყავის ფინჯანი უდგას წინ. თუ გინდა, ბარმენს ვკითხავ.

– ბარმენს ჰკითხავ და შეყარე ქვეყანა. არ არის საჭირო, ასე ძალიანაც არ გადავრეულვარ.

– ჰო?! გეტყობა. უცნაური ხალხი ხართ ქართველები. გოგო მოგეწონა და დაკომპლექსდი. რა პრობლემაა მისი გაცნობა?

– ვინ გითხრა, რომ დავკომპლექსდი, რანაირი ლაპარაკი იცი ხოლმე. რომ მომეწონა, იმას არ ნიშნავს, მივიდე და დავაცხრე. იქნებ, მარტო უნდათ ყოფნა.

– მისი დაქალი ისე კისკისებს, მარტო ყოფნა აშკარად არ უნდა.

– გამოუსწორებელი ხარ, მისტერ ტომას. აღარაფერი გეშველება.

– მაგაში გეთანხმები, – ამოიოხრა ტომმა, – მიყვარს ლამაზი ქმნილებები და არც შენ ხარ მათ მიმართ გულგრილი. სილვია გაგახსენო?

– არა. სილვიასთან სერიოზული არაფერი მქონია.

– ამას მე მეუბნები? ცოლად მოგყავდა.

– იმ დღეს მთვრალი ვიყავი. მე ცოლად მხოლოდ ქართველს შევირთავ.

– ჰო, ჰო, ვიცი. ასეთია თქვენი ტრადიცია. აი, მე კი მსოფლიოს მოქალაქე ვარ. ჩემთვის ქალის ეროვნებას მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, დიდი მკერდი და გრძელი ფეხები ჰქონდეს. ირლანდიელებს ჯიშიანი ქალები მოგვწონს, – ახითხითდა ტომი, – მოდი, გავიცნოთ... თუ გერიდება, მე მივალ. იქნებ იმათაც მოვეწონოთ, შანსი რატომ უნდა გავუშვათ ხელიდან? მით უმეტეს, როგორც ამბობ, სილვიასთანაც აღარაფერი გქონია.

– მე არ მითქვამს აღარაფერი მაქვს-მეთქი, მაგრამ ეს სერიოზული ურთიერთობა არ არის.

ტომმა მხრები აიჩეჩა:

– მოკლედ, როგორც გინდა, მე უნდა მივიდე.

– აბა, შენ იცი, – ყასიდად გაამხნევა სანდრომ, – როგორ გგონია, აქაურები არიან?

– ეე, შენ სხვა რამე იკითხე, მაგას რა მნიშვნელობა აქვს... – ტომი ადგა, ბართან მივიდა, ორი ბოთლი ლუდი თითებს შორის ამოიჩარა და გოგონების მაგიდისკენ დაიძრა. სანდრო უხმოდ ადევნებდა თვალს...

ლინამ გაიცინა და დეას თვალი ჩაუკრა.

– აჰა, რას გეუბნებოდი... მისი მეგობა-



რი უკვე წამოეგო ანკესზე. რა ვქნათ, მივიღოთ გამოწვევა?

– თუ მთავარ დარტყმას შენს თავზე აიღებ, მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, – თქვა დეამ და ყავა მოსვა.

– მოეშვი მაგ ცივ ყავას. მგონი, ლუდზე გვეპატიჟებიან. ისე, მაგარი ვინმე ხარ. დაგავიწყდა, აქ შენ გამო რომ ვარ? ყველაზე მექალთანეს რომ უგდებ ჩემს თავს ხახაში.

– იცნობ? – გაუკვირდა დეას, – არ ვიცოდი.

– ჰო, შორიდან ვიცნობ. დონჟუანის სახელი აქვს უნივერსიტეტში. საერთო ნაცნობებიც გვყავს. აბა, შენს სანდროზე როგორ გავედი?

– „ჩემი სანდრო“ ძალიან ხმამაღალი ნათქვამია, – აიმრიზა დეა, – ნაჩქარევ დასკვნებს ნუ გააკეთებ.

– რა ვიცი, ორი თვეა, მარტო მასზე ლაპარაკობ. მოგიწყვე შეხვედრა და ახლა ინაზები. უცნაური გოგო ხარ. მაგრამ მე მაინც მიყვარხარ. რაღაცნაირი, იდუმალებით სავსე ხარ.

– ჰო, მაქვს ჩემი პატარა საიდუმლო, – ჩაეცინა დეას.

– აბა, მოვიდა... ვიღიმებით და ცოტათი ვინაზებით...

ტომი მაგიდას მიუახლოვდა, ლამის ყურებამდე გაღიმებული თეთრი კბილები უელავდა და ცდილობდა, თავაზიანი ყოფილიყო.

– მე და ჩემს მეგობარს, რომელსაც ისტორიული სახელი – ალექსანდრე ჰქვია, სურვილი გვაქვს, ლუდზე დაგპატიჟოთ. თუ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, თქვენს მაგიდასთან გადმოვსხდებით... ოჰ, უკაცრავად, თავი არ წარმიდგენია – ტომასი ვარ. არ მიყვარს ზედმეტი ფამილარობა და პირდაპირ ასე მომმართეთ...

რამდენიმე წუთს სრული სიჩუმე გამეფდა. გოგოებიდან არც ერთს არ ამოუღია ხმა. ნირწამხდარმა ტომმა, რომელმაც მათი დუმილი უარყოფითად მიიღო, ბოთლები მაგიდაზე დადგა, ამოიოხრა და წასასვლელად შებრუნდა.

– დაბრძანდით, – თქვა უცებ დეამ, – ეს ლინაა. მოიყვანეთ თქვენი მეგობარიც...

ტომს სახე გაუნათდა:

– ვიცოდი, რომ თქვენზე შთაბეჭდილების მოხდენას შევძლებდი, – ახლავე გეტყვით: ძალიან ლამაზები ხართ და გული დამწყდებოდა, უარით რომ გაგესტუმრებინეთ.

– მართლა? შესაშური გულახდილობაა. მომწონს ბიჭები, რომლებიც არ თამაშობენ და სათქმელს პირდაპირ ამბობენ.

– ჰო, თამაში რა საჭიროა?! – ღიმილად დადნა ტომი, – სხვათა შორის, ჩემი მეგობარი ქართველია. თუმცა, ახლავე მოვიყვან და თვითონ გაგეცნობათ... არ იცით საქართველო? არც გაგიგიათ?ოო, ალექსანდრე ნამდვილი რაინდია, რაინდთა ქვეყნიდან. სანდრო, მოდი ჩვენთან, გოგონებს შენი გაცნობა უნდათ...

სანდრომ ფეხი აითრია. აყოვნებდა მისვლას. ასეთი რამ ადრე არასდროს დამართნია. ტომი მართალი იყო, როცა ამბობდა, გოგო მოგეწონა და დაკომპლექსდიო... ქალთან როგორ არ ჰქონია ურთიერთობა, სილვია, საერთოდაც, გერლფრენდი იყო მისი, მაგრამ ახლა რაღაც უცნაური სჭირდა. ფეხებზე თითქოს უჩინარი, მძიმე გირები ჩამოჰკიდეს და ნაბიჯის გადადგმა უჭირდა. გული გამალებით უცემდა და თითქოს სუნთქვაც გაუჭირდა... ხედავდა მხოლოდ დეას თვალებს, უჩვეულოდ ღრმასა და მომნუსხველს...

– დაბრძანდით, – შესთავაზა ლინამ და სანდრო მხოლოდ მაშინღა გამოერკვა. მექანიკურად დაჯდა და დეას მიაჩერდა.

– ეჰა! – თქვა ტომმა სიცილით, – მგონი, ცუდად არის ალექსანდრეს საქმე. შენმა მეგობარმა მას ჯადო გაუკეთა. ნახე? თვალს ველარ აშორებს.

– ჰო, ჩვენი დეა ცოტათი ნამდვილად ჯადოქარია. გახსენი, ტომ, ლუდი, რისთვის მოიტანეთ?

ტომმა ბოთლები გახსნა და ფრთხილად ჩამოასხა კათხებში.

– დეა ინგლისური სახელია? – მოულოდნელად ფიქრიანად იკითხა სანდრომ და გოგოს ჯიქურ მიაშტერდა. დეამ თამამად შეხედა თვალებში და ბიჭმა ისევ იგრძნო მუხლებში სისუსტე...

– დიანა მქვია... – წყნარად თქვა გოგომ უაქცენტო ინგლისურით, – დეას ლინა და უახლოესი მეგობრები მეძახიან. ოჯახის წევრებიც... თქვენ ალექსანდრე ხართ? ბერძენი? – მიამიტად გაუღიმა და ლუდი მოწრუპა.

– არა, ბერძენი არა ვარ, ქართველი ვარ, – დაბნეულმა ჩაილაპარაკა სანდრომ და პატარა ბავშვივით გაწითლდა.

– ალექსანდრე მაკედონელის პატივსაცემად დაგარქვეს სახელი თუ რომელიმე სახელგანთქმული წინაპრის? – ჩააცივდა გოგო.

– მგონი, მართლა ჯადოს გიკეთებს და ფრთხილად იყავი, – გადაიხარხარა ტომმა და ერთბაშად გაშინაურდა, – გოგოებო, სადმე უფრო ხმაურიან ადგილას ხომ არ წავიდეთ და გავერთოთ? ცეკვაზე რას იტყვით? შეგვიძლია, ლუდიც რამე უფრო მაგარი სასმელით ჩავანაცვლოთ.

ლინამ დეას შეხედა. ეტყობოდა, საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა და მხოლოდ მის გადაწყვეტილებას ელოდა. დეამ თავის ლამაზ თითებს დახედა და ცოტა მკაცრად თქვა:

– ლინა, დღეს ჩვენ სხვა გეგმები გვქონდა. ასე არ არის?

– ჰო, გამახსენდა... სამწუხაროდ, მნიშვნელოვანი საქმე გვაქვს.

– არა უშავს, ხვალ შევხვდეთ, – არ დაიბნა ტომი, – ტელეფონის ნომერი მომეცით და დაგირეკავთ.

– კარგი, – მხრები აიჩეჩა ლინამ, – ისე, ჩვენ იმავე უნივერსიტეტში ვსწავლობთ, რომელშიც თქვენ, უფრო სწორად, მე ვსწავლობ. დეა, ანუ დიანა, ჩემთან სტუმრად არის ჩამოსული..

– ესე იგი, მალე დაგვტოვებთ? – სანდრომ უჩვეულოდ მოიწყინა.

– ჰო. თუმცა, ჯერ არ ვიცი, ლონდონში როდის დავბრუნდები. მომწონს ირლანდია, – გაუღიმა დეამ, – გმადლობთ ლუდისთვის... ლინა, წავიდეთ...

მარტოდ დარჩენილმა სანდრომ კათხაში ჩარჩენილი ლუდი გამოცალა და ბარმენს კიდევ სთხოვა ერთი ბოთლი.

– შენ უკვე ხომ არ შეგიყვარდა ეგ დეა? – დაეჭვებით ჰკითხა ტომმა.

სანდრომ ხელი აუქნია:

– საიდან მოიტანე, ლუდი რომ მინდა კიდევ?!

– არა, ლუდი არაფერ შუაშია. შენს თავს არ ჰგავხარ. არ მომწონს ეს ამბავი. არც ეგ დაიანა მომეწონა... უცნაური მზერა აქვს, თითქოს სულში გიძვრება და გაშიშვლებს.

– ჰმ, გამომიხვედი შენც ქალების ფსიქოლოგიის მცოდნე – დასცინა სანდრომ.

– ქალების ფსიქოლოგიაზე თავს არ ვდებ, მაგრამ, ეგ გოგო უნიცაური ვინმე ჩანს, გეუბნები... ის ლინა უფრო თავისუფალია და მარტივი.

– რატომ? გგონია, მარტივად ჩაგიწვება ლოგინში? რა ვიცი, ენაჩავარდნილივით კი მიშტერებოდი დიანას..

– არ უარვყოფ, მართლა ძალიან ლამაზია. მაგაზე ლამაზებიც მინახავს, მაგრამ რაღაც აქვს ისეთი... როგორ გითხრა...

– ანუ, რა გინდა ჩემგან? სხვათა შორის, შენ გადაეკიდე და საცეკვაოდ ეპატიჟებოდი. ტელეფონის ნომერიც გამოართვი იმ ლინას... მე არ გამომიჩენია ინიციატივა.

– ჰო. ლინა სხვა თემაა, აკი გითხარი... დაიხსომე ჩემი სიტყვა... არ მომწონხარ, ალექსანდრ... – თითი გამაფრთხილებლად დაუქნია შეფიქრიანებულმა ტომმა.

სანდრომ გაიცინა...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**ავტორიზებული თბილისის ტურიზმის აკადემია**

აგრძელებს მიღებას გიდის; ინტერნეტტექნოლოგის (კომპიუტერი); კორესპონდენტისა და მუსიკოს–რეპეტიტორის პროგრამებზე.

დიპლომი სახელმწიფოა, სწავლის ღირებულება ხელმისაწვდომი.

**მისამართი: კოსტავას N 47 (ფილარმონიასთან)**
**ტელ.:2936603; 599188924; 2935430; 2999626.**

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. ფოთლის ფორმით დაიწყეთ მელაფილმის გმირის ხატვა

2. მიახატეთ თვალები

3. დაასრულეთ თავის ხატვა

4. მიახატეთ ხელებიც

5. შემდეგ – ტანი და კუდი

6. ფეხებიც აქ დაგავიწყდეთ

7. გააფერადეთ



თაბუკაშვილის №36
ტელ.: 272 9191
ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია

# იპოვეთ 10 განსხვავება





## იპოვე შესაბამისი ჩრდილები



## დაეხმარე გზის გაკვლევაში



# ყვავი და მელა

## (იგავ-არაკი)

ერთხელ ყვავმა ხორცის ნაჭერი იშოვა და ხის ტოტზე შემოჯდა. ეს რომ მელამ დაინახა, იფიქრა, ხორცის ნაჭერს ხელში ჩავიგდებო და ყვავს ქება დაუწყო:

– რა ლამაზი ხარ, ფრინველთ მეფობა ყველაზე მეტად შენ დაგმშვენდებოდა, იმ დალოცვილ ღმერთს შენთვის ხმაც რომ მოეცაო!

ყვავმა შეიფერა, პირი დააღო, დაიჩხავლა და ხორცის ნაჭერი გაუვარდა. მელამ მიირბინა და ყვავს უთხრა:

– ჩემო ყვანჩალა, ღმერთს რომ შენთვის ჭკუაც მოემადლებინა, მაშინ მეფობაში ხელს აღარაფერი შეგიშლიდაო.

შეგონება: მლიქვნელის ქებამ კაცი არ უნდა გაადიდგულოს.

## რიცხვრებუსი

, 6, , ,   , , 3,  10, ,   , 2



# ქურდული ცხოვრება

**დასასრული. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-26(705)**

– კაროჩე, ქუჩაში ერთი კაცი გავფცქვენი და გულის შიდა ჯიბიდან პატარა ხვეული ამოვულე. სახლში რომ მივედი და გავხსენი, იქ მხოლოდ ფურცლები იდო და რაღაცეები ეწერა. არც კი წამიკითხავს, ისე მოვისროლე მტკვარში. ორი დღე რომ გავიდა, ეს ამბავი აღარც კი მახსოვდა და, „ძაღლებმა“ არ ამაგდეს?!

– რა გინდათ, რას მერჩით? – ვკითხე მე. ერთ-ერთმა ყურის ძირში წამომარტყა და მითხრა:

– საიდუმლო პაკეტი რომ მოჰპარე ჩვენს კურიერს, სად წაიღე?

– რა საიდუმლო პაკეტი, უფროსო, რაღაც გეშლებათ-მეთქი. მან ისევ წამომარტყა, მერე კი ვიღაც კაცი შემოიყვანეს, რომელმაც თქვა, ამან მომპარაო. ერთი სიტყვით, კობრა, თურმე, შინაგან საქმეთა სამინისტროს წინ მილიციის კურიერისთვის საიდუმლო პაკეტი მომიპარავს.

ხვლიკას სიტყვებზე ავხარხარდი. როცა დავმშვიდდი, ვუთხარი:

– მოკლედ, ასეთ რამეებს ვერ გასცდი. მერე?

– მერე მითხრეს, თუ პაკეტს არ გამოაჩენ, ჯერ გაწამებთ, მერე კი დაგვხრეტთო. რა უნდა მექნა? ვუთხარი, გამოვაჩენ, მაგრამ, ისეთ ადგილზეა, თქვენ ვერ მიაგნებთ და მე უნდა წამიყვანოთ-მეთქი. მოკლედ, მთაწმინდაზე, ჩემს ერთ ძველ სამალავში მივიყვანე „ძაღლები“. სამალავი იტალიური ეზოს სამსართულიანი სახლის სხვენში იყო. ხელბორკილები მომხსნეს და გადამალული ტავარის ამოღება დავიწყე. იქვე ერთი „სკვაზნოი“ (სათადარიგო გასასვლელი) მქონდა შენიღბული, უცებ ჩავძვერი და მოვუტყდი. იმავე დღეს გავედი ქალაქიდან და, ჯერ ერევანში წავედი, იქიდან კი მოსკოვში გამოვემგზავრე. აქ ანუშკა შემხვდა, შემიფარა და მოსკოვში დავიწყე ჩალიჩი.

– გეუბნებოდა აფერისტა, ტუფტაზე ნუ იპარავო და არ უჯერებდი, – ვუთხარი ბიჭს.

– ეჰ, გარდაიცვალა ცხონებული. დაიძინა და აღარ გაუღვიძია, – სინანულით თქვა ხვლიკამ და აფერისტას შესანდობარი შევსვით.

მოუხელთებელი ხვლიკა მაინც დაიჭირეს მოსკოვში. როგორც მერე გავიგე, თურმე „მურს“ აუგდია და ჯიბგირისთვის უჩვეულო სროკი – თორმეტი წელი მიუციათ. მაგრამ ხვლიკა რა ხვლიკა იქნებოდა რამე არაორდინარული რომ არ ექნა. ექვსთვიანი პატიმრობის შემდეგ ის ზონიდან გაქცეულა – როგორღაც მოუხერხებია, სანაგვე მანქანის კონტეინერში ჩამძვრალა და გაპარულა. დღესდღეობით ხვლიკა უცხოეთში ცხოვრობს და რაღაც პატარა ბიზნესი ჰქონია. უდავოდ ნიჭიერი ადამიანია, თანაც, ძალიან მოხერხებული და თავის გატანა ნამდვილად არ გაუჭირდებოდა.



ნიჭიერი და მოხერხებული ადამიანების ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდის პრისტუპნი მირი და თითოეული მათგანი არაორდინარული და თავის საქმეში გამოჩენილი პიროვნებაა. ჩემი ცხოვრების განმავლობაში არაერთ ასეთ ადამიანს შევხვედრივარ და მათთან ურთიერთობა ყოველთვის დიდ სიამოვნებას მანიჭებდა ხოლმე. ბუტირკის ციხეში ერთი კაცი გავიცანი, მეტსახელად „ხუდოჟნიკა“. რვაწლიანი სროკი იმის გამო აჰკიდეს, რომ თიხისგან შიშველი ლენინის ქანდაკება გააკეთა, რომელიც კედელთან შარდავდა... ხუდოჟნიკა თვითნასწავლი ხელოვანი იყო და ძერწვაც ეხერხებოდა და ხატვაც. ჩვენი საკანი ისე ჰქონდა მოხატული, ერმიტაჟი გეგონებოდათ. კედლებზე ცნობილი მხატვრების შედევრები იყო გამოსახული, რომლებიც მას ზეპირად ჰქონდა შესრულებული და ცარცებით ხატავდა. პურისგან კი პატარ-პატარა ქანდაკებებს აკეთებდა. ერთხელ, ცნობილ ბანდიტს, ბანკების მძარცველ რომან ხალუსს, რომელიც თხუთმეტწლიან სროკს ბუტირკაში იხდიდა, მისივე თხოვნით, პურისგან კალაშნიკოვის ავტომატი და ორი ცალი „ლიმონკა“ გაუკეთა. შემდეგ ისინი ცარცებით შეღება და, რომ ვნახეთ, ნამდვილები გვეგონა. სწორედ ხუდოჟნიკას იარაღებით განახორციელა ხალუსმა ცნობილი გაქცევა ბუტირკის ციხიდან. მან ჯერ ნადზორები შეაყენა და მათ ნამდვილი იარაღები აართვა, შემდეგ კი ციხის უფროსი აიყვანა მძევლად და ამგვარად გავიდა სვაბოდაზე. ამის გამო ხუდოჟნიკა ხელახლა გაასამართლეს და კიდევ ხუთი წელი დაუმატეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ზონაში გარდაიცვალა... ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი ასეთი ტალანტი დაიღუპა პატიმრობაში და, რომ არა ტრაგიკული გარემოებები, ნებისმიერ მათგანს შეეძლო, სახელოვანი ადამიანი გამოსულიყო. ხდება ხოლმე პირიქითაც და ყოფილა შემთხვევები, როცა ციხეში ახალგაზრდა, ყოვლად გამოუცდელი ადამიანი შესულა და, იქიდან რომ გათავისუფლებულა, საქვეყნოდ აღიარებული და დაფასებული პიროვნება გამხდარა. ერთ ძალიან ცნობილ ადამიანს, რომელსაც პირობითად თემურს ვუწოდებ, სწორედ ასე დაემართა. მას პირადად ვიცნობდი და ჩვენი ნაცნობობა სწორედ ციხეში შედგა. ის ძალიან გონებამახვილი, უნიჭიერესი ადამიანი იყო და დღეს მთელ მსოფლიოში იცნობენ. ჩვენს საკანში რომ მოიყვანეს და გაგვეცნო, ვკითხეთ:

– თემურ, ძმაო, რაზე ზიხარ?

– ტყუილა, – თქვა თემურმა.

– ეგ როგორ, არაფერი დაგიშავებია?

– არაფერი.

– აბა, რატომ დაგიჭირეს?

– უნივერსიტეტში მეჩქარებოდა და ქუჩაში ერთი „პობედა“ იდგა, მასში კი მძღოლი იჯდა. მივედი და ვთხოვე, უნივერსიტეტში წამიყვანე-მეთქი. დაჯექიო. ქუჩაში „გაი“ აგვეკიდა და გვიყვიროდნენ, გააჩერეთო. მძღოლმა კი სიჩქარეს მოუმატა, შემდეგ ერთ ჩიხში გააჩერა, გადმოხტა და გაიქცა. შიშისგან მეც გავიქეცი, მაგრამ, ფეხი გადამიბრუნდა, წავიქეცი და დამიჭირეს. მაბრალებენ, მანქანა მოიპარეო და არ სჯერათ ჩემი – თუ დამნაშავე არ ხარ, რატომ გაიქეციო.

თემური რომ სიმართლეს ამბობდა, მაშინვე მივხვდით და ვუთხარი:

– ტუფტაზე დაუჭერიხარ. რომ არ გაქცეულიყავი, მაინც დაგიჭერდნენ. რამდენი მოგისაჯეს?

– ოთხი წელი.

– ძალიან ცუდია, – თანავუგრძნე მე, – ოთხი წელი ტყუილა უნდა დაკარგო.

– ტყუილა რატომ, დავწერ, – მითხრა თემურმა.

– წერილებს?

– წერილებსაც და ლექსებსაც.

– ლექსებს წერ?

– კი, – მიპასუხა თემურმა და ერთი ლექსი წაგვიკითხა, რომელიც ყველას მოგვეწონა.

თავისი უშუალობისა და პატიოსნების გამო, თემური ძმად მივიღეთ, მაგრამ, ჩვენს წრეში შემოსვლა და მისი გაპრისტუპნიკება არც კი გვიცდია. ბიჭს წერის ნიჭი ჰქონდა და ეტყობოდა, რომ სახელოვანი კაცი გამოვიდოდა. ციხეში თემურმა ბევრი კარგი რამ დაწერა და კიდევ უფრო მეტი იდეა მოუვიდა თავში, რომლებიც შემდგომ განახორციელა კიდეც. სწორედ ამ განხორციელებულმა იდეებმა მოუტანა მას შემდგომში მსოფლიო აღიარება. ეს ბიჭი საოცრად ნიჭიერი იყო და ისე საინტერესოდ ყვებოდა ყველაზე უმნიშვნელო ამბავსაც კი, რომ სმენად იყავი ქცეული. ერთხელ ციხის უფროსმა ყველა არხი გადაგვიკეტა და ციხეში არაფერი შემოდიოდა. ბალანდაზე დაგვსვეს, არც სიგარეტი გვქონდა, არც ჩაი და არც სხვა საჭირო და პატიმრისთვის აუცილებელი ჩვეული რამ. ციხის უფროსი ახალი დანიშნული იყო, ფულის შოვნა უნდოდა და არხები ამიტომ გადაგვიკეტა.

– ვაჰ, მაგის დედა... – იგინებოდა ჭიპია, – ეს რა ხისთავა და ნაბოზარი ვინმეა, გალიაკზე არ დაგვსვა ეს ამდენი ხალხი?!

ერთი სიტყვით, ქურდები საგონებელში ვიყავით ჩავარდნილები. ფულის მიცემა კი იმიტომ არ გვინდოდა ახალგამოჩეკილი ციხის უფროსისათვის, რომ თავს გავიდოდა, უფრო მეტად დაგვინაჟიმებდა, ეს კი ჩვენი სირცხვილი იყო.

– ციხე ქურდებისაა, ძმებო და, დროზე რამე თუ არ ვიჩალიჩეთ, ეს ბოზი უარეს დღეში ჩაგვყრის, – თქვა ჭიპიამ.

ვიფიქრეთ, ვიფიქრეთ და ბოლოს იმ აზრამდე მივედით, რომ ბუნტის გარეშე არაფერი გამოვიდოდა. ამიტომ, გადავწყვიტეთ, ოთხი ათასი პატიმარი აგვებუნტებინა და ისე გაგვეტანა ჩვენი. თემური ყურადღებით ისმენდა ჩვენს მსჯელობას და ხმას არ იღებდა. ბოლოს კი, როდესაც პატიმრების აბუნტების გადაწყვეტილება მივიღეთ, თემურმა გვითხრა:

– ძმებო! მე ვიცი, როგორ უნდა მოვაგვაროთ ეს პრობლემა.

– თემოჯან, ძმაო, – უთხრა ჭიპიამ თემურს, – ბაზარი არაა, ლექსების წერა გეხერხება, მაგრამ, ციხის ავან-ჩავანი შენ რა იცი?

– სწორედ ლექსებით გამოვა ეს საქმე.

– ეგ როგორ? – გაოცდა ჭიპია.

– აი, მომისმინეთ, ძმებო, – თქვა თემურმა და ციხის უფროსზე დაწერილი, რამდენიმე ძალიან ადვილად დასამახსოვრებელი და ძალიან მწარე, გარითმული წინადადება წაგვიკითხა, რაზეც მთელი საკანი ახარხარდა.

– მერე, რას აპირებ? – ჰკითხა ჭიპიამ.

– ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას, ჭიპიაჯან. მთავარია, ეს სტრიქონები ყველა პატიმარმა ისწავლოს ზეპირად და ერთ ხმაზე წარმოთქვას მუდმივად. ოთხი ათას კაცს ხომ არ დაგვსჯის ერთად. ჰოდა, ყელში რომ ამოუვა, უსტუპკებზეც წავა, – აგვიხსნა თემურმა.

– მერედა, ამ საქმიდან გამოვა რამე? – დაეჭვდა ჭიპია.

– დარწმუნებული ვარ, რომ გამოვა, – თქვა თემურმა.

ერთი სიტყვით, ერთი საათის შემდეგ მთელი ციხე უკვე ციხის უფროსზე გარითმულ პახაბნი ლექსს ამბობდა და ის კრეტინიც ერთ

საათში გატყდა, შუამავლები გამოგვიგზავნა და შეგვპირდა, რომ ჩვენს მოთხოვნებს შეასრულებდა. მართლაც, საღამოს ციხეში იმდენი გრევი შემოვიდა, სად რა წაგველო, არ ვიცოდით. ჭიპია თემურს გადაეხვია და უთხრა:

– საღოლ, ძმაო, გენიოსი ხარ. შენი ადგილი მწერალთა კავშირშია და არა ციხეში.

– აქ რა, ცუდი ხალხი ვართ? – გავეხუმრე ჩემს კოლეგას. მან კი მიპასუხა:

– ჩვენ სხვა მასტები ვართ, თემური კი სხვა მასტია. მისი ადგილი იქაა, მით უმეტეს, რომ ეს ბიჭი უდანაშაულოა.

თემურს გაუმართლა. „პობედის“ ნამდვილი ქურდი მილიციამ დაიჭირა და მან სიმართლე თქვა. ამიტომ, უდანაშაულო თემური პასუხისგებისგან გაათავისუფლეს და გაუშვეს. სვაბოდაზე რომ გადიოდა, ყველას გადაგვეხვია, მადლობა გადაგვიხადა. დამშვიდობებისას ვუთხარი:

– კარგად, თემურ! რა ტყუილად გამოგამწყვდიეს ამ ბოზებმა ექვსი თვით.

– სულაც არა, კობრა. ამ ექვს თვეში ძალიან ბევრი რამ ვისწავლე თქვენგან. თანაც, თქვენნაირი კარგი ხალხი გავიცანი და სულაც არ ვნანობ ამას.

– კარგად, თემო, მეტი აღარ მობრუნდე აქ. მშვიდობით, – უთხრა თემურს ჭიპიამ.

– მშვიდობით კი არა, ნახვამდის, ჭიპია, – ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს და ჩვენი ძმობა გაგრძელდება, – თქვა თემურმა და საკანი დატოვა.

თემურს არასოდეს გაუწყვეტია ჩვენთან კავშირი და ციხეში რეგულარულად გვიგზავნიდა გრევებს, სვაბოდაზე კი ხშირად ვხვდებოდით ხოლმე ერთმანეთს. თემურს არც მაშინ დავვიწყებივართ, როდესაც მას უკვე მსოფლიო იცნობდა და მისი წიგნები უზარმაზარი ტირაჟებით იბეჭდებოდა. დღეს ის ცოცხალი აღარაა. ხშირად ვიხსენებ და გული მწყდება, რომ ასე უდროოდ წავიდა ჩვენგან ეს ახალგაზრდა კაცი. მის დასაფლავებაზე იმ პერიოდში სვაბოდაზე მყოფი ქურდები ერთად შევიკრიბეთ, დიდი გვირგვინი მივიტანეთ და ფეხით გავყევით სასაფლაომდე. თემო დიდი ადამიანი იყო და დიდი სახელიც დატოვა...

ქურდებისა და ცნობილი ადამიანების ძმაკაცობა საკმაოდ ხშირი მოვლენაა და, თემურის არ იყოს, დღემდე მრავალ მათგანთან მაკავშირებს ახლო ურთიერთობები. ნამდვილი მეგობრობა უკვდავია და მას გაფრთხილება უნდა. მეგობარი და ძმაკაცი საიმედო ბურჯია და, როცა ასეთ განძს ფლობ, ცხოვრებაც ბევრად უფრო სასიამოვნოა. თვრამეტი წელი პატიმრობაში მაქვს გატარებული და, საიმედო მეგობრები რომ არ მყოლოდა, დღეს ჩემი დუხიც არ იქნებოდა. როგორც ადრე ვთქვი, თურმე, მთელი ეს წლები ხუჭუჭა ფარულად მფარველობდა და ახლა მივხვდი, რამდენჯერ დამეხმარა მისი უხილავი ძალა.

ჯერ კიდევ გაგანია კომუნიზმის ხანა იდგა. უკვე საქვეყნოდ ცნობილი ქურდი ვიყავი და მილიციას საგანგებო აღრიცხვაზე ვყავდი. საკმარისი იყო, დამეცემინებინა, რომ მთელი მილიცია ფეხზე იდგა. იმ პერიოდში მოსკოვში ერთ ქალთან ვცხოვრობდი და ერთ მსხვილ საქმეს ვამზადებდი. დღე-დღეზე უნდა გამეკეთებინა, მაგრამ, სწორედ იმ დროს ერთი ბოლოლა პარტიული ბოსის ბინა გაქურდეს და მილიციაც ამოძრავდა. „მურის“ მთელი პირადი შემადგენლობა ფეხზე იდგა და დამნაშავეებს ეძებდნენ. მართალია, მე ძებნილი არ ვიყავი, მაგრამ მილიციას მაინც ვერიდებოდი და ჩემი საცხოვრებლის მისამართი არავინ იცოდა. ერთ საღამოს ტელეფონმა დარეკა. ჩემმა ნაშამ ყურმილი აიღო და მცირე პაუზის შემდეგ მითხრა:

– კობრა, შენ გკითხულობენ.

ქალი საიმედო იყო და მასში ეჭვი არ მეპარებოდა, ამიტომ, ძალიან გამიკვირდა. ყურმილი გამოვართვი და ვუპასუხე:

– გისმენთ!

– დღესვე გაემგზავრე მოსკოვიდან! – მითხრა მამაკაცის უცნობმა ხმამ ქართულად.

– რომელი ხარ?

– ამას მნიშვნელობა არა აქვს. სასწრაფოდ დატოვე მოსკოვი და ერთი თვით მაინც სადმე, ფსკერზე დაწექი.

– რატომ, რამე დავაშავე?

– დააშავე.

– რა?

– ის, რომ ქურდი ხარ. ქურდებზე კი ახლა ნადირობაა გამოცხადებული მოსკოვში.

– მაინც, ვინ ხარ და როგორ მოგმართო?

– კობრა, ჭკვიან კაცად გიცნობ და რა დაგემართა? წადი, დაიმალე, თორემ, შეიძლება, ველარავინ გიშველოს.



უცნობის საქციელი პროვოკაციად ჩავთვალე, რისთვისაც არაერთხელ მიუმართავს მილიციას და ვუპასუხე:

– მე არაფერი დამიშავებია და, ვისაც უნდა, გადაამოწმოს. დასამალი არაფერი მაქვს.

– გასულელებულხარ, – მოკლედ მომიჭრა უცნობმა და ტელეფონი დაკიდა.

სულ რაღაც ნახევარ საათში „მურის“ ოპერები შემომივცვივდნენ და პოლკოვნიკმა სიომინმა, რომელიც ძალიან კარგად მიცნობდა, მითხრა:

– შენს ძებნაში ქანცი გამიწყდა. წავედით.

– დაისვენეთ, ვადიმ პეტროვიჩ, სული მოითქვით, – ვუთხარი პოლკოვნიკს, მან კი მომიგო:

– ქურდების ხელში დაისვენებ, როგორ არა... ჩაიცვი, წავედით.

– სად?

– რესტორან „არაგვში“, – ირონიულად მიპასუხა პოლკოვნიკმა.

– რაღა იქ, აქვე აღვნიშნოთ ჩვენი შეხვედრა.

– „მურში“ აღვნიშნავთ. წავედით.

– „მურში“ რა მინდა, რა დავაშავე?

– ამას იქ გავარკვევთ. აბა, წავედით!

პოლკოვნიკი სიომინი განყოფილების უფროსი იყო და რადგან ის მოვიდა ჩემს წასაყვანად, მივხვდი, რომ რაღაც სერიოზული მოხდა. მივხვდი იმასაც, რომ სატელეფონო საუბარი პროვოკაცია კი არა, მეგობრული დახმარება იყო, თუმცა აზრადაც არ მომსვლია, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო.

„მური“ სავსე იყო ჩემი კოლეგებით. ბოლო დაკავებული მე ვიყავი და პირადად სიომინმა დამკითხა.

– აბა, კობრა, ამოღერღე, სად გადამალე პატივცემული რაიკომის მდივნის ბინიდან წაღებული ნივთები? – რიხიანად მითხრა სიომინმა.

– ვადიმ პეტროვიჩ, იქნებ საქმის კურსში შემიყვანოთ, რა ხდება, რომ მცირე წარმოდგენა მაინც მქონდეს, – ვუთხარი პოლკოვნიკს.

– თავს ნუ ისულელებ და ამოღერღე, – კოპები შეკრა სიომინმა.

– ვინ-ვინ, მაგრამ, თქვენ მაინც კარგად იცით, რომ თავის გასულელება არ მჩვევია.

– ეგ ადრე იყო, მე კი დღევანდელი დღე მაწუხებს. გამოტყდი.

– ვადიმ პეტროვიჩ, დავუშვათ და დანაშაული ვაღიარე. როგორც ვატყობ, თქვენთვის მთავარია ნივთების დაბრუნება და საიდან მოგიტანოთ?

– კობრა, ნუ მაბოლებ!

– არ გაბოლებთ, სუფთა ვარ.

– შენ სულ ასეთი სუფთა ხარ, – სიტყვა გამაწყვეტინა გაოფლილმა პოლკოვნიკმა, – თითქმის თხუთმეტი წელია, გიცნობ და სულ ასეთი სუფთა ხარ, ფაქტით ერთხელაც არ დამიჭერიხარ.

– იმიტომ, რომ მოსკოვში არ ვმუშაობ.

– აბა, სად?

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს? მთავარია, აქ არ ვმუშაობ.

– კობრა, ჩემს მოთმინებასაც საზღვარი აქვს. ნუ ფიქრობ, რომ ამჯერადაც გამოძვრები. ან აღიარებ, ან ძალიან ცუდად წაგივა საქმე.

– ვაღიარებ, – ვთქვი მე.

პოლკოვნიკი დაიბნა და პაუზა გააკეთა. შემდეგ გამოერკვა და მითხრა:

– მოიცა, მოიცა, თანმიმდევრულად მივყვეთ.

– მივყვეთ.

– რას აღიარებ?

– დანაშაულს.

– რომელ დანაშაულს?

– აი, ეგ კი უკვე თქვენ უნდა მითხრათ.

– კობრა! – ხმას აუწია პოლკოვნიკმა.

– დიახ, გისმენთ.

– სიმართლე თქვი და მომიყევი, როგორ გაქურდე რაიკომის მდივნის ბინა. სად წაიღე ოქრო-ვერცხლი და ძვირფასი ქვები. აი, ქაღალდი და პასტა, დაწერე.

პოლკოვნიკი „აჭრილი“ იყო და თავს ვერ აკონტროლებდა. ეტყობოდა, რომ ზემდგომები მაგრად უნაჟიმებდნენ. მაგრამ, რით დავეხმარებოდი?! ეს საქმე ჩემი გაკეთებულიც რომ ყოფილიყო, მაინც არაფერს ვიტყოდი და, ტუფტა საქმეს, აბა, როგორ დავიკიდებდი კისერზე? ამიტომ გამეცინა და ვუთხარი:

– წერა არ მეზარება, მაგრამ, ამ საქმესთან დაკავშირებით ვერაფერს დაგიწერთ.

– დაწერე-მეთქი! – იღრიალა პოლკოვნიკმა და თვალები გაუფართოვდა.

– რა დავწერო, იქნებ თქვენ მიკარნახოთ?

– დაწერე, როგორ შეძვერი მეხუთე სართულის ფანჯარაში და როგორ გატეხე ფომკით (ძალაყინი) ფრანგული სერვანდი, საიდანაც სამოცდათხუთმეტი ათასი მანეთის ღირებულების ანტიკვარული სამკაულები გაიტაცე და როგორ გადახტედი უკან ფანჯრიდანვე.

– ვადიმ პეტროვიჩ, რომელი „ფორტოჩნიკი“ (ფანჯრიდან შემსვლელი ქურდი) მე მნახეთ? თანაც ფომკით არასდროს მიმუშავია. მსგავსი უხეშობა, კარგად იცით, რომ არ მახასიათებს, მისამართი შეგეშალათ.

– ვის აბოლებ, შე ძაღლიშვილო! – დამიღრიალა მოთმინებიდან გამოსულმა პოლკოვნიკმა, რომელმაც პირველად გადალახა ზომიერების ზღვარი და შეურაცხყოფა მომაყენა.

– ძაღლიშვილის ხმა მესმის, – მშვიდად მივუგე სიომინს, რომელიც ჩემმა სიტყვებმა გამოაფხიზლა და მეტი შეურაცხყოფა აღარ მოუყენებია. თუმცა, იხტიბარი არ გაიტეხა და მითხრა:

– მე შენ გიჩვენებ სეირს. ახლა კამერაში გამოგამწყვდევ და ნახავ, რაც მოგივა.

ათი წუთის შემდეგ უკვე „მურის“ ჯურღმულებში, ათადგილიან საკანში მიკრეს თავი, სადაც ჩემ გარდა კიდევ ცხრა ჩემი კოლეგა იჯდა. მე მათ სათითაოდ მივესალმე და ნარზე ჩამოვჯექი.

– რაო, კობრა, დანაშაული აღიარეო, ხომ? – გაეცინა „პუშკას“, რომელიც ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა და საკანში აქეთ-იქით დადიოდა.

– პოლკოვნიკმა სიომინმა გარეკა. ასე მითხრა, დამიწერე, ფორტოჩკიდან როგორ შეძვერი ბაითში, ფომკით სერვანდი როგორ გატეხე და სამოცდათხუთმეტი ათასის ანტიკვარები როგორ მოჰპარე რაიკომის მდივანსო.

ჩემს სიტყვებზე ჩემს კოლეგებს ხარხარი აუტყდათ, რადგან იცოდნენ, რომ არც ფორტ-



ოჩნიკი ვიყავი და, მით უმეტეს, არც ფომკით ვმუშაობდი.

– რომელი ფორტოჩნიკი შენ განახეს, – თქვა პუშკამ, – ისე, საიდან რაიკომის მდივანს ამხელა ქონება?

– ბებიამისმა დაუტოვა! – ისროლა რეპლიკა ერთ-ერთმა კოლეგამ, პუშკამ კი მიუგო:

– ჰოდა, ბებიამისს მოჰკითხოს.

მე გამეცინა და ვთქვი:

– მიაკითხა კიდეც, მაგრამ, ბებიამისი ჩვენ გვაწვება.

ჩემს სიტყვებზე საკანი ახარხარდა. მე კი დავამატე:

– სიომინს კბილები აქვს ალესილი და დიდი ეგზეკუციით იმუქრება.

– მართალი ხარ, – დამეთანხმა პუშკა, – მითხრა, გასაქანს არ მოგცემთ, თუ ამ საქმეს ვერ მომიგვარებთო. როგორც ჩანს, მაგრად შეახურეს. რამე უნდა ვქნათ. იქნებ, ძვირფასეულობა ვიპოვოთ, რომ თავი დაგვანებონ?

– ძალიან რთული საქმეა, – თქვა „მელამ“, – ეგ საქმე ნაღდად ახალბედას გაკეთებულია. უხეში ნამუშევარია და ჩვენში ასეთი მოჩალიჩე არ მეგულება.

ბჭობა კარგა ხანს გაგრძელდა. უცებ საკნის კარი გაიღო და მორიგემ დაიძახა:

– გველესიანს ეძახიან!

– კობრა, შენ გიხმობენ, – მითხრა პუშკამ, მელამ კი დაამატა:

– ალბათ, სიომინი გეძახის. უთხარი, გაგვიშვან, რომ ვიჩალიჩოთ და იქნებ მართლა ვიპოვოთ მოპარული ნივთები. ჩვენს აქ ყოფნას რა აზრი აქვს?

– ვეტყვი, – მივუგე მე და მორიგეს გავყევი.

მართლაც, სიომინთან ამიყვანეს და პოლკოვნიკმა მითხრა:

– როგორ ხარ, კობრა?

– ძველებურად.

პოლკოვნიკმა საშვი მომაწოდა და მითხრა:

– თავისუფალი ხარ. შეგიძლია, წახვიდე.

– ქურდი იპოვეთ?

– არა, – თავი გააქნია სიომინმა.

– დარწმუნდით, რომ უდანაშაულო ვარ?

– ეგ ისედაც ვიცოდი.

– აბა, რას მერჩოდით?

– არც არაფერს. თავისუფალი ხარ, წადი.

– ვადიმ პეტროვიჩ, მაინც რა მოხდა, ასე უცებ რატომ შეიცვალეთ აზრი?

– კობრა, უშენოდაც თავი მიხურს და ნუ მგრუზავ. წადი და მორჩა. ის პატარა კონფლიქტი კი დაივიწყე.

– რა კონფლიქტი?

– ძაღლიშვილი და ასე შემდეგ... მოკლედ, გავცხარდი და ამიტომ ვერ შევიკავე თავი.

– ეგ არაფერი, მეც ხომ გიპასუხეთ. ბარი-ბარში ვართ, – მივუგე პოლკოვნიკს, – საკნიდან ქურდებმა შემოგითვალეს, გაგვიშვით და ვიჩალიჩებთ, იქნებ ნაქურდალი ვიპოვოთო.

– კარგი იდეაა, ვიფიქრებ. შენ კი თავისუფალი ხარ.

– ვადიმ პეტროვიჩ, ვინმემ გთხოვათ ჩემი გაშვება?

– მიბრძანეს.

– გიბრძანეს?

– კი.

– ვინ?

– „მურის“ უფროსმა.

– ხუმრობთ?

სიომინმა გაოცებით შემომხედა და მითხრა:

– ვგავარ ახლა მე ხუმარას?

– აბა, „მურის“ უფროსი რატომ მიშვებს?

– იმიტომ, რომ მასაც უბრძანეს.

– ვინ?

– აბა, ეგ მე რა ვიცი. როგორც ჩანს, ვიღაც ბობოლამ დაურეკა. ძლიერი მფარველი გყოლია, ძმაო.

„მურის“ პოლკოვნიკის სიტყვები არ მესიამოვნა. მავანს ამ სიტუაციიდან ძალიან ცუდი დასკვნის გამოტანა შეეძლო. მე ნამდვილად არ მინდოდა, რომ, თუნდაც მილიციელს ეფიქრა ჩემზე, „შეკრულიაო“ და პოლკოვნიკს ვუთხარი:

– არანაირი მფარველი არ მყავს და ეს თქვენ კარგად იცით. მე ქურდი ვარ და არავის მფარველობა არ მჭირდება. არსად არ მივდივარ და აქ ვრჩები.

კოპებშეკრული სიომინი ჩემმა სიტყვებმა გაახმიარულა და მითხრა:

– აქ რაში მჭირდები, „მურში“ ხომ არ გინდა მუშაობის დაწყება? წადი, ძმაო, მშვიდობით იარე. გინდა, ტყავი გამაძრონ შენ გამო?

– ვადიმ პეტროვიჩ, მიჩალიჩებ?

– რას? – გაოცდა პოლკოვნიკი.

– გამიშვებ და ცუდ ხმებს გამივრცელებ.

– ახლა შენი აჭრაღა მაკლია, თითქოს ჩემი არ მყოფნიდეს. არაფერს არ გიჩალიჩებ და, რაც გითხარი, მართალია. როგორც ჩანს, ვიღაცას ძალიან შესტკივა შენზე გული და გეხმარება. მოკლედ, თავისუფალი ხარ. ისე, თუ შენც იჩალიჩებ და ნაქურდალის დავაზვრატებაში დამეხმარები, კუბოს ფიცრამდე არ დაგივიწყებ.

– ვიჩალიჩებ, – ვუთხარი სიომინს და დავამატე: – ვადიმ პეტროვიჩ, დანარჩენებიც გაუშვი და არც ისინი დაზოგავენ თავს.

– ჯერ უფროსებს შევუთანხმდები და, ალბათ, ასეც ვიზამ. შენ კი წადი. დროს მაკარგვინებ. მშვიდობით.

– ნახვამდის. იმედია, რომ კარგ ამბავში შევხვდებით, – ვუთხარი პოლკოვნიკს და წამოვედი.

სიომინმა დანარჩენებიც მალე გაუშვა და ჩვენ მართლაც შევძელით ნაქურდალი ნივთების დაბრუნება. ქურდის ვინაობას, რა თქმა უნდა, არ გავამხელ, მაგრამ, ვიტყვი, რომ ის მართლაც ახალბედა იყო და მილიციას მის შესახებ არაფერი შეუტყვია.

წლების განმავლობაში ვიმტვრევდი თავს, ვის შეიძლებოდა ჩემთვის დახმარება აღმოეჩინა, მაგრამ, ვერ ვხვდებოდი. „მურიდან“ სახლში რომ დავბრუნდი, კვლავ ტელეფონმა დარეკა, ისევ მე მიკითხეს და უცნობი მამაკაცის იმავე ხმამ მითხრა:

– გათავისუფლებას გილოცავ, კობრა.

– მადლობელი ვარ, მაგრამ, ვინ ხარ?

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს? – კითხვითვე მიპასუხა უცნობმა.

– მართლა თქვენ დარეკეთ და ჩემი გათავისუფლება უბრძანეთ?

– მართლა.

– კი მაგრამ, ვინ ხართ?

– შენი მეგობარი.

– რომელი?

– ოდესმე მიხვდები, ახლა კი კარგად იყავი. წარმატებებს გისურვებ, – მითხრა უცნობმა და ყურმილი დაკიდა.

იმ მომენტში არც მიფიქრია, რომ ჩემი მფარველი შეიძლება ხუჭუჭა ყოფილიყო. არც კი ვიცოდი, თუ იმ დროს ხუჭუჭას დიდი გავლენა ჰქონდა. ხუჭუჭაზე მხოლოდ მაშინ ავიღე ეჭვი, როდესაც ის მრავალი წლის მერე თბილისის მეშვიდე იზოლატორის ჯურღმულში შემხვდა და მელაპარაკა. სწორედ შუა ლაპარაკის დროს ამოტივტივდა გონებაში ეს ამბავი და ხუჭუჭას ვუთხარი:

– მოიცა, მოიცა, მურის გენერალს შენ უბრძანე ჩემი გაშვება?

– მიხვდი, როგორც იქნა?

– სახლშიც შენ დამირეკე?

– ჰო, ქუჩიდან.

– რა ხმა გქონდა, რატომ ვერ გიცანი?

– სპეციალური მოწყობილობით ვისარგებლე, – მითხრა ხუჭუჭამ, – მაგრამ, მაინც უნდა მიმხვდარიყავი.

– როგორ, საიდან? აბა, მე რა ვიცოდი, ასეთი ბობოლა თუ იყავი?

ხუჭუჭას გაეცინა და მიპასუხა:

– რა, ბევრი მფარველი გყავდა?

ამ სიტყვებმა პოლკოვნიკი სიომინის ნათქვამი გამახსენა და მივუგე:

– პოლკოვნიკმა სიომინმა მითხრა მაშინ, ბობოლა მფარველი გყოლიაო და კინაღამ ჭკუიდან შემშალა.

– ალბათ, იფიქრე, მიჩალიჩებენო.

– აბა, სხვა რა უნდა მეფიქრა?

– „მეგობრობა გზად და ხიდადო“, – არ გახსოვს კომუნისტების დროინდელი ჩვენი ბავშვობის ლოზუნგი? – მითხრა ხუჭუჭამ და სწორედ მაშინ გამიმხილა, რომ მთელი ეს წლები მე და ყბედალოს გვმფარველობდა.

სიმართლე გითხრათ, ხუჭუჭას სიტყვები მაინცდამაინც არ მეპიტნავა და ვუთხარი:

– ჯიგარი ხარ, მადლობელი ვარ, ძმაო.

– ხომ არ გაგიტყდა, კობრაჯან? – ჩვეული, არაბოროტი ირონიით მკითხა ხუჭუჭამ.

– რა?

– ის, რომ მხედველობის არეში მყავდით.

– არა, – უხალისოდ ვთქვი მე.

– კობრა, კობრა... არ იცვლები, ისევ ისეთი ჯიუტი ხარ.

– შენ ხომ, რას ამბობ, გარდაიქმენი.

– პროსტო, გავბობოლდი – გენერალი გავხდი, მაგრამ, თქვენთვის ისევ ის ხუჭუჭა ვარ.

– ადრე პაგონები არ გქონდა, – წავკბინე მე, ხუჭუჭამ კი პასუხი არ დააყოვნა:

– ნუ იკბინები! აბა, რა უნდა მექნა? სამი ქურდი ძმაკაცი ნამეტანი იქნებოდა, თან, კრიშაც ხომ საჭირო იყო?

– ვინმე რომ გვისმენდეს, ნასედკობაში დამდებენ ბრალს.

ხუჭუჭას გაეცინა და მითხრა:

– ერთი გაბედოს ვინმემ და კარგ ჩიტს დაიჭერს. ძმები ვართ, კობრა, ტრუსიკის ძმაკაცები და ჩვენს ძმობას ვერც ჩემი პაგონები გადაფარავს და ვერც შენი ქურდობა. მერწმუნე, მოვა დრო და ისევ ერთად ვიქნებით.

– ეგ როგორ? მე უნდა დავიკრა პაგონები

## მარინა თევზაიას გახსენება

### ჩვენო მარინა, ჩვენო საყვარელო!



4 ივლისი შენი დაბადების დღეა.

გადიან უშენოდ სევდიანი, ტკივილიანი დღეები. აღარ ისმის შენი ხალისიანი ხმა, რომელიც ასე ავსებდა შენს სამეგობროს. ვლოცულობთ და ვევედრებით უფალს, რათა შენი ლამაზი სული სასუფეველში დაამკვიდროს.

გვიყვარხარ და გვენატრები!

**მაია დავითულიანი, ნინო ჯაფარიძე, ლიკა შელეგია, ქეთი ჟორდანია, თათული კალაძე, დალი გირკელიძე, დალი ზოდელავა, ლალი ბუხნიკაშვილი**

თუ შენ გახდები ქურდი?

– ჩვენს ბავშვობაში დავბრუნდებით.

– დროის მანქანა გამოიგონე?

– ჩვენ თვითონ არ ვართ ეს მანქანები? გამოგონება რაში გვჭირდება, საკმარისია, მხოლოდ წარსული გავიხსენოთ და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. ჩვენი განშორების დანაკლისს კი ჩვენი შვილები აანაზღაურებენ.

– ნამეტანი ხომ არ მოგდის? – გამეცინა მე, – სად გვყავს მე და ყბედალოს შვილები?

– დაგავიწყდა, ვინ ვარ? – გაეცინა ხუჭუჭას.

– რას გულისხმობ? – გულმა რეჩხი მიყო.

– იმას, ძმაო, რომ თითქმის ყველაზე ყველაფერი ვიცი. მით უმეტეს – თქვენზე.

– მაინც, რა იცი?

– ის, რომ ყბედალოს ბიჭი ჰყავს. როსტოვში რომ სახლიდან გაქცეული გოგონა შეიფარა, იმისგან. შენ მას იცნობ. აბა, გაიხსენე – გთხოვდა, უთხარი, ჯიბგირობა მასწავლოსო და ვასია ბრილიანტსაც იმავეს ეუბნებოდა.

– კი მაგრამ, ასეთი წვრილმანები საიდანღა იცი?

– ვიცი.

– სასიამოვნო სიურპრიზია. აქედან რომ გავალ, აუცილებლად ჩავაკითხავ და მივულოცავ.

– კობრა, – მითხრა უცებ ხუჭუჭამ, გამჭოლი მზერა მესროლა და გაიმეორა: – კობრა...

– რა იყო?

– რაღაც უნდა გითხრა...

– მერე, თქვი, შე ჩემა, რა ზახოდებს იწყებ, – მხიარულად ვუთხარი ხუჭუჭას, რადგან, ახალმა ამბავმა კარგ ხასიათზე დამაყენა.

– შენც გყავს შვილი... თათიამ ბიჭი გაგიჩინა...

– რაო, რა თქვი?!

– ოცი წლისაა და მე მისი ნათლია ვარ.

ვიგრძენი, რომ წნევამ ამიწია და გულისცემამ საგრძნობლად იმატა. ცივმა ოფლმა დამასხა და თვალებში დამიბნელდა.

– ცუდად ხარ? – მკითხა ხუჭუჭამ.

– პირიქით, ასე კარგად ჯერ არ ვყოფილვარ.

– და, მაინც უარს ამბობ დროზე ადრე ციხიდან გამოსვლაზე?

– ხუჭუჭ, ძმაო, არ გამოდის, რას იტყვიან სხვები?

– მართალი ხარ. ორ წელიწადში გამოხვალ. აქ კი ვერავინ შეგეხება.

– ხუჭუჭ, ძმაო, არ გადაამლაშო. მე აქ არაფერი მიჭირს. ბოლო-ბოლო, დამნაშავე ვარ და სასჯელს ვიხდი.

– ეჰ, კობრა, კობრა... ყველა ქურდი რომ შენნაირი იყოს, ეს ქვეყანაც ასე არეული არ იქნებოდა. ახლა კი მორჩა ბაზარი, ორი წლის მერე შევხვდებით და დანარჩენი მერე იყოს, – მითხრა ხუჭუჭამ და ასე დავშორდით ერთმანეთს...

ის წამი ჩემს ცხოვრებაში გარდამტეხი იყო – დღედაღამ თათიასა და გიორგიზე ვფიქრობდი. შემდეგ ქვეყანა აირია, ხუჭუჭა იძულებული გახადეს, გაქცეულიყო, გამოსვლიდან მესამე დღეს კი მეც „პაბეგი“ ავიკიდე. რა არ გადამხდა ამ პერიოდში, რა ჯოჯოხეთი არ გამოვიარე, ბევრჯერ უკიდურესობამდეც კი მივსულვარ, მაგრამ ცოლ-შვილზე ფიქრი ძალებს მმატებდა და უკეთესი მომავლის იმედს მისახავდა.

ამას წინათ, ერთ მშვენიერ საღამოს, სახლში დაბრუნებულმა მასპინძელმა მკითხა:

– კობრა, როგორ ხარ?

– ძველებურად. რატომ მეკითხები?

– ერთ საათში ხუჭუჭა მოვა.

– რაო?! – საკუთარ ყურებს არ დავუჯერე.

– ხუჭუჭა მოვა. ნახევარი საათის წინ შემხვდა და მითხრა, ცხრაზე მოვალო, ახლა კი რვაა.

– გაქცეული იყო და მოაგვარა თავისი საქმეები?

– არა მგონია. შენიღბული იყო და თვითონ დამეკონტაქტა.

ამ ამბის გაგონებაზე გული ამიჩქარდა და წნევამ ამიწია, სიგარეტი გავაბოლე და ვთქვი:

– ეტყობა, რაღაც მოხდა. ნეტავი, რაშია საქმე?

– დაწყნარდი, რა გჭირს! მოვა და თვითონ იტყვის.

ერთი საათი ერთი საუკუნესავით გაიწელა და ამ ხნის განმავლობაში პირიდან სიგარეტი არ გამომიღია. შესრულდა თუ არა ცხრა საათი, მოულოდნელად ოთახში ხუჭუჭა შემოვიდა. ხელში ბინის გასაღები ეკავა, რომელიც მაგიდაზე დადო, გამიღიმა და მითხრა:

– აი, მეც მოვედი.

ძმაკაცს გადავეხვიე და ისე ავღელდი, რომ ცრემლები ვერ შევიკავე, მან კი მითხრა:

– არა, რა, დაბერდი, ძმაო! არადა, ახლა გჭირდება ძალები და მხნეობა.

– რინგზე ხომ არ აპირებ ჩემს გაყვანას? – ვკითხე ძმაკაცს და ცრემლები მოვიწმინდე.

– შენ შენი რინგი უკვე გამოიარე და გეყოფა. დროა, ოჯახს მოეკიდო. როგორ ხარ, კობრა?

– პაბეგში მყოფი კაცივით.

– საჭმელი თუ გაქვთ რამე? დილიდან ძაღლივით მშიერი ვარ და სული მძვრება.

– საჭმელიც გვაქვს და სასმელიც, – მივუგე ხუჭუჭას.

– სასმელი სხვა დროს, ახლა მაჭამეთ.

ჩემმა მასპინძელმა სუფრა გაშალა და სავახშმოდ დავსხედით. ხუჭუჭა რომ დანაყრდა, სიგარეტი გააბოლა და მკითხა:

– არ მოგბეზრდა აქ ჯდომა?

– თვრამეტი წელი სად არ ვარ ნაჯდომი და, ერთი წელი რაღა ყოფილა? – მივუგე ხუჭუჭას.

– დრო არ ითმენს, დრო! – თქვა ხუჭუჭამ, – ვინც დროს უძლებს, ის იგებს. ჩვენ კი დროს გავუძელით.

– ესე იგი, მოგებულები ვართ? – ვთქვი მე.

– ცოტაღა დაგვრჩა.

– თქვი, რა ხდება, ნუ წიომნობ.

– რა უნდა ხდებოდეს, თქვენს სანახავად მოვედი, – მრავალმნიშვნელოვნად თქვა ხუჭუჭამ.

– შენს საქმეებს აგვარებ?

– ჰო. დღე-დღეზე ქურდი უნდა გავხდე.

– რა დროს ხუმრობაა, თქვი, შეგეშვნენ?

– ვინ შემეშვება, ბიჭო, დღედაღამ თავაუწევლად მეძებენ.

– აბა, აქ ჩამოსვლა როგორ გაბედე?

– მე მეტწილად სულ აქ ვიყავი, იშვიათად გავდიოდი ქვეყნიდან.

– რაო, რა თქვი?!

– ისეთი რა ვთქვი? ვიმალებოდი, რა...

– მერე, შე დალოცვილო, ერთხელ მაინც ვერ შემოგვიარე? – ვუსაყვედურე ხუჭუჭას.

– აი, ხომ მოვედი დღეს.

– მაინც, რატომ არ მეკონტაქტებოდი, რა, არ მენდობოდი?

– კუდი რომ მომეყვანა?

– რა კუდი?

– კუდი, კუდი... რა, კუდი რა არის, არ იცი? – გაეცინა ხუჭუჭას, – მე რომ დავეჭირე, ჯანდაბას, როგორმე გამოვძვრებოდი, მაგრამ, შენ მინიმუმ ათი წლით ციხეში ამოგალპობდნენ. დაგავიწყდა, რომ მფარველი აღარ გყავს?

– აქ არ მყავხარ?

– ჰო, მაგრამ, მეც პაბეგში ვარ. მოკლედ, ასე: ამაღამ აქედან ვტყდებით და მოემზადე, ამიტომ მოვედი, ყველაფერი მზადაა და თათია და გიორგი მოუთმენლად გელოდებიან.

ხუჭუჭას სიტყვებზე წნევამ ისევ ამიწია და, რომ დავმშვიდებულიყავი, წამალი დავლიე. ცოტა სული რომ მოვითქვი, ხუჭუჭას ვკითხე:

– სად მივემგზავრებით?

ხუჭუჭამ მითხრა, სადაც მივემგზავრებოდით და დაამატა:

– ბავშვობის გახსენება მოგვიწევს. გახსოვს, მამა დავითის მთების გამოქვაბულებსა და თბილისის მიწისქვეშეთში რომ დავძვრებოდით?

– ამას რა დამავიწყებს. ახლაც ასე უნდა ვქნათ?



– ცოტა სხვანაირად, მაგრამ, მთაწმინდაზე ასვლა მაინც მოგვიწევს.

– სად და რატომ?

– შენს სახლში. გვირაბიდან ჩუმად შევალთ.

– ჩემს სახლში?

– ჰო. რა, არ მოგენატრა?

– კი, მაგრამ... – ენა დამება და ვუთხარი, – არ დაგვიჭირონ, ბიჭო.

ხუჭუჭას გაეცინა და მითხრა:

– როდიდან გეშინია დაჭერის? დაბერდი, ძმაო. წამოდი, სიურპრიზი მაქვს შენთვის.

– რაღაცას წიომნობ, – გამეცინა მე.

– ადგილზე შეიტყობ ყველაფერს. ერთ საათში გავდივართ.

ერთი საათის შემდეგ მე და ხუჭუჭა ჩემს მასპინძელს გამოვემშვიდობეთ. მას მე ყველაფრისთვის მადლობა გადავუხადე და წავედით.

შუაღამე გადასული იყო, როცა საიდუმლო გვირაბით ჩემს ბინაში შევედით. ხუჭუჭა სასტუმრო ოთახისკენ გაემართა, კედლიდან ანტიკვარული საათი ჩამოხსნა და მითხრა:

– აი, რისთვისაც მოგიყვანე აქ, – შემდეგ საათს უკანა მხარე მოხსნა და იქიდან ოცდაათი ცალი მსხვილი ბრილიანტი გამოიღო, მაჩვენა და მითხრა:

– ეს თვლები ყბედალოსი, შენი და ჩემია. ოცდაათი მილიონისაა.

– საიდან?

– კობრა, გახსოვს, ჩვენი ობშჩიაკი რომ გვქონდა, რომელიც გამოქვაბულში დავმალეთ და გეგონათ, რომ დაიკარგა?

– კი, სამი ათასი მანეთი. მე და ყბედალოს არც კი გაგვხსენებია. გვეგონა, რომ მთის წყალმა წაიღო და არც კი მოგვიკითხავს.

– თქვენ ორივე რუსეთში იყავით მაშინ. თავდაპირველად, მინდოდა, თქვენთვის გამომეგზავნა წილები, მაგრამ, შემდეგ გადავიფიქრე, ეს ფული ერთ ბიზნესში ჩავდე, ოცდახუთი წელი ვატრიალე და აი, ამხელა მაყუთი გვაქვს. იმ ფულით ხუთი წლის წინ ეს ბრილიანტები შევიძინე, ახლა კი მათი ფასი გასამმაგებულია.

იმავე ღამეს მე და ხუჭუჭა საქართველოდან გავემგზავრეთ და იქ ჩავედით, სადაც ახლა ვიმყოფებით. ჩვენთანაა ყბედალოც და, მართალია, საქართველოს ფარგლებს გარეთ ვართ, მაგრამ, ჩვენს ტიტულზე არც უარი გვითქვამს და არც არავის ჩამოურთმევია ის... ყველაზე დიდი ბედნიერება კი ისაა, რომ სამივეს გვყავს ცოლ-შვილი და გამართლდა ხუჭუჭას სიტყვები – ჩვენს დანაკლისს ჩვენი შვილები აანაზღაურებენო. საქართველო, თბილისი და მთაწმინდა ძალიან მენატრება, მაგრამ, ჯერჯერობით ვერ ჩამოვდივარ. თუმცა, იმედი მაქვს, რომ ოდესმე ყველანი ჩვენს ფესვებს დავუბრუნდებით, მაგრამ, ჩვენ თუ ვერ შევძლებთ, მაშინ ამას ჩვენი შვილები გააკეთებენ.

რას იზამ, ჩვენნაირი ხალხის ცხოვრება ამგვარადაა მოწყობილი: ხან იქ ვართ და ხან – აქ, ხან გვიჭირს და ხან გვილხინს.

ასეთია ქურდული ცხოვრება...

**ძალიან გამიკვირდა, როცა ზოოპარკში მოვედი და, პიარმენეჯერი, რომელსაც მანამდე საათობით ვესაუბრებოდი ტელეფონით, მზია შარაშიძე, აღმოჩნდა – მზია, იგივე ლუკა, კარგად ცნობილი ტელესახე. მის ცხოვრებისეულ და სამსახურებრივ მომენტებზე ვისაუბრებთ ჩვენს ინტერვიუში.**

# რომელ ქვეყანაში ეწყობა „ცოლების ბაზრობა" და სად ნახა მზია შარაშიძემ ფალოსებით დამშვენებული სახლები

**მზია შარაშიძე:** შვიდი წლის განმავლობაში ვმუშაობდი „რედიქსში", ვიყავი საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, პარალელურად, დაკავებული ვიყავი ტელევიზიაში. მერე ბავშვი გავაჩინე და, დეკრეტიდან რომ დავბრუნდი, აბსოლუტურად სხვა თვალით შევხედე ცხოვრებას, გარკვეული ღირებულებების გადაფასება მოხდა ჩემში. შედეგად, მივიღე რადიკალური გადაწყვეტილებები და რაღაცეები შევცვალე ჩემს ცხოვრებაში. ვთქვი: რადგან ერთხელ ცხოვრობ ადამიანი, უნდა შეძლო, ისე იცხოვრო, რომ აკეთო საქმე, რომელიც ბედნიერებასა და სიხარულს მოგანიჭებს. წამოვედი სამსახურიდან და დავიწყე კერძო კონსულტაციების გაწევა კომპანიებისთვის, პიარის კუთხით. ამის შემდეგ, აბსოლუტურად მოულოდნელად, აღმოვჩნდი ზოოპარკში.

**– როგორ?**

– ბავშვი ღამით იღვიძებს ხოლმე და ვაჭმევ – ძუძუს ჭამს ჯერ კიდევ, ახლა წლინახევრისაა. ერთ ღამესაც ასე გავიღვიძეთ და, სანამ მივაძინებდი, აიფედში „ფეისბუქს" ვფურცლავდი. იქ შემთხვევით აღმოვაჩინე, ვილაცას ჰქონდა დაშიარებული, რომ ზოოპარკში პიარის ვაკანსია იყო გამოცხადებული. გადმოვგზავნე სივი და, მერე რაც მოხდა, სახეზეა.

**– ვიცი, რომ სიახლეებია თბილისის ზოოპარკში.**

– ძალიან ბევრი სიახლე გვაქვს. პირველ ყოვლისა, უახლოეს მომავალში ველოდებით პინგვინებს დიდი ბრიტანეთიდან. შემოსასვლელში უკვე აშენებულია დიდი პინგვინარიუმი და აკვარიუმი. ალბათ, მალე ჩამოვა 20 აფრიკული პინგვინი.



**ყველას ეგონა, ჩამოვიდოდა თუ არა გრანდი, მაშინვე პირველი ღამე ექნებოდათ სპილოებს. იმის მოლოდინიც იყო, როგორი „მინისძვრა" იქნებოდა სპილოების პირველ ღამეს**

კიდევ, დიდი სიახლე ისაა, რომ ერევნიდან ჩამოვიყვანეთ მამრი სპილო – გრანდი, მის ნაცვლად ერევანში ბუნკა მიემგზავრება, ჩვენი პატარა სპილო. საკმაოდ სერიოზული პროექტი იყო. ჩვენს ზოოპარკში ცხოვრობდა ორი სპილო: 17 წლის მალკა და მისი შვილი – 6 წლის ბუნკა. ბუნკა უკვე გაიზარდა და მოუახლოვდა იმ ასაკს, როდესაც მამრი სპილოები ტოვებენ დედებს; თან, უკვე სქესმწიფობის ასაკს მიუახლოვდა და იყო საფრთხე, რომ დედას შეჯვარებოდა; ამიტომ, აუცილებელი გახდა, დაგვეცალკევებინა დედა-შვილი. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ჩვენი მდედრი სპილოს გამრავლებაც, რადგან, ნაყოფიერი მდედრია და, კარგი იქნება, თუ კიდევ გააჩენს შვილს. ამიტომ, დავიწყეთ „სიძის" ძებნა, რომელიც ხანგრძლივი ძიების შემდეგ აღმოვაჩინეთ მეზობელ ქვეყანაში. შემდეგ მოხდა ზოოპარკებს შორის გაცვლის შეთანხმება. საერთოდ, ზოოპარკებს შორის ხშირია ხოლმე ასეთი შეთანხმებით გაცვლა. ჩვენ ვგზავნით იმ სახეობას, რაც ბევრი გვყავს და იღიდან ვიღებთ იმ სახეობას, რომელიც ჩვენ არ გვყავს. მაგალითად, რამდენიმე ხნის წინ ჩვენი ირმების ცოლები ჩამოვიდნენ ბაქოდან და ერევნიდან; ნიამორებიც მივიღეთ, სანაცვლოდ კი გავგზავნეთ იაგუარი, რადგან, ჩვენ ბევრი იაგუარი გვყავს. ასე დაიგეგმა სპილოების გაცვლის პროცედურაც. აქედან დიდი მაყარი გავყევით. სასაცილო მგზავრობა გვქონდა, ორჯერ დავიკარგეთ ერევნის გზაზე. საბოლოოდ, პირველი დელეგაცია ვიყავით, რომელმაც ათი საათი მოანდომა თბილისიდან ერევანში ჩასვლას. მეორე დღეს კი ეს ჩვენი სიძე ზარ-ზეიმით წამოვიყვანეთ პატარძალთან. ყველას ეგონა, ჩამოვიდოდა, თუ არა გრანდი, მაშინვე პირველი ღამე ექნებოდათ სპილოებს. იმის მოლოდინიც იყო, როგორი „მინისძვრა" მოხდებოდა სპილოების პირველ ღამეს. სინამდვილეში, ასე მარტივად არ არის საქმე. სპილოების შეჯვარება საკმაოდ პრობლემური საკითხია. ჯერ უნდა შეეგუონ გარემოს. გრანდი რომ ჩამოვიდა ჯერ დახურულ ვოლიერში იყო და გარეთ არ უშვებდნენ, მერე, როცა გამოვიდა, გარე ვოლიერს ეგუებოდა. პირველად რომ დავანახვეთ თავისი საცოლე, ეს კიდევ ცალკე მოვლენა იყო. ამისთვის მთელი ზოოპარკის მობილიზაცია გამოცხადდა და ალყა შემოვარტყით ვოლიერს. სპილოს გერმანელმა მწვრთნელმა დაგვირიგა პლატმასის ბოთლებში ჩაყრილი კენჭები – თუ სპილოები იჩხუბებდნენ, ხმაური უნდა აგვეტეხა და ეს ბოთლები გვეჩხრიალებინა გასაშველებლად. საბედნიეროდ, გაშველება არ დაგვჭირდა. მართალია, ჯერ თავგადაკლული სიყვარული არა აქვთ, მხოლოდ დაყნოსვეს ერთმანეთი და შორიახლოს უტრიალებენ. მწვრთნელმა თქვა, კარგია, რომ მალკა არ აქტიურობს, იმიტომ, რომ სიძე ცოტა მორიდებულია და, შეიძლება, შეაშინოსო. თან, ჩვენი მალკა კუპატივით არის, ისეთი ჩასუქებულია, ახლა ცოტა ხნით დიეტაზე უნდა დასვან.

**– როგორ ითვლება, სიძე სომეხია?**

– სიძე არ არის სომეხი. გრანდი არის ინდური სპილო, რომელიც დაიბადა მოსკოვში, შემდეგ, 14 წლის განმავლობაში, ცხოვრობდა ერევანში, ახლა კი საქართველოში გადმოვიდა.

**– საერთოდ, სპილოების სამშობლოდ რომელი ქვეყანა ითვლება?**

– გააჩნია. ჩვენი სპილო არის აზიური სპილო, არსებობს კიდევ აფრიკული სპილოები. აფრიკული სპილო ბევრად დიდია აზიურზე. მე ისინი თავის სამშობლოში მყავს ნანახი აფრიკაში მოგზაურობისას. ინდოეთშიც ვარ ნამყოფი, მაგრამ, იმ რეგიონში, სადაც მე ვიყავი, სამწუხაროდ, სპილოები არ ჰყავდათ. აფრიკაში იმდენი სპილო ვნახე, რომ სპილოების შესახებ ცნობისმოყვარეობა სრულად დავიკმაყოფილე.

**– ჩანს, მოგზაურობა გყვარებიათ.**

– საერთოდ, ძალიან ბევრს ვმოგზაურობდით, ახლა ორწლიანი პაუზა მაქვს ბავშვთან დაკავშირებით – ჯერ ვერ მივაღწიეთ იმ ასაკს, რომ ეგზოტიკურ ქვეყანაში ვიმოგზაუროთ. სამი თვის რომ იყო ჩემი მართა, რომელსაც მათიკოს ვეძახი, ალპებში მყავდა წაყვანილი და სამიათასიან მწვერვალზე ავიყვანე. ქვეყანა, რომელიც ძალიან მიყვარს, არის მაროკო. მაროკოში ერთხელ ატლასის მთებში გვქონდა ტური, მეორედ კი – უდაბნოში, აქლემებით. საერთოდ, მიყვარს ის ქვეყნები, სადაც სითბოა, თან, მაროკო ძალიან ჭრელი, ხალისიანი და მიმზიდველია. ინდოეთში ვიყავით დარჯილინგის მთიან რეგიონში, ნეპალის საზღვართან. ეს რეგიონი ჩაითაა ცნობილი. ყველაზე საუკეთესო ხარისხის ინდური ჩაი იქ მოდის. იქ იყო ერთი სოფელი, სადაც სახლების წინ ჩამოდიოდა ერთი პატარა რუ. დღის განმავლობაში მთელი სოფელი გარეთ იყო გამოფენილი, ყველა თავისი სახლის წინ: ერთი ამ რუში თავს იბანდა, მეორე ჭურჭელს რეცხავდა, მესამე ფეხებს იგრილებდა, იქ ბავშვები წუწაობდნენ. ყველაზე დასამახსოვრებელი ისაა, რომ ძალიან გაჭირვებულები არიან, მართლა მხოლოდ ის აბადიათ, რაც აცვიათ, მაგრამ, ბედნიერები არიან.

ძალიან საინტერესო მატარებელი ჰქონდათ დარჯილინგში.

**– ფილმიც არის მაგის შესახებ.**

– ჰო, მაგრამ, ის ფილმი არის აფერისტობა, იმიტომ, რომ, არც დარჯილინგშია გადაღებული და არც ეგეთი მატარებელი არ დადის იქ. დარჯილინგში მოძრაობს ძალიან პატარა, „კუკუშკასავით" მატარებელი, რომელიც დადის შუა ქალაქში. ქუჩა ზუსტად მატარებლის სიგანეა და, როცა ეს მატარებელი მიდის, ხელი რომ გადაყო, ვილაცის სახლში შეყოფ.

ინდოეთიდან გადავედით ბუტანში. ბუტანიც ძალიან საინტერესო სამეფოა, სადაც ყველა ბედნიერია. ბუტანის მეფეს დაწესებული აქვს, რომ მის სამეფოში ყველა აუცილებლად ბედნიერი უნდა იყოს. ბუტანში ყველაზე მეტად ის მომეწონა, რომ აქვთ სახლების ორნამენტებით მოხატვის თავიანთი სტილი. მათმა მეფემ შემოიღო კანონი, რომლის თანახმადაც, იმისთვის, რომ ქვეყანა მეტად საინტერესო და თავისებური იყოს, ყველა სახლი ამ ორნამენტებით უნდა იყოს გაფორმებული და, თანამედროვე სახლებიც კი, ბუტანურ სტილში, ხის მოხატული ფანჯრებითაა შემკული. საინტერესო ის იყო, რომ ბუტანში მამაკაცის სასქესო ორგანო არის კულტი, როგორც ნაყოფიერების სიმბოლო. ამიტომ, ყოველ სახლზე დიდი ფალოსები ხატია, რომლებიც გაფორმებულია ფერადად-ფერადი ორნამენტებით. ვიყავი ასევე მარაკეშში.

**– მარაკეშზე რას გაიხსენებთ?**

– მარაკეშში ყოველ წელს ტარდება „ცოლების ბაზრობა". იქ არის ძალიან ბევრი მიყრუებული სოფელი. ამ სოფლებში მცხოვრები გასათხოვარი გოგოები რომ ხალხში გამოვიდნენ, წელიწადში ერთხელ, ერთ ქუჩაზე ატარებენ „ცოლების ბაზრობას", სადაც ეს გოგოები ჩამოდიან, სხედან და ეს არის ერთგვარი გაცნობა. ეს კეთდება იმისთვის, რომ შეათვალიერონ ბიჭებმა და ცოლად შეირთონ. ჩვენი გიდი გვიყვებოდა, შარშან იყო შემთხვევა, როცა უცხოელმა ბაზრობაზე გაიცნო გოგონა, ცოლად შეირთო და წაიყვანა. ეს მარაკეშელი კონკიას ისტორია იყო.

მარაკეშში მთავარი მოედანია, სადაც გროვდებიან უცნაური ადამიანები. რომ დადიხარ, გგონია, ჯადოქრების სამყაროში მოხვდი, იმიტომ რომ, ყიდიან გამხმარ ზღარბს, ღამურას ფრთებს, ყვავის ქონს, რაღაცის ქერცლებს და უამრავ ასეთ რამეს, ადგილობრივი მკითხავები კი ამ ყველაფრისგან აკეთებენ რაღაც-რაღაცა „საშუალებებს." იქვე არიან გველების მომთვინიერებლები, რომლებიც აცეკვებენ კობრებს. ძალიან სასაცილოები არიან: გაშლილი ჰყავთ გველები, ხან ერთი გაექცევათ, ხან მეორე და დასდევენ. მარაკეშში ქალს სურათს ვერ დაგაუღებ – მათ საერთოდ არ უყვართ სურათის გადაღება, განსხვავებით აფრიკელებისა და ინდოელებისგან. სადღაც რომ მივდიოდი, თავი ანჯელინა ჯოლი მეგონა, რადგან, დაგვინახავდნენ თუ არა, დაგვიყვირებდნენ, თეთრები მოვიდნენო, დაგვეხვეოდნენ ინდოელები და ყველა სურათს იღებდა, ვისაც არ ეზარებოდა. მარაკეშში აპარატთან ცუდი დამოკიდებულება აქვთ, რადგან, ითვლება, რომ, როდესაც სურათს უღებ, იმათ სულს იპარავ. ამიტომ მარაკეშიდან მხოლოდ ბავშვების პორტრეტები ჩამოვიტანე.

**ეკა სალაღაია**

# რომელ ქვეყნებში იყენებდნენ ბავშვებს მსხვერპლშესაწირად

**მსხვერპლშეწირვა არის კულტმსახურების ფორმა, შესაწირავთა მირთმევა გაღვთაებრიებული საგნების (კერპების), სულებისა და ღვთაებებისადმი, მათი გულის მოგების, კეთილგანწყობის მოპოვების ან ჩადენილ ცოდვათა გამო მიტევების თხოვნის მიზნით. მსხვერპლთშეწირვას ე. ტეილორის თანახმად, დასაბამი მისცა ანიმისტურმა წარმოდგენებმა, ესე იგი, სულთა კეთილგანწყობის მოპოვების სურვილმა.**

**მსხვერპლშეწირვა საზოგადოებისა და მისი იდეოლოგიის ისტორიული განვითარების კვალდაკვალ იცვლიდა სახეს. უძველესი დროიდანვე არსებობდა მსხვერპლშეწირვის ორი ფორმა: სისხლიანი და უსისხლო და ორივე მოიცავდა კულტის ობიექტისადმი მისთვის სასურველი საგნისა თუ პროდუქტის მირთმევას. სისხლიანი მსხვერპლი, უმთავრესად, ცხოველთა შეწირვას გულისხმობდა; მისი უმაღლესი გამოვლინება იყო ადამიანის მსხვერპლად შეწირვა ან თვითმკვლელობა და თვითდასახიჩრება.**

**ეგვიპტელებსა და შუმერებში, ძველ რომაელებსა და ძველ ბერძნებში, ჩინელებსა და ინდოელებში, ფინიკიელებსა და სკვითებში, გალებსა და ნორმანებში, სლავებსა და ამერიკელ ინდიელებში – პრაქტიკულად, ყველა ხალხებში, საუკუნეების განმავლობაში არსებობდა ადამიანთა მსხვერპლშეწირვის ჩვეულება, რამაც დროთა განმავლობაში სახე იცვალა და უდანაშაულო ადამიანების მოკვდინება სატარიგე ცხოველთა მსხვერპლთშეწირვით შეიცვალა.**

**სწორედ ამ საკითხზე გვექნება საუბარი ჩვენს სტატიაში.**

ჰანაანის (პალესტინის, სირიისა და ფინიკიის მეზობელი რაიონების უძველესი სახელწოდება) ტერიტორიაზე ადამიანთა მსხვერპლშეწირვა, ალბათ, იმაზე მეტად არ იყო გავრცელებული, ვიდრე დანარჩენ ძველ მსოფლიოში, მაგრამ, შთამომავალთა (მნიშვნელოვანწილად – თანამედროვეთა) მიერ ჩადენილი საშინელებანი ბევრად უფრო თავზარდამცემი იყო, რადგან, აქ მსხვერპლად ხშირად ბავშვებს სწირავდნენ, ამასთან, არა მონების ან ტყვეთა შვილებს, არამედ – საკუთარს. თუმცა, ეს ჩვეულებაც არ იყო უნიკალური, მაგრამ, ფინიკიის ქალაქებში იმ დრომდე გაძლო, როცა დანარჩენ მსოფლიოს მასზე უკვე დიდი ხნის წინ ჰქონდა უარი ნათქვამი.

სირიის ერთ-ერთი უმსხვილესი და უძველესი ქალაქი იყო კატანა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეთოთხმეტე საუკუნის შუა წლებში ეს ქალაქი ხეთებმა გაანადგურეს; დამპყრობლებმა გადაწვეს მეფის სასახლე და ტაძარი, რომელიც ერთიან არქიტექტურულ კომპლექსს წარმოადგენდა. ნანგრევებმა არქეოლოგებისთვის საიმედოდ დააკონსერვა მიწისქვეშა საძირკვლები და აკლდამები. სწორედ ამ საძირკვლების ქვეშ აღმოაჩინეს მკვლევრებმა სპეციალურ თიხის ჭურჭლებში მოთავსებული, 2 თვიდან 3 წლამდე მსხვერპლად შეწირულ ბავშვთა ნაშთები.

ბავშვების მსხვერპლად გამოყენება მშენებლობის დროს საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული სხვა ხალხებშიც, მაგრამ, ამასთან ერთად, ქანაანის მცხოვრებლებში არსებობდა კიდევ ერთი საშინელი ჩვეულება – თავიანთი პირმშოების, სიყრმის შვილების მსხვერპლად შეწირვა მათი მთლიანად დაწვის სახით. ამ წესს იყენებდნენ, მაგალითად, უგარითში – ძველ ქალაქ-სახელმწიფოში, რომელიც მომავალი ფინიკიის ჩრდილოეთით მდებარეობდა მესამე-მეორე ათასწლეულებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. შემორჩენილია ლოცვა, რომელსაც ისინი თავიანთი ღმერთის – ბაალისადმი აღავლენდნენ ხოლმე.

ფესვები ჩვეულებისა, რომ მსხვერპლად შეეწირათ სწორედ პირმშოები – მკვლევრებს შორის სადავო საკითხია, რადგან, ხალხთა უმეტესობაში პირმშო, სიყრმის შვილი, როგორც წესი, პრივილეგირებულ შვილად და მემკვიდრედ ითვლება. შესაძლოა, უგარითის ძველი მცხოვრებნი ცდილობდნენ, თავის ხელთ არსებული ყველაზე ძვირფასი შეეწირათ თავიანთი სისხლმოწყურებული ღმერთებისთვის და ამით შეერბილებინათ მათი მძვინვარება. თუმცა, არსებობს სხვა თვალსაზრისიც: საქმე ისაა, რომ სემიტი ხალხების რელიგია და მსოფლმხედველობა, რომლებიც დასახლებულნი იყვნენ ამ ადგილებში, საკმაოდ მჭიდროდ იყო დაკავშირებული შუმერულ-აქადურ რელიგიასა და მსოფლმხედველობასთან, მათ კი თავიანთი თვალსაზრისი ჰქონდათ პირმშოთა ღირებულებაზე. შემონახულია აქადური პოემა, ჩაწერილი მეთერთმეტე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ბაბილონელი ქურუმ-შემლოცველის, ესაგილ-კინი-უბიბის მიერ, რომლის პირობითი სახელწოდებაა „ბაბილონის თეოდიცეა“, რომელშიც ლაპარაკია იმაზე, რომ ქალღმერთმა, დედა არურუმ, პირმშო ნაკლებად სიცოცხლისუნარიანი გააჩინა, ვიდრე უმცროსი შვილები.



ბერძენი ისტორიკოსი ფილონი ეყრდნობა – რა ფინიკიელი სანხუნიატონ ბერიტიანინის ჩვენამდე არმოღწეულ წიგნს, აღწერს ბავშვების მსხვერპლშეწირვის ჩვეულების წარმოშობას. იგი წერს:

„ძველებს ჰქონდათ ჩვეულება, რომლის მიხედვითაც, დიდი უბედურებების დროს საშიშროების თავიდან ასაცილებლად, ქალაქების ან ხალხთა მბრძანებლები თავიანთ საყვარელ ბავშვებს მსხვერპლად სწირავდნენ ხოლმე დამსჯელ ღმერთს გამოსასყიდის სახით, საყოველთაო სასიკვდილო განაჩენის გასაქარწყლებლად. მსხვერპლად შესაწირებს მისტერიის დროს ასალმებდნენ სიცოცხლეს...“

სხვა ადგილას ფილონი აღნიშნავს: „როდესაც ქვეყანაში წყლულოვანი მომსვრელი სენი გავრცელდა, კრონოსს (ბერძნულ მითოლოგიაში: ტიტანი; ურანოსისა (ცის ღმერთი) და გეას (დედამიწის ღმერთი) შვილი, რომელსაც ფინიკიელები ელს უწოდებდნენ), რომელიც მეფობდა ქვეყანაში და სიკვდილის შემდეგ განღმრთობილ იქნა წმინდა ვარსკვლავ კრონოსის სახით, ადგილობრივი ნიმფა ანობრეტისგან ეყოლა ერთადერთი შვილი – იეჰუდი (რაც ფინიკიელთა ენაზე ნიშნავს „მხოლოდშობილს“) რომელიც კრონოსმა მსხვერპლად შეწირა თავის მამა ურანოსს“.

ამგვარად, ფილონის თანახმად, ბავშვთა მსხვერპლშეწირვა ღვთაებრივი თაოსნობით იკურთხა. ფილონი ელს კრონოსთან აიგივებს და მიიჩნევს, რომ მსხვერპლი ეწირებოდა მამამისს, ურანოსს. უფრო ტრადიციულად ითვლებოდა მსხვერპლშეწირვა ბაალისადმი, რომელიც ასევე იგივდებოდა კრონოსთან, ხოლო ხანდახან – ზევსთან. კართაგენელთა კულტში კი წამყვან როლს თამაშობდა ბაალ-ჰამონი, მზის განმასახიერებელი, რომელსაც რომაულ დროებაში, რატომლაც, სატურნთან აიგივებდნენ.

თუმცა, რაც არ უნდა რქმეოდათ ქანაანის სისხლმოწყურებულ ღმერთებს, რომლებიც თავიანთი მიმდევრებისგან ადამიანთა მსხვერპლად შეწირვას ითხოვდნენ, ეს მოთხოვნა სრულდებოდა. ბავშვებს ეგრეთ წოდებულ „ტოფეტებში“ – პატარა ტაძრებში წვავდნენ, რომელთა ირგვლივ ერთგვარი სასაფლაო იყო გადაჭიმული, სადაც ბავშვების ნეშტს თიხის ჭურჭელში ათავსებდნენ, მიწაში ფლავდნენ და თითოეულ მათგანზე დგამდნენ ქვას იმ ღვთაებისადმი მიძღვნილი წარწერით, რომელსაც ის მსხვერპლად შესწირეს, მაგრამ, იყო სხვა სახის მსხვერპლშეწირულობაც. შემორჩენილია ეგვიპტური ბარელიეფები, რომლებზეც გამოსახულია სირია-ქანაანის ქალაქების ალყის სცენები. მათი მცხოვრებლები ერთგვარ რელიგიურ წეს-ჩვეულებას ასრულებენ – დგანან კედლებზე და ხელში უჭირავთ ბავშვები, სრულიად მოსალოდნელი განზრახვით, რომ მათ ქვევით გადაყრიან. მაგრამ, რამდენადაც სავარაუდო განზრახვები უმეტეს ბარელიეფებზე განუხორციელები დარჩა (გარდა ბეით-ელვალას ტაძრის ბარელიეფისა), მკვლევარები ვერ მივიდნენ საბოლოო დასკვნამდე, თუ რა წეს-ჩვეულების აღსრულება ხდებოდა ქალაქების კედლებზე.

ცნობილია კანონები, რომელთა დარღვევისთვის დამნაშავეს თავისი შვილები უნდა შეეწირა ღმერთებისათვის. მაგალითად, არამეული საბუთი მესოპოტამიიდან (შედგენილი აქადურ ენაზე) გვამცნობს, რომ მეფის სახელის შებღალვისთვის დამნაშავე შემდეგნაირად უნდა დასჯილიყო: „დაე, მისი შვიდი ვაჟიშვილი დაიწვას ჰადადასათვის (ბაალის ერთ-ერთი სახელი), ხოლო მისი შვიდი ქალიშვილი გადაეცეს იშთარს ქურუმებად“.

შემორჩენილია დოკუმენტები, რომლებშიც სირიის მცხოვრებნი პირობას დებენ, საქმიანი კონტრაქტის დარღვევისთვის თავიანთი შვილებით აგონ პასუხი. მაგალითად, 783 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე დადებული ხელშეკრულება სახნავი მიწის შესყიდვის შესახებ გვამცნობს, რომ პირგასამტეხლოს სახით, შესაძლო დამნაშავეს უნდა დაეწვა თავისი უფროსი ვაჟიშვილი (პირმშო) ღმერთ სინისათვის, ხოლო უფროსი ქალიშვილი – ბელეთ-ცერისათვის (სტეპის ქალღმერთი).

**რევაზ ტომარაძე**

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**მშვენიერი ლიკა ევგენიძე ოჯახთან ერთად ნიუ-იორკში ცხოვრობს და გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვერ ახერხებდა თბილისში ჩამოსვლას. თუმცა, დაახლოებით ერთი თვის წინ ჩამოვიდა თბილისში ორ უსაყვარლეს შვილთან ერთად, რომლებთან ურთიერთობაც უდიდესი სიამოვნებაა.**

# როგორ ცდილობენ ერთმანეთის დახმარებას ლიკა ევგენიძე და მისი მეუღლე და როგორია მათი ამერიკული ცხოვრება

**ლიკა ევგენიძე**: ამერიკული ბიუროკრატიის გამო დღეებს ვაგროვებდი, მაისში მოვრჩი და ამდენ ხანს ვერ მოვახერხე ჩამოსვლა. კიდევ რომ შემეტანა მოქალაქეობაზე საბუთები, კიდევ ვერ ჩამოვიდოდი. ამას თბილისში ჩამოსვლა ვარჩიე. რომ დავბრუნდები, საბუთებს მაშინ შევიტან და დაველოდები. თავისი წესები აქვს ყველაფერს: დღეები უნდა დააგროვო; გარკვეული ხანი ვერ გამოხვალ ქვეყნიდან; საბუთებს რომ შეიტან, ისტორიის გამოცდა უნდა ჩააბარო...

**– ნიუ-იორკში ცხოვრება, ალბათ, არ გაგიჭირდა, თუმცა, მონატრების გრძნობა მუდმივად გექნება.**

– სულ მაქვს მონატრების გრძნობა, მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის მიჩვეული ვიყავი სხვაგან ცხოვრებას. 16 წლისა წავედი მოსკოვში საცხოვრებად და ჩამოვდიოდი ხოლმე. მერე აქ ორი წელი ვიცხოვრე და ისევ წავედი, ამიტომ, ასეთი რამ ჩემთვის არ არის უცხო. მაგრამ, როგორ ქვეყანაშიც არ უნდა ცხოვრობდე, თუნდაც ყველაზე მაგარ ქალაქში, შენი ქვეყანა მაინც შენია და ამას ვერაფერი შეგიცვლის. ამიტომ, სულ მენატრება და ეს გრძნობა მუდმივად თან მაქვს, ჩემშია.



**უარი არაფერზე არ უნდა თქვა, ყოველთვის უნდა ეცადო და ცოტ-ცოტა ყველაფერი გამოიყენო**

**– ის ორი წელი, როცა თბილისში ცხოვრობდი, შენთვის ძალიან დატვირთული და მნიშვნელოვანი იყო, ბევრი რამ მოხდა ერთად.**

– ჩემს ცხოვრებაში ძირითადად ასე ხდება – დაუგეგმავად. არასდროს დამიგეგმავს ტელევიზიაში მუშაობის დაწყება. თავიდან, რომ მითხრეს, პირდაპირ ეთერში უნდა დავმჯდარიყავი, ძალიან შემეშინდა – არ მქონდა გამოცდილება. მერე ვიფიქრე: რატომაც არა, ვცდი-მეთქი. ადამიანი ერთხელ ცხოვრობს და მგონია, რომ რაღაც შანსები არ უნდა გავუშვათ ხელიდან, უნდა ვცადოთ და მოვსინჯოთ საკუთარი თავი სხვადასხვა რაღაცაში. პრინციპში, ადამიანი ასე პოულობს საკუთარ თავს, რადგან, მაინც სულ ძიებაშია. არ უნდა თქვა არაფერზე უარი, ყოველთვის უნდა ეცადო და ცოტ-ცოტა ყველაფერი გამოიყენო.

**– გადაწყვეტილებებსაც სპონტანურად იღებ?**

– ყველაფერს სპონტანურად ვაკეთებ, არ ვარ ის ადამიანი, რომელიც რაღაცეებს გეგმავს. ამ ცხოვრებაში მაინც ყველაფერი სპონტანურად ხდება და, მე რაც არ უნდა დავგეგმო, მაინც ყველაფერი თამაშივით არის. რაღაცეები კი უნდა გქონდეს შენს თავში დალაგებული – რა გინდა, რომ გააკეთო, მაგრამ როცა რაღაცას წინასწარ გეგმავ და მასზე დიდ იმედებს ამყარებ, მერე ამას მტკივნეული იმედგაცრუება მოჰყვება. ამიტომ, ჯობია, უფრო მსუბუქად შეხედო ამ საკითხს. მე პირადად ასეთი მიდგომა მაქვს, თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სხვებიც ასე უნდა მოიქცნენ.

**– გათხოვებაც სპონტანურად ხომ არ გადაწყვიტე?**

– ისე, მართალი გითხრა, გათხოვებაც არ მქონია დაგეგმილი. სხვათა შორის, ყველაფერი კარგად გამოვიდა: უნივერსიტეტი დავამთავრე და მერე გავთხოვდი, მაგრამ, სულ ვამბობდი: ქალმა ჯერ უნდა იმუშაოს, თავისი ცხოვრება აიწყოს და მერე გათხოვდეს-მეთქი. მაგრამ, როცა „სწორი" ადამიანი გამოჩნდება შენს ცხოვრებაში, მერე მართლაც სპონტანურად ხდება ყველაფერი, დაგეგმილი ნამდვილად არ მქონდა.

**– არ არის ადვილი, მიხვდე, რომ ის მართლაც ის ადამიანია, ვისთანაც მთელი ცხოვრება უნდა გაატარო.**

– არ არის ადვილი, შეიძლება, ისე გაგეპაროს ის ადამიანი, სულ სხვაგან აღმოჩნდე და შენი ცხოვრება თავიდან ბოლომდე ამოტრიალდეს, სხვაგან წახვიდე. რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, როცა გაგიმართლებს და შენც იმ მომენტში დაინახავ იმ ადამიანს. ეს იმას ნიშნავს, რომ საჭირო დროს საჭირო ადგილას აღმოჩნდი და იმ მომენტში სწორ გადაწყვეტილებას მიიღებ. ზოგადად, მიმაჩნია, რომ ადრე გათხოვება არ არის კარგი. როცა ვიზრდებით, ბევრი რამ იცვლება ჩვენში. შეუძლებელია, სკოლას რომ დაამთავრებ, რა წარმოდგენაც მაშინ გაქვს ცხოვრებაზე, მომავალშიც, წლების მერეც იგივე აზრი გქონდეს. ერთია, როცა პატარა ხარ და რაღაც შეხედულებები გაქვს, მაგრამ, სულ სხვა რამ არის ოჯახი, შვილები – ეს სხვა პასუხისმგებლობაა, არ არის ადვილი.

**– როგორია შენი ამერიკული ცხოვრება?**

– ძალიან საინტერესო. ბრუკლინში ვცხოვრობთ, ვილიამსბურგში, მიყვარს ეს ადგილი. ზოგადად, ჩემთვის ამერიკა ძალიან ახლობელია. ნიუ-იორკში გაქვს იმის შეგრძნება, რომ ეს ყველას ქალაქია. თავისუფლება ყველაფერში იგრძნობა და ეს ძალიან სასიამოვნოა. თან, იქაურ ცხოვრებაზე ნელ-ნელა შენც ეწყობი. ვარჯიში დავიწყე, რაც ძალიან მომწონს. აქტიური ცხოვრების წესი მაქვს – არ ვეწევი და არც დალევა მიყვარს დიდად.

**– ორივე ორსულობის შემდეგ უცებ ჩადექი ფორმაში.**

– დიახ, ეს ნამდვილად გენეტიკურია. გენეტიკა ბევრ რამეს ნიშნავს.

**– კიდევ რა გამოგყვა მშობლებისგან გენეტიკურად?**

– ხელოვნებისკენ მისწრაფება – ესეც გენეტიკური მგონია. ასეთ გარემოში რომ იზრდები, მერე ეს ძალაუნებურად გადმოდის შენზე. ბევრი კარგი რამ მახსენდება ბავშვობიდან, თუნდაც ის, ჩვენს სახლში რომ იკრიბებოდნენ ხელოვანი ადამიანები: მწერლები, პოეტები, რეჟისორები, მუსიკოსები. სიჩუმე ჩემთვის ცოტა უცნაური იყო. მამაჩემი სულ ღამით წერდა მუსიკას, როგორც ძილისპირული, ისე მესმოდა და მეც წყნარად ვიძინებდი. სტუმრიანი სახლი იყო და საინტერესო თემებზე საუბრობდნენ ხოლმე. როცა გვიანი იყო, მეუბნებოდნენ, წადი დაიძინეო, მე და ჩემი ძმა კი გამოვიპარებოდით და ჩუმად მაინც ვუსმენდით – ძალიან გვაინტერესებდა. ჩემში იქიდან ბევრი რამ დაილექა.

**– ორ ბავშვს მარტო ზრდი, ძიძის გარეშე. ეს არ არის რთული?**

– რაც მთავარია, დრო კარგად მაქვს გადანაწილებული, ორივე რეჟიმში ჩავსვი. ძიძა რომ არ მყავს, ამაში საგანგაშო არაფერია – ხალხი ჩვეულებრივად ზრდის ორს, სამს და ოთხ ბავშვსაც. შენი შვილია და შენ უნდა აიღო მასზე პასუხისმგებლობა. მათთან ურთიერთობით, პირიქით, ძალიან დიდ სიამოვნებას ვიღებ და, რაც მთავარია, ყველაფერს ვასწრებ: მათთან ურთიერთობასაც და საკუთარ თავსაც ვუთმობ გარკვეულ დროს. თავიდან იყო რთული, რადგან, სხვა გარემოში ვიყავი. პატარა იქ დაიბადა, მაგრამ, ანა-სოფიამ, როცა ჩავედით, არ იცოდა ინგლისური და ალაპარაკდა. მერე ნელ-ნელა მოვერგეთ სიტუაციას. სულ ენატრებოდა საქართველო, ბაღში არავის არ ეკონტაქტებოდა, ვერის ბაღს და თავისი მეგობრების სახელებს იხსენებდა. თან, 2 წლის იყო და მიკვირდა, საიდან ახსოვდა ეს ყველაფერი – იმ მეგობრების ძიძების სახელებიც კი ახსოვდა.

**– ალბათ, მეუღლე გეხმარება შვილების გაზრდაში.**

– რომ არ მეხმარებოდეს, ყველაფერი ძალიან რთული იქნებოდა. მათი დაბადების პირველივე დღიდან ყველაფერს უკეთებდა, ერთმანეთს ვეხმარებოდით, ვენაცვლებოდით.

**– როცა მეუღლეები სხვა ქვეყანაში ცხოვრობენ, გარშემო არ ჰყავთ ოჯახის წევრები, ეს მათ ურთიერთობას კიდევ უფრო მყარს ხდის, მეტად უფრო აახლოებს ერთმანეთთან.**

– დიახ, ასეა, რადგან, სხვა პასუხისმგებლობაა, სხვანაირად გიწევთ ერთმანეთის გვერდში დგომა. იქ ვისაც ვუყურებ, უმეტეს შემთხვევაში, ყველა ასეა: მამაც და დედაც ბავშვების გაზრდაში ერთნაირად მონაწილეობენ. თავიდან მე და ნიკა სულ რიგრიგობით დავდიოდით ყველგან, რიგრიგობით – კინოში, რიგრიგობით – სხვაგან სადმე, სულ ასე ვიყავით. ნიკას მშობლები მრავალი წელია, იქ ცხოვრობენ და ძალიან გვიწყობენ ხელს. შაბათ-კვირას ანა-სოფია სულ მათთან არის. ფეხმძიმედაც რომ ვიყავი, ბავშვით, მაშინაც ძალიან დამეხმარნენ. ალექსი კინოშიც წაგვიყვანია, ეტლში ეძინა ხოლმე. დაბადებიდან სულ სადღაც დაგვყავდა, ამიტომ, მიჩვეულია, ხან კინოში იძინებს, ხან – რესტორანში, ძალიან კარგი ბავშვია.

**– როგორი დედა ხარ, სიმკაცრის გამოჩენაც გეხერხება?**

– რაღაც დონეზე აუცილებელია სიმკაცრეც, რადგან, დისციპლინის გარეშე გამორიცხულია ბავშვის აღზრდა. ნიკაც ჩემსავით არის და ვაბალანსებთ: მე თუ ვბრაზდები, ის არ ბრაზდება, ან – პირიქით. ისე, ჯობია, ორივე ერთდროულად გავბრაზდეთ, რადგან ანა-სოფიას მერე ან ჩემთან აქვს გასაქცევი, ან – მასთან.

**– მშობლები მკაცრები იყვნენ შენ მიმართ?**

– არა, ყოველთვის ძალიან მეგობრულები იყვნენ და, მეც მინდა, რომ ჩემს შვილებთან მეგობრული ურთიერთობა მქონდეს. რა თქმა უნდა, პატივისცემა უნდა არსებობდეს, მაგრამ, ისე არ უნდა შეაშინო, რომ მერე რაღაცეები დაგიმალონ. მე რომ გავჩნდი, დედაც და მამაც პატარები იყვნენ და ყველა ერთად გავიზარდეთ: პატარა და-ძმაც ხომ მყავს... მთლიანობაში, სამი და და ორი ძმა მყავს, ბევრნი ვართ. ბავშვებთან ურთიერთობის გამოცდილებაც მქონდა. ჩემი და, ქეთი რომ გაჩნდა, 16 თუ 17 წლის ვიყავი, მონაწილეობას ვიღებდი მის გაზრდაში; მინდოდა, ყველაფერი მე გამეკეთებინა და, ჩემი შვილები რომ დაიბადნენ, ამ მხრივ უკვე გამოცდილი ვიყავი. ამიტომაც, შიშის მომენტი არ მქონია, თან, მარტო ვაკეთებდი ყველაფერს.

**– დათო როგორი ბაბუაა?**

– დათოს ბაბუად ვერ აღვიქვამ, დათო დათოა, არც ბაბუა, არც მამა. როგორ გითხრა... ძალიან პანიკიორი კი არის, სულ რომ გირეკავს, სულ რომ ნერვიულობს, მაგრამ, სხვანაირია, ბაბუის როლში ვერც აღვიქვამ.

**– ახლა მარტო ჩამოხვედი?**

– რაც იქ ვიყავით, სულ ნიკა ჩამოდიოდა თბილისში და ახლა ჩემი ჯერია. მაშინ ფეხმძიმედ ვიყავი, თან, ისედაც არ იყო ამხელა გზაზე ფრენა მიზანშეწონილი. ნიკა რომ ჩამოდიოდა თბილისში, მერე ფოტოებს დებდა და ეს მეც ძალიან მინდოდა. ახლა პირიქით არის.

**ნათია უტიაშვილი**

# აქცია ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის - „თბილისი 2015-ის" მხარდასაჭერად ბათუმში

*29 ივნისს ბათუმში ჩატარდა აქცია-ფესტივალი, რომელიც ეძღვნებოდა ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს – „თბილისი 2015-ს." მასში მონაწილეობდნენ ქართული საზოგადოებისთვის საყვარელი და ცნობილი სახეები: ნუგზარ კვაშალი, გივი სიხარულიძე, ზურა მანაგაძე, ნუგზარ ერგემლიძე; ასევე, საუკეთესო მუსიკალური ჯგუფები: სტუდია „გვირილა," სტუმარი ხაშურიდან – სტუდია „მულტი პულტი." ღონისძიება გაიმართა ბათუმის ახალი, საზაფხულო თეატრის სცენაზე. შოუ-პროგრამა იყო კოსტიუმირებული, რაც ძალიან ლამაზი სანახავი იყო.*





**ერნა წიფურია** *(ანსამბლ „გვირილას" ხელმძღვანელი):* განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, რომლის პატრონაჟითაც ჩატარდა ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის – „თბილისი 2015-ის" მხარდასაჭერი აქცია-ფესტივალი. ღონისძიების მსვლელობის პერიოდში საზოგადოება გაეცნო ფესტივალის მზადების პროცესს. მინდა განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით მოვიხსენიო საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, ბატონი ლერი ხაბელოვი და აჭარის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, ბატონი ჯონი ცივაძე.

**ნინო ჩიხლაძე** *(ფესტივალის წამყვანი):* ძალიან მიხარია, რომ მხარდასაჭერი აქცია-ფესტივალი ბათუმის თეატრში სრული ანშლაგით ჩატარდა. მრავალი წარმატება ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს – „თბილისი 2015-ს"! დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტულ შემართებას როგორც ზრდასრული ადამიანების, ასევე, მოზარდებისთვის. როგორც რომაელი პოეტი ამბობს „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია..."

მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო თანადგომისთვის ბათუმის ახალი თეატრის ადმინისტრაციას და ყველა იმ ადამიანსა თუ ორგანიზაციას, ვინც ამ ლამაზი აქცია-ფესტივალის ირგვლივ გაერთიანდა.

# რა ტელემარათონს გეგმავს „ეკა ხოფერიას თოქ-შოუ" 10 ივლისს

2 ივლისს სასტუმრო „ჰოლიდეი ინში" მომღერალმა ნინო სურგულაძემ თავისი საქველმოქმედო ფონდის – „ნატვრის ხის" პრეზენტაცია გამართა, სადაც აღნიშნა, რომ ის და მისი მეგობრები, რომლებიც გაერთიანდებიან ამ ფონდში, საქართველოში ხელოვან ადამიანებს გაუწევენ დახმარებას. 10 ივლისს კი კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება დიდი საქველმოქმედო კონცერტი მსოფლიოს რამდენიმე საოპერო მომღერალთან ერთად, რომელზე შემოსული თანხითაც დაეხმარებიან ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს. საღამოს „ტელეიმედი" „ეკა ხოფერიას თოქ-შოუს" პირდაპირ ეთერს დაუთმობს!



„ყოველთვის დიდი სურვილი მქონდა, საქართველოში საქველმოქმედო საღამო ჩამეტარებინა. პირველად რომ ჩამოვედი, მე და ოპერის თეატრის ხელმძღვანელმა დავგეგმეთ, რომ სამომავლოდ გაგვეკეთებინა ასეთი კონცერტი, მაგრამ, როდესაც შევიტყვე 22 წლის გოგონას, ნინო ჩიქოვანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ამბავი, რომელსაც ძალიან მძიმე დიაგნოზი დაუდგინდა და სასწრაფო ოპერაცია ესაჭიროება, კონცერტი დავაჩქარე. ნინო გახლავთ კონსერვატორიის სტუდენტი, ასევე, ყოფილი ბალერინა, ძალიან ნიჭიერი და პერსპექტიული გოგონაა. ჩვენ, აგრეთვე დავეხმარებით ნიკუშა ვაშაკიძეს, რომელიც ასევე უმძიმეს მდგომარეობაშია და აპარატზეა მიერთებული; ვეხმარებით ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს, ეს ყველაფერი კი დამოკიდებულია მაყურებლის აქტიურობაზე, მათ ზარებზე. „იმედმა," კერძოდ კი, „ეკა ხოფერიას თოქ-შოუმ" გამოგვიწოდა დახმარების ხელი: 10 ივლისს, 22:00 საათზე, პირდაპირი ეთერით გადაიცემა ეს კონცერტი, ანუ, გაიმართება დიდი ტელემარათონი და ჩვენ ყველა ერთად დავეხმარებით ამ ბავშვებს. აღსანიშნავია ის, რომ ეს ყველაფერი უმოკლეს დროში გაკეთდა, თუმცა ძალიან რთულია მოკლე დროში ასეთი კონცერტის ორგანიზება. მე ვესაუბრე ჩემს უცხოელ კოლეგებს, ცნობილ ვარსკვლავებს, რომლებიც მსოფლიოს ყველაზე დიდ საოპერო სცენებზე გამოდიან და ისინი დიდსულოვნად დამთანხმდნენ, ჩამოსულიყვნენ და მიელოთ მონაწილეობა ამ კონცერტში. რაც შეეხება ანაზღაურებას, როდესაც ჩამოვედი და ორკესტრს შევხვდი მუსიკოსებმა მითხრეს, არანაირი ანაზღაურება არ გვინდა, ვინაიდან, ძალიან კარგად გვესმის, რა მდგომარეობაა დღეს საქართველოში; პირიქით, მადლობას გიხდით, რომ მონაწილეობას ვიღებთო. როდესაც ამას ჩვენი ორკესტრი ამბობს, რომელსაც თვითონ არ აქვს ფინასურად სახარბიელო მდგომარეობა, ნამდვილად დასაფასებელია. რაც შეეხება მხრდამჭერებს, პირველი „თი ბი სი" ბანკი' გამომეხმაურა; ასევე მონაწილეობის მიღება ისურვეს „ჰოლიდეი ინმა," რომელიც მთელი ამ პერიოდის განმავლობაში უმასპინძლებს ჩვენს სტუმრებს და „ლა ბელ მედიქალმა". დიდი მადლობა ყველას!



როგორც უკვე აღვნიშნე, კონცერტი ჩატარდება, 10 ივლისს, 22:00 საათზე, კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში, რომელიც ქალბატონმა მანანა დოიჯაშვილმა დაგვითმო. გვექნება საკმაოდ დიდი პროგრამა, ძალიან ცნობილი არიები და ჰიტები, გამომდინარე იქიდან, რომ კონცერტი გათვლილია არა მხოლოდ ოპერის მოყვარულთათვის, არამედ, ფართო საზოგადოებისთვის".

**ეკა პატარაია**

# შეკითხვა ექიმს

***კითხვებს პასუხობს „კუზანოვ დენტის" ხელმძღვანელი, ტრანსპლანტოლოგი რობერტ აგამირიანი.***



**კითხვა: შეიძლება თუ არა, ზაფხულში, როცა ცხელა, იმპლანტაცია და საჭიროა თუ არა, წინასწარ მოემზადოს პაციენტი ამ ოპერაციისთვის?**

**პასუხი:** სეზონურობას იმპლანტაციისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. თამამად შეგიძლიათ, ზაფხულშიც გაიკეთოთ იმპლანტაცია, თქვენთვის საჭირო რაოდენობით.

**კითხვა: რა ჯდება ხარისხიანი იმპლანტი თავისი კბილით? ფასიანია თუ არა კონსულტაცია?**

**პასუხი:** კლინიკა „კუზანოვ დენტში" კეთდება მხოლოდ უმაღლესი ხარისხის იმპლანტები, რომლებიც აპრობირებულია მსოფლიო ბაზარზე. ფასები იწყება 600 ლარიდან. რაც შეეხება გვირგვინის ღირებულებას, 300 ლარიდან იწყება – გააჩნია კონსტრუქციას და გააჩნია იმპლანტს. კონსულტაცია კლინიკაში უფასოა.

**კითხვა: საშუალოდ რა პერიოდი სჭირდება, ერთი იმპლანტის გაკეთებას და ხომ არ აქვს რაიმე უკუჩვენება ამ ოპერაციას?**

**პასუხი:** ერთი იმპლანტის ჩასმას სჭირდება 15-20 წუთი პაციენტის სავარძელში ჩაჯდომიდან. გასათვალისწინებელია, რა თქმა უნდა, პაციენტის ზოგადი მდგომარეობა.

**კითხვა: როგორ უნდა მოემზადოს პაციენტი იმპლანტაციისთვის, ხომ არ არის აუცილებელი რამე პრეპარატის მიღება?**

**პასუხი:** იმპლანტაციამდე პაციენტს უტარდება ყბის ძვლის ტომოგრაფიული კვლევა. რის მიხედვითაც დგინდება იმპლანტების რაოდენობა და შეირჩევა ზომა – შესაბამისი სიგრძე და დიამეტრი. ხუთი საათით ადრე იმპლანტაციამდე პაციენტს ენიშნება ანტიბიოტიკური თერაპია.

KUZANOV DENT

P.S. თქვენთვის საინტერესო შეკითხვით შეგიძლიათ მიმართოთ კლინიკას ტელეფონის ნომერზე: 233 33 01 ან მისამართზე: ასლანიდის №14.

# როგორ გარდაიცვალა საქართველოს მეფეთა-მეფე, იმპერატორი გიორგი მეოთხე (ლაშა)

თამარ მეფის ვაჟის – გიორგის შობას დიდი სიხარულით შეხვდა ჩვენი დიადი ქვეყანა. მეტსახელად უწოდეს ლაშა, რაც აფსართა (აფსუათა) ენაზე ნიშნავს „განმანათლებელს ქვეყნისა“.

დიდი იმედები ჰქონდათ ქართველებს იესიან, დავითიან, სოლომონიანთა გვარის გამგრძელებლისა, დედით და მამით ბაგრატიონისა.

განსაკუთრებულადაც ზრდიდნენ – როგორც მეომარს და მხედართმთავარს, რათა გაეფართოებინა დიდი საქართველოს საზღვრები და გამოეხსნა უფლის საფლავი ურჯულოთა ხელიდან.

გიორგი მეოთხეს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა იმდროინდელ მსოფლიოში, ალბათ, იმის გამოც, რომ უძლეველი მეფის შვილი იყო და მეომარი ხალხის ხელმწიფე. მასზე ლეგენდები დადიოდა. ევროპელ და აზიელ ქრისტიანებს ახალგაზრდა ქართველი მეფე უფლის საფლავის გამომხსნელად, „ქრისტიანობის ბურჯად“, „ახალ ალექსანდრე მაკედონელად“ ესახებოდათ.



ლაშას გამეფების ხანაში დიდგვაროვნები ძალიან გაძლიერებულები იყვნენ და უკვე საფრთხეს უქმნიდნენ სახელმწიფოს. ზოგიერთ გვარს ხელში ჰქონდა ჩაგდებული არაერთი უმაღლესი სახელო (თანამდებობა), დიდი ტერიტორია, ურიცხვი ქონება და ძალაუფლება.

როგორც ჩანს, ლაშა-გიორგის უნდოდა ხელში აეღო ინიციატივა და პოლიტიკური დაპირისპირებაც ჰქონდა ამ დიდებულებთან. ცდილობდა, ისინი თავიდან მოეშორებინა. არ უნდოდა, დამოკიდებული ყოფილიყო დიდ არისტოკრატებზე და ეურჩებოდა მათ. ამიტომაც, თვითნებობდა ხშირად, აწინაურებდა ახალგაზრდებს...

დაახლოებით 1219 წელს ლაშა-გიორგის რომის პაპის, ჰონორიუს მესამის წერილი მოუვიდა. პაპი ახალ, მეხუთე ჯვაროსნულ ომში იწვევდა უფლის საფლავის გამოსახსნელად ახალგაზრდა ქართველ მეფეს. ჩვენმა მეფემ დიდი სიხარულით დაიწყო მზადება ამ ლაშქრობისთვის, მაგრამ, მანამდე, გამდგარი ვასალების კვლავ დამორჩილება იყო საჭირო.

ჭაბუკი, გამოუცდელი მეფის ტახტზე ასვლით უნდოდათ, ესარგებლათ საქართველოს ძველ ყმადნაფიცებს და ზოგიერთმა მათგანმა ხარკის მოცემა შეწყვიტა. მაგრამ, გიორგი მეფემ შეძლო სახელმწიფოს ორგანიზება და ხელახლა დაიმორჩილა ძველი ვასალები – ოროტნი, ნახჭევანი, ხლათი, კარნუ-ქალაქი (არზრუმი). ქალაქ განძას ალყისას 4 000-კაციანი ნაწილებით, სარდლებთან შეუთანხმებელი, თვითნებური სამხედრო მანევრიც განახორციელა, რამაც საფრთხეში ჩააგდო მისი სიცოცხლე. თუმცა, გულადი მეფე არ მოერიდა და მედგრად დაუხვდა მაჰმადიანთა 10 000-კაციან შენაერთს. ამ ამბის გამო საყვედურებიც მიიღო.

1221 წელს, მოულოდნელად, საქართველოს ტერიტორიაზე მონღოლები შემოვიდნენ, რომლებიც ხორასნიდან ბრძოლა-ბრძოლით მოდიოდნენ, თან ხვარაზმის გადახვეწილი სულთნის, ჯალალედინის კვალს მიჰყვებოდნენ – ახალი ჯარის ორგანიზებაშიც ხელს უშლიდნენ და თან, დაზვერვითი ლაშქრობა ჰქონდათ.

ასე მოადგნენ საქართველოს სრულიად უცნობი მეომრები.

საქართველოში არაფერი იცოდნენ მონღოლების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ 1219 წლიდან ისინი ხორეზმის სახელმწიფოში შეიჭრნენ და გაანადგურეს. სამწუხაროდ, დავით აღმაშენებლის მიერ შექმნილი დაზვერვის სისტემა კარგად ველარ მუშაობდა.

ბერდუჯის წყლის პირას გაიმართა ბრძოლა ქართველთა და მონღოლთა შორის. ცოტა მოგვიანებით, ჟამთააღმწერელი წერდა, რომ პირველი შეტაკება ქართველთა ლაშქრის მარცხით დამთავრდა. თუმცა, ლაშა გიორგის მემატიანის თქმით, საქმე ოდნავ სხვაგვარად იყო.

მონღოლებმა ჯარი ორად გაყვეს და ნახევარი გადამალეს. ბრძოლა რომ გახურდა,ვითომ შეშინდნენ და გაიქცნენ. ქართველები გამოეკიდნენ... უცებ მონღოლები მობრუნდნენ და გაშლილ ქართულ ჯარს ისრები დაუშინეს, გვერდიდან კი დამალული ნაწილი ეტაკა ქართველებს. ქართველთა ჯარი აირია და საკმაოდ დიდი ზიანით დაიხია უკან.

ლაშა გიორგის მემატიანეს თქმით, ეს ამბავი კი მას უკეთ ეცოდინებოდა, მეფემ შეძლო არმიის მობილიზება, კვლავ შეტევაზე გადავიდა, გააქცია მონღოლები და დიდი ზიანიც მიაყენა მათ.

შესაძლოა, პირველი ბრძოლა მონღოლებს მონაპირე 10 000-იანი ქართული ჯარის წინააღმდეგ ჰქონდათ, რომელიც დაამარცხეს.

შემდეგ კი მათ თავად მეფე, ლაშა-გიორგი დაუპირისპირდა...

ამის შემდეგ, მონღოლთა ჯარი ისევ ემზადებოდა ქვეყანაში შემოსაჭრელად. მათ მიიერთეს ახალი, დამატებითი ძალები საქართველოსადმი უკმაყოფილო ტომებიდან. ასეთი კი ბევრი იყო. ბევრი ოცნებობდა ქართველთა დამარცხებასა და მდიდარი საქართველოს გაძარცვაზე.

მიუხედავად ბრძოლაში მიღებული ჭრილობისა, მეფემ შეძლო ჯარის სწრაფად რეორგანიზება, მოიხმო კარნუ-ქალაქის (არზრუმის) ყმადნაფიცი სასულთნოს ჯარიც და წინ დაუდგა მონღოლებს, რომლებიც ბარდავს დაბანაკებულიყვნენ. მონღოლებმა ველარ გაბედეს მათი ხრიკის მცოდნე, გამოცდილ, სახელგანთქმულ ქართულ ჯართან შებროლება, მიბრუნდნენ და დარუბანდის გზას გაუყვნენ.

**დაახლოებით 1219 წელს ლაშა-გიორგის რომის პაპის, ჰონორიუს მესამის წერილი მოუვიდა**

ჩრდილოკავკასიაში გადასულებმა ჯერ ალანთა ჯარი გაანადგურეს, მერე ყივჩაღები დაამარცხეს. ყივჩაღებმა დახმარებისთვის რუს მთავრებს მიმართეს. მონღოლებმა, 1222 წლის 31 მაისს, მდინარე კალკასთან, რუსთა და ყივჩაღთა გაერთიანებული ჯარი დაამარცხეს, რომელიც გადმოცემით 80 000-100 000 მეომრით იყო დაკომპლექტებული.

ჰენრიხ ლატვიელი, 1225 წელს, „ლივონიის ქრონიკაში“ წერს: მონღოლებმა რუსებს და ყივჩაღებს 100 000-მდე ადამიანი მოუკლესო. ზუსტი რიცხვი არ იცის (თუმცა, ზოგიერთ ისტორიკოსს ეს გადაჭარბებულად მიაჩნია).

ისტორიკოსთა უმრავლესობა წერს, რომ მონღოლთა ამ მზვერავ ჯარში 20 000 ჯარისკაცი იყოო, ანუ ორი დუმანი. დუმანი კი 12 ათასია ძველი მონღოლური წესით. ზოგის აზრით 30 000 მეომარი ჰყავდათ მონღოლებს ამ მიმართულებით გამოგზავნილი.

ჩინგიზ ყაენის ამ მოთარეშე ჯარს სარდლობდა ორი ნოინი – სუბუდაი და ჯებე. ნოინები დიდი ძალაუფლების მქონე სამხედრო ფეოდალები, სარდლები იყვნენ. ხშირად ისინი დუმანზე მეტსაც ედგნენ სათავეში. მათთან ერთად ხშირად არამონღოლი ეროვნების არაერთი ათასი ადამიანიც იბრძოდა...

ასე რომ, მონღოლებს 20 000-ზე გაცილებით მეტი მეომარი ჰყავდათ იმ მომენტში, ჯებე და სუბუდაი ბაღათურების, ნოინების არმიაში. უცხოელი ისტორიკოსებიც კი აღიარებენ, რომ მეფე გიორგი-ლაშასთან ბრძოლისას მონღოლებს თურქები ეხმარებოდნენ.

ბევრი ისტორიკოსის მიერ, როგორც ქართველთა ჯარის რიცხოვნობაა გაბერილი, ისე მონღოლთა ჯარის სიმცირეა ხელოვნური... გარდა ამისა, როგორ უნდა დაემარცხებინა 24 000 მონღოლს, ასე ადვილად და სასტიკად სრულიად გაერთიანებული რუსულ-ყივჩაღური 80 000 არმია?

მონღოლები, მართალია, კარგად ორგანიზებულნი იყვნენ – კარგი სტრატეგები და მეომრები, მაგრამ დაუმარცხებელნი – არა. მანამდე ჯალალედინმა ორჯერ სძლია მათ ნაწილებს, სანამ თვითონ ჩინგიზ ყაენი არ ჩაუდგა არმიას სათავეში და თვითონ არ დაამარცხა ჯალალის ლაშქარი.

ასე რომ, ლაშა-გიორგის ჯარს და მერე რუსებსა და ყივჩაღებს, 20 000-30 000-ზე გაცილებით მეტი მონღოლთა ჯარისკაცი დაუპირისპირდა.

ლაშამ, როგორც ვთქვით, პირველი შეცდომის შემდეგ, სწრაფად მოახერხა ჯარის ხელახალი ორგანიზება... „დაუმარცხებელი“ მონღოლებიც გაერიდნენ, ვერ შებედეს ჩვენს ჯარს შებმა.

სინამდვილეში, მართლაც, მონღოლების ის მოთარეშე არმია – ჯებესა და სუბუდაის მეთაურობით, დაუმარცხებელი არ იყო. რუსთა და ყივჩაღთა ჯართან გამარჯვების მერე, მონღოლების არმია სასტიკად დაამარცხეს ვოლგის ბულგარებმა, დონის შესართავთან, სამარის ლუკთან, იმავე 1222 წელს.

მონღოლთა და ქართველთა პირველი შერძოლება, დაახლოებით 1221 წლის თებერვალში მოხდა.

როგორც ვთქვით, ჩვენი მეფე დაიჭრა.

1223 წელს დიდი საქართველოს ახალგაზრდა მეფემ დააპირა თავისი დის, რუსუდანის გათხოვება. მთხოვნელი ბევრი იყო. ლაშამ გადაწყვიტა, რუსუდანი შირვან შაჰისთვის მიეთხოვებინა. ბაგავანში ნიშნობაც გაიმართა, მაგრამ, მოულოდნელად, მეფის ჭრილობამ თავი იჩინა და 1223 წლის 18 იანვარს, ბაგავანში გარდაიცვალა დიდი საქართველოს მეფეთამეფე, იმპერატორი გიორგი მეოთხე (ლაშა).

სულ ახალგაზრდა, 30 წლისა გარდაიცვალა საქართველოს სახელმწიფოს იმედი.

მისი სიკვდილი საქართვლოსთვის დიდი უბედურება იყო. მიუხედავად ფიცხი ხასიათისა, სამეფო და საეკლესიო კანონებისადმი დაუმორჩილებლობისა, თავკერძოებისა და სხვა, ლაშა-გიორგი დიდი მეომარი გახლდათ. უშიშარი, ძალიან კეთილი და მოსიყვარულე გულის პატრონი, და რაც მთავარია. კარგი ორგანიზატორი. ეს კი ძალიან საჭირო იყო იმ დროს, რადგან ახალი საშიშროებები დაემუქრა საქართველოს.

**გიორგი მახობეშვილი**

**მინერალებს საოცარი მისტიკური და სამკურნალო თვისებები აქვს, თუმცა, მნიშვნელოვანია მათთან ურთიერთობა და მათი სწორად გამოყენება. ვერცხლიც და ოქროც ძალიან საინტერესო თვისებებით გამოირჩევა და, ამიტომ, მათ ადამიანის ყოფიერებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ამ ყველაფრის შესახებ უფრო დაწვრილებით გვესაუბრება კომპოზიტორი ნოდარ მამისაშვილი:**

# როგორ გვიცავს ვერცხლი ცუდი ბაქტერიებისგან და რატომ ვიკიდებთ ოქროს ჯვარს „ბოლმის“ წერტილში

**– ვერცხლიც და ოქროც, ორივე ძალიან საინტერესო მინერალია. ვერცხლზე ისიც გამიგია, რომ ადამიანს ცუდი ბაქტერიებისგან იცავს, ანუ, ანტიბაქტერიული თვისებები აქვს. ეს შეეფერება სინამდვილეს?**

– დიახ, ვერცხლს ერთი არაჩვეულებრივად საინტერესო თვისება აქვს – ცუდი ბაქტერიებისგან იცავს ადამიანს. ძველად, როდესაც ჭას თხრიდნენ, შიგ ვერცხლის ნატეხებს ყრიდნენ, რადგან, ფიქრობდნენ, რომ ის ჭას გაწმენდდა და წყალი აღარ იქნებოდა საშიში. ძველად, სახლს რომ აშენებდნენ, საძირკველში ჩაყრიდნენ ხოლმე ვერცხლს და ამ ტრადიციას ძალიან საინტერესო ისტორია აქვს. ამ დროს აუცილებლად არკვევდნენ, საიდან უნდა ყოფილიყო ქარი, საიდან უნდა წამოსულიყო სეტყვა, ღვარცოფი და, სწორედ იმ მხარეს ყრიდნენ ვერცხლს, რომელიც ამ სახლის დამცველი ხდებოდა. იმ ადგილას საძირკველი კიდევ უფრო მყარი ხდებოდა და, თავისთავად, ისე გამოდიოდა, რომ ვერცხლიც იცავდა ამ შენობას. რადგან ვერცხლი არ იყო მხოლოდ მთვარის, ამიტომ მას ანიჭებდნენ კიდევ ერთ თვისებას – ის ურთიერთობაში უნდა შესულიყო მზესთანაც. მზის დაბნელების სხვადასხვა ფორმა არსებობს, მათ შორის არაჩვეულებრივია, რაც მზე მთვარის გარშემო ბეჭედივითაა და შუაში ძვირფასი თვალივით ზის მთვარე. ამიტომაც დაიწყეს ოქროთი ვერცხლის ძალიან საინტერესო დაფერვა და ეს არ იყო სიმდიდრის მაუწყებელი, ეს იყო მთვარისა და მზის ერთობა. თუ დაკვირვებიხართ, არის თასები, რომლებიც შიგნიდან მოოქრულია, ხოლო გარედან – მოვერცხლილი. როდესაც თასით შევსვამთ სასმელს, ზედა ტუჩი შეეხება ოქროს, ხოლო ქვედა – ვერცხლს; ანუ, იმ ადგილს, სადაც ადამიანს გემოვნებითი კატეგორიები აქვს და შეიგრძნობს მჟავეს, მწარეს, ტკბილს – ვერცხლი უნდა ეხებოდეს. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ შავი ვერცხლიც არსებობს, რომელიც ერთ-ერთი უძვირფასესი ლითონია და მას განსაკუთრებული თვისებები გააჩნია. მღვდლები ხშირად ატარებენ ვერცხლის ჯვარს, თუმცა, უფრო მაღალმა კატეგორიამ შეიძლება ატაროს ოქროს ჯვარი. არ მინდა, ვიღაცას ეგონოს, რომ, რადგან ის მაღალ საფეხურზე დგას, ამიტომ ატარებს ოქროს ჯვარს, უბრალო მღვდელი კი – ვერცხლისას. საქმეც ისაა, რომ მათ სხვადასხვა ფუნქცია აქვთ ნაკისრი. მღვდელი ბევრ ადამიანს ხვდება, შველის, მის საწუხარს იგებს, იზიარებს. აქ მინდა, პატარა გადახვევა გავაკეთო: მინახავს ნატვრის ხე, რომელზეც ნაჭერია შებმული. ადამიანები, რატომღაც, მათ სწორად ირჩევენ. არ ვიცი, ამას გუმანით აკეთებენ თუ ვინმე სპეციალურად არჩევს, უბრალოდ, ისინი ნატვრის ხეს იქ ირჩევენ, სადაც დადებითი ზონაა. როდესაც ჩემი აპარატურით გავზომე, ეს ხეებიც დადებით მუხტს გამოსცემენ. მაგრამ, ხემ, რომელზეც ბევრი ნაჭერი იყო შებმული, უარყოფითი მუხტი აჩვენა, ანუ, ხემ ვერ გაუძლო ამდენი ადამიანის საწუხარს, დაიტვირთა და მეტი აღარ შეუძლია. მღვდლის ჯვარიც სწორედ იმიტომ არის ვერცხლის, რომ მან ამდენ საწუხარს გაუძლოს – ვერცხლი ბაქტერიოციდულია და, ამ მხრივ, ძალიან გამძლეა. საერთოდ, ოქროს ჯვარს ვიკიდებთ იქ, სადაც, უხეშად რომ ვთქვა, არის ბოლმის წერტილი. როდესაც ადამიანი რაღაცაზე ნერვიულობს, განიცდის, ეს ყველაფერი იმ ადგილას აწვება და ოქრო მისთვის შეღავათია. ამ თვალსაზრისით, მაგალითად, ნათლობის დროს ოქროს ჯვრის ჩუქება, შეიძლება, ამართლებდეს... ვერცხლსაც შეუძლია, დაძველდეს და მიიღოს სხვადასხვა ფერი. რაც შეეხება შავ ვერცხლს, მისი ინტენსივობა ძალიან ძლიერია. წარმოიდგინეთ „შავი ხვრელი”, რომლის პროცესსაც დღეს შეისწავლიან. გალაქტიკური სპირალები, რომლებიც მოძრაობენ და, პრაქტიკულად, მათ ძირითადი ზამბარა ამოძრავებს მთლიანად, ეს დიდი, ცენტრალური შავი ხვრელია ჩვენთვის ხილული გალაქტიკის ფარგლებში. გარდა ამისა, ის არის ყველაფრის შემწოვი – რაც მასთან არის, ყველაფერს „მიირთმევს”. მაგრამ, ჰიპოთეზურად არსებობს ასეთივე პატარა შავი ხვრელები ზოგიერთი უჯრედში, რომელიც გამწმენდია. ეს ჯერ მისტიკურია, მაგრამ ინფორმაციულად არსებობს. აი, ის შავი ვერცხლი ამ შავ ხვრელთან პირდაპირ კავშირშია, იქაც გამწმენდის ფუნქცია აქვს – ერთად წმენდენ უჯრედს. ვერცხლი მარცხენა ხელის მინერალია, თუმცა, არ ვფიქრობთ იმაზე, ეს რას ნიშნავს. წარმოიდგინეთ პირველი ხმა, რომელსაც წარმოშობს ადამიანის სხეული – ეს არის გულის მარცხენა პარკუჭი, ანუ, პირველად ის შედის დიალოგში სამყაროსთან, კოსმოსთან. პირველ წამებში, როდესაც ჩანასახი ჩნდება, სწორედ გულის მარცხენა პარკუჭი ჩაისახება. ამ დროს არათუ ბავშვი, ჯერ გულიც კი არ არის დაბადებული. სწორედ ამ პარკუჭიდან მიდის ინფორმაცია კოსმოსში. როდესაც ადამიანი ჩაისახება, მასში პირველად იბადება გულის მარცხენა პარკუჭი და პირველი გულისცემაც იქ იწყება. ამიტომ, ძველად ჩვილ ბავშვს

**თუ ადამიანს შესაძლებლობების კოეფიციენტი აქვს 80 და ის ოქროს სამაჯურს მარჯვენა ხელზე გაიკეთებს, კოეფიციენტი 90-მდე გაეზრდება**

მარცხენა მხარეს ჰკიდებდნენ ოქროს პატარა ნაჭერს, რომ მთვარის ხელს მზე ამოეყვანა და ბავშვი ჯანმრთელი ყოფილიყო. მარცხენა ხელს თავისი მუდმივი ვიბრაცია აქვს. ქართველები ყოველთვის ამბობდნენ, რომ მარცხენა ხელი მგრძნობიარეა, რაც სულაც არ ნიშნავს სუსტს. ამიტომაც, ქალები ვერცხლის სამკაულს იკეთებდნენ მარცხენა მხარეს. თუ უძველეს ეგვიპტეში გადავინაცვლებთ, ვნახავთ, რომ იქაც მარცხენა ხელია ძვირფასეულობის, მთვარის მინერალის მფლობელი. ვერცხლი მთვარის მინერალებში გადიოდა.

**– როგორც ცნობილია, ვერცხლს გარკვეული სამკურნალო თვისებებიც გააჩნია.**

– არა მხოლოდ როგორც ბაქტერიოციდულ მინერალს, არამედ, მას აქვს სამკურნალო თვისება დამატებით კატეგორიაში. მაგალითად, ვერცხლის კოვზით სინჯავდნენ, ხომ არ იყო მოწამლული საკვები; ასევე, ვერცხლის ქვაბში უნდა ჩაგეგდო ვერცხლის ნატეხი, რომ დუღილის პროცესი ყოფილიყო სრულყოფილი. უხეში შედარებაა, მაგრამ, ვერცხლი ლაკმუსის ქაღალდივითაა – ის აჩქარებს რაღაც პროცესებს, რასაც ზოგჯერ პირდაპირი მნიშვნელობა აქვს სამკურნალო კოეფიციენტის ამაღლებაში. არაჩვეულებრივად საინტერესო ფორმები დგება ვერცხლის კატეგორიაში, როცა ის წარმოდგენილია როგორც სიცოცხლის გამახანგრძლივებელი სიმბოლო. ეს არის ორი ოთხკუთხედის შეერთება, ოღონდ, ისე უნდა შეერთდეს, რომ მათი ზედა ჰორიზონტალი ერთ ხაზზე იყოს. პირველად რომ შეხედავთ, რომბებს დაინახავთ და თავისებური რვაკუთხედი გამოდის. როდესაც ადამიანს უჭირდა, მას სამკაულად იყენებდა თუნდაც „მზის წნულზე” ან სხვა ადგილას. თვითონ „მზის წნული” არაჩვეულებრივად საინტერესო ადგილია. როდესაც ადამიანი ფიქრობს და აზროვნებს, მას მჟავა რეაქციები უგროვდება თავის კანის ქვეშ, რომელიც შემდეგ ქვემოთ იწევს და ჩვენ ვგრძნობთ თვალების სიმძიმეს; შემდეგ იქიდანაც ნელ-ნელა ქვემოთ ჩამოდის. მერე ზევით ისევ აღდგება და არის ტუტოვანი, ხოლო ქვემოთ არის მჟავა. როდესაც მჟავას ვერ ერევა, ტუტოვანი მასა მცირდება და ასეთ შემთხვევაში ადამიანი თვლემს, მუშაობის გაგრძელება ეზარება. ამავე დროს, ენერგია რომ მოიკრიბოს, ტყუილი კი არ არის ანთეოზის მითი – ის ენერგიას იწევს ფეხებიდან. ანუ, მჟავა ჩამოდის თავიდან, ქვემოდან კი ამოდის გამახალისებელი ენერგია და მათი შეხვედრის ადგილი არის „მზის წნული”. სწორედ ამ მზის წნულში ხდება მჟავა რეაქციისა და განახლებული ენერგიის შეჯახება. თუ ენერგია მოერევა, ჩაითრევს ქვევით, გაატარებს მიწაში და ახალი სერია დაიწყება, ხოლო თუ ვერ მოერევა, მაშინ ადამიანი იწყებს მთქნარებას, თითქოს ჰაერის უკმარისობა ემართება, ოღონდ, ეს სხვანაირი ჰაერის უკმარისობაა. ასეთ შემთხვევაში, ადამიანს ოქრო ძალიან ეხმარება. იყვნენ ექსტრასენსები, რომლებსაც ძალიან ბევრი ენერგია ეხარჯებოდათ. არსებობს ცნობა, რომ ისინი მზის წნულზე იდებდნენ ოქროს თხელ ფირფიტას და ნაკლებად გრძნობდნენ დაღლილობას.



**ოქრო ძალიან უხდება მხედველობას. ამიტომ, ოქროში ჩასმული ბროლი თვალებისთვის ძალიან სასარგებლო ყოფილა**

**– როგორც ვერცხლს, ოქროსაც გააჩნია სამკურნალო და მისტიკური თვისებები?**

– ოქროს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ნევროზით დაავადებულთა სამკურნალოდ. ის, ვინც ნევროზით იყო დაავადებული, უნდა ჰქონოდა ოქროს თუნდაც პატარა სამი მარცვალი, რომელიც უნდა გაეკეთებინა კისერზე: ყელთან ერთი ცალი და გვერდებზე – ორი ცალი. ოქროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან, იმავდროულად, ის უკვდავების სიმბოლოც იყო. გარდა ამისა, ოქროს კიდევ ერთი საინტერესო თვისება აქვს. ჩემს ბავშვობაში ასეთ ლექსს ვამბობდით: „ბები, ბები, შენ კი გენაცვლები, ოქროს სათვალეს გიყიდი, როცა დაბერდები“. ოქროს სათვალე წარმოდგენილი გვქონდა, როგორც ძვირფასი ნივთი, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ოქრო ძალიან უხდება მხედველობას და ოქროში ჩასმული ბროლი თვალებისთვის ძალიან სასარგებლო ყოფილა. როგორც იცით, ძველად მეფეები და პატრიარქები ოქროს გვირგვინს იდგამდნენ თავზე. საბოლოოდ აღმ-

**(გაგრძელება 78-ე გვერდზე)**

**მსახიობი თემურ ქამხაძე 5 წლის წინ წავიდა ამერიკაში. ერთი თვის წინ კი, საქართველოში დაბრუნდა და როგორც თავად აღნიშნა საუბრის დროს, ამჯერად – დიდი ხნით. მარჯანიშვილის თეატრის ყოფილი მსახიობი, სავარაუდოდ, ახალი სეზონიდან თეატრს დაუბრუნდება და მაყურებელი კვლავ ნახავს მას სცენაზე. პარალელურად, გეგმაში აქვს, საბავშვო ქორეოგრაფიული სტუდიის გახსნა, სადაც მსურველებს, როგორც წლების წინ, ცეკვას ასწავლის.**

# ბავშვობის რა ოცნება აისრულა თემურ ქამხაძემ და რა სიურპრიზი მოუწყო მას ცხოვრებამ

**– ერთი თვეც არ არის, რაც საქართველოში დაბრუნდი. რამდენი წელი ცხოვრობდი ამერიკაში?**

– ანუ, გინდოდა გეთქვა, რამდენი წლით ვიყავი ჩასული სტუმრად სხვა ქვეყანაში. ამას იმიტომ ვამბობ, რომ თავს იქ ყოველთვის ვიზიტორად და სტუმრად მივიჩნევდი, რადგან ჩემი ფესვები, ჯიში და გენეტიკა საქართველოშია. ასევე, ენერგია, რომელიც აქ დამხვდა. ეს არის სიყვარული, რისთვისაც ვცხოვრობთ, ვარსებობთ და ვიღწვით. ძალიან მიყვარხართ, ქართველებო.

**– ჩვენც ძალიან გვიყვარხარ და ამასობაში, რამდენი წელი გავიდა, რაც სტუმრად იყავი სხვა ქვეყანაში?**

– 5 წელი. მინდა გითხრათ, რომ ამჯერად დიდი ხნით დავბრუნდი და გამოცდილება, რაც წლების განმავლობაში ამერიკაში დავაგროვე, მინდა, საქართველოში გამოვიყენო, ჩემს ხალხს დავუბრუნდე. ყოველ შემთხვევაში, ამის დიდი სურვილი მაქვს.



წასული არსად ვყოფილვარ, გულით სულ აქ ვიყავი. უბრალოდ, 5 წელი მომსახურების ზონიდან გავედი

**– ამ ხუთი წლის განმავლობაში მხოლოდ ტურისტად არ ყოფილხარ იქ. მუშაობდი და არაერთ ქასთინგშიც გაქვს მონაწილეობა მიღებული. ამასთან, იმასაც ვიტყვი, რომ დროებით პროფესიაც კი შეიცვალე.**

– ამაში ვერ დაგეთანხმები. მე ჩემს პროფესიას არასდროს ვუღალატებ. როდესაც სხვა ქვეყანაში მიდიხარ, უნდა შეეცადო იმ რიტმს აჰყვე, რაც საკმაოდ სწრაფია. ამას შევეცადე მაქსიმალურად და მართლაც, როგორც თევზი წყალში, ისე ვიგრძენი თავი. ამის ფონზე კი დისკომფორტი ნამდვილად არ მიგრძნია. უნდა შეისწავლო ბევრი რამ – თუნდაც ის კანონები, ის ცივილიზაცია, რაც იმ ქვეყანაშია, სადაც დროებით გიწევს ცხოვრება.

**– პროფესიის შეცვლა ტყუილად არ მიხსენებია. ერთი პერიოდი ამერიკაში პოლიციელობაც კი გადაწყვიტე. როგორ გახდა მსახიობი თემო ქამხაძე ამერიკელი პოლიციელი?**

– ეს მთლად სწორი განმარტება არ არის ჩემი დროებითი პროფესიისა. ეს პოლიციელობა არ იყო. უბრალოდ, პირადი, პერსონალური დაცვის უფლება მაქვს. ანუ, იარაღის ტარების უფლება მაქვს. ეს უცებ არ ხდება და გარკვეული დრო და ეტაპებია საჭირო, ენას თავი რომ დავანებოთ, კანონები უნდა შეისწავლო. ძალიან ბევრი გამოცდილება მივიღე, რაც აქ შეიძლება, იქ არ შეიძლება და ასე შემდეგ.

**– კომფორტულად თუ გრძნობდი თავს ამ ყველაფრის ფონზე?**

– ყველანი ვიზრდებით. როცა გრძნობ, რომ რაღაც ახალს სწავლობ და არ გაქვს ინფორმაციული ვაკუუმი, ყოველი დღე შენთვის ახალია და აღმოაჩენ, რომ მხოლოდ ერთი პროფილით არ შემოიფარგლები ამ ქვეყანაზე – თუ მოინდომებ, შეუძლებელი არაფერია.

**– მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე კიდევ გნახავთ?**

– ეს ჩემი მიზანი და სურვილია. დირექციიდან დადებითი პასუხი მივიღე და იმედი მაქვს, ახალ სეზონზე მარჯანიშვილის თეატრს დავუბრუნდები. პარალელურად, აუცილებლად დავუბრუნდები ქორეოგრაფიას და ბავშვთა ანსამბლს ჩამოვაყალიბებ.

**– მართალია, მას შემდეგ ძალიან დიდი დრო გავიდა, მაგრამ შენს სავიზიტო ბარათად მაინც ბერუას როლი რჩება, ფილმიდან „ზოგი ჭირი მარგებელია.“ თუმცა, ამის შემდეგ იყო „შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი“ და ასე შემდეგ.**

– მართალია, ძალიან დიდი დრო გავიდა კინოში ჩემი დებიუტის შემდეგ, მაგრამ რატომღაც, რაც არ უნდა გავიზარდო, რაც არ უნდა გავაკეთო, მაინც ვუბრუნდებით ფილმს, „ზოგი ჭირი მარგებელია.“ ჩემი ცხოვრებაც ისე წავიდა და ბევრი ისეთი რამ მოხდა, რომ მართლაც ზოგი ჭირი მარგებელია. ჩემთვისაც ცხოვრების სიურპრიზი იყო, ბედმა ასე რომ გამიღიმა და მთელი ჩემი ბავშვობის ოცნება რეალობად აქცია. მსახიობობაზე ვოცნებობდი. ერთ დღესაც, სრულიად შემთხვევით, წვიმიან ამინდში ქუჩაში შემაჩერეს და მითხრეს: ხომ არ გინდა ფილმში ითამაშოო. რატომაც არა-მეთქი, ვუთხარი და სწორედ ასე დაიწყო ჩემი ოცნების ასრულება. დანარჩენი უკვე იცით, ფილმი („ზოგი ჭირი მარგებელია“) სახეზეა.

**სულმოუთქმელად ველოდები გადაღების დაწყებას და სიტყვა „მატორს“**

**– რაც შეეხება ქორეოგრაფიულ მოღვაწეობას. ამერიკაში წასვლამდე წლების განმავლობაში მუშაობდი ქორეოგრაფად. შენს ცხოვრებაში იყო სტუდია „ბერიკები,“ მოგვიანებით კი, ჩამოაყალიბე საკუთარი ანსამბლი „ბერუა.“ დღეს უკვე არაერთი ცნობილი სახე შეიძლება, ჩამოვთვალოთ, ვინც ბავშვობაში, ან ოდნავ მოზრდილ ასაკში შენთან ისწავლა ცეკვა. შეგიძლია, მათი ჩამოთვლა?**

– ჟურნალისტი ნათია ტრაპაიძე, ასევე ჟურნალისტი ეკა ტოგონიძე, ცნობილი პიანისტი დათუნა ალადაშვილი, მოდელი და მოცეკვავე თათა ჯაში. ცნობილი და წარმატებული მოცეკვავე და ქორეოგრაფი საბერძნეთში – შმაგი ჯიმშერაშვილი; მსახიობები: ეკა დემეტრაძე, პოლიკა კუბლაშვილი, ბაჩო ქაჯაია, გოგა ბარბაქაძე, ნათია მეტრეველი, აჩიკო სოლოღაშვილი, ია სუხიტაშვილი და კიდევ ძალიან ბევრი.

**– როგორც ვიცი, ახლა დიდი გეგმები გაქვს და ახალი ანსამბლის ჩამოყალიბებას აპირებ სექტემბრიდან. დაბრუნდი და კვლავ აქტიურად შეუდექი საქმეს.**

– როგორც უკვე გითხარი, წასული არსად ვყოფილვარ, გულით სულ აქ ვიყავი. უბრალოდ, 5 წელი მომსახურების ზონიდან გავედი. ამ დროის განმავლობაში იდეები მომიმრავლდა და მინდა, მათი განხორციელება. მადლობა ღმერთს, ხელოვნებაში ამის საშუალება არის. სექტემბრიდან შევუდგებით საქმეს.

**– არ ვიცი, ჭორია თუ მართალი, მაგრამ ყური მოვკარი, რომ ახალ ფილმზე იწყება მუშაობა, სადაც შენც იქნები დაკავებული. მართალია ამ პროექტის შესახებ?**

– ჯერჯერობით ვერ ვიტყვი ფილმის სახელს. ეს სერიოზული პროექტია, რომელსაც წარმატებას ვუსურვებ. მოსამზადებელი პერიოდია და არ მაქვს უფლება, ამის შესახებ გავამხილო, მით უმეტეს, რომ ჯერ კონტრაქტიც არ მაქვს ხელში. ერთი შემიძლია ვთქვა, რომ ეს ორი ქვეყნის ერთობლივი პროექტია.

**– ძალიან კარგი მსახიობები არიან დაკავებული ამ პროექტში, გავიგე.**

– არც ამის თქმის უფლება მაქვს ჯერჯერობით. ისე, ძალიან სასიამოვნოა ჩემთვის, რომ მათთან ერთად მომიწევს გადასაღებ მოედანზე ყოფნა. სულმოუთქმელად ველოდები გადაღების დაწყებას და სიტყვა „მატორს.“

**– წარმატებას გისურვებ და იმედს ვიტოვებ, მოგვიანებით ამ თემას ჩვენ აუცილებლად დავუბრუნდებით.**

**მარიკა ხიდურელი**

**დაავადებებთან ბრძოლის სხვადასხვა ხერხი არსებობს. თუმცა, გააჩნია, რა დაავადებაა და რომელ სტადიაშია. ასევე, დიდი მნიშვნელობა აქვს სწორად შერჩეულ მკურნალობას. თუ მკურნალობა სწორად არაა დანიშნული და პირდაპირ არ ებრძვის დაავადების გამომწვევ მიზეზს, ამ შემთხვევაში, დრო ადამიანის საწინააღმდეგოდ მოქმედებს. სწორედ ასეთი ინდივიდუალური მკურნალობის მეთოდს გვთავაზობს ბატონი ოთარ ფანჩულიძე სხვადასხვა ვერაგ დაავადებასთან ბრძოლაში.**

# საოცრება – ჩვენ გვერდით

ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ნადეჟდა პანჩენკო ბატონი ოთარ ფანჩულიძის პრეპარატების შესახებ რუსულენოვანი ალმანახის, „კავკასიონის“ მეექვსე გამოშვებაში წერს: „ბუნებრივი პრეპარატების სამკურნალოდ გამოყენების დიდი გამოცდილება აქვს წყალტუბოში მცხოვრებ ოთარ ალექსანდრეს ძე ფანჩულიძეს. მას დახმარებისა და რჩევისთვის მიმართავენ ავადმყოფები არა მხოლოდ საქართველოდან, არამედ უკრაინიდან, სომხეთიდან, რუსეთიდან და სხვა. ოთარ ფანჩულიძემ საოცარ შედეგებს მიაღწია ისეთი მძიმე დაავადებების განკურნებაში, როგორიცაა ბრონქიალური ასთმა, კუჭის წყლული, პიელონეფრიტი, პროსტატიტი, სისხლის დაავადებები, რევმატიული პროცესები, განგრენა. ადამიანის ყველაზე დაუნდობელი მტერი, ონკოლოგიური დაავადება – კიბოა. პროფილაქტიკის მიზნით განსაკუთრებით ეფექტურია იმუნიტეტის ასამაღლებელი საშუალებები. სწორედ ასეთ კატეგორიას განეკუთვნება ოთარ ფანჩულიძის პრეპარატები... მისი მკურნალობის ტაქტიკის განსაკუთრებულობა ყოველი ავადმყოფისადმი ინდივიდუალური მიდგომაა. პრეპარატების შერჩევა ზედმიწევნით ლაბორატორიულ გამოკვლევებსა და იმუნოლოგიური ტესტების შედეგებს ეფუძნება, რომელიც უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის მონაწილეობით შემუშავებული სპეციალური სქემით ხდება.

ჩავატარეთ კვლევა ათობით ადამიანზე, რომლებიც ბოლომდე განკურნა ოთარ ფანჩულიძემ. შედეგები საოცარია – განიკურნენ ისინი, ვისაც დიდი ხანია, დაკარგული ჰქონდათ იმედი“.

***საინტერესოა ბატონი ოთარის ინტერვიუ, რომელიც გაზეთ „მკურნალში“ დაიბეჭდა:***

**– ბატონო ოთარ, რა უკვდავების წამალი გაქვთ ასეთი?**

– საგვარეულო წამალია, ცოდნა დედამ გადმომცა. მე განათლებით ბიოლოგი ვარ და პრეპარატი დავხვეწე. 2002 წელს ჯანდაცვის სამინისტრომ ლიცენზია მომცა და დღეს ჩემს პრეპარატს „ვიტასის“ სახელით მოიხსენიებენ.

**– საინტერესოა, რა შემადგენლობა აქვს?**

– ფუტკრის პროდუქტებზეა დამზადებული. შეიცავს თაფლს, ფუტკრის რძეს, ყვავილოვან მტვერს, შხამს, დინდგელს, მინერალებს, მცენარეებს. პრეპარატს ყველა პაციენტისთვის ინდივიდუალურად ვამზადებ. პაციენტები შვებას 10 დღეში გრძნობენ. ამიტომ, ბოლომდე მომყვებიან... პროფესორმა ალექსანდრე კუჭუხიძემ საქართველო-ინგლის-ამერიკის ერთობლივ აკადემიაში მიმიწვია და წამლის სერიული გამოშვებაც შემომთავაზა. მაგრამ, უარი ვთქვი – „დიდ ფაფას დიდი სულის ბერვა უნდა“. მე იმითაც კმაყოფილი ვარ, რასაც ღმერთი მაძლევს.



**მზია ფანჩულიძე** ***(ბატონი ოთარის ქალიშვილი):*** ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ მიიღებს ადამიანის ორგანიზმი სამკურნალო საშუალებას. ავთვისებიანი სიმსივნის მრავალი სახეობა არსებობს – ყველას ვერ დაამარცხებ, მაგრამ წლების განმავლობაში კიბოს დამარცხების არაერთი შემთხვევა გვქონია, მათ შორის ისეთებისაც, რომელთა მკურნალობაზე ექიმებმა უარი განაცხადეს.

უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის დოქტორი ნადეჟდა პანჩენკო და მისი ჯგუფი მამასთან ოთხი წლის განმავლობაში მუშაობდნენ. „ვიტასი“ – ეს სახელი პრეპარატს სწორედ მათ შეარქვეს. სხვათა შორის, ჩერნობილის კატასტროფის შემდეგ, მასზე დიდი მოთხოვნა იყო. დასხივებულ ადამიანებს მისი საშუალებით მკურნალობდნენ.

**ოთარ ფანჩულიძის პაციენტები:**

**ჯაბა ჭალელიშვილი:** პანკრეასზე ავთვისებიანი სიმსივნე მქონდა. გავიკეთე ოპერაცია ქუთაისში, რის შემდეგაც განვითარდა კისტა. ერთ კვირაში მეორე ოპერაციის გაკეთება გახდა საჭირო, რის შემდეგაც ჩემი გადარჩენის შანსი აღარ იყო. ექვსჯერ უნდა გამეკეთებინა ქიმია, თუმცა სისუსტის გამო ქიმიაზე უარი მითხრეს, ვერ გადაიტანსო. ჩემმა ქირურგმა მირჩია, მიმემართა ბატონი ოთარ ფანჩულიძისთვის. მეც გაგონილი მქონდა მისი წამლის სასწაულებზე და დაუყოვნებლივ მივმართე. პირველი ორი კვირის განმავლობაში ვიყავი ძალიან ცუდად, მაწუხებდა უჰაერობა, უმადობა. ბატონმა ოთარმა დამამშვიდა: მადა მოგემატება და ნელ-ნელა მდგომარეობიდან გამოხვალო. მართლაც 3 თვეში სამსახურში გავედი. სასწაულია, რომ დიაბეტი არ მაქვს – ასეთი რამ მედიცინაში არ არსებობს და რაც მთავარია, ქიმია არ გამიკეთებია. მე თუ ცოცხალი და ჯანმრთელი ვარ, ბატონი ოთარის დამსახურებაა. დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას ვუსურვებ მას.

***25 წლის გია ლეჟავას დედა,*** **ციცინო ლეჟავა:** 2000 წლის სექტემბერში ჩემს 25 წლის ვაჟს ასტკივდა კბილი. ამ დროს მოსკოვში ვიმყოფებოდი. კბილის გაბურღვის შემდეგ, გაუსივდა სახე. ტემპერატურა 41 გრადუსზე ავიდა, ძალიან ცუდად გახდა. სასწრაფოდ წავიყვანეთ მოსკოვში ერთ-ერთ ცნობილ კლინიკაში, სადაც გაუკეთდა ოპერაცია და ყბის რბილი ქსოვილიდან ამოუღეს ჩირქი. თუმცა, მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა, ჩირქი ძვალზე გადავიდა და დაეწყო ძვლის დაშლა – ოსტეომიელიტი. 4 თვის უშედეგო მკურნალობის შემდეგ, ქუთაისში ჩამოვედით ბატონ ოთართან. ერთ კვირაში მდგომარეობა გაუუმჯობესდა. დღეს ჩემი შვილი ჯანმრთელი და საღსალამათი გაემგზავრა მოსკოვში. ჩემი შვილი გადარჩა ყბის ძვლის ამოღებას. 25 წლის ვაჟისთვის დამღუპველი იქნებოდა ტიტანიუმის პროთეზით სიარული. ჩვენთვის ბატონმა ოთარმა სასწაული გააკეთა.

**თამრიკო მაღრაძე:** დიაგნოზი – ლიფოგრამომატოზი იყო 10 წლის წინ.

ქუთაისი, ტოლპუხინის ქუჩა №7. განკურნებულია.

**პაშა ბერეკაშვილი:** დიაგნოზი – ლიმფოგრამომატოზი.

ქუთაისი, მიზანდარის ქუჩა №15.

„მკურნალობით ვარ დიდად კმაყოფილი, დამიბრუნდა ჯანმრთელობა, სიმსივნე აღარ მაქვს დიდი მადლობა“.

29.04.2001 წ.

***P. S. „ვიტასს“ უამრავი პაციენტი ემადლიერება ჩვენ შევეცდებით, „თბილისელების“ მომდევნო ნომრებში თანდათან მოგაწოდოთ ინფორმაცია ბატონი ოთარის პაციენტების შესახებ. თუმცა, ასჯერ გაგონილს, ჯობია პრეპარატის სასწაულმოქმედება საკუთარ თავსა და ახლობლებზე გამოსცადოთ. დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ ტელეფონებზე:***

**ოთარ ფანჩულიძე: 599-17-07-41,**
**ქალბატონი მზია: 599-24-03-55.**

**ხატია ჟღენტი**

# ბრძნული აზრები

**ჰესიოდე**: ჭეშმარიტად დიდი ადამიანი იგია, ვინც შეძლო და დაეუფლა თავის დროს.

**პასკალი**: წარსული და აწმყო – ჩვენი საშუალებებია, მომავალია ჩვენი მიზანი.

**თეოფრასტე**: დრო ყველა საშუალებათა შორის ყველაზე ძვირფასი საშუალებაა.

**ლაფონტენი**: ყვავილებით მოფენილ გზას არასოდეს დიდებამდე არ მივყავართ.

**ტაციტი**: დიდების წყურვილი ბრძენსაც კი უკანასკნელი ტოვებს.

**ბუფონი**: დიდება სიკეთეა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მისი ღირსია ესა თუ ის ადამიანი.

**რუმი**: ჭკუა ის არის, მოქმედებდე სიტყვის თანახმად.

**კონფუცი**: ცა ჩემში ქმნის ზნეობას.

**ჰელვეციუსი**: ღმერთისა და ზნეობრიობის გაიგივება კერპთაყვანისმცემლობას ნიშნავს: ეს ნიშნავს ადამიანთა ქმნილების გაღმერთებას.

**არისტოტელე**: ურიგო ჩვევიდან ვითარდება ბილწსიტყვაობაც და უმსგავსი ქცევებიც.

**აპულეიუსი**: უზნეობა საკუთარი თავის უარყოფაა.

**შოპენჰაუერი**: საშუალო ადამიანი ცდილობს, როგორმე მოკლას დრო, ნიჭიერი ადამიანი კი ფიქრობს, როგორ გამოიყენოს ის.

**ვოლტერი**: თავისუფლება იმ გამარჯვების ფასია, რომელსაც ჩვენ საკუთარ თავზე მოვიპოვებთ.

**დემოკრიტე**: თავისუფლად მე იმ ადამიანს მივიჩნევ, რომელსაც არც არაფრის იმედი და არც არაფრის შიში არ აქვს.

**კამიუ**: თავისუფალია ის, ვისაც შეუძლია, რომ არ მოიტყუოს.

**აინშტაინი**: ღვთის წინაშე ჩვენ ერთნაირად ბრძენები ან ერთნაირად ბრიყვები ვართ.

**ბერნანოსი**: სთხოვე ღმერთს, რომ აკურთხოს შენი საქმე, მაგრამ, არ სთხოვო, რომ შენ მაგივრად შეასრულოს ის.

**ჩეხოვი**: ხალხის დონე და შველა მის ინტელიგენციაშია, იმ ინტელიგენციაში, რომელიც პატიოსნად აზროვნებს, გრძნობს და რომელმაც იცის შრომა.

**ლაროშფუკო**: ჩვენ ვცდილობთ, ღირსებად მივითვალოთ ის ნაკლი, რომლის გამოსწორებასაც არ ვაპირებთ.

**პლინიუს უმცროსი**: იცოდე, რომ, კაცს, რომელსაც სათნოება უყვარს სხვებში, თავადაც ჭარბად აქვს ის.

**ლიხტენბერგი**: საკუთარი თავის მიმართ ადამიანი მკაცრი უნდა იყოს, თორემ ის წუმპეში გადაეშვება.

**ედისონი**: ქალი მეტისმეტად სუფთა გულის და პრინციპული არსებაა საიმისოდ, რომ საღ აზრს მოუსმინოს.

**ჰუმბოლდტი**: ხალხთა ზნეობრიობა ქალთა მიმართ გამოხატული პატივისცემით განისაზღვრება.

# თუ გაქვთ იცოდეთ

1. მიუხედავად იმისა, რომ „ევრო 2004-ის" მეოთხედფინალში პორტუგალიამ დიდი გაჭირვებით მოუგო ინგლისს, ყველა სპორტული მიმომხილველი და პრესა აღნიშნავდა, რომ პორტუგალიამ ინგლისს შიშველი ხელებით მოუგო **რატომ?**

2. გარეგნობის, კლასიფიკაციის სირთულისა და გამრავლების ხერხების გამო მეთვრამეტე საუკუნის ფრანგი ბოტანიკოსი ვეილენ ამბობდა, რომ ის ეშმაკის მოგონილია იმისთვის, რომ ანგრიოს ბუნების ჰარმონია და „დაწყევლილ ტომს" ეძახდა. **რას?**

3. 2 000 წლის წინათ რომის ერთ-ერთმა პროვინციულმა სასამართლომ ორ დამნაშავეს სიკვდილი მიუსაჯა ზღვაში დახრჩობით, მაგრამ განაჩენი სისრულეში ვერ მოიყვანეს. **რატომ?**

4. ალექსანდრე მაკედონელის მეომრები მას იყენებდნენ იმისთვის, რომ მოწინააღმდეგეს ისინი უძლურებად მოსჩვენებოდათ, რასაც მტერი შეცდომაში შეჰყავდა, სათანადოდ ვერ აფასებდა მათ შესაძლებლობებს და ამის გამო ხშირ შემთხვევაში აგებდა. **რას იყენებდნენ ამისთვის მაკედონელის მეომრები?**

5. **დაასახელეთ** სახელმწიფო, რომელშიც შობადობის მაჩვენებელი ნულია.

6. ის, ძველბერძნების აზრით, ადამიანებს ქალღმერთმა კიბელამ აჩუქა, ადრეული ქრისტიანები კი ფიქრობდნენ, რომ ცოდვის მიტევების შედეგად წარმოიშვა. კონფუცის დროს ჩინეთის იმპერატორის ბიბლიოთეკაში ამ მცენარისადმი მიძღვნილი 600-ზე მეტი შრომა ინახებოდა. ჩვენთვის კი სიმბოლურად ორი დატვირთვა აქვს. **რას?**

7. ერთი ვერსიით, კურსივის პროტოტიპს ჯერ კიდევ მეთხუთმეტე საუკუნეში გამოიყენებდნენ პაპის კანცელარიაში წერის დასაჩქარებლად. სწორედ ამიტომ, ბეჭდვასთან დაკავშირებულ მის დღევანდელ ვარიანტს ამ ქვეყნის სახელი ჰქვია. **რას?**

8. პრინცმა როდოლფომ ჰერცოგ ანჟუისკის ძვირფასი ქვების კოლექციის დათვალიერების შემდეგ მას ჰკითხა, რა ღირს თქვენი ქვები და რამდენი შემოაქვს მათ თქვენთვისო. ჰერცოგმა უპასუხა: მილიონი ღირს და არაფერი შემოაქვსო. მე კი მხოლოდ ათი ფლორინი დამიჯდა წყვილი ქვა, რომელსაც ყოველდღე თითქმის ორასი შემოაქვსო. **რა ჰქონდა მხედველობაში პრინცს?**

9. **რა დააყენა** კარლ ლინეიმ ცხოველთა კლასიფიკაციაში პირველ ადგილზე?

10. დიოგენეს აზრით, ფილოსოფიამ და მედიცინამ ადამიანი ყველაზე გონიერ ცხოველად აქცია, თავდაჯერებამ და დესპოტიზმმა – ყველაზე უბედურად. **როგორი გახადა ადამიანი მკითხაობამ და ასტროლოგიამ?**

*პასუხები იხილეთ 58-ე გვერდზე*

# გენია და სიგიჟე

**მონტანუსამ**, რომელსაც ყოველთვის ჰქონდა მიდრეკილება განმარტოებისადმი, იმით დაასრულა ცხოვრება, რომ სიცოცხლის ბოლოს თავს ქერის მარცვლად მიიჩნევდა, რის გამოც არ უნდოდა ქუჩაში გამოსვლა იმის შიშით, რომ ფრინველებს არ აეკენკათ.

**ჰარინგტონს** წარმოედგინა, რომ მისი აზრები მისი პირიდან ფუტკრებისა და ჩიტების სახით მოფრინავდნენ და ცოცხით ხელში იმალებოდა ფანჩატურში, რათა გაეფანტა ისინი.

**ამპერმა** ტრაქტატი „ქიმიის მომავლის შესახებ" იმ მოტივით დაწვა, რომ თითქოს იგი დაწერილი იყო სატანის მიერ.

**მენდელსონს** მუდმივი მელანქოლია სჭირდა.

**ვან გოგს** მიაჩნდა, რომ ის შეპყრობილი იყო ბნელი ძალების მიერ.

**ტომაზო ლოიდი**, მშვენიერი ლექსების ავტორი, გენიალურობის, ღვარძლის, სიამაყისა და სხვა ფსიქიკური აშლილობის იშვიათი შეხამებას წარმოადგენდა. როდესაც ის თავისი ნაწარმოებით უკმაყოფილო იყო, ქაღალდზე დაწერილ ლექსებს წყლიან ჭიქაში უშვებდა, რათა განეწმინდა ისინი. ყველაფერს, რასაც იპოვიდა – ნახშირქვას, თამბაქოს, ქაღალდს – მიაჩნდა, რომ ბედის ნაბოძები იყო, საქმეში შეურევდა და, მისი აზრით, ამით სხეულს განწმენდა ხდებოდა.

მატერიალისტ **გობსს**, მოჩვენებებისა და მოლანდებების შიშით, არ შეეძლო ბნელ ოთახში დარჩენა.

პოეტი **ჰოლდერლინი** მთელი სიცოცხლე დაავადებული იყო შეშლილობით. თავი მოიკლა 1835 წელს, ფსიქიკური აშლილობისგან.

**შუმანი** სიცოცხლის 24-ე წელს გახდა ლეპემანიის მსხვერპლი და 46 წლისამ სრულიად დაკარგა გონი. მას ხან სკამები და მაგიდები „დასდევდნენ", ხან ბგერებს ხედავდა, რომლებიც მოსვენებას არ აძლევდნენ, ზოგჯერ კი ეჩვენებოდა ბეთჰოვენი და მენდელსონი, რომლებიც საფლავიდან ჰკარნახობდნენ მელოდიებს.

პოზიტიური ფილოსოფიის ფუძემდებელი **ოგიუსტ კონტი** ათი წლის განმავლობაში მკურნალობდა ფსიქიკურ აშლილობას ესკიროლთან. განკურნების შემდეგ კი სახლიდან გააგდო ცოლი, რომელმაც რამდენჯერმე იხსნა მისი სიცოცხლე. სიკვდილის წინ მან თავი მატერიალისტური რელიგიის მოციქულად და მღვდელმთავრად გამოაცხადა, თუმცა ადრე სასულიერო პირთა განადგურებას ქადაგებდა. კონტის შრომებში გვხვდება ერთი მეტად უცნაური ქადაგებაც – რომ ქალები მამაკაცის გარეშე მოახდენენ განაყოფიერებას.

**ნიკოლოზ გოგოლმა**, მას შემდეგ, რაც სრული ფიასკო განიცადა სიყვარულში, გაიცნო პუშკინი და მისი შთაგონებით დაიწყო მოთხრობების წერა. მისი კალამი მიმართული იყო რუსული ბიუროკრატიის წინააღმდეგ. მან მწერლობით დიდების ზენიტს მიაღწია და იდეურად ილაშქრებდა სოციალური და პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ. შემდეგ მწერალმა იერუსალიმშიც იმოგზაურა და იქიდან ცოტათი დამშვიდებული დაბრუნდა, მაგრამ, ევროპაში 1848 წლის რევოლუცია დაიწყო, რამაც სინდისის ქენჯნა განუახლა. 1852 წელს გოგოლი ხატების წინ ნახეს მკვდარი, გულმხურვალე ლოცვების შედეგად.

**ბოტიჩელიმ** სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე თავისი შედევრების 80 პროცენტი გაანადგურა.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლg1-b6!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



ახალწვეული ეკითხება ინსტრუქტორს.
– თუ პარაშუტი არ გაიხსნა, სათადარიგ-




ოც არ გაიხსნა, მაშინ რამდენ ხანს ვიფრენ მიწამდე?
– მთელი დარჩენილი ცხოვრება.

***

– როცა სახლში გვიან შემოვდივარ, მამა ქმრით მცემს...
– მე ვერ მცემს, როცა ქამარს იხსნის, შარვალი უვარდება და დედა მეუბნება: წადი, შვილო, ცოტა ხანს კიდევ ისეირნეო.

***

„სიმართლის დროში" დათო გამოტყდა, რომ ცოლს ღალატობს და მილიონი მოიგო... ცოლი გაბრაზდა, მაგრამ არც კი უჩხუბია...

***

ეძებ ბედნიერებას – მიიღებ გამოცდილებას. ხანდახან ფიქრობ: აი, ბედნიერება, მაგრამ... თურმე, ისევ გამოცდილებაა.

***

ავტობუსში დუბლიონკიანი ტიპი ამოვიდა.
– იქნებ გაგეხადათ ეგ დუბლიონკა, უფრო მეტი ადგილი იქნებოდა...
– ქალბატონო, შარვალიც ხომ არ გამეხადა, ხელისმოსაკიდებელიც გექნებოდათ...

***

ქალმა შეიცვალა ტელეფონის ყველა ნომერი, გადაცვალა ბინა სხვა უბანში, შეიცვალა სამსახური, თმაც კი შეიღება... ოღონდ მას არ ეპოვა... მაგრამ, ის არც ეძებდა.

***

ინფორმატიკის გაკვეთილზე.
– რა განსხვავებაა რკინასა და „პროგრამულ უზრუნველყოფას" შორის?
– რკინა შეიძლება, გალუნო. გადაადნო... „კომპიუტერულ უზრუნველყოფას" ვერაფერს უხერხებ, გარდა გინებისა...

***

– გოგონა, რომელამდე მუშაობთ?
– 60-მდე.

***

გასაყიდად გამოვიდა ელექტროჩიპიანი ქვაბები და ტაფები, რომლებიც ნამდვილად არ იწვავს. როგორც კი ჭურჭელი მიწვას იწყებს, ავტომატურად ითიშება ინტერნეტი.

***

– გამარჯობა, რით შემიძლია, გემსახუროთ?
– თუ შეიძლება, მომაშორეთ დანარჩენი კონსულტანტები...

***

ვერასდროს იპოვი მშობლებზე კარგ მეგობარს – მხოლოდ ისინი ლაპარაკობენ შენზე კარგს სხვებთან, პირში კი ცუდზე მიგითითებენ.

***

თუ ქალმა თქვენთან გაიხადა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გენდობათ, აი... თუ უმაკიაჟოდ მოვიდა – მაშინ კი...

***

გუშინ ჩემმა ქმარმა პირდაპირ პირში მომახალა, რასაც ჩემზე ფიქრობდა... შემეცოდა, საწყალი ვისთან ცხოვრობს...

***

80 წლის ბაბუა, რომელსაც უკვე კარგა ხანია, ყურში არაფერი ესმოდა, ექიმთან მივიდა. ექიმმა უპრობლემოდ შეურჩია სასმენი აპარატი. ერთი თვის შემდეგ მოხუცი კონტროლზე ისევ მივიდა ექიმთან:
– აბა, ხომ ყველაფერი წესრიგშია, შენი




ახლობლები, ალბათ, გახარებული არიან, ყველაფერი რომ გესმით...
– ო, მათთვის ჯერ არც გამიმხელია, ვზივარ და ვუსმენ. უკვე მესამედ შევცვალე ანდერძი...

***

წერილი ქმარს:
– ზური, დღეს მაგვიანდება, ბავშვი ბაღიდან შენ წამოიყვანე.
P.S. თვითონ გიცნობს.

***

ტურისტი ეკითხება ადგილობრივს.
– შეგიძლიათ დამეხმაროთ, იმ მთამდე სწრაფად როგორ უნდა მივიდე?
– გინდათ, ძაღლი ავუშვა?

***

– მამი, როგორ დავწერო – გამოჯამრთელდა თუ გამოჯანმრთელდა...
– დაწერე, არ მოკვდა.

## ცნობილი ადამიანთა ენამახვილური გამონათქვამები

მეფე ერეკლე ყარაიაში წაბრძანდა დედოფლითურთ და ხის ძირს ჩამოხდა შესასვენებლად. ამ დროს გამოიარა ერთმა აზნაურიშვილმა, რომელსაც თან ქალი მოჰყვანდა თურმე.

გამარჯვება მოახსენა მეფეს, რომელიც არ ენახა და ვერ იცნო.

– გაგიმარჯოს!

– საით მიბრძანდებით აქეთ? – ჰკითხა აზნაურიშვილმა.

მეფე ერეკლე გაეხუმრა:
– მოვსულვარ ყარაიას,
ვაშენებ სარაიას.
თუ ამ შენს ქალს დამითმობ,
ჩავაცმევ დარაიას.

ამაზე აზნაურიშვილმა მიუგო:
– არც მოვსულვარ ყარაიას,
არც ვაშენებ სარაიას,
ქალი ქალში გამიცვალე,
რას ვაქნევ შენს დარაიას!

***

გორში ლეკურში შეეკამათდნენ ერთმანეთს ორი გამოჩენილი მოლეკურე ქალი: ზოგი ერთს ამჯობინებდა და ზოგი მეორეს. ერთ-ერთი ქალი მივიდა აკაკისთან და ჰკითხა:
– ვინ უკეთ ვთამაშობთ?
– ორივე კარგად თამაშობთ!
– არა, მაინც ჩვენ ორში ვინ უკეთესია?
– ხელების გაშლა ამან უკეთესად იცის და ფეხებისა კი – შენო, – მიუგო პოეტმა.

***

ნიაზ დიასამიძეს ქუჩაში ძაღლმა უკბინა ფეხზე. შემოეხვივნენ მეგობრები, ზოგი რას ურჩევს, ზოგი – რას. ბოლოს უმრავლესობის აზრი გამოიკვეთა და უთხრეს:
– აუცილებლად უნდა წახვიდე, შრატი გაიკეთო, ცოფი არ აიკიდოო...

ნიაზმა ხელი ჩაიქნია.




– მე არაფერი მიჭირს, შრატი ძაღლს გაუკეთეთ – სმა არ დაიწყოსო...

# მოქეიფე ქართველი მოჭიდავისა და გასაბერი ქალის ამბავი

### ვიქეიფოთ, ბიჭებო, არა?!

2003 წელია. მოჭიდავეები ფინეთში ვართ ასპარეზობაზე. მართალია, კომუნისტური რეჟიმი დიდი ხნის გასული იყო „გაღმა, მარილზე“, მაგრამ კაპიტალისტურ ქვეყნებში მაინც გოიმებად ვგრძნობდით თავს და იქაური წესები ნაკლებად ვიცოდით საქართველოში ლაღად გაზრდილმა ბიჭებმა.

კვების საკითხი ფინეთში „თავისებურად თავისებური“ იყო. აგიხსნით: არსებობდა დიდი მაგიდა („შვედური მაგიდა“), რაზეც ეწყო სპორტსმენებისთვის განკუთვნილი საკვები: რძისა და ხორცის პროდუქტები, ნაირგვარი ბოსტნეული და ნუგბარი ტკბილეული. თურმე, წესია, რომ რიგში ჩამდგარმა სპორტსმენებმა ამ მაგიდიდან უნდა აიღონ მათთვის სასურველი ულუფა და მერე სხვა მიკრომაგიდებთან მიირთვან.

ყველა ჯგუფშია გამორჩეული „ახირებული“ ტიპი და ჩვენც გვყავდა ერთი მოჭიდავე – ი. კ. (გვარსა და სახელს შეგნებულად არ ვაკონკრეტებ, მაინც უხერხულია, თან – მნიშვნელობა არა აქვს).

მოკლედ, ვდგავართ რიგში, რომ ჩვენ-ჩვენი პროდუქტი ავითვისოთ და რას ხედავს ჩემი თვალები: ეს ჩვენი ი. კ. საიდანღაც მოტანილ სკამზე ზის ხონთქარივით ამ მაგიდასთან ზუსტად შუაგულში. თავადივით გაუშლია მხრები და ჩვენს დანახვაზე ფრიად გაიხარა.

– ბიჭებო, აქეთ, აქეთ! – გვიქნევს ხელს დიდი ამბით.

– მოშორდი, ბიჭო, მაქაურობას! – დაუძახა რომელიღაც ჩვენგანმა.

– რატომ მოვშორდე? – გაუკვირდა ი. კ-ს (ესენი ვერ არიანო), – კაი სუფრაა, მშვენიერი პურმარილია და სად უნდა წავიდე?! იშოვეთ სკამები და შემომიერთდით, ვიქეიფოთ, მაგის დედა არ ვატირე?!

ძლივს „ავატყავეთ“ სკამიდან გულდაწყვეტილი და გაოცებული ჩვენი დარდიმანდი თბილისელი „ყარაჩოღელი“.

### რა გქვია, ლამაზო?!

ამ ამბის შემდეგ ი. კ. სულ გვებუზღუნებოდა – სულ თქვენი ბრალია, რა სუფრა დამაკარგვინეთო. საერთოდ, ბუზღუნაა, თუმცა, მოქეიფედაა დაბადებული. იტყვით ახლა, ქეიფი და სპორტი როგორ შეიძლება ერთადო, მაგრამ, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენი წინაპარი ბუმბერაზი მოჭიდავეები სპორტსა და ქეიფს მშვენივრად უწყობდნენ ერთმანეთს და ძალიან დიდ წარმატებებსაც აღწევდნენ მტრის ჯინაზე.

ი. კ-ს, ქეიფის გარდა ერთი სისუსტეც ჰქონდა – ქალები. სადაც არ უნდა ვყოფილიყავით, როგორც მელა ყურძენს, ისე გაადევნებდა




ხოლმე ქუჩაში თვალს ლამაზმანებს, ჩაყლაპავდა სიმწრის ნერწყვს და გულზე იბრაგუნებდა მჯიღს – „ოხ, ერთი თქვენი თავი მამცა ხალიჩაზეო!“

ვერ იქნა და ვერ გადავაჩვიეთ. ბოლოს, გადავწყვიტეთ, ჭკუა გვესწავლებინა და მომენტს დაველოდეთ. მომენტიც მალე დაგვიდგა.

ბორჯომში ვართ შეკრებაზე. ამ კურორტზე ლამაზმანებს რა გამოლევს და ი. კ-მაც შეილეწა გულმკერდის ძვლები მჯიღის ბრაგუნით: „ოხ ერთიიი!!!“

ერთი ტურისტისგან შევიძინეთ რეზინის, გასაბერი ქალი. ავიტანეთ ნომერში, გავბერეთ და... ჩვენ წინ დადგა ლამაზი, ჰაეროვანი, ქერათმიანი და გასაგიჟებელი, უზადო გარეგნობის ფრიად ელასტიკური „ნაშა“.

საღამოს, მკერდში მჯიღნაცემი და დაღლილი ი. კ. ადრე დაწვა, დაიძინა და გაეხვია ფერად-ფერად (ალბათ) სექსუალურ სიზმრებში.

რომ დავრწმუნდით, გვარიანად ეძინა, მოქმედება დავიწყეთ: სახელდახელოდ ისევ გავბერეთ ჩვენი „ნაშა“ და მივუწვინეთ გვერდით. რა დაგვაძინებს – ველოდებით რეაქციას! შუქი ჩავაქრეთ, ბრა ავანთეთ („პოლუმრაკ“) და ვართ გატრუნულები. ნახევარ საათში ი.კ-მ ერთი მძლავრად ამოიხვრინა და გვერდი შეინაცვალა. შეინაცვლა და თვალებს არ უჯერებს – მის გვერდით ულამაზესი „ნაშაა“ გაშხლართული.

ი.კ-მ ჯერ თვალები მოიფშვნიტა – აშკარად არ არის სიზმარი. „კაცო, დალევით არ დამილევია, მით უმეტეს, არ დავმთვრალვარ ისე, რომ ეს მოვიყვანე და არ მახსოვს”... გადაწყვიტა, ნაღდად ცოლად „მეტენებაო“ და „შეაღვიძა“:

– ეეე... ეეე... დევუშკა... სლიშიშ? – წაჰკრა ხელი, – პრასნის, ნატაშენკა!

გოგო, ბუნებრივია, დუმს. დუმილი კი, თანხმობის ნიშანი რომაა, ი.კ-მ ბავშვობიდან იცოდა და შეტევაზე გადავიდა:

– კაკ ტებე ზოვუტ? ნატაშკა, და? (სულ „ნატაშკაზე“ იყო აცრილი – ადრე ჰყავდა ერთი).

გოგო დუმს. ი.კ-მ იფიქრა, რადგან რუსი არაა, ქართველი იქნებაო და...

– რა გქვია, გოგო? – გაუმეორა...

აქ კი ველარ მოვითმინეთ და ი. კ-ს თავზე მეხივით დაატყდა ჩვენი კოლექტიური ხარხარი.

რაღა ექნა? თვითონაც აგვყვა, ვითომ არ შეიმჩნია და, სულ მალე, ორ კვირაში, „აბაროტი“ აგვილო. როგორი? ძალიან მაგარი – ცოლი შეირთო და ქორწილში მაგრად გვაქეიფა.

**ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონის,**
**რამაზ ნოზაძის ნაამბობის**
**მიხედვით მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

(73-ე გვერდიდან)

ოჩნდებოდა ხოლმე, რომ ოქროს გვირგვინის ქვეშ, თმის ზედა მხარე უფრო ინარჩუნებდა სიშავეს, ვიდრე დანარჩენი თმა. საუკუნეების გამოცდილებამ მოგვიტანა, რომ ოქრო სისხლის მიმოქცევას, კაპილარებში სისხლის მოძრაობას უწყობდა ხელს და ეს თავის ზედა კანის გაჯანსაღებას იწვევდა, ამიტომაც რჩებოდა თმა შავი ფერის. ოქრო უიშვიათესი მინერალია, რომელიც თავის ტემპერატურას ინარჩუნებს. როდესაც ცხელა, იმ დროს ოქრო უფრო გრილია, თუ ცივა – ოქრო უფრო თბილია. ამიტომ, ვინც ოქროს ეს თვისება იცოდა, მას კბილით კი არ სინჯავდა, არამედ, ღრძილზე იდებდა და იგებდა ოქროს ტემპერატურას. ხშირად წნევიანები ოქროს სამაჯურის ნაცვლად სპილენძის სამაჯურებს ხმარობენ, რომელსაც ოქროსთან შედარებით გარკვეული უპირატესობა და გარკვეული ნაკლი აქვს. მაღალ მაგნიტურ დღეებში სპილენძი ამას ადვილად იღებს და უფრო უმატებს ადამიანს ძალას. სამაგიეროდ, ოქროს სამაჯური მუდმივად სასარგებლოდ მოქმედებს ადამიანზე და მის პოტენციურ სიძლიერეს ზრდის. მაგალითად, თუ ადამიანს შესაძლებლობების კოეფიციენტი აქვს 80 და ის ოქროს სამაჯურს მარჯვენა ხელზე გაიკეთებს, კოეფიციენტი 90-მდე გაეზრდება. მაგრამ, ერთი რამ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ: ოქრო მარჯვენა ხელის არის, ხოლო ვერცხლი – მარცხენასი.

## როგორ გვიცავს ვერცხლი ცუდი ბაქტერიებისგან და რატომ ვიკიდებთ ოქროს ჯვარს „ბოლმის“ წერტილში

**– ყველაზე მეტად ოქროს სამკაულების ტარება გვიყვარს. თითოეული ჩვენგანისთვის მათ სწორედ შერჩევას თუ აქვს მნიშვნელობა?**

– როდესაც ოქროში ჩასმულია სხვადასხვა მინერალი, ამ დროს მათ შორის საინტერესო „დიალოგი” დგება. სამკაულები არ არის უბრალოდ სიმდიდრე, მათ ხშირად სხვადასხვა ფუნქცია აქვთ – ისინი სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ გამოიყენება, რა თქმა უნდა, თუ სწორად არის შერჩეული. ამ სამკაულებს შორის კი უზარმაზარი მნიშვნელობა ენიჭება ოქროს. ძველად ოქრომჭედლები იყვნენ როგორც ექსტრასენსები, ასევე ეზოთერიკოსები. მათ კარგად იცოდნენ, რომ ამა და ამ ადამიანისთვის ძალიან კარგი იყო ესა და ეს მინერალი. მეტსაც გეტყვით: არის ზოგიერთი მინერალი, რომლის ჩასმა ოქროში არ არის სასურველი, უკეთესია ვერცხლში ან მელქიორში ჩაისვას. მაგრამ, არის მინერალები, რომლებიც, პირიქით, აუცილებლად უნდა ჩაისვას ოქროში, რადგან მაშინ ოქროს ძალაც ძლიერდება და იმ მინერალებისაც. ოქრო მოყვარულია ერთი-ორი მინერალის, მას ჭრელაჭრულა რაღაცეები არ უყვარს – ესეც მისი უცნაური თვისებაა. ოქროსაც უყვარს თავისი ფორმები. ჩემთან ძალიან ხშირად მოდიან და ამოწმებენ სხვადასხვა სამკაულს. არ მქონია არც ერთი შემთხვევა, ნიშნობის ბეჭედი უარყოფითი ყოფილიყოს. ყველაზე მეტად ის გამიკვირდა, რომ ერთ ცოლ-ქმარს შორის მოხდა უთანხმოება, გაიყარნენ და რომ ვნახე მათი ნიშნობის ბეჭდები, ის მაინც დადებითი იყო. მათ რატომღაც ვუთხარი, ისე, რომ არაფერი მიფიქრია: ეს ბეჭდები იმდენად დადებითია, თქვენ აუცილებლად შერიგდებით-მეთქი. ორი თუ სამი წლის შემდეგ, მართლაც შერიგდნენ. შესაძლებელია, ისინი ოქროს ბეჭედმა შეარიგა, არაფერია გამორიცხული, რადგან, ადამიანსა და მინერალს, ადამიანსა და ბეჭედს, ადამიანსა და საყურეს შორის ყოველთვის ხდება ინფორმაციების გაცვლა. საქორწინო ბეჭედი აუცილებლად ოქროსი უნდა ყოფილიყო, რადგან მზე უნდა მიიღონ მფარველად. ოქროს სამკაული უბრალოდ არ კეთდება. უჩვეულოდ საინტერესოდ იყო გამოყენებული ოქრო ჩვენს უძველეს ხატთჭედურობაში. ის რეცეპტი, რომელსაც იყენებდნენ ქართველები, არის უნიკალური და ერთადერთი. სახელმწიფო მუზეუმში დღემდე შემორჩენილია ხატი, სადაც ვერცხლი დაფერილია ოქროთი და ეს ოქრო არის ძალიან ნაზი, თითქოს გაწმენდილია. ხატში კი უნდა იყოს ჩადებული უზარმაზარი ენერგია, განცდა ლოცვისა და რწმენისა.

**ნათია უტიაშვილი**

# რა რეაქცია ჰქონდა ახალგათხოვილ სალომე ბაკურაძეს იბიცაზე შიშველი ხალხის დანახვისას და შეიზღუდა თუ არა მისი თავისუფლება თაფლობის თვის შემდეგ

*სალომე ბაკურაძე სულ ახლახან დაბრუნდა თაფლობის თვიდან, სადაც განუმეორებელი დრო გაატარა თავის მეუღლესთან, ლაშა ბასლანძესთან ერთად. როგორც თავად ამბობს, ჯერ კიდევ შთაბეჭდილებების ქვეშაა და მისთვის საყვარელ ადამიანთან თანაცხოვრების ახალი ეტაპი, სიყვარულითა და სიახლეებით დატვირთული აღმოჩნდა.*



**სალომე ბაკურაძე**: დღედაღამ საყვარელი მამაკაცის გვერდით ყოფნა ფანტასტიკური შეგრძნებაა. კარგი ყოფილა გათხოვება ***(იცინის)***. თან, ლაშა ძალიან კომფორტული ადამიანია, ჩემი ჭკუის და, მის გვერდით მშვიდად ვარ. ვხუმრობ ხოლმე, გათხოვება ფანტასტიკური ყოფილა-მეთქი ***(იცინის).*** ჯერ ვერ ვხვდები, შემცვალა თუ არა გათხოვებამ, თუმცა, არც თავისუფლება შემზღუდვია და არც პიროვნულობა წაგვირთმევია ერთმანეთისთვის. ახლაც, მე აუზზე ვარ და ვირუჯები, ლაშა კი სამსახურშია და მუშაობს.

**– თაფლობის თვე სად გაატარეთ?**

– ქორწილის მერე, ორ დღეში, თაფლობის თვე დავგეგმეთ და ესპანეთში, პალმა დე მაიორკაზე წავედით. სასტუმრო თავად დავბრონეთ, თვითმფრინავის ბილეთები კი მეგობარმა გვაჩუქა, კატო ლოლაძემ – ეს მისი საქორწინო საჩუქარი იყო. თავად პოლონეთში ცხოვრობს, მასაც ვესტუმრეთ ვარშავაში ორი დღით და იქ გვიმასპინძლა ახალდაქორწინებულებს. ცხოვრების ეს ახალი ეტაპი საკმაოდ კარგად დაიწყო ჩვენთვის და, იმედია, ასე გაგრძელდება. ეს ის



ორი კვირაა, რომელიც მე და ლაშამ ერთმანეთს ვაჩუქეთ და რომელიც არასდროს დაგვავიწყდება. სულ ერთად ვიყავით, ვერთობოდით, ყოველდღიურად უამრავ რამეს ვგეგმავდით, მაგრამ, სიმღერა მომენატრა და, ერთ დღესაც, ესპანეთის ქუჩაში მოსეირნეემ, ისეთი ხმით დავიწყე სიმღერა, გადაირივნენ ესპანელები, რა ამღერებს ამ ადამიანს შუა ქუჩაშიო ***(იცინის).*** საოცარი კუნძულები დავათვალიერეთ. ვფიქრობ, საუკეთესო არჩევანი გავაკეთეთ თაფლობის თვისთვის. ახლაც შთაბეჭდილებების ქვეშ ვარ, გამოყოლილი მაქვს ის განწყობა.

**– როგორც ვიცი, იბიცაზეც იყავით. ესეც დაგეგმილი გქონდათ?**

– არა, იბიცაზე ერთ საღამოს გადავწყვიტეთ წასვლა გემით, სადაც ცნობილი დიჯეი უკრავდა ერთ-ერთ ცნობილ კლუბში, ანუ, მისი საღამო იყო დაგეგმილი. თან, ცოტა შემეშინდა, ბავშვობის მერე არ მიმგზავრია გემით და, ვიფიქრე, არ შევრცხვე-მეთქი ***(იცინის),*** მაგრამ, კარგად ავიტანე. მოკლედ, მთელი საღამო კლუბში „ვიზუზუნეთ" მე და ლაშამ და დილით მზის ამოსვლასაც შევხვდით. თან, ირგვლივ სულ შიშველ-შიშველი ხალხი დადიოდა და ჩვენ იმის სურვილიც კი არ გვქონია, თვალი გაგვეყოლებინა, ერთმანეთით ვტკბებოდით. ახლაც ეიფორიაში ვარ. ვერთობოდით, ვმოგზაურობდით და, გვეგონა, რომ მხოლოდ ჩვენ ორნი ვიყავით დედამიწაზე, ირგვლივ ვერავის ვამჩნევდით ***(იცინის).*** ვგრძნობ, რომ ძალიან კარგად ვარ და გვერდით ის ადამიანი მყავს, ვისთვისაც ცხოვრება მიხარია. ყველაზე სასიამოვნო ორი კვირა გავატარეთ მე და ლაშამ, თანაცხოვრების პირველი დღეები არასდროს დაგვავიწყდება და, იმედია, ცხოვრების ბოლომდე ასეთი ბედნიერები ვიქნებით. მთავარია, ერთნაირი ჭკუის ადამიანები ვართ, კარგად ვუგებთ ერთმანეთს და გვერდიგვერდ თავს გადასარევად ვგრძნობთ.









**– მინდა, კიდევ ერთხელ მოგილოცოთ ოჯახის შექმნა და გისურვოთ, რომ სულ ასეთი ბედნიერები და სიცოცხლით სავსეები იყოთ!**

– დიდი მადლობა. ზუსტად ვიცი, ჩვენ ის ადამიანები ვართ, რომლებიც ერთმანეთისთვის გავჩნდით დედამიწაზე და, მადლობა ღმერთს, რომ ერთმანეთი ვიპოვეთ და ცხოვრებაც დავუკავშირეთ.

**ნონა დათეშიძე**

ნ 65/26

ბილაინი®

# ულიმიტო

ბილაინ მიქსი

ყველაზე დაბალი ფასი!

# 25

ლარი

- ულიმიტო წუთები ადგილობრივ ქსელებზე
- ულიმიტო SMS-ი
- ულიმიტო ინტერნეტი

აქტივაციის კოდი ***110*250#**

11 01 01

www.beeline.ge